საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ქართული ისტორიოგრაფია

2

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1971

90 (С 41)
90(47.922)
ქ 279

კრებულში ისტორიული პროცესის ლენინური კონ-
ცეფციის შუქზე განხილულია ქართული ისტორიული
მეცნიერების საკვანძო საკითხები.

აქვე ქვეყნდება გამოჩენილი ქართველი ისტორი-
კოსის ს. ჯანაშიას დღემდე უცნობი ორი წერილი, ის-
ტორიოგრაფიული ნარკვევები და სხვა მასალები.

სარედაქციო კოლეგია: პ. რატიანი (მთავარი რედაქტორი),
გრ. მარგიანი, შ. ხანთაძე.

1—6—1
1 ii6—1970 ალგ.

გ. მარგიანი, ე. ხოშტარია

საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხები ლენინური მოძღვრების შუქზე

1970 წელს მოწინავე კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა დიადი თარიღი — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავი. სოციალისტური რევოლუციის დიდი ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის — ვ. ი. ლენინის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, რომლის ორმოცდაათი წლისთავს მიმდინარე წელს ზეიმობენ მოძმე საბჭოთა ხალხები.

ამ დიადი თარიღების ზეიმს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია თვალსაჩინო მიღწევებით შეეგება. ამ მხრივ საგანგებო ინტერესს იმსახურებს ის დიდი კვლევითი მუშაობა, რომელიც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ 50 წლის მანძილზე გასწია საქართველოს ახალი ისტორიის, კერძოდ, საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების პროცესის შესასწავლად, ჩვენში სოციალისტური რევოლუციის ობიექტური ისტორიული წანამძღვრების დასადგენად და შესაფასებლად.

წინამდებარე ისტორიოგრაფიული ნარკვევი მიზნად ისახავს, შექლებისდაგვარად, წარმოადგინოს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევები და ხარვეზები ზემოთ დასახელებული პრობლემების კვლევა-ძიებაში.

ერთი სტატიის ფარგლებში, ცხადია, შეუძლებელია საქართველოში ზემოთ დასახელებული პრობლემებისადმი მიძღვნილი ვრცელი ისტორიულ-ეკონომიური ლიტერატურის სრული განხილვა. სტატია გამიზნულია აღნიშნული ისტორიული პროცესის კვლევის საერთო სურათის წარმოსადგენად.

საბჭოთა ისტორიოგრაფია საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პროცესის შესწავლისას ემყარება ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო დებულებებს, რომელიც შეეხება რუსეთში, ასევე საკუთრივ

კავკასიაში. კაპიტალიზმის განვითარების საკითხებს. ვ. ი. ლენინის ნაშრომებში, როგორც ცნობილია, დიდი მეცნიერული სიღრმითა და სიცხადითაა გაშუქებული ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვა-განვითარება რუსეთში, კაპიტალიზმის განვითარება აქ „სიღრმეში" და „სიგანეში". იმისათვის რომ ნათლად წარმოვადგინოთ, თუ რამდენად სწორად და სრულად არის გათვალისწინებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში რუსეთის ისტორიული პროცესის ლენინური კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მიმოვიხილოთ ვ. ი. ლენინის დებულებები რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ, ხოლო შემდეგ ამ დებულებათა შუქზე ვაჩვენოთ საკუთრივ საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი და სპეციფიკური მხარეები, მათი ასახვა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.

ჯერ განვიხილავთ კაპიტალიზმის გენეზისის თეორიული საკითხების გაშუქებას ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში, ხოლო შემდეგ — საკუთრივ კაპიტალიზმის განვითარების პრობლემის შესწავლის ვითარებას (გენეზისი, როგორც ცნობილია, ძირითადად რეფორმამდელ ხანას უკავშირდება, ხოლო განვითარება — უპირატესად, რეფორმის მომდევნო პერიოდს), სახელდობრ, შევეხებით ისეთი კონკრეტული საკითხების კვლევას, როგორიცაა კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ასევე მუშათა კლასის ჩამოყალიბება საქართველოში.

*

მარქსისტული ისტორიოგრაფიის ლენინური ეტაპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებათა და თავისებურებათა შესწავლა ე. წ. „გვიანი კაპიტალიზმის" ქვეყნებში, რომელთა რიგს ეკუთვნის რუსეთი და ზოგიერთი მისი განაპირა ნაციონალური მხარე, მათ შორის საქართველო.

როგორც ცნობილია, რუსეთში კაპიტალისტური ურთიერთობა ვითარდებოდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ბატონობის პირობებში, რასაც არ შეეძლო თავისი დაღი არ დაესვა აქ მიმდინარე ახალი პროცესებისათვის.

რუსმა ნაროდნიკებმა ვერ შენიშნეს კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებანი რუსეთში, აქ ვერ იპოვეს კაპიტალიზმის „კლასიკური" დასავლური ფორმების აბსოლუტურად ადეკვატური ფორმები და საერთოდ უარყვეს იმპერიაში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა არსებობა, ქვეყნის კაპიტალისტური გზით განვითარების გარდუვალობა. სწორედ

ნაროდნიკების (მარქსიზმის ამ იდეური მტრების) წინააღმდეგ ბრძოლაში ვ. ი. ლენინმა მეცნიერული სიღრმით გამოიკვლია რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება. მართალია, იგი საგანგებოდ რეფორმის შემდეგდროინდელ ვითარებას სწავლობდა, მაგრამ ამასთანავე მის ნაშრომებში მოცემულია წინა პერიოდის მოვლენების მეცნიერული ახსნაც.

რუსეთის ისტორიის ახალ პერიოდს ვ. ი. ლენინი იწყებს „დაახლოებით მე-17 საუკუნიდან". მისი დახასიათებით, ამ დროიდან ხდება რუსეთის ეროვნული ბაზრის აღმოცენება, მანამდე განცალკევებული და დამოუკიდებელი ოლქების, მიწებისა და სამთავროების ფაქტიური შეერთება. ეს შეერთება ხასიათდება ამ ოლქებს შორის გაცვლის გაძლიერებით, საქონლის თანდათან მზარდი მიმოქცევით. მცირე ადგილობრივი ბაზრების კონცენტრაციით ერთ სრულიად რუსეთის ბაზრად. რამდენიდაც ამ პროცესს წარმართავდნენ „კაპიტალისტი-ვაჭრები". ამდენად აღნიშნული „ნაციონალური კავშირის შექმნა ბურჟუაზიული კავშირის შექმნა იყო და მეტი არაფერი" [1].

როგორც ვხედავთ. ვ. ი. ლენინი რუსეთში ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის საწყისებს უკვე იმ დროიდან ხედავს. როდესაც ქვეყნის შიგნით სავაჭრო კაპიტალის მანამდე არნახული გამოცოცხლების ნიადაგზე შეიქმნა რუსეთის საერთო ბაზარი. ეს წარმოადგენდა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების პირველ ეტაპს, რომელიც წინ უსწრებდა კაპიტალისტური წყობის შექმნას, ნიადაგს ამზადებდა მისთვის [2].

ვ. ი. ლენინის ნაშრომებში ეპოულობთ კაპიტალიზმის სხვა რიგის გენეზისური მოვლენების ახსნასაც. მაგალითად, კაპიტალიზმის განვითარების სტადიების დადგენისას ვ. ი. ლენინს განხილული აქვს მრეწველობის მარტივი ფორმებიც. რომლებიც თავისი ხასიათით შეესაბამებიან წინაკაპიტალისტურ ფორმაციას და კაპიტალისტურზე გარდამავალ ხანას. ხოლო უფრო გვიან გვხვდება. როგორც ძველი წყობილების ნაშთები, რომლებიც ახალ პირობებში სახეს იცვლიან ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური კანონების შესაბამისად.

ვ. ი. ლენინი კაპიტალიზმის განვითარების ზოგად კანონზომიერებათა მარქსისტული გაგებიდან გამომდინარეობს და რუსეთის თავისებურებებს ითვალისწინებს, როცა რუსეთის მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების სამ სტადიაზე მიუთითებს. ეს სტადიებია: „წვრილი სასაქონლო წარმოება (წვრილი, უმთავრესად გლეხური სარეწები),

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 170.

[2] Переход от феодализма к капитализму в России (материалы Всесоюзной дискуссии). М., 1969, стр. 191.

კაპიტალისტური მანუფაქტურა, ფაბრიკა (მსხვილი მანქანური ინდუსტრია)“ [3].

როგორც ცნობილია, კაპიტალისტური წარმოების ამოსავალი პუნქტი არის ერთი და იგივე ინდივიდუალური კაპიტალის მიერ, ერთსა და იმავე დროს, ხელოსნურ წარმოებასთან შედარებით მუშათა უფრო მეტი რიცხვის ამუშავება კოოპერაციის ფარგლებში[4].

კაპიტალიზმის სწორედ ამ ამოსავალ წერტილს ხედავს ვ. ი. ლენინი რუსეთის წვრილგლეხურ („შინამრეწველურ“) სარეწებში. ამ ნიადაგზე იგი წვრილი სასაქონლო წარმოების კაპიტალისტური ევოლუციის ძლიერ ტენდენციას აღნიშნავს და „წვრილ სასაქონლო წარმოებას“ მრეწველობაში კაპიტალიზმის პირველ საფეხურად მიიჩნევს[5], თუმცა იმ-თავითვე დასძენს, რომ აქ ბურჟუაზიული ურთიერთობანი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, ექსპლოატაცია ორმაგი ბუნებისაა (კაპიტალისტურ ექსპლოატაციასთან ერთად სახეზეა წინაკაპიტალისტური მეთოდით ძარცვა)[6].

წვრილი სასაქონლო წარმოების ლენინური გაგება, ე. ი. ამ წარმოების ადგილისა და როლის შესწავლა, რუსეთის მაგალითზე, ანუ ისეთ ქვეყანაში, რომელიც კაპიტალიზმის გზაზე შედარებით გვიან შედგა, დამაჯერებლად აბათილებს შეხედულებას, რომ თითქოსდა წვრილ წარმოებას არასოდეს არ შესწევდა უნარი ზემოქმედება მოეხდინა ფეოდალურ სისტემაზე ამ უკანასკნელის რღვევის თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ დასავლეთ ევროპის პირობებში, სადაც ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობას ფეოდალურ სისტემაში პირველი ბზარის შეტანა მოუხდა, ცხადია, წვრილ სასაქონლო წარმოებას ამისი უნარი არ ექნებოდა. იგი ეგუებოდა და ემსახურებოდა ფეოდალურ საზოგადოებას. ამიტომ კაპიტალისტური ერა კაპიტალიზმის კლასიკური (დასავლური) ნიმუშის მიხედვით, მანუფაქტურით იწყება (მარქსი). მაგრამ სხვაგვარად წარმოგვიდგება წვრილი სასაქონლო წარმოების როლი ისეთ ქვეყნებში, რომლებიც კაპიტალიზმის გზას შედარებით უფრო გვიან დაადგნენ, კერძოდ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმმა დასავლეთ ევროპაში უკვე გაიმარჯვა და იგი, ეროვნული და სახელმწიფოებრივი საზღვრების თანდათან გადალახვის გზით, მსოფლიო სისტემად იქცა. ახალ პირობებში კაპიტალიზმის გენეზისური მოვლენები უკვე სხვაგვარ ელფერს იღებს. ახალ ურთიერთობათა ელემენტებს მეტი გასაქანი ეძ-

---

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 641.

[4] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 409.

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 404, 412—414, 641, 644.

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 249, ტ. 3, გვ. 644.

ლევა და ისინი მეტად ზემოქმედებენ გაბატონებულ ფეოდალურ სისტემაზე.

წვრილი სასაქონლო წარმოების, როგორც მრეწველობის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმის შეუფასებლად, რომელშიც გარკვეულ პირობებში წვრილ საწარმოთა განვითარების უმაღლეს საფეხურზე, იქმნება კაპიტალისტური ურთიერთობა, არ შეიძლება სწორად იქნეს გაგებული ამ წარმოების ბუნება, როგორც კაპიტალიზმის პირველი სტადიისა მრეწველობაში. ამდენადვე მის გარეშე შეუძლებელია სწორად გავიგოთ კაპიტალიზმის განვითარების პროცესი შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა მნიშვნელოვანწილად მოხდა წვრილი წარმოების კაპიტალისტურად გარდაქმნის გზით, თავდაპირველად მსხვილი წარმოების სუსტი განვითარების პირობებში (თუმცა უკანასკნელის არსებობაც ერთ-ერთი ფაქტორია ამ გადასვლისა).

ვ. ი. ლენინი რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების კარდინალურ საკითხებს და ამ განვითარების თავისებურებებს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის განმტკიცებასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ერთი მხრივ, იგი ხაზს უსვამს რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ჩამორჩენილობას. „არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, — წერს ვ. ი. ლენინი, — არ შემორჩენილა ასე უხვად ძველებური დაწესებულებანი, რომელნიც შეუთავსებელია კაპიტალიზმთან, აფერხებენ მის განვითარებას, უსაზღვროდ აუარესებენ იმ მწარმოებელთა მდგომარეობას, რომელნიც იჩაგრებიან კაპიტალიზმისაგან და კაპიტალიზმის არა საკმაო განვითარებისაგანაც“[7]. მეორე მხრივ, ვ. ი. ლენინი აღნიშნავს რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების სწრაფ ტემპს. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ 1861 წლის რეფორმის შემდეგ „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში ისეთი სისწრაფით წარიმართა, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ხდებოდა ცვლილებანი, რომლებსაც ევროპის ზოგიერთ ძველ ქვეყანაში მთელი საუკუნეები მოუნდა“[8].

ამის მიზეზს ვ. ი. ლენინი სწორედ მსოფლიო კაპიტალიზმის გავლენაში ხედავს: „პატრიარქალური რუსეთი 1861 წლის შემდეგ სწრაფად ირღვეოდა მსოფლიო კაპიტალიზმის გავლენით“[9].

სხვაგან ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ „კაპიტალიზმის განვითარე-

---

7 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 717.
8 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 128.
9 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16, გვ. 412.

ბა ახალგაზრდა ქვეყნებში საგრძნობლად ჩქარდება ძველი ქვეყნების მაგალითით და დახმარებით"[10].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, რუსეთის ეკონომიკის „ევროპეიზაცია" თავდაპირველად გამოიხატა მანუფაქტურის მზამზარეული ფორმების სესხებაში, ხოლო XIX საუკუნეში უკვე ადგილი ჰქონდა მანქანური ტექნიკის ასეთსავე გადმონერგვას [11].

სწორედ ასეთი გავლენის წყალობით ხდება რუსეთის თავისებურებათა ნიველირება, მისი ჩადგომა კაპიტალისტური ქვეყნების მწყობრში. ლენინის დახასიათებით, ოდესღაც ჩამორჩენილი რუსეთი XIX საუკუნის მეორე ნახევარში გვევლინება კაპიტალიზმის ყველა ნიშნის მქონე ქვეყნად, რომელიც შემდგომში იმპერიალისტური ქვეყნების რიგში დგება.

მართალია, ყველაფერი ეს მნიშვნელოვანწილად რეფორმის მომდევნო ხანას ეხება. მაგრამ გარდა იმისა, რომ ვ. ი. ლენინს ახსნილი აქვს წინაკაპიტალისტური ხანის მთელი რიგი მოვლენები, მისი ზოგადი თეორიული ხასიათის დებულებები გასაღებს გვაძლევს რუსეთში მიმდინარე პროცესების მთლიანობაში წარმოსადგენად, მათი ჩასახვა-განვითარების სიგრძეზე.

რუსეთში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების ლენინური გაგება და საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში მიღებული შესაბამისი სქემა, რომლის თანახმად კაპიტალიზმის ჩანასახები წყობის ჩამოყალიბებამდე ბევრად უფრო ადრე გვხვდება (ხოლო წყობა ყალიბდება ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ბატონობის პირობებში), გასაღებს გვაძლევს ანალოგიური პროცესის შესასწავლად საქართველოშიც. ასეთი შედარების უფლებას იძლევა ის გარემოება, რომ საქართველო რუსეთთან შეერთებამდე, ანუ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვის დროისათვის, იმავე საფეხურზე იდგა (განვითარებული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება), ხოლო რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიური დაკავშირების წყალობით, ძირითადად იმავე მიმართულებით ვითარდებოდა, როგორც თვით რუსეთი.

სწავლობდა რა რუსეთის კაპიტალისტურ განვითარებას, ვ. ი. ლენინს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია კავკასია, კერძოდ კი საქართველო. მკვლევრები ფართოდ მიმართავენ ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებას რუსეთის მიერ კავკასიის ეკონომიური „დაპყრობის" დროის და ხასიათის, მისი კოლონიზაციის პროცესის, ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური" სარეწების დაცემის მიზეზების

---

10 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 580.

11 Переход от феодализма к капитализму в России..., стр. 42—43.

შესახებ. ამ პროცესების დახასიათებისას ვ. ი. ლენინი დაასკვნიდა: „ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს, — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“ [12].

ამ დებულების მომარჯვებისას ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ჩვეულებრივ, ყურადღება გამახვილებულია საკითხის ერთ მხარეზე — რუსეთის მიერ კავკასიის „კოლონიზაციაზე“ და მის კოლონიად გადაქცევაზე, ისე, რომ კავკასიის სხვადასხვა კუთხეები არ არის განხილული დიფერენცირებულად, არ არის ბოლომდე დაზუსტებული, თუ რა შინაარსს დებდა ვ. ი. ლენინი ამ ცნებებში.

თუკი ვ. ი. ლენინის დებულებას ღრმად ჩავუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებისათვის განაპირა მხარეების მნიშვნელობის განხილვისას ვ. ი. ლენინი, ერთი მხრივ, მიუთითებს კავკასიის („განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის“) ძლიერ კოლონიზაციაზე, მიწის ფართო დამუშავებაზე კოლონისტების მიერ, ხოლო, მეორე მხრივ, ჩერდება „შინამრეწველური სარეწების“ დაცემაზე რუსული ფაბრიკების პროდუქციის კონკურენციის შედეგად. ამ უკანასკნელ მოვლენასთან პირდაპირ კავშირში არის აღნიშნული საქართველოში „ფეოდალური წყობილების დაცემაც“. უფრო ქვემოთ კი ლაპარაკია კავკასიაში მრეწველობის განვითარებასა და მასთან დაკავშირებულ ისეთ მოვლენებზე, როგორიცაა „მოსახლეობის მიზიდვა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ“—ქალაქების მოსახლეობის ზრდა. ცხადია, აქ პირველ რიგში იგულისხმება ამიერკავკასია. ვ. ი. ლენინი პირდაპირ მიუთითებს ამ მხარის (უპირატესად ამიერკავკასიაა საგულისხმო) ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, თამბაქოს მეფაბრიკეთა და სხვა ჯურის მეწარმეთა ქვეყნად გადაქცევაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ვ. ი. ლენინმა აღნიშნა ამიერკავკასიაში სამთო მრეწველობის „გასაოცარი ზრდა რეფორმის შემდგომ პერიოდში“. მან საგანგებოდ გახაზა არა მარტო რუსეთის მიერ კავკასიის ეკონომიური დაპყრობის მიმდინარეობა, არამედ კავკასიის, კერძოდ საქართველოს, ზოგიერთი სამრეწველო ნაწარმის მიერ რუსეთის ბაზრის „დაპყრობა“.

ასე რომ, ვ. ი. ლენინი სავსებით არაორაზროვნად აღნიშნავს, ერთი მხრივ, უპირატესად ჩრდილო კავკასიის კოლონიზაციას. მეორე მხრივ კი სამრეწველო კაპიტალიზმის გაჩვითარებას ძირითადად ამიერკავკასიაში. ეს უკანასკნელი (და, კერძოდ, საქართველოც) წარმოადგენდა რუსეთის „შინაურ ბაზარს“ („შიდა კოლონიას“), რამდენადაც აქ შე-

---

[12] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 703—704.

მოდიოდა რუსული ფაბრიკატი და შემდგომ კი იკრებოდა რუსული კაპიტალიც. მაგრამ. მეორე მხრივ, ქვეყნის სამეურნეო დაწინაურება (ინტენსიური სოფლის მეურნეობა), ადგილობრივი მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება ხელს უწყობდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებას, შინაური ბაზრის ზრდას. ზემოთ აღნიშნულიდან ცხადია, რომ, ერთი მხრივ, რუსეთის კაპიტალიზმის განვითარება სიგანეში მოიცავდა ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოსაც. მეორე მხრივ კი, ადგილზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური პროცესები არ შეიძლება არ შეფასდეს როგორც კაპიტალიზმის განვითარება სიღრმეში. ცხადია, დასახელებული მხარის სრული „ეკონომიური დაპყრობა" რუსეთის კაპიტალიზმისათვის, ამ უკანასკნელის სისუსტის გამო, რამდენადმე ძნელი უნდა ყოფილიყო. ყოველივე ამით ამიერკავკასია, განსაკუთრებით საქართველო, რამდენადმე განსხვავდება რუსეთის ისეთი განაპირა მხარეებისაგან, სადაც ადგილი ჰქონდა მხოლოდ კოლონიზაციას, დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისებას ადგილობრივი მრეწველობის მეტად სუსტი განვითარების პირობებში. აღნიშნულ გარემოებას ჯეროვან ანგარიშს უწევს ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის პ. ლიაშჩენკო, რომელიც გარკვევით მიუთითებს, რომ „ამიერკავკასიაში შეიქმნა გაცილებით უფრო მძლავრი კაპიტალისტური მრეწველობა, ვიდრე სხვა განაპირა მხარეებში წარმოების მოცულობის მხრივაც და მასში ჩაბმული ეროვნული პროლეტარიატის რიცხვის სიდიდითაც"[13].

ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს განვითარების დონის ასეთი შეფასების გარეშე შეუძლებელია სწორად აიხსნას მთელი რიგი იმ მოვლენებისა, რომელთაც აქ ადგილი ჰქონდათ არა მარტო XIX საუკუნეში. არამედ XX საუკუნის მთელ რევოლუციამდელ პერიოდში.

საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების შესწავლას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქვემოთ ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების საკითხებზე ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში გამოთქმულ მოსაზრებებს, ასევე საბჭოთა პერიოდში, კერძოდ, 30—40-იან წლებიდან გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს. აქ კი წინდაწინვე შევნიშნავთ. რომ საკუთრივ კაპიტალიზმის გენეზისური მოვლენების თეორიულ ასპექტში გაშუქება ძირითადად 50-იანი წლების შუახანებიდან

[13] П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, т. 2. Капитализм. изд. четвертое, М., 1956. стр. 563.

წარმოებს. ამ დროიდან თეორიული საკითხები მთელი სიგრძე-სიგანით დგება ცალკეულ ავტორთა ნაშრომებსა და განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოზე მუშაობის გაშლასთან დაკავშირებით; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში გაიშალა მუშაობა, დაიგეგმა ნაშრომები, რომლებიც საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის საგანგებო შესწავლას ემსახურებოდა.

კაპიტალიზმის გენეზისის საკითხებს მიეძღვნა 1954 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ჩატარებული დისკუსია, სადაც განხილული იქნა მ. დუმბაძისა და ზ. ანჩაბაძის მოხსენება „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის მე-19 ს. რეფორმამდელ პერიოდში“[14]. მოხსენებაში უარყოფილი იყო რეფორმისწინა ხანის საქართველოში „ძლიერი კონფლიქტი საწარმოო ძალთა ზრდასა და გაბატონებულ ფეოდალურ ურთიერთობებს შორის“. „კაპიტალისტური ურთიერთობის საწყისები, — ვკითხულობთ მოხსენების თეზისებში, — ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული ახალ ეკონომიურ წყობად („უკლად“), რომელსაც უნდა დაეშალა ფეოდალური წესწყობილება და დღის წესრიგში დაეყენებინა მისი რევოლუციური დამსხვრევა ან საფუძვლიანი გარდაქმნა“. ავტორების აზრით, ქვეყნის შიგნით, ზოგიერთი პირობის არსებობის მიუხედავად, „საგლეხო რეფორმის ძირითადი მიზეზი იყო კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში და საქართველო-ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების ამოცანები, რუსეთის სახელმწიფოს წინაშე რომ იდგა“.

მოხსენების ავტორთა აზრით, წარმოების განვითარებას აქ არ შესწევდა ძალა, რომ „ფეოდალური ბაზისის რღვევა გამოეწვია“. გარდა იმისა, რომ მოტანილი დებულება თვით მომხსენებელთა მიერ რეფორმის შინაგანი მიზეზების არსებობის აღიარებას ეწინააღმდეგება, ფაქტიურად იგი (დებულება) დაუპირისპირდა ჯერ კიდევ ს. ავალიანის მიერ აღნიშნულ, ხოლო შემდეგ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში (პ. გუგუშვილი, ა. კიკვიძე, შ. ჩხეტია და სხვ.) გაზიარებულ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, რეფორმის გასატარებლად საქართველოში სათანადო სოციალურ-ეკონომიური პირობები ადგილობრივ არსებობდა.

---

14 მოხსენების თეზისები ხელნაწერის უფლებით დაიბეჭდა ცალკე—მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის XIX ს. რეფორმამდელ პერიოდში (თეზისები), თბ., 1954. ქრონიკა დისკუსიის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1953, გვ. 509—510.

ზ. ანჩაბაძისა და მ. დუმბაძის ზემომოყვანილი თვალსაზრისი გაკრიტიკებულ იქნა დისკუსიის მსვლელობაში და შემდგომ გამოქვეყნებულ ნაშრომებში, თუმცა მას ზოგიერთი მომხრეც გამოუჩნდა.

1954 წელსავე გამოქვეყნებულ წიგნში ა. კიკვიძე შეეხო კაპიტალიზმის განვითარების გზებს საქართველოში. ამასთან ერთად, მან სცადა, გადაესინჯა მანუფაქტურის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში წამოყენებული თვალსაზრისი. აკრიტიკებს რა პ. გუგუშვილს, რომლის აღიარებით, მანუფაქტურა უკვე XVIII ს. მეორე ნახევრიდან არსებობდა, ა. კიკვიძე თვლის, რომ საქართველოში კაპიტალისტური სამრეწველო საწარმოები თავიდანვე ითავსებდნენ მექანიკურ წარმოებას და, ამდენად, ჩვენში მანუფაქტურულ სტადიას ადგილი არ ჰქონდა, თუმცა, იმავდროულად, იგი აღიარებს, რომ „საერთოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მექანიკური წარმოება საქართველოში აქა-იქ გვხვდება, გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი ა მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა“[15].

ა. კიკვიძე სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მიმოხილვის საფუძველზე ასკვნის, რომ რეფორმამდელი ხანის საქართველოში ადგილი ჰქონდა კაპიტალისტური ურთიერთობის თუ წარმოების წესის წარმოქმნას, კაპიტალიზმის საწყისებს[16], „50-იან წლებში საქართველოში თვალსაჩინო იყო წინააღმდეგობა კაპიტალისტურ საწარმოო ძალებსა და ბატონყმურ ურთიერთობას შორის. საგლეხო რეფორმამ თუმცა ვერ მოშალა ეს წინააღმდეგობა სავსებით, ფრიად შეასუსტა იგი და ბიძგი მისცა სამრეწველო კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას“[17].

რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოფელში მომხდარი ძვრები გაშუქებული იქნა ი. ანთელავას მონოგრაფიაში, რომელიც 1955 წელს გამოიცა[18].

დასახელებულ ნაშრომში დახასიათებულია სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, აღნიშნულია, რომ საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში, განსაკუთრებით 30-იანი წლებიდან მიმდინარეობდა სავაჭროფულადი ურთიერთობისა და სამრეწველო განვითარების პროცესი. სა-

[15] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში 1870—1901. თბ., 1945, გვ. 11 (ხაზგასმა ჩვენია. ავტ.-ი).

[16] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 229 — 230.

[17] ი ბ ე ვ ე, გვ. 298.

[18] И. Г. А н т е л а в а, Государственные крестьяне в Грузии в первой половине XIX века, т. I, Сухуми, 1955. იგივე წიგნი გამოცემული იქნა ხელმეორედ სათ ურით: Государственные крестьяне Грузии в XIX в., т. I (до крестьянской реформы 1864), Тб., 1969

საქონლო-ფულადი ურთიერთობანი იკრებოდნენ სოფლადაც და იწ-ყებდნენ ნატურალური მეურნეობის დაშლას. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტის საქონლიანობა. ნაშ-რომში მოტანილი მასალა ზოგად ხაზებში გვიჩვენებს ეკრობის მას-შტაბების ზრდას, მასში გლეხობის ჩაბმას, საოჯახო მრეწველობისა თუ ხელოსნობის განვითარებას. გლეხობის გარესამუშაოებზე გასვლის ტენდენციას, ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავებას, ცალკეულ პირთა ხელში ფულადი სახსრების დაგროვებას, სოფლის მოსახლეობის ქალაქისაკენ ლტოლვას. იქვე აღნიშნულია ცვლილებანი მემამულეთა მდგომარეობაში, მამულის დაგირავების მასშტაბების ზრდა, მეორე მხრივ კი, რაციონალურ საწყისებზე მოწყობილ მემამულურ მეურნეო-ბათა გაჩენა — დაქირავებული შრომის გამოყენებით, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და სხვ.

ავტორი დაასკვნის, რომ 1864 წლის რეფორმამდე სასაქონლო წარმოება, რომელიც ფეოდალური წყობილების ფარგლებში არსებობ-და და ემსახურებოდა მას, ერთდროულად ხელს უწყობდა ამ წყობი-ლების თანდათან დაშლის პროცესს და ამზადებდა ზოგიერთ წინაპირო-ბას კაპიტალიზმის განვითარებისათვის, რომელმაც რეფორმისშემდგომ ხანაში გაიმარჯვა.

რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოფლის ვითარების დახასია-თების შედეგად მიღებული ზოგადი დასკვნები ი. ანთელავას წიგნში დაკონკრეტებულია სახაზინო გლეხების მდგომარეობის სპეციალური შესწავლის გზით. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახა-ზინო გლეხთა მიწათმფლობელობის ფორმების, ქონებრივი დიფერენ-ციაციის, მცირემიწიანობის ზრდის. სახელმწიფო გადასახადების კომუ-ტაციისა და კლასობრივი ბრძოლის ფორმების შესწავლას [19].

1955 წელსვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ე. ხოშტა-რიამ დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი [20], რომელშიც გაშუქებულია

---

[19] 1956 წელს გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც საგანგებოდ ეხება რეფორ-მის წინა პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას, ი. ანთე-ლავა სოფლის მეურნეობის მდგომარეობის ამსახველი ცნობების განხილვის საფუ-ძველზე ასკვნის, რომ ეს მასალები „ეფლებას იძლევიან ვილაპარაკოთ რეფორმის-წინადრო ნდელ საქართველოს სოფლში კაპიტალისტური წყობის ი. კაპიტალისტური ელემენტების ჯამის შესახებ, რომელთაც შესწევდათ უნარი დაეშალათ ძველი წესები“. იხ. И. Г. Антелава. К вопросу о характере экономического развития Грузии в предреформенный период (по материалам сельского хозяйства), Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. Гулиа, т. XXVI, Сухуми, 1956.

[20] ე. ხოშტარია, დაქირავებული შრომა საქართველოში XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. პირველ ნახევარში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1955;

როგორც სოფლად მიმდინარე პროცესები, ასევე მრეწველობის განვითარება XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში. ნაშრომში (სოფლის მეურნეობისადმი მიძღვნილ თავში) ნაჩვენებია, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებასა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით. უკვე XVIII ს. მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით XIX ს. პირველ ნახევარში, საქართველოში ადგილი ჰქონდა ფეოდალური კარჩაკეტილი მეურნეობის რღვევას, როგორც საგლეხო, ასევე საბატონო მეურნეობის ბაზართან კავშირის გაძლიერებას.

ნაშრომში მოტანილია კონკრეტული მონაცემები XIX ს. პირველ ნახევარში პურის მოსავლის საბაზრო ნაწილის ოდენობის (20—25%), ნათესი ფართობის თუ მოსავლის შეფარდებითი ზრდის (2—3-ჯერ) შესახებ. აღნიშნულ იქნა, რომ თუკი თავდაპირველად ბაზარზე გამოდიოდა ძირითადად სოფლის მეურნეობის ზედმეტი პროდუქტი, შემდეგში თანდათან იზრდება ამ პროდუქტის სასაქონლო წარმოება. ამასთან დაკავშირებით შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო რაიონების სპეციალიზაცია. შემოდის ტექნიკური კულტურები, რომელთა გაშენებას ძირითადად რაციონალიზებულ მემამულურ მეურნეობებში მისდევდნენ. განხილულია ეს უკანასკნელიც. ნაჩვენებია სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდა. ამასთან ერთად, აღნიშნულია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებიც (ბატონყმობა, მიწების გაუმიჯნაობა, კაპიტალის ნაკლებობა). ყოველივე ამან განაპირობა საბატონო მეურნეობის ევოლუციის ნელი მიმდინარეობა. მან რეფორმის შემდეგაც დიდხანს შეინარჩუნა გარდამავალი ხასიათი, რაც გამოიხატებოდა მეურნეობის საბატონო სისტემის კაპიტალიზმთან შეერთებაში.

აღებული ხანის საქართველოს მრეწველობის შესწავლისას ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია როგორც შედარებით მსხვილ საწარმოებზე, რომლებიც ძირითადად მანუფაქტურას განეკუთვნებიან (მანქანური წარმოების ელემენტებით), ასევე წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარებაზე, მის ტენდენციაზე კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის ტიპის წარმოებად გადაქცევისაკენ. დადასტურებულია უკვე XIX ს. პირველ ნახევარში როგორც მსხვილ, ასევე წვრილ წარ-

---

Э. В. Хоштария. Наемный труд в Грузии во второй половине XVIII в. и первой половине XIX в. (Автореферат), Тб., 1955. 1958 წელს დაიბეჭდა ნაშრომის ნაწილი: ე. ხოშტარია, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30—60-იან წლებში (იხ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1958).

მოებაში დაქირავებული შრომის სისტემატური გამოყენების ფაქტები. ნაჩვენები იყო, რომ იძულებითი შრომა, გამოყენებული ზოგიერთ მსხვილ საწარმოში, მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა.

ე. ხოშტარიას დასახელებულ ნაშრომში, ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და ახალ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების თვალსაზრისით, შესწავლილია ქალაქების სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა მიწათმოქმედი მოსახლეობის ხარჯზე. სათანადო კამერალურ აღწერათა მონაცემებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ რეფორმისწინა პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში ქალაქების მოსახლეობა ორჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მთელი მოსახლეობა. ამასთან ერთად დადგენილია, რომ ეს ზრდა ხდებოდა უპირატესად საკუთრივ საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე, თუმცა მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის გარედან მოსულთა პროცენტიც.

დაქირავებული შრომის წყაროების შესწავლის შედეგად გარკვეულია, რომ მუშახელის ძირითად მასას ქმნიდნენ კვლავაც ბატონყმურ უღელში ჩაბმული, გარესამუშაოებზე გასული გლეხები: გლეხობის გარესამუშაოებზე გასვლის ზრდა, სოფლის მოსახლეობის ქალაქისაკენ ლტოლვის გაძლიერება დაქირავებული შრომის უმნიშვნელოვანეს რეზერვს ქმნიდა და გლეხობის დაშლის პროცესის გაღრმავების გამოხატულებას წარმოადგენდა. „ხიზანთა“ ინსტიტუტში XIX ს. პირველ ნახევარში ავტორი ხედავს მიწის „მოიჯარადრეობის“ თავისებურ ფორმას, რომელიც ფეოდალურ მეურნეობას მუშახელით უზრუნველყოფდა.

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ყველაზე უფრო სიმპტომატურ გამოხატულებას ავტორი ხედავს ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლებისაკენ გლეხობის მასობრივ ლტოლვაში, რისთვისაც ის ყველა ხერხს მიმართავდა.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ შესასწავლ პერიოდში „კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარება საქართველოში იწვევს ფეოდალური წყობილების დაშლას. მწვავდება კონფლიქტი განვითარებად საწარმოო ძალებსა და გაბატონებულ წარმოებით ურთიერთობებს შორის, რაც ამზადებს ნიადაგს აქ საგლეხო რეფორმის გასატარებლად“. ამასთან, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შინაური ბაზრის ზრდა საქართველოში არ შეიძლება განხილული იქნეს რუსეთისაგან განცალკევებულად, რომელთანაც საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული. „ის პროცესები, რომელნიც მოქმედებდნენ ამ მიმართულებით,

უნდა გავიგოთ როგორც შინაური ბაზრის გაფართოება რუსეთის იმპერიის მასშტაბით“ [21].

1956 წელს უნივერსიტეტშივე დაცულ საკანდიდატო ნაშრომში [22] დ. გოგოლაძემ საგანგებოდ განიხილა რეფორმამდელ საქართველოში არსებული შედარებით მსხვილი სამრეწველო საწარმოები და მეურნეობანი. მან შეისწავლა სასაქონლო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარება, ნატურალური მეურნეობის რღვევა. ნაშრომში დახასიათებულია მსხვილი მემამულური მეურნეობა, რომელიც რაციონალურ საწყისებზე იყო მოწყობილი და ნაწილობრივ ბურჟუაზიულ ხასიათს იღებდა. აქვე ავტორი ლაპარაკობს ბურჟუაზიული ურთიერთობების შეჭრაზე გლეხურ მეურნეობაში. ამას იგი ხედავს ნატურალური მეურნეობის რღვევაში, ბაზართან გლეხობის კავშირის გაძლიერებაში, გლეხთა ქონებრივ დიფერენციაციაში, შეძლებულ გლეხთა ფენის წარმოქმნაში, რომელიც დაქირავებულ შრომასაც იყენებდა. ბოლოს ლაპარაკია ბატონყმური სისტემის კრიზისზე და ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობაზე.

მრეწველობის განვითარება დ. გოგოლაძის წიგნში განხილულია დარგობრივად, მოცემულია შედარებით მსხვილ საწარმოთა აღწერა. წვრილ წარმოებაზე ავტორი საგანგებოდ არ ჩერდება. ამავე დროს იგი 4—5 მუშიან სარეწებს მიათვლის მანუფაქტურას. სამთამადნო წარმოებასაც თავიდანვე განიხილავს, როგორც მანუფაქტურულ წარმოებას, უგულებელყოფს წვრილი სამთო საწარმოების არსებობას.

დ. გოგოლაძე იზიარებს მოსაზრებას საქართველოში მანუფაქტურული სტადიის არსებობის შესახებ. ამავე დროს იგი აღნიშნავს რეფორმამდელ ხანაში ცალკეულ საწარმოებში მანქანური ტექნიკის გამოყენებასაც.

1956 წელსვე ხელნაწერის უფლებით გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს I ტომის მაკეტი [23]. გამოიცა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს I წიგნი [24] (მთავარი რედაქტორი — აკად. ნ. ბერძენიშვილი). XIX ს. რეფორმამდელი პერიოდის ნაკვეთის ავტორია მ. დუმბაძე. აღნიშნულ ნაკვეთში ხაზგას-

---

21 მასალა და ციტატები მოტანილია ავტორეფერატიდან.

22 ნაშრომი შემდგომში გამოიცა წიგნად: დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე. კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ., 1959.

23 1956 წელსვე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში მოეწყო აღნიშნული მაკეტის საჯარო განხილვა, სადაც ფართო მსჯელობის საგნად იქცა საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხები (განხილვის სტენოგრამა ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის არქივში).

24 საქართველოს ისტორია (აკად. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით), თბ., 1958.

მით არის აღნიშნული 30—50-იანი წლების საქართველოში ნატურალური მეურნეობის რღვევა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვა, საშინაო ვაჭრობის ფართო განვითარება, ბაზრის გაფართოება, რაც „ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა დაშლის პროცესს გამოხატავდა“. წიგნში განხილულია XIX ს. პირველ ნახევარში არსებული სამრეწველო წამოწყებანი, აღნიშნულია საწარმოო ძალთა განვითარებასა და წარმოებით ურთიერთობებს შორის წინააღმდეგობის არსებობა. „მრეწველობის ჩამორჩენილობის მიუხედავად,—ვკითხულობთ სახელმძღვანელოში, — 40—50-იან წლებში საქართველოში აქა-იქ ფეხს იკიდებდა ბურჟუაზიული წარმოების წესი, რომელიც ბატონყმურ სისტემას ვერ ეგუებოდა და გასაქანს მოითხოვდა“. უფრო ქვემოთ წერია: „მრეწველობის ნაჩვენები ზრდა ფეოდალური წარმოების წესის რღვევას აჩქარებდა“.

სიფლად შექმნილი ვითარების განხილვისას აღნიშნულია ბატონყმური სისტემის დრომოჭმულობა, ფეოდალური მეურნეობის კრიზისის მომწიფება. იქვე ვკითხულობთ: „ქვეყნის შემდგომი სამეურნეო-ეკონომიური განვითარებისათვის საჭირო იყო ყმათა განთავისუფლება, ბატონყმური სისტემის ლიკვიდაცია“ [25].

იმავე დამხმარე სახელმძღვანელოში ბურჟუაზიული რეფორმების ხანისა და XIX ს. რეფორმისშემდგომი ისტორიის ნაკვეთში, რომლის ავტორია პ. რატიანი [26], სათანადო ფაქტობრივი მასალის გააზრების საფუძველზე აღნიშნულია, რომ საგლეხო რეფორმა ისევე, როგორც სხვა ბურჟუაზიული რეფორმები, „შედეგი იყო იმ მწვავე კონფლიქტისა, რომელიც აღმოცენდა, ერთი მხრივ, ახალ (ბურჟუაზიულ) საწარმოო ძალების განვითარებასა და მეორე მხრივ, ძველ (ფეოდალურ) საწარმოო ურთიერთობებს შორის“. „ჯერ კიდევ რეფორმამდელ საქართველოში როგორც მემამულეთა, ისე გლეხთა მეურნეობაში დაიწყო წარმოების ფეოდალური ფორმიდან კაპიტალისტურზე გადასვლის

---

25 იგივე თვალსაზრისია გატარებული მ. დუმბაძის მონოგრაფიაში: „დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება)“, თბ., 1957. როგორც ვხედავთ, მ. დუმბაძე, 1954 წელს ზ. ანჩაბაძესთან ერთად გამოქვეყნებულ თეზისებთან შედარებით, რამდენადმე განსხვავებულ პოზიციაზე დადგა. მეტი ყურადღება მიაქცია ახალს, მზარდს, რაც 40—50-იან წლებში ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევას იწვევდა. ამდენად, იგი გაემიჯნა ზ. ანჩაბაძეს, რომელიც ამ რღვევის ძირითად მიზეზად საგარეო ფაქტორს მიიჩნევს.

26 პ. რატიანის მიერ დაწერილი ნაწილი საქართველოს ისტორიისა (XIX ს. მეორე ნახევარი) უფრო ვრცლად შევიდა 1962 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს II ტომში (იხ. საქართველოს ისტორია ტ. II, თბ., 1962, თავები I—VII).

პროცესი". პ. რატიანის აზრით, „საქართველოს მრეწველობამ ფეოდალურ ეპოქაში განვლო კაპიტალისტური წარმოების ისეთი საფეხურები, როგორიცაა კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურა".

პ. რატიანის შეხედულებით, მანუფაქტურულ წარმოებას საქართველოში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ვხვდებით, ხოლო XIX ს. პირველ ნახევარში აქ მანუფაქტურა კიდევ უფრო ვითარდება და ამზადებს პირობებს მანქანურ ანუ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასასვლელად. ამასთან, თბილისის გუბერნიაში 60-იან წლებში არსებულ ყველა (450) შედარებით მნიშვნელოვან კაპიტალისტურ საწარმოს, სადაც 5000-ზე მეტი დაქირავებული მუშა მუშაობდა, პ. რატიანი მანუფაქტურებად მიიჩნევს, თუმცა სინამდვილეში მათ უმრავლესობას შედარებით წვრილი კაპიტალისტური საწარმოები წარმოადგენდნენ. ამავე დროს ავტორი აღნიშნავს, რომ მანუფაქტურულ წარმოებასთან ერთად საქართველოში იმ დროს ძალზე დიდი ადგილი ეჭირა წვრილ ხელოსნურ და კუსტარულ („შინამრეწველურ") წარმოებას. სოფელ ადგილებში არსებულ მრავალრიცხოვან გლეხურ საწარმოთა შორისაც იგი ხშირ შემთხვევაში მანუფაქტურული ტიპის საწარმოებს გულისხმობს. 50 — 60-იან წლებში შედარებით მსხვილ მანუფაქტურულ საწარმოებში მანქანური ტექნიკის დანერგვაში, ფაბრიკული ტიპის ცალკეული საწარმოების დაარსებაში პ. რატიანი ხედავს მანუფაქტურიდან ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაზე გადასვლის დასაწყისს.

1957 წელს გამოქვეყნებულ წიგნში[27] პ. გუგუშვილი კვლავ უბრუნდება რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკითხებს, კერძოდ, აშუქებს ამქრულ ხელოსნობას და მისი დაშლის პროცესს, „შინამრეწველობას" („Кустарное производство") და მანუფაქტურას.

მანუფაქტურული წარმოების არსის განხილვისას ზოგადთეორიულ ასპექტში პ. გუგუშვილი პოლემიკას აწარმოებს ა. კიკვიძესთან, რომელიც უარყოფს საქართველოში მანუფაქტურული სტადიის არსებობას. მანუფაქტურული წარმოების პერიოდს პ. გუგუშვილი XIX ს-ის 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე ვარაუდობს, თუმცა ცალკეულ მანუფაქტურულ საწარმოთა წარმოქმნის ფაქტს ამა-

---

[27] П. В. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., т. I, Тб., 1957; ამ წიგნში გაშუქებული საკითხები (მანუფაქტურული წარმოების გამოკლებით) შევიდა პ. გუგუშვილის ქართულ წიგნშიც: საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, მონოგრაფიები, ტ. V, თბ., 1962.

ზე ადრე და ამის შემდგომაც აღნიშნავს [28]. ავტორი ასკვნის: „მანუფაქტურული წარმოება ხელს უწყობდა ამიერკავკასიის საშინაო და საგარეო ვაჭრობის არხების შემდგომ გაფართოებას, საერთოდ საქონლური წარმოების შემდგომ განვითარებას, მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებათა ჩამოყალიბებას, დაქირავებული შრომის სისტემის წარმოქმნას და ყოველივე ამით ამზადებდა ნიადაგს წვრილ კაპიტალისტურ სარეწების და მანუფაქტურების ნაცვლად მანქანურ (ფაბრიკულ-ქარხნული) მრეწველობის წარმოქმნისა და განვითარებისათვის“.

რეფორმამდელი ხანის აღმოსავლეთ საქართველოში აგრარულ ურთიერთობათა განვითარებას 1957 წელს ცალკე მონოგრაფია უძღვნა ა. ფანცხავამ [29]. ავტორმა მიზნად დაისახა რეფორმამდელი ხანის ქართული სოფლის საზოგადოებრივი სტრუქტურის გარკვევა. იგი განიხილავს ცარიზმის აგრარულ პოლიტიკას, საგანგებოდ სწავლობს გლეხობის დიფერენციაციას. საამისოდ ა. ფანცხავა იყენებს კამერალურ აღწერათა მონაცემებს. ეხება სოფლად ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების საკითხებს, სავაჭრო კაპიტალის როლს, დაქირავებული შრომის გამოყენებას სოფლად, სოციალური დიფერენციაციის საწყისებს — კულაკური ფენის გამოყოფას, სავაჭრო მიწათმოქმედების ჩასახვას საბატონო მეურნეობებში, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას და ბოლოს წიგნში შესწავლილია რენტის ფორმების განვითარება, ბეგარა-გადასახადების კომუტაცია. ყოველივე ამას ავტორი განიხილავს, როგორც ფეოდალიზმის დაშლისა და ახალი საზოგადოებრივი წყობილების ჩასახვის მაჩვენებელს.

1958 წ. გამოქვეყნდა გ. ბაქრაძის მონოგრაფია [30], რომელშიც ავტორი საგანგებოდ სწავლობს მრეწველობის განვითარებას რეფორმის შემდგომ ხანაში, მაგრამ, ამასთან ერთად, ეხება ადრე ნატურალური მეურნეობიდან საქონლურ წარმოებაზე გადასვლას, მრეწველობის მარტივი ფორმებიდან უფრო მაღალ ფორმებზე გადასვლას. გ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებას. რამაც თავის მხრივ გამოიწვია ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევა და კაპიტალიზმის ჩასახვისა და

---

28 დასახელებულ წიგნში პ. გეგუშვილმა მანუფაქტურისადმი მიძღვნილი თავი ადრე გამოქვეყნებულ შრომებთან შედარებით, შეავსო ზოგიერთი ლამაზებითი მასალით (XIX ს. პირველ ნახევარში არსებულ საწარმოებზე), რომელიც ამ დროისათვის უკვე შემოტანილ იქნა სამეცნიერო ბრუნვაში.

29 А. Я. Панихава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М., 1957.

30 Г. Н. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX в., Тб., 1958.

განვითარებისათვის წანამძღვრების მომზადება. ავტორის დაკვირვებით, რეფორმამდელი ხანის საქართველოში ხელოსნურ-შინამრეწველური წარმოების გვერდით გაჩნდნენ ისეთი საწარმოები, რომლებიც ემყარებოდნენ არა მარტო კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას, არამედ ჰქონდათ მანუფაქტურის სახე. ასეთები იყო ის საწარმოები, სადაც 15-ზე მეტი მუშა მუშაობდა. ამასთან, ავტორი დასძენს, რომ მანუფაქტურული საწარმოები ერთეულებს შეადგენდნენ; გაბატონებულ მდგომარეობას მრეწველობაში ინარჩუნებდა წვრილი ხელოსნური და შინამრეწველური წარმოება.

გ. ბაქრაძე მანუფაქტურულ საწარმოთა სიმცირის გამო უარყოფს რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური წყობის არსებობას, თუმცა, თვითონვე აღნიშნავს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა კაპიტალის დაგროვება. გასაღების ბაზრის ზრდა, კაპიტალისტური ტიპის საწარმოების აღმოცენება, რაც, მისი აზრით, გამოხატავდა სასაქონლო წარმოების და საქონლის მიმოქცევის განვითარებას და ნიადაგს ამზადებდა კაპიტალისტური წარმოებისათვის.

გ. მეგრელიშვილმა ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური აზრის ისტორიისადმი მიძღვნილი ვრცელი გამოკვლევის [31] შესავალ ნაწილში (თავი I — „ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევა და კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში") მკაფიოდ აჩვენა ქვეყნის შინაგანი განვითარების შედეგად ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისის მოწიფულობა რეფორმის წინადროინდელ საქართველოში. ავტორი ასკვნის: „XIX ს. პირველ ნახევარში მრეწველობაში გამომჟღავნდა ტენდენციები, — ერთი მხრივ, ბატონყმური მანუფაქტურების რღვევისა საბაზრო ურთიერთობათა განვითარების პირობებში, ხოლო მეორე მხრივ, ხელოსნური წარმოების ექსტენსიური განვითარებისა". ამავე დროს, ავტორი ხელოსნურ წარმოებაშიც არ გამორიცხავს თვისობრივი სასიათის ძვრებს — ამქრული ხელოსნობის დაშლას და ხელოსნობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვის შედეგად კაპიტალისტურ მანუფაქტურაში მის გადაზრდას.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარება XIX ს. პირველ ნახევარში გ. მეგრელიშვილს შემდეგი ფორმების სახით აქვს წარმოდგენილი: გლეხობის დაშლა (განსაკუთრებით ხიზნებსა და სახელმწიფო გლეხებს შორის); კოლონისტების მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია; მიწათმოქმედებაში სავაჭრო-სავახშო კაპიტალის დანერგვა ბდიდარი მოხელეების, ვაჭრების, მევახშეების და სხვა შეძლებული

---

31 Г. И. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, том. I, Тб., 1960.

ელემენტების მიერ მიწების შესყიდვისა თუ მათთვის მიწის ბოძების გზით და ამ მიწებზე მეურნეობის მოწყობა დაქირავებული შრომის გამოყენებით; მემამულეთა მიერ კრიტიკულ მომენტებში ყმის შრომასთან ერთად დაქირავებული შრომის გამოყენება. სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების აღნიშნულ ფორმებს ბოჭავდა ბატონყმური სისტემა, რაც ამწვავებდა კონფლიქტს განვითარებად საწარმოო ძალებსა და გაბატონებულ წარმოებით ურთიერთობებს შორის.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: განსხვავებით სხვა მკვლევართაგან, გ. მეგრელიშვილმა სავსებით სწორად დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში არ შეიძლება იქნეს გაგებული სწორხაზობრივად, როგორც ქვეყნის სამრეწველო განვითარების. აქ საწარმოო ძალთა წინსვლის შემბოჭველი ფაქტორი. სავსებით მართებულად აღნიშნავს ავტორი, რომ თავისი სურვილის წინააღმდეგ, ობიექტური პირობების ძალით, ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკა არ გამორიცხავდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სამრეწველო განვითარებას.

60-იანი წლების დასაწყისიდანვე ქვეყნდება მთელი რიგი ნაშრომებისა, სადაც განხილულია რეფორმამდელი ხანის საქართველოს სამრეწველო განვითარების [32], ასევე აგრარული ისტორიის [33] და საქალაქო ცხოვრების[34] ზოგადი და კერძო ხასიათის საკითხები. ამავე დროს გრძელდება პოლემიკა კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების სადავო საკითხებზე. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა რეცენზიები და საპასუხო წერილები, რომლებშიც ასახულია როგორც ჩამოთვლილ ავტორთა, ასევე სხვა სპეციალისტთა თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე [35].

---

[32] ა. კ ო ბ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბ., 1962; მ. ს ა მ ს ო ნ ა ი ე, მე-19 ს. რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების ისტორიიდან, „მაცხე", 1964, № 1.

[33] ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, საკაპრო მიწათმოქმედების განვითარება XIX ს. რეფორმამდელ საქართველოს საბატონო მეურნეობაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. 1, თბ., 1961; ლ. გ ვ ა ხ ა რ ი ა, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1960.

[34] თ. ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ფენები (მოქალაქე), თბ., 1964.

[35] ასეთი შრომების რიცხვს ეკუთვნის ა. კიკვიძის წერილი — „საქართველოში კაპიტალიზმის წარმოშობის ერთი სადავო საკითხისათვის" (ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", № 7, 1960), რომელიც არის პასუხი პ. გუგუშვილის მიერ 1957 წ.

1964 წელს გამოქვეყნდა ა. როგავას წერილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ავტორის თვალსაზრისი ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გენეზისის შესახებ საქართველოში. ავტორი თვლის, რომ ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის საწყისები XVIII საუკუნეში უკვე იმდენად ძლიერი იყო, რომ ქმნიდა წყობას [36].

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, 1960-იანი წლების შუახანებისათვის საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისი შემუშავდა. მკვლევართა უმრავლესობა (პ. გუგუშვილი, შ. ჩხეტია, ა. კიკვიძე, ი. ანთელავა, პ. რატიანი, ა. კოპლავაშვილი, ა. ფანცხავა, ე. ხოშტარია, დ. გოგოლაძე, მ. სამსონაძე, ე. ორჯონიკიძე და სხვ.) სწავლობს რა რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას სხვადასხვა კუთხით, ხედავს აქ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევასა და ახალ, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა საკმაოდ ინტენსიურ განვითარებას; ამ მკვლევართა ერთი ნაწილი პირდაპირ აღიარებს კაპიტალისტური წყობის და მანუფაქტურული სტადიის არსებობას, ხოლო მეორე ნაწილი (ა. კიკვიძე, მ. სამსონაძე) უარყოფს ამ უკანასკნელს, რადგან მანქანურ წარმოებაზე გადასელას უცილობელ ფაქტად მიიჩნევს. რამდენადმე განსხვავებულ თვალსაზრისზე დგანან მ. დუმბაძე და გ. ბაქრაძე, როგორც ეს ქვეყანაში ხედავენ გარკვეულ შინაგან ძვრებს, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ახალ ურთიერთობათა ჯამი არ ქმნიდა კაპიტალისტურ წყობას; ისინი მანუფაქტურას არ ანიჭებენ ისეთ როლს, რომ შეიძლებოდეს ლაპარაკი მის სტადიურობაზე.

გამოქვეყნებულ წიგნში ა. კიკვიძის მისამართით გამოთქმულ შენიშვნებზე. 1959 წ. გ. ბაქრაძის წიგნზე გამოქვეყნდა ა. კიკვიძის, ა. ბენდიანიშვილის, ბ. ხასიას, გ. გველესიანისა და გ. თოდუას რეცენზია—„როგორ არ უნდა იწერებოდეს მონოგრაფიული გამოკვლევა" (ეურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1959, № 1). იგივე რეცენზია რუსულად გამოქვეყნდა სათაურით: „По поводу одной работы по истории капитализма в Грузии" („მაცნე", 1964, № 4). ამ რეცენზიის პასუხს წარმოადგენს გ. ბაქრაძის წერილი: „საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ზოგიერთი საკითხის სწორი გაგებისათვის" (თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 100, 1963); 1960 წ. გამოქვეყნდა ა. ბენდიანიშვილის და ი. უთურაშვილის რეცენზია დ. გოგოლაძის წიგნზე (ეურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1960, № 12), ხოლო 1961 წ. დ. გოგოლაძის საპასუხო წერილი „კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხის შესახებ საქართველოში" (ეურნ. „მოამბე", 1961, № 3).

1960 წლის ივნისში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში ახალი ისტორიის განყოფილების ღია სხდომაზე მოეწყო დ. გოგოლაძის წიგნის განხილვა (იხ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკ. I, თბ., 1964, 235—239).

36 ა. რ ო გ ა ვ ა, კაპიტალიზმის ჩანასახი საქართველოში და ერეკლე მეორის პოლიტიკა, „მაცნე", 1964, № 6.

პრინციპულად განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს ზ. ანჩაბაძე, რომელიც ფაქტიურად უარყოფს ქვეყნის შინაგანი განვითარების რაიმე ნიშანწყალს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რეფორმამდელი ხანის საქართველოში ხედავს ბატონყმური სისტემის არა რღვევას (კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვის შედეგად), არამედ განმტკიცებასაც კი. ფეოდალური სისტემის კრიზისისა და საგლეხო რეფორმის გატარების მიზეზს იგი მთლიანად გარეშე ფაქტორებს უკავშირებს. ამ ფაქტორებით ხსნის. ამის სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებ', ა. როგავა. რომლის აზრითაც, კაპიტალისტური წყობა არსებობდა არა თუ XIX ს. პირველ ნახევარში, არამედ უფრო ადრე, XVIII ს. მეორე ნახევარში.

ყველა ეს თვალსაზრისი წარმოდგენილი იყო 1966 წლის ივნისში ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მოწყობილ დისკუსიაზე, რომელიც კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისს მიეძღვნა[37]. კამათი საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის თაობაზე სცილდება რესპუბლიკის ფარგლებს. იგივე საკითხები დგება ამიერკავკასიისა და საკავშირო მასშტაბით მოწყობილ დისკუსიებსა და სიმპოზიუმებზედაც. ჯერ კიდევ 1962 წელს ერევანში კავკასიის ხალხთა აგრარული ისტორიის საკითხებზე გამართულ სესიაზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც წარმოდგენილი იყო ი. ანთელავას მოხსენებაში, და ზ. ანჩაბაძის განსხვავებული შეხედულება[38].

1965 წ. ივნისში მოსკოვში მოწყობილ საკავშირო დისკუსიაზე, რომელიც რუსეთში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პრობლემას მიეძღვნა, განსახილველად წარმოდგენილ კოლექტიურ მოხსენებაში გაკრიტიკებულ იქნა ქართულ საისტორიო ლიტერატურაში გატარებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში ადგილი ჰქონდა მანუფაქტურული წარმოების ზრდას, კაპიტალისტურ-მემამულურ მეურნეობათა აღმოცენებას, დაქირავებული შრომის გავრცელებას და პროდუქციის მაღალ საქონლიანობას. ამ თვალსაზრისის წარმომადგენლებს ბრალად ედებოდათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების „დაჩქარება", მათი გათანაბრება რუსეთის ცენტრალური რაიონების დონესთან, მარტივ სასაქონლო წარმოებასა და კაპიტალისტურ წარმოებას შორის განსხვავების წაშლა, დაქირავებული შრომის გამოყენების როლის გაზვიადება.

---

[37] დისკუსიაზე მოსმენილი იყო ზ. ანჩაბაძის მოხსენება: „კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისი (საქართველოს მასალების მიხედვით)". მოხსენების თეზისები და შოკაძათეთა გამოსვლების მოკლე შინაარსი იხ. „მაცნე", 1968, № 2, გვ. 231--257.

[38] იხ. ჟურნ. „История СССР", 1962, № 3, გვ. 225.

მაგრამ ასეთი ბრალდების წამოყენებისას მხედველობაში არ იყო მიღებული ის, რომ „გაკრიტიკებული“ ავტორები ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებენ XVIII ს. მეორე ნახევარში არსებულ ვითარებას (როდესაც მხოლოდ ახალ ურთიერთობათა ჩანასახებთან გვაქვს საქმე), და მომდევნო პერიოდის მდგომარეობას (XIX ს. პირველ ნახევარს, უპირატესად კი 30—60-იანი წლები), როდესაც შინაგანი და საგარეო ფაქტორების გავლენით იწყება ფეოდალიზმის ინტენსიური რღვევა და ახალი მოვლენებიც ახალ ხარისხს იძენენ [39].

1969 წლის მარტში ბაქოში გამართულ სიმპოზიუმზე, რომელიც ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისს მიეძღვნა, ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ მოხსენებებში და ზოგიერთ გამოსვლაში იგრძნობოდა ამიერკავკასიის ყველა მხარის ისტორიული პროცესის გათანაბრების ტენდენცია, ისე რომ აქ ახალ ურთიერთობათა შემოსვლა და ფეოდალიზმის დაშლის დასაწყისი XIX ს. შუახანების მოვლენად იქნა წარმოდგენილი, თუმცა დისკუსიის ზოგიერთმა მონაწილემ გაიზიარა ქართველ მკვლევართა მიერ წარმოდგენილ მოხსენებებსა და გამოსვლებში გატარებული თვალსაზრისი საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისური მოვლენების უფრო ადრე დაწყების, კერძოდ, აქ 30—40-იან წლებიდან უკვე კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების შესახებ [40]. ტერმინების — „კაპიტალიზმის ჩასახვა“, „წყობა“ და სხვა, განსხვავებული მნიშვნელობით ხმარებისა და საერთო კრიტერიუმების არსებობის გამო, სიმპოზიუმის ზოგიერთ მონაწილეს შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოსდა ქართველი მკვლევრები XVIII ს-ის მეორე ნახევარში ხედავენ კაპიტალისტურ ურთიერთობებს და არა ამ ურთიერთობათა სპორადულ ელემენტებს.

დღეისათვის ჩვენს ისტორიოგრაფიაში XIX ს. პირველი ნახევრის, უფრო სწორად, რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკითხში, მკვლევართა უმეტესი ნაწილის [41]

---

39 იხ. Переход от феодализма к капитализму в России (материалы Всесоюзной дискуссии). М., 1969, გვ. 14—16. დისკუსიაზე საწინააღმდეგო პოზიციის დაცვით გამოვიდა ი. ანთელავა (იქვე, გვ. 191—198).

40 ინფორმაცია ბაქოს სიმპოზიუმის მუშაობის შესახებ იხ. ჟურნალში „История СССР“ (1969, № 6). ხოლო სიმპოზიუმის მუშაობის შედარებით უფრო ვრცელი მიმოხილვა იხ. ჟურნ. „მაცნეში“ (1970 წ. № 3).

41 იხ. И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария. К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967; საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 1962; ე. ვ. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, წიგნი 1—2, თბ., 1966—1968; დ. გოგოლაძე, სამთამად-

თვალსაზრისს მკვეთრად დაუპირისპირდა ზ. ანჩაბაძის შეხედულება[42].

ამ დაპირისპირებამ ასახვა ჰპოვა უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ისტორიოგრაფიული ხასიათის შრომებშიც[43].

რაკი ზ. ანჩაბაძე როგორც 1966 წლის დისკუსიის მსვლელობაში (სადაც მისი დებულებები მოკამათეთა უმრავლესობის მიერ გაკრიტიკებულ იქნა), ასევე წიგნში ბოლომდე იცავს თავის თვალსაზრისს, ცდილობს დაასაბუთოს ჯერ კიდევ 1954 წელს გამოთქმული შეხედულება რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ განვითარების ხასიათზე და, ამავე დროს, მისი კონცეფცია სავსებით განსხვავდება არამც თუ სპეციალურ შრომებში, არამედ სახელმძღვანელოებსა თუ ფართო მკითხველისათვის განკუთვნილ ლიტერატურაში გატარებული თვალსაზრისისაგან[44], საჭიროდ მიგვაჩნია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ როგორც ავტორის თეორიული მოსაზრებების სისწორეზე, ასევე მისი ნაშრომის ფაქტობრივ მხარეზე.

ზ. ანჩაბაძის შეხედულებით, კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასასახები, ანუ კაპიტალიზმის სპორადული ელემენტები, რომელიც განვითარებული ფეოდალური წყობის წიაღში იქმნება, მრეწველობაში

ნო, საშუალო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი (XVIII—XIX სს.), თბ., 1966; მ. ს ა მ ს ო ნ ი ძ ე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, თბ., 1968 და სხვ. (ჩვენ აქ აღარ ვასახელებთ 60-იანი წლების შუახანებამდე გამოქვეყნებულ ნაშრომებს, სადაც იგივე თვალსაზრისია გატარებული).

[42] З. А н ч а б а д з е, Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1966.

[43] იხ. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50-წლისთავზე, საისტორიო წერილები, ნაკ. I, თბ., 1968, გვ. 25—26; Ю. М. К а ч а р а в а. О современном состоянии научного изучения новой и новейшей истории Грузии. Тб., 1969, стр.35—36. უნდა აღინიშნოს, რომ ი. კაჭარავას დასახელებულ წიგნში (ისევე, როგორც მის ვრცელ მონოგრაფიაში „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები“, თბ., 1962) ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად არას აღიარებული დასაბუთება საქართველოში ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვისა XIX ს. პირველ ნახევარში და საგლეხო რეფორმისათვის შინაგანი სოციალურ-ეკონომიური პირობების ჩვენება; მაგრამ ამავე დროს რუსულ წიგნში მ. კანტერეს თვალსაზრისზე დაყრდნობით ი. კაჭარავა უფრო სწორად მიიჩნევს ზ. ანჩაბაძის მხრივ საქართველოში კაპიტალისტური წყობის უარყოფას. ამის საფუძველი ის არის, რომ მ. კანტერეს არასწორად აქვს გაგებული თვით „წყობის“ („уклад“) არსი, რაზეც ქვემოთ გვექნება საგანგებო საუბარი.

[44] მხედველობაში გვაქვს საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო და საქართველოს ისტორიის ნარკვევების მრავალტომეულის V ტომი, რომელიც ბურჟუაზიულ ხანას ეძღვნება (თბ., 1970 წ.).

წარმოგვიდგება კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციისა და მანუფაქტურის საწყისების სახით. მისი აზრით, გვიანი ფეოდალიზმის უმაღლესი საფეხური იწყება კაპიტალისტური წყობით („уклад"), ე. ი. კაპიტალისტური ელემენტების განვითარების ისეთი საფეხურით, როდესაც ეს ელემენტები უკვე შიგნიდან შლიან ძველ ფორმაციას, როცა ისახება და თანდათან ღრმავდება ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის საერთო კრიზისი. მრეწველობაში მას მანუფაქტურული სტადია შეესაბამება. აქედან გამომდინარე, კაპიტალისტურ ფორმაციას შეესაბამება მანქანური წარმოება, ანუ იგი იწყება სამრეწველო გადატრიალებით.

აღნიშნული სქემა, ჩვენი აზრით, მეტად ხელოვნურია და არ შეესაბამება კაპიტალიზმის განვითარების რეალურ მიმდინარეობას არც ევროპაში, არც ე. წ. „გვიანი კაპიტალიზმის" ქვეყნებში. გარდა იმისა, რომ საერთოდ გაუგებარი იქნებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მანუფაქტურის ბატონობის პერიოდში (ანუ XVI საუკუნის შემდეგ, როდესაც იქ კაპიტალისტური ერა დაიწყო და ბატონყმობა დიდი ხნის წინ მოისპო)[15] ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისზე ლაპარაკი, მოცემული სქემა არც სხვა მხრივ შეესაბამება ფაქტიურ ვითარებას. ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციას ინგლისში წინ უსწრებდა ძირითადად კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურის საწყისები (თუ ამ საწყისებში დაქსაქსულ მანუფაქტურას ვგულისხმობთ). მანუფაქტურული პერიოდი ინგლისში გრძელდება XVIII ს. მეორე ნახევრამდე, როცა ხდება სამრეწველო რევოლუცია. გამოდის, რომ კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია და მანუფაქტურის საწყისები ინგლისში შეადგენდნენ არა კაპიტალიზმის ჩანასახებს. არამედ წყობას და კაპიტალიზმი იქ მკვიდრდება მანუფაქტურის ნიადაგზე თითქმის ერთი საუკუნით ადრე, ვიდრე მანქანური წარმოება გაიმარჯვებდა.

რაც შეეხება საკუთრივ იმ სქემას, რომელიც ემყარება რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ეტაპების დრუჟინინისეულ გაგებას (ჩანასახები-წყობა-ფორმაცია), იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდგება საქართველოს მიმართ (და თუნდაც თვით რუსეთის მიმართ), თუ სწორად გავიგებთ ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევისა და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ელემენტების ჩასახვა-განვითარების ფაქტორებს, პირველ რიგში წვრილი საქონლური წარმოების როლსა და ადგილს იმ ახალ პირობებში, რომლებშიც მიმდინარეობდა კაპიტალიზმის გენეზისი ე. წ. „გვიანი კაპიტალიზმის" ქვეყნებში. ვ. ი. ლენინის თანახმად, კაპტალისტური ურთიერთობანი თავს იჩენენ უკვე წვრილ სასა-

---

[15] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 427, 899.

ქონლო წარმოებაშიც და ამას არ შეეძლო არ მოეხდინა ზეგავლენა არსებულ ფეოდალურ სისტემაზე. მითუმეტეს, რომ ერთდროულად ვითარდება მანუფაქტურაც და ისახება ცალკეული ფაბრიკული საწარმოებიც.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მანუფაქტურული წარმოება მისი ბატონობის პერიოდშიც კი არსად და არასოდეს არ ყოფილა წარმოდგენილი წმინდა სახით. მასთან თანაარსებობდა როგორც წვრილი კაპიტალისტური წარმოება, ასევე მანქანური წარმოების საწყისები. ამდენად, კაპიტალისტური „წყობის" ძიებისას მხოლოდ მანუფაქტურულ საწარმოთა და მათი პროდუქციის მხედველობაში მიღება სწორი არ არის. როდესაც ვლაპარაკობთ იმაზე, რომ „წყობას" შეესაბამება მანუფაქტურული სტადია, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „მანუფაქტურას არ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების დაპყრობა სრული მისი მოცულობით და მისი ძირფესვიანად გადატრიალება"[46].

ზ. ანჩაბაძის სქემით, „კაპიტალისტური წყობა საქართველოში რეფორმისშემდგომ პერიოდში, დაახლოებით 70-იანი წლების შუა ხანებისათვის ჩამოყალიბდა. მისი გაჩენა ჩვენში ემთხვევა სამრეწველო გადატრიალების დასაწყისს, რომელიც რიგ დარგებში ძირითადად XIX ს. ბოლოს დამთავრდა. შემდგომში მანუფაქტურა, წვრილკაპიტალისტური და მარტივი სასაქონლო წარმოება საფაბრიკო მრეწველობასთან თანაარსებობს".

საქმე ის არის, რომ კაპიტალისტური წყობა შეესატყვისება ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ ხანას, ე. ი. იმ პერიოდს, როდესაც ახალი ურთიერთობის ელემენტები შლიან ფეოდალურ სისტემას. ამდენად, წყობის „გაჩენა" თუ „ჩამოყალიბება" უნდა ვივარაუდოთ ფეოდალიზმის ინტენსიური დაშლის დაწყებიდან და არა მისი კაპიტალისტურ ფორმაციაში გადასვლიდან, ანდა სამრეწველო რევოლუციის დასაწყისიდან, როგორც ამას ვარაუდობს ზ. ანჩაბაძე, რომელმაც, სხვათა შორის, 1966 წლის დისკუსიაზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში თვითონვე აღიარა, რომ „კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბება საქართველოში ხდებოდა 30-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე". აქ რომ ფეოდალიზმის დაშლის და ახალ, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების პროცესი იგულისხმებოდეს, ჩვენც არაფერი გვექნებოდა საკამათო, მაგრამ ზ. ანჩაბაძე კატეგორიულად უარყოფს საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის რაიმე შინაგან მიზეზებს. თავის წიგნში იგი ამტკიცებს, რომ ახალ მოვლენათა განვითარების ხარისხი სრულიადაც არ იყო საკმარი-

---

[46] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 468.

სი, რათა გამოეწვია ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისი და დღის წესრიგში დაეყენებინა ბატონყმობის მოსპობა. პირიქით, მისი აზრით, საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა არა ფეოდალიზმის დაშლის, არამედ მისი „გაჯანსაღებისა და ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცების, მათი ნორმალური ფუნქციონირების აღდგენის“ პროცესი [47].

ავტორი თუმცა იმასაც აღიარებს, რომ ნიადაგი საგლეხო რეფორმის გატარებისათვის აქ სავსებით მომწიფებული იყო [48], და მეტიც, რომ რეფორმამდელი ხანის საქართველოში მომწიფებული იყო რევოლუციური სიტუაციაც და ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისიც [49], მაგრამ ყველაფერი ეს იყო არა შინაგანი განვითარების შედეგი, არამედ გარეშე ფაქტორების ზეგავლენით, ხელოვნურად გამოწვეული მოვლენები. ზ. ანჩაბაძის აზრით, საგლეხო რეფორმის გატარების საფუძველი საქართველოში იყო „ეკონომიური განვითარების ძალა, რომელიც რუსეთს ითრევდა კაპიტალიზმის გზაზე და, კერძოდ, მოითხოვდა რუსეთის განაპირა ნაციონალურ მხარეთა საფუძვლიან გარდაქმნას, მათი კოლონიური ათვისების მიზნით“ [50]. შემდეგ ავტორი წერს, რომ ქართველი გლეხობის ბრძოლა ქმნიდა რევოლუციურ სიტუაციას და აჩქარებდა საგლეხო რეფორმის გატარებას, მაგრამ ამას შინაგანი მიზეზები კი არ ედო საფუძვლად, არამედ „საქართველოს ჩართვა საერთორუსულ და, რუსეთის მეშვეობით, მსოფლიო ეკონომიურ კავშირებში, რომელთაც ქართული ფეოდალიზმი, მისი სისუსტის და ჩამორჩენილობის გამო (მითუმეტეს იმდროინდელ პირობებში), ვერ ეგუებოდა. სწორედ ამან გამოიწვია მისი კრიზისი“ [51].

როდესაც ზ. ანჩაბაძე ლაპარაკობს რეფორმამდელ საქართველოში ფეოდალიზმის „გაჯანსაღებასა და განმტკიცებაზე“, მართალია, მხედველობაში აქვს ქართული ფეოდალური საზოგადოების მიერ იმ „მახინჯი და უარყოფითი ნაშთებისაგან („ნორმალური“ ფეოდალიზმის თვალსაზრისით) თავის დაღწევა, რომელნიც თან დაყვა მას სათავადოთა სისტემისაგან“, მაგრამ ამავე დროს უგულებელყოფს თავის წიგნშივე აღნიშნულ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა მემამულეთა დავალიანება „პრიკაზისა“ და კერძო პირების მიმართ, მათი მამულების საჯარო გაყიდ-

---

[47] З. В. Анчабадзе, Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1966, стр. 59, 148—150.

[48] იქვე, გვ. 147.

[49] იქვე, გვ. 152.

[50] იქვე, გვ. 147.

[51] იქვე. გვ. 152.

ვა, ამ მიწების გადასვლა სავაჭრო-სავახშო კაპიტალის წარმომადგენელთა და გამდიდრებული გლეხობის ხელშიც კი[52]. მართალია, ავტორი ყველაფერს ამას (გარდა გლეხთა ხელში მიწის გადასვლისა) არ მიიჩნევს ფეოდალური საკუთრების ბურჟუაზიულ საკუთრებად გადაქცევად, მაგრამ ეს ასეც რომ იყოს, მაინც არ ჩაითვლება ფეოდალური საკუთრების და, ამდენად, ფეოდალური სისტემის განმტკიცებად. ამასთან კავშირში არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ გაშუქებული გლეხთა მცირემიწიანობის ბრდა, გლეხთა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება, გლეხობის გაძლიერებული ლტოლვა ბატონყმური უღლისაგან თავის დაღწევისაკენ. ყოველივე ეს გაცილებით ჭარბობდა იმ მოვლენებს, რომელნიც ავტორს აძლევენ საფუძველს, ილაპარაკოს ფეოდალურ ურთიერთობათა „განმტკიცებასა და გაჯანსაღებაზე".

რაც შეეხება ქართული ფეოდალიზმის უუნარობას—შეგუებოდა საერთო სარუსეთო და მსოფლიო ბაზარში ჩართვას და კაპიტალიზმს, ვფიქრობთ, მოცემულ ეტაპზე, როდესაც მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა მტკიცდება და ფართოვდება ეროვნული და სახელმწიფოებრივი ჩარჩოების გადალახვის გზით, და როდესაც წინააღმდეგობათა გამწვავება განვითარებად საწარმოო ძალთა და დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობებს შორის ვლინდება საერთაშორისო ეკონომიურ კავშირებში[53], უკვე გვიანაა ლაპარაკი ქართული ფეოდალიზმის (ისევე, როგორც ანალოგიურ პირობებში ყოველგვარი ფეოდალიზმის) კაპიტალიზმთან შეგუებაზე. ამ დროს, პირიქით, დღის წესრიგში დგება პირველის ლიკვიდაციის საკითხი მეორესათვის გზის გასახსნელად. ასე რომ, ქართული ფეოდალიზმის კრიზისი გამოიწვია არა მისმა უუნარობამ—შეგუებოდა კაპიტალიზმს (მისი სისუსტის და ჩამორჩენილობის გამო), არამედ იმან, რომ იმდროინდელ პირობებში უკვე შეუძლებელი იყო მათი ურთიერთშეგუება საწარმოო ძალთა განვითარებასა და გაბატონებულ წარმოებით ურთიერთობებს შორის წინააღმდეგობის გაჭწვავების გამო. როგორც ვხედავთ, დროის ფაქტორი სწორედ ამის საარგებლოდ მოქმედებდა და არა საწინააღმდეგოდ, როგორც ეს ზ. ანჩაბაძეს მიაჩნია.

თუკი დავუშვებთ, რომ საქართველო რეფორმამდელ ხანაში საერთო რუსულ და მსოფლიო ბაზარში ებმებოდა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეკონომიური განვითარების ძალა რუსეთთან ერთად საქართვე-

---

[52] იქვე, გვ. 59, 148—150.

[53] Переход от феодализма к капитализму в России (материалы Всесоюзной дискуссии), М., 1969, стр. 83.

ლოსაც ითრევდა კაპიტალიზმის ფერხულში, მხოლოდ არა იმ გაგებით, როგორც ეს ზ. ანჩაბაძეს ესმის: კაპიტალიზმი ვითარდება რუსეთში, ხოლო უკანასკნელი საქართველოს კოლონიური ათვისების მიზნით ატარებს აქ საგლეხო რეფორმას, თუმცა საბოლოო ანგარიშში აფერხებს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. ჩვენი აზრით, არ არის სწორი არა მარტო საქართველოს შინაგანი განვითარების უარყოფა, არამედ საქართველოს და რუსეთის დაპირისპირება — როგორც კოლონიისა და მეტროპოლიისა ჩვეულებრივი გაგებით. ასეთი დაპირისპირება საერთოდ გულისხმობს კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნის მიერ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ქვეყნის დაპყრობას თუ ეკონომიურ დამორჩილებას. ასეთ სხვაობას სოციალურ-ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, საქართველოსა და რუსეთს შორის ადგილი არ ჰქონია. ორივე ფეოდალურ-ბატონყმური ქვეყანა იყო. იმ განსხვავებით, რომ საქართველოში (მის გარშემო და ქვეყნის შიგნით) შექმნილი არახელსაყრელი პირობების გამო, საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარება რამდენადმე შეფერხებული იყო. რუსეთთან პოლიტიკურად და ეკონომიურად მჭიდროდ დაკავშირებული და რუსეთის იმპერიის გუბერნიად ქცეული საქართველო, როგორც უკვე ითქვა, იმავე საფეხურზე იდგა, და იმავე გზით ვითარდებოდა, როგორითაც თვით რუსეთი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვ. ი. ლენინის მითითებებიდან გამომდინარე, საქართველო, ისევე როგორც მთელი კავკასია, განხილული უნდა იქნეს რუსეთის იმპერიის ისეთ „განაპირა მხარედ", რომელიც რუსეთისათვის წარმოადგენდა შინაურ ბაზარს („შიდა კოლონია"), სადაც ხდებოდა რუსეთის კაპიტალიზმის განვითარება სიგანეში, თუმცა, განსხვავებით ჩრდილო კავკასიისაგან, სადაც ხდებოდა მხოლოდ წმინდა კოლონიზაციის პროცესი, საქართველოში მიმდინარეობდა კაპიტალიზმის ერთდროული განვითარება სიღრმეშიც.

მართალია, რუსეთის ხელისუფლება საქართველოს თავიდანვე განიხილავდა, როგორც „კოლონიას", მაგრამ ამავე დროს თვლიდა მას იმპერიის ორგანულ შემადგენელ ნაწილად და, მიუხედავად უხეში რუსიფიკატორული პოლიტიკისა, საკუთარივე ინტერესებიდან გამომდინარე, ობიექტურად ხელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. სწორედ ამაში გამოიხატებოდა რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა. მართალია, გარკვეული ანგარიში ეწეოდა რუსეთის ფაბრიკანტების ინტერესებსაც, მაგრამ რუსეთის კაპიტალიზმს თავისი შედარებითი სისუსტის გამო, საქართველოს სრული ეკონომიური დაპყრობის უნარი არ შესწევდა. ამის შედეგად, ფაქტიურად, ქვეყანა ვითარდებოდა რუსეთის იმპერიაში მოქმედი საერთო ეკონომიური კანონზომიერების შესაბამისად.

რაც შეეხება ფაქტობრივ მხარეს, ზ. ანჩაბაძე თავის წიგნში, ბუნებრივია, ცდილობს მოტანილი მასალით დაასაბუთოს საკუთარი კონცეფცია. კერძოდ, ავტორის ამოცანაა, დაამტკიცოს საწარმოო ძალთა უძრაობა XIX ს. პირველ ნახევარში. მაგალითად, იგი, ეხება რა სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, წერს: „განხილულ პერიოდში საქართველოს საწარმოო ძალებს არ განუცდიათ მნიშვნელოვანი ცვლილება და ისინი, ძირითადად, ისეთივენი რჩებოდნენ, როგორიც იყვნენ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე“ [54].

ავტორი სამიწათმოქმედო ტექნიკის დაბალი დონის საჩვენებლად ხაზს უსვამს ქართული „დიდი გუთნის“ შედარებით უვარგისობას და სათანადო ანგარიშს არ უწევს ადგილობრივი პირობებისადმი კარგად შეხამებული ამ საწარმოო იარაღის მაღალ ღირსებებს, განსაკუთრებით XIX საუკუნეში მისი გაუმჯობესების შედეგად [55].

უფრო ქვემოთ ზ. ანჩაბაძე აღნიშნავს ახალ სამეურნეო წამოწყებათა, კერძოდ, სამიწათმოქმედო ტექნიკის შემოტანის ცდების მარცხს რეფორმამდელ პერიოდში, როგორც საქართველოს განსაკუთრებული ჩამორჩენილობის მაჩვენებელს, თუმცა უნდა აღინიშნოს. რომ ასეთივე წამოწყებები ხშირად „სრული მარცხით“ მთავრდებოდა თვით რუსეთშიც არა მარტო რეფორმამდელ, არამედ უშუალოდ რეფორმის მომდევნო პერიოდშიც [56].

ამავე დროს, ზ. ანჩაბაძე რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონის შეფასებისას გადაჭარბებულ მოთხოვნებს აყენებს და შემდეგ ამ პოზიციებიდან დაკნინებულად წარმოგვიდგენს საქმის რეალურ ვითარებას. ასე, მაგალითად, იგი წერს: „მოტანილი მასალები გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ რეფორმამდელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას არ ქონდა ადგილი. შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგის საქონლიანობის გარკვეულ ზრდაზე (მევენახეობა, მემინდვრეობა და

---

54 ზ. ანჩაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

55 იხ. გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა (წინასწარი ანგარიში), „ისტორიანი“, ტ. I, თბ., 1949, გვ. 371; გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 61—78; Народы Кавказа, II. М., 1962. стр. 210.

56 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 209—210, 243. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ პერიოდის რუსეთშიც არამც თუ მნიშვნელოვან ძვრებს არ ჰქონია ადგილი, არამედ შეიმჩნეოდა ერთგვარი დაჩიხულობა სოფლის მეურნეობის განვითარებაში: იხ.: А. С. Нифонтов, Развитие сельского хозяйства России в 60—70-х годах XIX в., «Вопросы истории», 6, 1967.

ხსვა). მთლიანობაში კი სოფლის მეურნეობას ჯერ არ მიუღწევია კაპიტალისტური სასაქონლო წარმოების დონემდე“ [57].

ის დონე, რომელზედაც ლაპარაკობს ზ. ანჩაბაძე, შეეფერება არა წინაკაპიტალისტურს, გნებავთ გარდამავალ ხანასაც კი, არამედ უკვე განვითარებულ კაპიტალიზმს, რომლის არარსებობა, ცხადია, არ გამოდგება იმის საბუთად, რომ თითქოს აქ ადგილი არ ჰქონდა ნატურალური მეურნეობის რღვევას.

ვფიქრობთ, თვით ზ. ანჩაბაძის მიერვე მოტანილი არაერთი ფაქტი, რომელიც აიძულებს მას აღიაროს „სავაჭრო მებოსტნეობისა და მეხილეობის მნიშვნელოვანი განვითარება“ ცალკეულ რაიონებში [58], მევენახეობისა და მემინდვრეობის საქონლიანობის ზრდა [59] და აგრეთვე წიგნში მოტანილი ზოგიერთი დოკუმენტის სწორი გაგება (მაგ., მოსავლიან წლებში მარცვლეულის გასაღების სიძნელეები: „მუშახელის, გადაზიდვის ხარჯების, ფულის გაძვირება“) [60], მეტყველებს არა ნატურალური მეურნეობის განუსაზღვრელ ბატონობაზე, არამედ სასაქონლო ურთიერთობის ზრდაზე, ნატურალური მეურნეობის რღვევაზე.

ჩვენ აღარ შევჩერდებით რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოფელში მიმდინარე პროცესებზე. რადგან ამ საკითხზე არსებობს სპეციალური გამოკვლევები, სადაც ნაჩვენებია მოცემული ხანის საქართველოს სოფელში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობების ინტენსიური დაშლისა და ახალ ურთიერთობათა ჩასახვის პროცესი, რომელსაც შემდგომ, რეფორმის გატარების მომდევნო ხანაში, თანდათან ბურჟუაზიული წყობილების გამარჯვებამდე მივყავართ.

იგივე ვითარება გვაქვს ზ. ანჩაბაძის წიგნში ქალაქების განვითარებისა და მრეწველობის დონის შეფასების მხრივაც. მაგალითად, არ დასტურდება ზ. ანჩაბაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქ. თბილისი XIX ს. პირველ ნახევარში მოგვაგონებდა შუა საუკუნეების ქალაქს ნატურალური მეურნეობით, რომელიც მნიშვნელოვანწილად თვითონ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს სურსათზე (პურზე, ხორცზე) [61]. იგივე მასალები, რომელთაც ემყარება ავტორი, სავსებით ეჭვმიუტანლად მოწმობს, რომ 60-იანი წლების დასაწყისში თბილისი მოიხმარდა 20-ჯერ მეტ მარცვლეულს, ვიდრე მოყავდათ მის გარეუბნებ-

---

57 ზ. ანჩაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 46 (ხაზგასმა ჩვენია, ავტ.).
58 იქვე, გვ. 106—107.
59 იქვე, გვ. 46.
60 იქვე, გვ 102.
61 იქვე, გვ. 73, 74.

ში[62], ხოლო ქალაქში არსებული მთელი საქონელი ერთბაშად რომ გამოეყენებინათ სახორცედ, მას იგი არ ეყოფოდა რამდენიმე თვესაც კი[63].

ზ. ანჩაბაძის მიერ მოტანილ მასალებშიც კი პირდაპირ არის აღნიშნული, რომ თბილისი მთელ კავკასიაში იყო პურის მომხმარებელი „ფართო მასშტაბით“[64], ხოლო სახორცე საქონელი აქ მეჯოგეებს („гуртовщики“) მოყავდათ კავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან[65].

არც „იარმარკების“ არარსებობა გამოდგება თბილისის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების დაბალი დონის საბუთად[66], რადგან 7 მუდმივმოქმედი ბაზარი, უამრავი სავაჭრო დაწესებულება, ქარვასლები, დუქნები, მაღაზიები უზრუნველყოფდნენ მსხვილ სავაჭრო ოპერაციებს. ამასთან, როგორც ცნობილია, იარმარკები წარმოადგენდნენ რა ფეოდალური ხანის შესაფერის სავაჭრო ურთიერთობათა ფორმას, ვერ უზრუნველყოფდნენ განვითარებადი სასაქონლო წარმოებისა და მიმოქცევის მოთხოვნილებას და, ბუნებრივია, ადგილს უთმობდნენ მუდმივი ხასიათის ვაჭრობას[67].

62 ოფიციალური წყაროს ცნობით, რომელსაც სხვა შემთხვევაში იყენებს ზ. ანჩაბაძე, თბილისში 1864 წ. დაითესა 350 ჩეტვ. საშემოდგომო პური, მოყვანილ იქნა 2120 ჩეტვ. ე. ი. 18—20 ათასი ფუთი (ДИГ. т. I, ч. 2, Тб., 1960. стр. 110). ამავე დროს ქალაქის მოსახლეობა წლიურად მოიხმარდა 400 ათას ფუთ პურის ფქვილს (იქვე, გვ. 63). ე. ი. 20-ჯერ მეტს, ვიდრე თბილისში მოყავდათ.

63 1864 წ. თბილისში, მართლაც, აღრიცხული იყო 12740 თავი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. მაგრამ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, გამოსადეგი სახორცედ (ძროხა და ხარი), იყო მხოლოდ 3555 თავი. ამასთან ცხვარი იყო 6 ათასი, ღორი—973, ჯორი და ეირი—397, კ მეჩი—500 (ДИГ. т. I, ч. 2. Тб., 1960. стр. 110) ანუ რომ, ყველა სახის საქონელი არ იყო გამოსადეგი საკლავად.

საშუალოდ 3500 თავი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი შეადგენს დაახლოებით 30—40 ათას ფუთს, ხოლო 6 ათასი ცხვარი 8—12 ათას ფუთს. ოფიციალური ცნობით კი თბილისის მოსახლეობა წლიურად მოიხმარდა 150 ათას ფუთ ძროხის ხორცს და 150 ათას ფუთ ცხვრის ხორცს (იქვე, გვ. 64). ასე რომ, ძროხებს ხარებიც რომ მივათვალოთ, მაინც მთელი სახორცე საქონელი თბილისელებს რამდენიმე თვეს თუ დააკმაყოფილებდა. შემთხვევითი არ არის, რომ დოკუმენტში პირდაპირ არის აღნიშნული: „Скот принадлежит городским обывателям и содержится ими собственно для домашнего хозяйства (ჩანს, როგორც გამწვანი ძალა—ვ.ბ.). Для продовольствия же города пригоняется таковой гурговщиками из разных мест Закавказского края“ (იქვე, გვ. 94).

64 ДИГ, I, 2, გვ. 63.

65 ДИГ, I, 2, გვ. 94.

66 ზ. ანჩაბაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 73.

67 იხ. М. К. Рожкова, К вопросу о значении ярмарок во внутренней торговле дореформенной России, «Исторические записки», т. 54; П. Г. Рындзюнский, Городское гражданство дореформенной России, М., 1958, стр. 249—251, 283.

განიხილავს რა საქართველოს ქალაქების ხელოსნურ წარმოებას XIX ს. პირველ ნახევარში, ზ. ანჩაბაძე ვერ ამჩნევს მასში ვერაფერ ახალს, რაც განასხვავებდა მას შუასაუკუნეების ამქრული ხელოსნობისაგან [68] მაშინ, როდესაც სინამდვილეში ხელოსნურ წარმოებაში მიმდინარეობდა ფეოდალურ-ამქრული წესების ინტენსიური რღვევის პროცესი, იზრდებოდა დაქირავებული შრომის როლი ხელოსნობაში, იქმნებოდა ამქრის გარეშე ხელოსნობა, თვით ამქრები, ახალ ურთიერთობათა შეკრისა და ხელისუფლების ზემოქმედების შედეგად, რუდიმენტად იქცევიან.

ზ. ანჩაბაძის მტკიცებით, თბილისის, როგორც ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრის თავისუფალი მოსახლეობა იზრდებოდა უპირატესად არა საქართველოს სოფლის მოსახლეობის. არამედ უცხოელემენტების ხარჯზე [69]. სინამდვილეში ქალაქის კამერალური აღწერის ძასალების შესწავლით მტკიცდება, რომ ქალაქის მოსახლეობა პირველ რიგში იზრდებოდა სწორედ საქართველოს სოფლებიდან მოსულთა ხარჯზე. თუმცა გარედან მოსულთა პროცენტიც მნიშვნელოვანი იყო. ამასთან, საქართველოს სოფლებიდან თბილისსა და სხვა ქალაქებში მოსულნი ძირითადად ყმობიდან განთავისუფლებულნი თუ სახაზინო გლეხები იყვნენ. ეს უკანასკნელნი შეადგენდნენ ქალაქის გლეხური მოსახლეობის დიდ უმრავლესობას და განიხილებოდნენ, როგორც „ქალაქელნი ანუ სახაზინო მოსახლენი" („Казенные обыватели или граждане"), რომელნიც „მოქალაქეებთან" ერთად მონაწილეობდნენ ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებშიც კი და ფაქტიურად ქალაქის თავისუფალ მოსახლეობას ქმნიდნენ (მსგავსად რუსეთის ქალაქების „მეშჩანებისა"). ამდენად, არ არის სწორი შეხედულება, რომლის თანახმად რეფორმამდელ ხანაში ქალაქის მოსახლეობის სოციალურ შედგენილობაში რაიმე ცვლილება არ მომხდარა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობაში ჩაბმულნი შეადგენდნენ [70].

დიდ როლს აკუთვნებს ზ. ანჩაბაძე საქართველოში განლაგებულ ჯარის ნაწილებსაც და სასაქონლო წარმოების თუ ვაჭრობის განვითარებას მნიშვნელოვანწილად უკავშირებს მათ არსებობას. აქ აშკარა გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე, რადგან სულ თბილისის გუბერნიაში ჯარის ნაწილები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 4. 2%, ხოლო

---

63 ზ. ანჩაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. [illegible]

69 იქვე, გვ. 77.

70 იქვე, გვ. 76—77.

თბილისში — ქალაქის მოსახლეობის 13%[71]. ცხადია, ჯარის ამ რაოდენობას არ შეეძლო ეთამაშა გადამწყვეტი როლი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში.

ამასთან, თბილისელი, გორელი და სხვა ქალაქების ვაჭრების ჩივილი იმის თაობაზე, თითქოს ჯარის ნაწილების შემცირებამ დასცა ვაჭრობა, უნდა აიხსნას იმით, რომ საჩივრების ავტორები ვერ ერკვეოდნენ ქალაქად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური ძვრების არსში, რაც ახალ მიმართულებას აძლევდა ვაჭრობა-მრეწველობას და იწვევდა ქალაქის წვრილ ვაჭართა და ხელოსანთა ნაწილის გაჩანაგებას.

ქვეყნის სამრეწველო განვითარების განხილვისას ზ. ანჩაბაძე თითქმის მთლიანად გვერდს უვლის მსხვილ საწარმოებს. თითქოს იმ საბაბით, რომ ისინი ცნობილია სპეციალისტებისათვის და კმაყოფილდება მრეწველობის „დამახასიათებელი ნიშნების" აღნიშვნით ისე, რომ ხშირად არასწორად წარმოგვიდგენს საქმის ვითარებას. ასე, მაგალითად. თბილისის აბრეშუმსაქსოვი და საძახავი „ფაბრიკის" დახურვის მიზეზად ზ. ანჩაბაძე თვლის: ა) სახსრების უქონლობას, ბ) მუშახელის უკმარობას და გ) გასაღების ბაზრის არარსებობას[72].

უნდა ითქვას, რომ არც ერთი ეს „ნიშანი" არ შეესაბამება სინამდვილეს. ფაბრიკის დამაარსებელი უცხოელი საქმოსნის კასტელას განკარგულებაში იყო საკმაოდ დიდი თანხა, მიღებული სხვადასხვა წყაროდან[73], ხოლო სახელმწიფოს ხელში საწარმოს გადასვლის შემდეგ მას ხაზინა აკრედიტებდა. რაც შეეხება მუშახელს, როგორც დადგენილია, იგიც არ მოკლებია „ფაბრიკას", როცა მასზე მოთხოვნილება არსებობდა. აქ, ტყვეების და პატიმარი ქალების იძულებით შრომასთან ერთად, ძირითად ოპერაციებში სისტემატურად გამოიყენებოდა ადგილობრივი დაქირავებული მუშების შრომაც[74], გასაღების ბაზრის მხრი-

---

71 ДИГ II, 1, გვ. 310; Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, ч. IV, 1867, стр. 48, 84.

72 ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 87.

73 აღსანიშნავია, რომ ფაბრიკის დამაარსებლის კასტელას კომპანიონები იყვნენ რუსეთის მმართველი წრეების წარმომადგენლები გოლიცინი, პოტიომკინი და კურაკინი, რომელთაც მის განკარგულებაში გადასცეს ნახევარ მილიონამდე მანეთი ასიგნაციებით. ანუ 135,5 ათასი მან. ვერცხლით. კასტელას უცხოელმა კომპანიონებმა გორნოზანტმა და დიდლამ გადასცეს 18 ათასი მან. და ფაბრიკის მოწყობილობა, ხოლო თბილისელ ეაჭარ ქეთხუდაშვილს მისთვის გადაუცია 5 ათასი მან., სხვა პირებისათვის კასტელას გამოურთმევია 23 ათასი მან. (იხ. П. В. Г у г у ш в и л и, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., I, Тб., 1957, стр. 258).

74 დაქირავებული მუშების რიცხვი „ფაბრიკაში" საშუალოდ 15—20 კაცს შეადგენდა, ზოგჯერ კი 50 სულს აღწევდა. იხ. ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 58—64.

ვაც „ფაბრიკა“ უზრუნველყოფილი იყო, რადგან აბრეშუმზე მოთხოვნილება დიდი იყო საზღვარგარეთაც და რუსეთშიც, სადაც გადიოდა სწორედ „ფაბრიკის“ ნაწარმი.

არ მიგვანია საკმარისად, აგრეთვე, ზ. ანჩაბაძის წიგნში ზუბალაშვილისა და სხვათა შაქრის „ქარხნის“ დასახელება მხოლოდ იმის აღსანიშნავად, რომ იგი დაიხურა კომპრადორული ბურჟუაზიის მეცადინეობით. ჩვენი აზრით, უფრო საყურადღებოა ამ საწარმოს გახსნის ისტორია, რომელიც კარგად გვიჩვენებს სავაჭრო კაპიტალის წარმოებაში დაბანდების პირველ ცდებს საქართველოში XIX ს. 30—40-იან წლებში. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ „ქარხანა“ წლიურად 186 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდა და მასში 60 დაქირავებული მუშა და ოსტატი მუშაობდა. საწარმოს, მართალია, დიდხანს არ უარსებია, მაგრამ მისი დახურვის ძირითადი მიზეზი ადგილობრივი ნედლეულის უქონლობა იყო და არა სხვა, მეორეხარისხოვანი ფაქტორები.

მოტანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს ის, თუ საქართველოს სამრეწველო განვითარების რა „დამახასიათებელ ნიშნებს“ წევს წინა პლანზე ზ. ანჩაბაძე თავისი კონცეფციის დასასაბუთებლად, მაგრამ მთავარი არგუმენტი, რომლითაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს ქვეყნის სამეურნეო განვითარების დაბალი დონე, არის ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის ოდენობის გაანგარიშება 60-იანი წლების დასაწყისისათვის. 1954 წელს გამოქვეყნებულ თეზისებში ზ. ანჩაბაძე ამტკიცებდა, რომ ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის მოცულობით საქართველო 10-ჯერ ჩამორჩებოდა რუსეთს, მაგრამ ეს გაანგარიშება არ დადასტურდა. თავის წიგნში იგი უკვე წერს, რომ თბილისის გუბერნია რუსეთს ჩამორჩებოდა 3,3-ჯერ, ხოლო მთლიანად საქართველო 6-ჯერ [75]. ეს გაანგარიშება ემყარება 1863 წლის მონაცემებს და თუკი ის ასახავს რეფორმისშემდგომი ხანის ვითარებას რუსეთში, საქართველოში პირიქით — რეფორმისწინადროინდელს, რაც არ არის მართებული. თუ რუსეთის 1863 წლის მონაცემებს შევუფარდებთ საქართველოს 1865 წლის მონაცემებს, რაც უფრო კანონზომიერია, გამოვა, რომ თბილისის გუბერნიის მაჩვენებლები მხოლოდ 2-ჯერ ჩამორჩება მთელი რუსეთის მაჩვენებლებს, ხოლო მთლიანად საქართველოსი — 4-ჯერ[76]. მაგრამ მთავარი ხომ ამ შეფარდების დადგენა არ არის, არამედ როგორც რუსეთის გუბერნიების, ასევე საქართველოს სამრეწველო განვითარების თვითარსში გარკვევა. ცნობილია, რომ

---

75 ზ. ანჩაბაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 146.

76 იხ. ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება..., II, გვ. 217.

თვით რუსეთშიც თავისი სამრეწველო განვითარებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პეტერბურგის, მოსკოვისა და ვლადიმირის გუბერნიები, რომელთა მაჩვენებლები მაღლა სწევდნენ საერთო სარუსეთო მაჩვენებლებსაც. რაც შეეხება სხვა გუბერნიებს, საქართველო არამცთუ ჩამორჩებოდა ყველა მათგანს, არამედ ბევრ გუბერნიაზე გაცილებით წინ იდგა. სათანადო შესადარებელი მასალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საქართველო თავისი სამრეწველო განვითარებით (როგორც ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის ოდენობით, ასევე მრეწველობის სასიათით) იდგა რუსეთის მთელი რიგი გუბერნიების, უმთავრესად, ცენტრალურ-სამიწათმოქმედო რაიონების დონეზე[77].

კაპიტალიზმის განვითარების შესახებ მარქსისტული მოძღვრების ზოგად დებულებებსა და ვ. ი. ლენინის საბელმძღვანელო მითითებებზე დაყრდნობით, მეცნიერების განკარგულებაში არსებული ფაქტიური მასალის შესწავლა საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის შემდეგ სურათს იძლევა:

საქართველო შედარებით გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე შექმნილი არახელსაყრელი საგარეო და საშინაო პირობები დიდხანს ბოჭავდა საწარმოო ძალთა განვითარებას. საზოგადოებრივ პროგრესს. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქვეყნის სამეურნეო განვითარებისათვის

---

77 თავის თეზისებში (1966 წ.) ზ. ანჩაბაძემ საქართველოში მანუფაქტერული წარმოების დაბალი დონის საჩვენებლად მოიტანა ახალი მონაცემები, რომელთა თანახმად, 1860 წელს საქართველოში მანუფაქტერული წარმოების ხვედრიწონა ნაკლები იყო რუსეთზე საწარმოთა რაოდენობით 8-ჯერ, ხოლო მუშების რაოდენობით 25-ჯერ (მოსახლეობის შეფარდების გათვალისწინებით). რადგან მანუფაქტურის ხვედრითი წონის გაანგარიშება რუსეთისათვის ჩვენ არ გვეგულება, გვიძნელდება მისი სისწორის შემოწმება. რაც შეეხება მოლიანად სამრეწველო საწარმოთა და მუშების შეღარებას რუსეთსა და საქართველოში, ოფიციალური ცნობებით, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: 1865 წელს ევროპულ რუსეთში 3 ათას სულზე 1 საწარმო მოდიოდა, ხოლო საქართველოში 4,5 ათას სულზე—1 საწარმო; ევროპულ რუსეთში 120 სულზე 1 მუშა მოდიოდა, საქართველოში კი 600 სულზე—1 მუშა. მონაცემები რუსეთის შესახებ აღებულია ვ. ი. ლენინის წიგნიდან „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", სადაც გათვალისწინებულია ევროპული რუსეთის „ფაბრიკულ-ქარხნული" მრეწველობა, რომელშიც წვრილი საწარმოებიც იგულისხმებოდა (იხ. ვ. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 587—588, 566, 569—570. 713). აქ გათვალისწინებულია „სააქციო" წარმოებაც. როგორც ვხედავთ, ევროპული რუსეთის მონაცემები ჭარბობს საქართველოსას, განსაკუთრებით მუშათა რაოდენობით, რაც მაჩვენებელია წარმოების მეტი კონცენტრაციისა, მაგრამ არც იმდენად, როგორც ეს ზ. ანჩაბაძეს გონია. ამ შემთხვევაშიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროპული რუსეთის მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად წევენ მაღლა სატახტო ქალაქების (პეტერბურგი, მოსკოვი) და ზოგიერთი სამრეწველო გუბერნიის მონაცემები.

შექმნილი მშვიდობიანი პირობების წყალობით და რუსეთთან ერთად საქართველოს მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობებში ჩაბმის შედეგად, ხდება იმ წანამძღვრების შედარებით სწრაფი მომწიფება, რომელიც ფეოდალიზმის მაღალ საფეხურზე შემდგარი საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი და ახალი ურთიერთობის ჩასახვის საწინადარს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში არსებული ასეთი წანამძღვრებია: ინტენსიური სოფლის მეურნეობა, ინდივიდუალურ-კომლობრივი საგლეხო მიწისმფლობელობა, ფეოდალური სათავისთავო მიწის საკუთრების ზრდა, ხელოსნური წარმოებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება ახალი ურთიერთობის ჩანასახებით და სხვ.

XIX ს. პირველი ნახევარი არის ეპოქა კაპიტალისტური სისტემის განმტკიცებისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეროვნული ჩარჩოებისა და საზღვრების გადალახვა. ცხადია, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალისტური სისტემის გავლენა ერთნაირი არ იქნებოდა. მაგრამ იქ, სადაც ფეოდალურმა ურთიერთობებმა მიაღწიეს მაღალ საფეხურს და მწიფდება პირობები მათი რღვევისათვის ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების ნიადაგზე, ახალ ვითარებაში საზოგადოებრივი განვითარება არ შეიძლებოდა დაჩქარებული ტემპით არ წასულიყო წინ.

თუკი დასავლეთი ევროპის „მაგალითმა" და „დახმარებამ" დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება მთლიანად რუსეთში, ევროპისა და თვით რუსეთის ზეგავლენით ასევე ჩქარდება განვითარების ტემპი საქართველოშიც, როგორც რუსეთის იმპერიის განაპირა ნაციონალურ მხარეში.

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. თუკი, ერთი მხრივ, ქვეყანა ებმება მსოფლიო ბაზარში, მეორე მხრივ, ბატონყმობა იყო სერიოზული დაბრკოლება ქვეყნის განვითარების გზაზე, ამასთან ერთად, ცარიზმი განიხილავდა რა საქართველოს, როგორც კოლონიას, ცდილობდა გადაექცია იგი ნედლეულის ბაზად და საქონლის გასაღების ბაზრად. ხელს უწყობდა აქ სოფლის მეურნეობის და ნაწილობრივ მრეწველობის განვითარებას და ამდენადვე — საწარმოო ძალთა წინსვლას, მაგრამ, მეორე მხრივ, რუსეთის მრეწველობის ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულ ჩარჩოებში აყენებდა საერთოდ ქვეყნის საერეწველო განვითარებას.

აღნიშნული წინააღმდეგობრივი ფაქტორებით იყო გაპირობებული ის, რომ რეფორმისწინადროინდელ საქართველოში ერთმანეთთან გა-

ღახლართული იყო წარმოების შედარებით ჩამორჩენილი და ახალი დროის შესაბამისი ფორმები.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების შესწავლა ცხადყოფს, რომ მიუხედავად ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ბატონობისა, აქ XIX ს. 30—50-იან წლებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ძვრებს, რაც გამოიხატებოდა ფეოდალური წყობილების საფუძველების რღვევაში: საქონლური წარმოების განვითარება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, ფეოდალური მეურნეობის ფორმებისა და საერთოდ ფეოდალური დამოკიდებულებიდან უშუალო მწარმოებელთა განთავისუფლებისაკენ ლტოლვის გაძლიერება, ფეოდალური მიწის საკუთრების რღვევა, სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობას შორის შრომის განაწილების შემდგომი გაღრმავება, სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის პროგრესული ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, დაქირავებული შრომის კონტინგენტის შექმნა როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში (წვრილ საქონლურ წარმოებასა და შედარებით მსხვილ სამრეწველო საწარმოებში).

მართალია, რეფორმამდელი ხანის საქართველოს სამრეწველო განვითარება არ გამოირჩეოდა ფართო მასშტაბებით, შედარებით უმნიშვნელო იყო მსხვილი წარმოების ხვედრითი წონაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, საერთოდ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში აშკარა იყო თვისობრივი ხასიათის ძვრები. ახალ პირობებში არა მარტო ისახება და ვითარდება წარმოების ახალი ფორმები (მანუფაქტურა მანქანური წარმოების ჩანასახებით), არამედ სულ სხვა ხასიათს იღებს მისი ისეთი ფორმები (მაგ., წვრილი საქონლური წარმოება), რომელიც მანამდე ეგუებოდა და ემსახურებოდა ფეოდალურ საზოგადოებას ისე, რომ არ მოდიოდა მასთან წინააღმდეგობაში. მრეწველობის კაპიტალისტურ სექტორში მანუფაქტურულ საწარმოთა ხვედრითი წონის უპირატესობა იძლევა საფუძველს აქ მანუფაქტურული სტადიის არსებობის აღიარებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნული ქვეყანაში კაპიტალიზმის შინაური ბაზრის შექმნის პროცესის გაღრმავების მაჩვენებელი იყო. ძველი წყობილების რღვევა და ახალი ურთიერთობის განვითარება აქ უკვე კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. ახალი ურთიერთობის ელემენტები თუმცა აწყდებოდნენ გაბატონებული წყობილების წინააღმდეგობას, მაგრამ უკანასკნელს აღარ შესწევდა ძალა ჩაეხშო ისინი, შეეჩერებინა მათი ზრდა. ერთი სიტყვით, ქვეყანაში იქმნება კაპიტალისტური წყობა.

მაგრამ, ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის ყველა საკითხი ამომწურავადაა

შესწავლილი და გასაკეთებელიც აღარაფერია. უპირველეს ყოვლისა, არ არის გაშუქებული და გადაჭრილი ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა შინაური ბაზრის ჩამოყალიბება, სოციალურ ძალთა განლაგება XIX ს. რეფორმამდელ ხანაში და სხვ.

ახლა გავეცნოთ რეფორმისმომდეგნო ხანის საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პროცესის კვლევა-ძიებას საბჭოთა პერიოდში. ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში დაიწყო. გამოიცა მრავალი პუბლიცისტური წერილი, ისტორიული ნარკვევი, ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილულია ბურჟუაზიული ხანის საქართველოს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი.

ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისა და აზრის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა სწორად განვრიტეს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების კანონზომიერება, ხაზი გაუსვეს მის თავისებურებას. თერგდალეულებმა ვერ მოგვცეს ბურჟუაზიული ურთიერთობის ბოლომდე სწორი შეფასება. ამის მიუხედავად, ისინი გვეელინებიან კაპიტალიზმის კრიტიკოსებად. ქართველი ხალხოსნები თავდაპირველად უარყოფდნენ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობას. ქართული საზოგადოებრივი აზრის ლიბერალურ-ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობების წარმომადგენლები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ საქართველოს კაპიტალისტური განვითარების უპერსპექტივობა და შეუძლებლობა. მიუხედავად ამისა, ზემოთ დასახელებულ მიმდინარეობათა წარმომადგენლების ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტ-ნაკლებად მდიდარ მასალას შეიცავს საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პრობლემის მრავალი ასპექტის გასაშუქებლად.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. მდიდარი იდეური მემკვიდრეობა ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა ისტორიული აზრის განვითარებისათვის. მოცემულ კონტექსტში პირველ რიგში აღსანიშნავია ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის წარმომადგენელთა ნაშრომები. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ი. სტალინმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველმა ჩამოაყალიბა ერის ფორმირების მარქსისტული თვალსაზრისი, ერის თვისობრივი ნიშნები, ერის კონსოლიდაცია მართებულად დაუკავშირა კაპიტალისტური ფორმაციის გამარჯვებას. ფ. მახარაძემ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ასევე პირველმა სცადა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიული პროცესის მარქსისტული თვალსაზრისით გააზრება, წარმოადგინა საქართველოში

კაპიტალიზმის განვითარების ძირითადად სწორი სქემა და კლასობრივ ძალთა ახლებური განლაგების საერთო სურათი. ქართველ მარქსისტთა-გან ალ. წულუკიძემ პირველმა ჩამოაყალიბა სწორი თვალსაზრისი ქართველი ბურჟუაზიისა და მშრომელი ხალხის ისტორიული როლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულმა მოღვაწემ თავისი ეს შეხედულება მთელი სიცხადით ჩამოაყალიბა, ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ქართველი ბურჟუაზიის როლის შეფასებაში კვლავაც ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას, ბურჟუაზიის როლის ორ, ერთმანეთის პრინციპულად საწინააღმდეგო (სწორ და მცდარ), გაგებას, რასაც ქვემოთ, საბჭოური ისტორიოგრაფიის განხილვისას შევეხებით. აქ კი მხოლოდ ერთ ამონაწერს მოვიტანთ ალ. წულუკიძის თხზულებიდან. სტატიაში „სხვაგან და ჩვენში" იგი წერს: „ქართველი ბურჟუაზიისათვის ეროვნული ზრდა-განვითარება საარსებო კითხვას არ წარმოადგენს, ასეა ჩვენში... თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში ხელმოკლე და გონებრივად ახლათაღორძინებული მშრომელი ხალხია.

ამნაირად, ჩვენში ბურჟუაზიის როლი ეროვნული თვითცნობიერების განსამტკიცებლად სრულიად უმნიშვნელოა; მას ამისათვის საზოგადო, პოლიტიკურ-ეკონომიური პირობები ხელს არ უწყობენ, საზოგადოებრივი ურთიერთობა მას სხვა ეროვნების ნიადაგზე ამძლავრებს; სამშობლო მისთვის მხოლოდ ტერიტორიული საზღვრებია, სადაც იგი უცხო ენაზეც კარგად აწარმოებს თავის სამრეწველო საქმეებს. თუ ევროპაში ბურჟუაზია უდგა მეთაურად ეროვნულ ზრდას, ჩვენში ერის მეორე ნაწილი მეთაურობს"[78]. როგორც ვხედავთ, ალ. წულუკიძე სავსებით გარკვევით მიუთითებს, რომ ბურჟუაზიის როლი ჩვენში სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე ევროპაში (ამაზე მთელი სიცხადით მეტყველებს ციტირებული სტატიის სათაურიც: „სხვაგან და ჩვენში").

ქართველ მარქსისტთა რევოლუციამდელი ნაშრომები, მათი მდიდარი იდეური მემკვიდრეობა გასაღებს იძლევა საქართველოს ახალი ისტორიისა და, კერძოდ, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საკვანძო პრობლემების მართებული მეთოდოლოგიური პოზიციიდან გადასაწყვეტად. ეს მემკვიდრეობა მტკიცე საფუძველი გახდა საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის.

---

78 ალ. წულუკიძე, თხზულებანი, თბ., 1943, გვ. 79.

საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ საქართველოს ახალი ისტორიის შემუშავება კაპიტალისტური მეურნეობის ისეთი დარგების შესწავლით დაიწყო, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ხოლო სხვა ისეთი სფეროები, როგორიცაა ვაჭრობა და ფინანსები, რამდენადმე უყურადღებოდ იქნა მიტოვებული. ეს მაშინ, როცა კაპიტალიზმის განვითარება საზოგადოდ იმით ხასიათდება, რომ „ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდა წინ უსწრებს მიწათმოქმედების ზრდას" (ვ. ი. ლენინი).

საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების პრობლემის დამუშავებას საბჭოთა ხანაში პირველი შეუდგა ფ. მახარაძე, რომელმაც საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება ქრონოლოგიურად XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და მის მომდევნო ხანას დაუკავშირა. ავტორმა ზოგად ხაზებში სწორად დააახასიათა სამრეწველო განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები, როგორიცაა: ბატონყმობის გაუქმება (რამაც ხელი შეუწყო თავისუფალი მუშახელის ბაზრის შექმნას), რკინიგზების მშენებლობა, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის სიუხვე, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გაცხოველება, ერთეულთა ხელში კაპიტალის დაგროვება, უცხოური და რუსული კაპიტალის შემოჭრა; მან წარმოადგინა სამრეწველო წინსვლის დამაბრკოლებელი ფაქტორები: ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და ბატონყმობის ძლიერი გადმონაშთების არსებობა. ფ. მახარაძის თვალსაზრისით, საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენდა ცალმხრივი განვითარება (მსუბუქი მრეწველობის განვითარება, მძიმე მრეწველობის განუვითარებლობა)[79].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მრეწველობის შესწავლას მრავალი ნაშრომი უძღვნა პ. გუგუშვილმა, რომელმაც ახალი წყაროების ფართოდ გამოყენებით შეისწავლა მრეწველობის დარგები, ცალ-ცალკე განიხილა მრეწველობის სხვადასხვა ფორმები (ხელოსნობა, შინამრეწველობა, მანუფაქტურა, ფაბრიკა)[80].

პ. გუგუშვილმა განიხილა ქალაქის წვრილ საწარმოთა დიფერენ-

---

79 იხ. Ф. Махарадзе, История возникновения и развития рабочего движения в Грузии; მისივე: Грузия в девятнадцатом столетии, Тб., 1933.

80 პ. გუგუშვილმა 1939 წელს გამოცემულ ნარკვევში განიხილა შინამრეწველობა და მანუფაქტურული წარმოება (იხ. მასალები საქართვ. და კავკასიის ისტ., ნაკვ. III, თბ., 1939), 1940 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი — საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა (იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი XXI, თბ., 1940). იგივე ნაშრომები შევიდა ავტორის მიერ 1941 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში — „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში", საიაც, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია მრეწველობის ყველა დარგი, ასევე ამ დარგებში დასაქმებული მუშათა მდგომარეობა. შემდგომი კვლევა-ძიების

ციაცია (1900 და 1914 წლების მონაცემების გათვალისწინებით), რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, ზოგიერთი საწარმოს გამსხვილებაში და მანუფაქტურად გარდაქმნაში, ხოლო, მეორე მხრივ, წვრილ საწარმოთა გაქრობაში. ავტორი ხელოსნობის კაპიტალისტურ ევოლუციას ქრონოლოგიურად 1900—1914 წლებს უკავშირებს, თუმცა, როგორც ცნობილია, ეს პროცესი XIX საუკუნის 60—80-იან წლებშიც ინტენსიურად მიმდინარეობდა.

პ. გუგუშვილის აზრით, სოფლად არსებული „შინამრეწველობა" ოჯახური მრეწველობისაგან იმით განსხვავდება, რომ ის არის წვრილი სასაქონლო წარმოება. რომელიც ხელოსნობისაგანაც განსხვავდება იმით, რომ ეს უკანასკნელი უმთავრესად დამკვეთისათვის ე. ი. უშუალო მომხმარებლისათვის აწარმოებს. ხოლო შინამრეწველი — საბაზროდ. პ. გუგუშვილის აზრით, ტერმინი „წვრილი სასაქონლო წარმოება" ზუსტად ვერ ასახავს სამრეწველო წარმოების შესაფერის საფეხურსა და ფორმას; მკვლევრის მიერ შემოთავაზებული მრეწველობის ფორმების სოციოლოგიური კლასიფიკაციით მას ასახავს ტერმინი „შინამრეწველობა" („Кустарная промышленность")[81]. ცნებების გუგუშვილისეული შეცვლა მიუღებლად უნდა ჩაითვალოს: ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი ეხებოდა რა „შინამრეწველობის" ცნების გაურკვევლობას და ბოროტად გამოყენებას"[82], სვამდა კითხვას—„რა არის შინამრეწველობა?" და უპასუხებდა: „ორ უკანასკნელ თავში წარმოდგენილი ცნებები გვაიძულებენ ვუპასუხოთ, რომ ეს მეცნიერული კლასიფიკაციისათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი ცნებაა, რომლითაც ჩვეულებრივ გულისხმობენ მრეწველობის ყოველნაირ ფორმებს, დაწყებული საშინაო სარეწით და ხელოსნობით და გათავებული დაქირავებული შრომით მეტად მსხვილ მანუფაქტურებში"[83]. ამიტომაა, რომ ვ. ი. ლენინი ცნებას „შინამრეწველობა"-ს („Кустарная промышленность") ყოველთვის თვლიდა პირობითად და წინწკლებში აქცევდა. ვფიქრობთ, მიუღებელია მოსაზრება, რომელიც „შინამრეწველობას" კაპიტალისტური ეპოქის წვრილი სასაქონლო წარმოების

შედეგები წარმოდგენილია პ. გუგუშვილის მონოგრაფიაში — „Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв." кн. I. ამავტორი განიხილავს ამჭრელი ხელოსნობის დაშლას, შინამრეწველობას და მანუფაქტურას. ხოლო 1962 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში", ტ. V, წარმოდგენილია ნარკვევი: „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის".

81 იხ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის განვითარება XIX —XX საუკუნეებში, ტომი V, გვ. 575.

82 იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 3, გვ. 786.

83 ი ქ ვ ე, გვ. 532.

ყველაზე გავრცელებულ და მობილურ ფორმად მიიჩნევს[84]. არასწორია მოსაზრება, თითქოს „ოჯახური მრეწველობის ბაზაზე“ და მისი რღვევის შედეგად აღმოცენდა მრეწველობის დამოუკიდებელი ფორმა „შინამრეწველობა“.

პ. გუგუშვილმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველმა დასვა საკითხი საქართველოში მანუფაქტურული სტადიის არსებობის შესახებ და ის ქრონოლოგიურად 1820—1880 წლებს დაუკავშირა (თუმცა უნდა ითქვას, რომ მანუფაქტურები ამაზე უფრო ადრე თუ არა, გვიან. XIX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგაც, შედარებით მრავლად გვხვდება საქართველოს მრეწველობის დარგებში). საქართველოში მანუფაქტურული სტადიის არსებობის თვალსაზრისი პ. გუგუშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა საწინააღმდეგო მოსაზრებებთან ხანგრძლივ ბრძოლაში.

პ. გუგუშვილი ვრცლად იხილავს მანუფაქტურის ფაბრიკულ წარმოებაში გადაზრდას, ე. ი. სამრეწველო გადატრიალების დაწყებას, რომელსაც საგლეხო რეფორმათა გატარებასა და რკინიგზების მშენებლობის პერიოდს უკავშირებს. ავტორის აზრით, მანქანურ წარმოებაზე გადასვლა 80-იანი წლების შუა ხანებში მოხდა, ამასთანავე ის მართებულად მიუთითებს, რომ წარმოების რიგ დარგებში ეს პროცესი გახანგრძლივდა.

მართალია, პ. გუგუშვილმა სცადა ამიერკავკასიაში არსებული წვრილი, მანუფაქტურული და ფაბრიკული წარმოების ერთმანეთისაგან გამოყოფა და ცალ-ცალკე განხილვა, მაგრამ ოფიციალური სტატისტიკის ჯამური მონაცემებით სარგებლობისას ასეთი დაყოფა მას ფაქტიურად არა აქვს გაკეთებული. ავტორის დასკვნით, ამიერკავკასიის დამუშავებელ მრეწველობაში 1874 წელს ითვლებოდა 4389 ფაბრიკა და ქარხანა, 1898 წელს — 11 283, ხოლო 1903 წელს — 12 273, 1910 წელს — 11 204, 1912 წელს — 10 121 ფაბრიკა-ქარხანა[85]. ეს მონაცე-

---

84 П. В. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., Тб., 1957, стр. 2. მოცემულ კონტექსტში არ შეიძლება არ შეინიშნოს ვ. ი. ლენინის თხზულების მე-3 ტომის ქართულ თარგმანში შეპარული უზუსტობა, რომელიც მეტისმეტად განვრცობილად წარმოგვიდგენს ცნება „შინამრეწველობას“. ვ. ი. ლენინის თხზულების იმავე ტომის ორიგინალში ცნება «Кустарная промышленность»-ის პარალელურად მრავალგზისაა მოხსენებული ტერმინი „Домашняя промышленность“. ქართულ თარგმანში ეს ორი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ცნება უნიფიცირებულია — ორივე წარმოდგენილია „შინამრეწველობად“ (შდრ.: В. И. Ленин, соч., т. 3, изд. 4-е, стр. 285, 286, 287, და ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 382, 383, 387 და სხვა გვერდები).

85 იხ. პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., გვ. 417, 418.

ნები რომ მეტისმეტად გაზვიადებულად წარმოგვიდგენს ამიერკავკასიის საფაბრიკო-საქარხნო წარმოებას, ეს ჩანს თუნდ იქიდანაც, რომ ვ. ი. ლენინის განსაზღვრით „ევროპულ რუსეთში 1866 წ. ამგვარი სამრეწველო საწარმო იყო maximum 2,5 — 3 ათასი, 1879 წ. იყო დაახლოებით 4.5 ათასი, 1890 წ. — დაახლოებით 6 ათასი..., 1903 წ. — დაახლოებით 9 ათასი“ [86].

ამგვარად, მრეწველობის ფორმების დიფერენციაცია, მრეწველობაში სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ხვედრითი წონის თანაშეფარდებით, ამა თუ იმ ფორმის წამყვანი როლის დადგენით, შემდგომი კვლევის ამოცანად დარჩა. პ. გუგუშვილის ნაშრომებში გამოკვლეულია საქართველოს მრეწველობის განვითარება XIX საუკუნის სიგრძეზე, ხოლო XX საუკუნის რევოლუციამდელი ხანის ვითარების ამსახველი ზოგიერთი ოფიციალური სტატისტიკური ცნობა, რაც „საქართველოს სახალხო მეურნეობის“ II თავშია წარმოდგენილი [87], არსებითად ვერ ავსებს ამ ხანის სამრეწველო ცხოვრების სურათს. ეს ხანა კვლავაც შეუსწავლელი რჩება.

აღსანიშნავია შ. ჩხეტიას წიგნი „Тбилиси в XIX столетии“ (თბ., 1942), ასევე მისი წერილი „საქართველოში ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის“. წიგნში განხილულია თბილისის ბურჟუაზიული განვითარება, მრეწველობის წინსვლა, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბება. ავტორის აზრით, თბილისი XIX საუკუნის 60—80-იან წლებში ბურჟუაზიულ ქალაქად იქცა. ამ დროსვე აკუთვნებს ის ბურჟუაზიისა და ქალაქის პროლეტარიატის მზარდ დაპირისპირებას. მიუხედავად ამისა, შ. ჩხეტია თბილისსა და საქართველოს სხვა ეკონომიურ ცენტრებში კაპიტალიზმის დამკვიდრებისა და მუშათა კლასის ფორმირების პერიოდად 1880—1900 წლებს მიიჩნევს. საფაბრიკო-საქარხნო წარმოების საწყისებს თბილისში ავტორი XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ვარაუდობს, განიხილავს თბილისის მრეწველობის განვითარებას რეფორმების მომდევნო პერიოდში, თუმცა მრეწველობის ფორმების დიფერენციაციას მიზნად არ ისახავს.

სამრეწველო ცხოვრებას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ა. კიკვიძის ნაშრომებში: „საქართველოს ისტორია. XIX ს.“ (თბ., 1954). ასევე „მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში 1870 — 1901 წწ.“ (თბ., 1945).

ავტორის მტკიცებით, საქართველოს მრეწველობას არ გაუვლია განვითარების მანუფაქტურული სტადია. იგი წერს: „საქართველოს და

86 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თსზ., ტ. 3, გვ. 552.

87 იხ. საქართველოს სახალხო მეურნეობა (1921 — 1961) პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 31—124.

ამიერკავკასიის კოლონიური მდგომარეობა იყო იმის მიზეზი, რომ კაპიტალისტურმა მანუფაქტურამ ჩვენში ვერ მოასწრო განვითარება“ [88]. ა. კიკვიძე ეხება მანუფაქტურის წარმოშობის გზებს (საევაპრო კაპიტალის მიერ მწარმოებლის დაქირავებულ მუშად გადაქცევა, ვაპრის მიერ წარმოების უშუალოდ დამორჩილება) და მიაჩნია, რომ მსგავს რამეს ჩვენში ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე იგი, ჩანს, არ ცნობს მანუფაქტურის წარმოქმნას წვრილი წარმოების გაფართოებისა და მასში შრომის დანაწილების გაღრმავების ბაზაზე. ა. კიკვიძის აზრით, ვაპრის, მრეწველის თუ სხვის მიერ დაარსებული საწარმო არ შეიძლება ჩაითვალოს კაპიტალისტურ მანუფაქტურად, რადგან ზოგიერთ მათგანში იძულებითი შრომაც გამოიყენებოდა, ასევე იმიტომაც, რომ ამგვარ საწარმოთა უმრავლესობა, ავტორის შეხედულებით, „მექანიკური სახელოსნოების სახით ჩამოყალიბდა“. ავტორის განსაზღვრით, „საფაბრიკო-საქარხნო წარმოების სათავე საქართველოში, მართალია, XIX საუკუნის 70-იან წლებს უსწრებს წინ, მაგრამ მხოლოდ ეს წლები შეიძლება ჩაითვალოს ჩვენში ფაბრიკა-ქარხნების გაჩენის წლებად, როცა აქ უკვე ამოქმედდა ნამდვილი ევროპული ქარხანა“ [89].

საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში (წიგნი I) XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორია (ავტორი პ. რატიანი) ზოგად ხაზებში მკაფიოდაა წარმოდგენილი; ავტორის შეხედულებით მანქანურ წარმოებაზე გადასვლის პროცესი საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50—60-იან წლებში ისახება, მაგრამ უფრო სწრაფად და ფართო მასშტაბით ეს პროცესი 70-იანი წლებიდან ვითარდება... ეს იწვევს ნამდვილ ტექნიკურ გადატრიალებას საქართველოს მრეწველობაში და, ამასთანავე, მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნას“ [90]. ავტორი განიხილავს მრეწველობის დარგების შემდგომ წინსვლას, მის აღმავლობას 1890-იან წლებში, ასევე ქალაქების ზრდა-განვითარებას. ახასიათებს საქართველოს სამრეწველო განვითარების კანონზომიერებას და სპეციფიკას (მრეწველობის ცალმხრივი ხასიათი—სამთო და მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარება, ძძიმე მრეწველობის განვითარების ჩამორჩენა).

საქართველოს ისტორიის მეორე ტომში (გამოიცა 1962 წ.) XIX საუკუნის რეფორმის მომდევნო ხანა უფრო რელიეფურადაა გაშუქებული. ამ მონაკვეთის ავტორი (პ. რატიანი) საქართველოს სამრეწველო

---

88 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX ს.), გვ. 228; იხ. მისი სპეციალური წერილი იმავე საკითხზე („საქართველოს ეკონომისტი“, № 7, 1960).

89 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 31.

90 საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958, გვ. 499 — 500.

განვითარების განხილვისას ითვალისწინებს უახლეს გამოკვლევებს, აზუსტებს, ასაბუთებს თავის თვალსაზრისს მოცემულ საკითხზე და განაგრძობს: „90-იან წლებში კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობს ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდა, ფართოვდება საფაბრიკო-საქარხნო და სამთო მრეწველობა, იზრდება ქალაქები და საქალაქო მეურნეობა. კაპიტალისტური წარმოების წესი, რომელიც საქართველოში მკვიდრდება, ამ პერიოდში გარკვევით ამჟღავნებს განვითარების ახალი, უმაღლესი სტადიის, — მონოპოლისტური კაპიტალიზმის ანუ იმპერიალიზმის ნიშნებს“ [91]. ამდენად, პ. რატიანი ემიჯნება იმ მკვლევრებს, რომლებიც საქართველოში, როგორც კოლონიურ პირობებში მოქცეულ ქვეყანაში, ვერ ამჩნევენ მეტროპოლიის კაპიტალისტური ურთიერთობის ადეკვატურ ფორმებს. მისი ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, მეთოდოლოგიურად და ფაქტიური ვითარების თვალსაზრისით მისაღებია. ცნობილია, რომ კ. მარქსი „კაპიტალში“, ეხებოდა რა „კოლონიზაციის თანამედროვე თეორიას“, სავსებით გარკვევით მიუთითებდა: „ე. გ. უეკფილდის დიდი დამსახურება ის კი არ არის, რომ მან ახალი რამ აღმოაჩინა კოლონიების შესახებ. არამედ ის, რომ მ ა ნ კ ო ლ ო ნ ი ებ ში ა ღ მ ო ა ჩ ი ნ ა მ ე ტ რ ო პ ო ლ ი ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ურ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე“ [92]. აქ არ შეიძლება დავიწყებულ იქნეს ისიც, რომ საქართველო რუსეთის „შინაგანი“ კოლონია იყო.

გ. ბაქრაძის მონოგრაფიაში „Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке“ (თბ., 1958) მრავალფეროვანი, მნიშვნელოვანწილად ახლადგამოვლინებული წყაროების განხილვით ერთმანეთისაგან გამოყოფილია მრეწველობის სხვადასხვა ფორმები, მიახლოებით დადგენილია მათი თანაფარდობა.

ავტორი საფუძვლიანად განიხილავს რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს მრეწველობას (პროდუქციის რაოდენობისა და დასაქმებულ მუშათა რიცხვის დინამიკის ჩვენებით) და დაასკვნის, რომ მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა 1870 — 1890 წლებში წარმოიშვა და განვითარდა; წარმოების კონცენტრაცია გაძლიერდა. მუშათა მასებმა თავი მოიყარა ფაბრიკული ტიპის საწარმოებში. ამ მიმართულებით გარდატეხის ხანად აღიარებულია 80-იანი, მეტადრე, 90-იანი წლები. როცა კაპიტალისტურმა მრეწველობამ თვისობრივად ახალ საფეხურს მიაღწია, — წარმოების მრავალ დარგში კაპიტალისტურმა ფაბრიკამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა.

---

91 საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 1962, გვ. 62.

92 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954. გვ. 959. (ხაზგასმა ჩვენია).

ავტორს მიაჩნია, რომ მრეწველობის მარტივი ფორმებიდან უმაღლეს ფორმაზე თანდათანობითი გადასვლა მხოლოდ რეფორმის მომდევნო ხანაში დაიწყო და განხორციელდა, რაც, ჩვენი აზრით, უთუოდ ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს. სამაგიეროდ, ის სწორად დაასკვნის, რომ „მრეწველობის სხვადასხვა ფორმის თანაარსებობა იყო რეფორმის შემდგომი ხანის საქართველოს მრეწველობის დამახასიათებელი ნიშანი“ [93]. ასევე საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ავტორის მიერ საქართველოს სამთო მრეწველობაში ზოგიერთი მანუფაქტურული, აგრეთვე ფაბრიკული ტიპის საწარმოთა არსებობის აღიარება.

გ. ბაქრაძის მონოგრაფიის მთავარ ღირსებას წარმოადგენს მრეწველობის ფორმების (ფაბრიკის და მანუფაქტურის) გამიჯვნა, მრეწველობის განვითარების ტენდენციისა და 90-იანი წლების სამრეწველო ცხოვრების სურათის შემუშავება.

1958 წელს გამოიცა ნ. ტყეშელაშვილის „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864 — 1920 წწ.)“, სადაც უმთავრესად ბეჭდური წყაროების მოშველიებით მიმოხილულია საქართველოს მრეწველობის განვითარება XIX საუკუნის რეფორმისშემდგომ (მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის) ხანაში, ასევე XX საუკუნის რევოლუციამდელ (მონოპოლისტური კაპიტალიზმის) პერიოდში. ნაშრომში გვხვდება აშკარად მცდარი დებულებებიც, როგორიცაა, მაგალითად, იმის მტკიცება, რომ თითქოსდა „90-იანი წლების ბოლოს ქ. თბილისში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებს, უპირატესად იყო წვრილი სამრეწველო საწარმოები“ [94]. ავტორის მთავარი მიღწევაა ბურჟუაზიული ურთიერთობის შედეგად ქვეყნის სამრეწველო ქალაქების მოსახლეობის ზრდის ზოგადი სურათის დადგენა.

განსაკუთრებით საყურადღებოა გ. მეგრელიშვილის კაპიტალური გამოკვლევა, სადაც ვრცლად და სწორი პოზიციიდანაა განხილული საგლეხო რეფორმის გატარების შედეგები, გაშუქებულია კაპიტალიზმის განვითარების საერთო პროცესი და კლასობრივი ანტაგონიზმის გაღრმავება, დახასიათებულია კლასობრივ ძალთა განლაგება და ამ კლასთა იდეური ბრძოლის მიმდინარეობა ბურჟუაზიული ხანის საქართველოში [95].

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისათვის მეტად საყურადღებო შედეგები მოგვცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის

---

93 იხ. გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ, გვ. 65.

94 იხ. ნ. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

95 Г. М е г р е л и ш в и л и, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, Тб., 1960, стр. 49—175, 229—536.

ისტორიის ინსტიტუტის კაპიტალიზმის ხანის განყოფილების 1955 — 1956 წლების ექსპედიციის მიერ ჩატარებულმა მუშაობამ (შედეგები გამოქვეყნდა 1961 წელს)[96]. ექსპედიციამ შეაგროვა და შეისწავლა მნიშვნელოვანი მასალები ხელოსნობა-შინამრეწველობის, კაპიტალისტური მანუფაქტურებისა და ფაბრიკების, სავაჭრო მიწათმოქმედების, ვაჭრობისა და სხვა საკითხების ირგვლივ. ეს მასალა შუქს ფენს უპირატესად XIX ს. მეორე ნახევრის და XX ს. დასაწყისის მოვლენებს, გვეხმარება კაპიტალიზმის განვითარების არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრაში.

1961 წელს გამოქვეყნდა ნ. როდონაიას წიგნი „თბილისის მრეწველობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (რეფორმის შემდგომი ხანა)", სადაც უპირატესად ახლადგამოვლენილი საარქივო და სხვა წყაროების ფართოდ გამოყენებით არის გაშუქებული თბილისის მრეწველობის განვითარება XIX საუკუნის 60-იან — 90-იან წლებში, თუმცა მრეწველობის ფორმების თანაფარდობა არაა დადგენილი.

საყურადღებოა ა. კოპლავაშვილის ნაშრომი „საქართველოს სამთამადნო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში" (თბ., 1962), სადაც ნაჩვენებია მრეწველობის დაბალი ფორმებიდან მაღალზე გადასვლა. საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება და ენერგეტიკული ბაზის გაფართოების ცდები. ამასთანავე შეინიშნება სამთამადნო მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარების დონის ერთგვარი შეუფასებლობა (ავტორი არაფერს ამბობს, მაგალითად, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში ტექნიკური სიახლეების დანერგვაზე).

ე. ხოშტარიას მონოგრაფია — „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში", რომელიც ორ წიგნად გამოიცა (თბ., 1966 და 1968 წწ.), კომპლექსურად განიხილავს საქართველოს მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარებასა და სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბებას. ავტორი აშუქებს მრეწველობის განვითარებას დარგებისა და ფორმების (ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა, კაპიტალისტური მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურა, ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება) მისედვით, არკვევს ამ პროცესის მიმდინარეობის მთავარ ტენდენციას, კანონზომიერებასა და სპეციფიკას. ნაშრომში დადგენილია მრეწველობის ფორმების თანაშეფარდება. ე. ხოშტარიას დასკვნით, XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს მრეწველობაში წვრილი წარმოება ბატონობდა,

---

96 ვ. რატიანი, საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. I, თბ., 1961.

80-იან წლებში ამ უკანასკნელის ხვედრითი წონა შემცირდა და უპირატესობა მანუფაქტურულმა წარმოებამ მოიპოვა, თუმცა მანქანური წარმოებაც ფართო მასშტაბით 70-იანი წლებიდან იწყება, ხოლო 90-იან წლებში მანქანური წარმოება გაბატონდა[97]. ავტორი განიხილავს საწარმოთა ეკონომიურ მაჩვენებლებს და ამ გზით უპირისპირდება ჩვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ მცდარ თვალსაზრისს. როელის თანახმად, საქართველოს მრეწველობაში XIX საუკუნის მიწურულს გადამწყვეტ როლს წვრილი წარმოება ასრულებდა. ნაშრომში ამასთანავე ნაჩვენებია, რომ სამთო მრეწველობაში XIX საუკუნის დამლევსაც წვრილი წარმოება „ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას მანუფაქტურულ და ფაბრიკულ ფორმებთან ერთად“[98]. ასეთივე თვალსაზრისია გატარებული ე. ხოშტარიას მიერ 1967 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ ნაშრომში „Генезис и развитие капитализма в промышленности Грузии“[99], სადაც ის შედარებით სქემატურადაა წარმოდგენილი.

1966 წელს გამოქვეყნდა დ. გოგოლაძის ნაშრომი — „სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი“*. ავტორი განიხილავს მრეწველობის დასახელებული დარგების განვითარებას XIX საუკუნეში, რითაც გარკვეული სიახლე შეაქვს რთული პროცესის შესწავლაში. ამასთანავე, დასახელებულ ნაშრომს გააჩნია სუსტი მხარეებიც.

ავტორის აზრით, „ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის საწარმოები XIX საუკუნის მეორე ნახევარში ისე, როგორც მანამდე, სამთო კაპიტალისტური მანუფაქტურები იყო“. „ასევე, ტყიბულში ქვანახშირის დამუშავება XIX საუკუნის სიგრძეზე ძირითადად სამთო მანუფაქტურების ნიშნებს ატარებდა“. „მანგანუმის დამუშავებამ ჭიათურაში თავიდანვე მიიღო სამთო მანუფაქტურების ხასიათი და ძირითადად ასეთი დარჩა XIX საუკუნის მიწურულამდე“[100]. მოხსენებული დარგე-

---

97 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, წიგნი გვ. 226.

98 იქვე, წიგნი II, გვ. 116.

99 И. Г Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967.

* აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენთვის რამდენადმე გაუგებარია ნაშრომის წინასიტყვაობაში გაკეთებული განცხადება: „ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება აგრეთვე გაეცნოს ქართული ფულის მიმოქცევისა და მოჭრის საქმეს XIX ს. პირველ ნახევარში, რამღენადაც ფულის მოჭრა სამთო წარმოებასთან (ლიბონთან) არის დაკავშირებული, ამიტომ ნაშრომში მოცემული გვაქვს თბილისის ზარაფხანის ისტორიაც“ (იქვე, გვ. 7).

100 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა. გვ. 155—156.

ბის განვითარების დონის ამგვარი გათანაბრება ხელოვნურია და არც ერთ შემთხვევაში არ ასახავს რეალურ სინამდვილეს[101].

დ. გოგოლაძის ნაშრომის III თავში წარმოდგენილი პარაგრაფი — „მრეწველობის ფორმების კლასიფიკაცია და ე. წ. „შინამრეწველობა“ — რამდენადმე დამაფიქრებელია თავისი მიზანდასახულობითა და შინაარსობრივად.

ცნობილია, რომ კ. მარქსის მიერ მოცემული კლასიფიკაციით კა-

---

101 არაფერს ვიტყვით ჭიათურაზე, სადაც. იმჟამად მოქმედ ასობით საწარმოს შორის მრავალი იყო წერილი ან კიდევ ინდუსტრიულ ყაიდაზე მოწყობილი სამთო საწარმო, რომელთაც მანუფაქტურებს ვერ მივაკუთვნებთ. არ შევეხებით ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობაზეც, რომელსაც XIX საუკუნის მიწურულს მონოპოლიერად ფლობდა საქციო გაერთიანება „ნახშირა-ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოება“ და არა რამდენიმე „ქვანახშირის საზოგადოებები“, როგორც ეს ჩვენს ავტორს მიაჩნია (იხ. დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 97). „ნახშირას“ საწარმო ტექნიკურად ისე იყო აღჭურვილი, რომ შეუძლებელია ის მანუფაქტურას მივაკუთვნოს...

შევეხოთ ალავერდის სპილენძის საწარმოს, რომელიც 1887 წლიდან ფრანგულ საქციო საზოგადოება — „ახტალის სამადოთა კომპანიას“ ეკუთვნოდა. ხოლო 1893 წლიდან უფრო მძლავრ ფრანგულსავე საქციო საზოგადოება — „კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიულ ანონიმურ გაერთიანებას“ (იხ. Указатель действующих в России акц-х обществ. Под ред. В. Дмитрева—Мамонтова, т. 2. СПБ. 1905, стр. 1999—2002 და არა რომელიმე სხვა მოჯარადრე საზოგადოებას, რომელშიც „ფრანგთა (ახტალის სამადოთა—ავტ.) კომპანიაც“ შეედოდა, როგორც ამას ჩვენი ავტორი ვარაუდობს (იხ. დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 67). ავტორი წერს: **„როგორც XVIII საუკუნეში, ასევე XIX ს. მთელ სიგრძეზე ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის „ქარხნები“ ტექნიკური დონითა და შრომის ორგანიზაციით სამთო მანუფაქტურები იყო“** (დასახ. ნაშრ., გვ. 71). სინამდვილეში ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნის რეკონსტრუქცია 1890 წელს დაიწყო. ქარხანა, როგორც ეს კარგად მოეხსენება ჩვენს ავტორს, მექანიკური ძალით მოქმედებდა. საწარმოში დაიდგა ე. წ. „შახტური ღუმელი“ („ვატერ ყაკეტი“), რომელიც პირველი იყო რუსეთის იმპერიაში. ხის ნახშირი შეცვლილი იქნა კოქსით, გაუმჯობესდა ღუმელებისათვის ჰაერის მიწოდების მეთოდი. 1899 — 1900 წლებში ალავერდის ქარხანაში დაიდგა სამი (ახალი) „შახტური ღუმელი“. იმავე წლებში ალავერდში პრაქტიკულად პირველად განხორციელდა ნახევრადპირიტული ღნობის პრინციპი, რომელიც შემდეგ რუსეთის იმპერიის სხვა ქარხნებშიც დაინერგა. 1900 წელს ალავერდის ქარხანაში სპილენძის გამოდნობის ტექნოლოგიურ სქემაში შემოღებულ იქნა ახალი აგრეგატი — „კონვერტერი“, რომელმაც არსებითი ცვლილება შეიტანა „სპილენძის ქვის“ გამოწვისა და გამოდნობის ოპერაციებში. ამ სიახლითაც ალავერდის ქარხანა უპირველესი იყო რუსეთის იმპერიაში (იხ. В. А. М е л к о я н. Металлургия меди в Армении, М., 1955, стр. 24—25). ასე რომ, ალავერდის სპილენძსადნობი ქარხნები (1900 წლიდან 2 იყო) წარმოადგენდნენ არა მანუფაქტურებს, არამედ იმჟამინდელი ტექნიკის კვალობაზე იმპერიაში სანიმუშოდ აღჭურვილ მანქანური ტიპის საწარმოებს.

პიტალისტური მრეწველობის სტადიებია: 1) მარტივი კოოპერაცია, 2) მანუფაქტურა, 3) ფაბრიკა (მანქანური წარმოება). ვ. ი. ლენინმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაითვალისწინა XIX საუკუნის კაპიტალისტური რუსეთის, როგორც უპირატესად გლეხური ქვეყნის, ეკონომიკის თავისებურება და ამ უკანასკნელის გათვალისწინებით კაპიტალისტური მრეწველობის სტადიები ასე წარმოადგინა: 1) „წვრილი სასაქონლო წარმოება (წვრილი — უმთავრესად გლეხური სარეწები)", 2) მანუფაქტურა, 3) ფაბრიკა... დ. გოგოლაძეს მიაჩნია, რომ ზემოთ დასახელებულ სქემაში მრეწველობის პირველი სტადიის გამომხატველი ცნება — „წვრილი სასაქონლო წარმოება" არაზუსტია და გვთავაზობს „უფრო მისაღებ" ცნებას — „წვრილ სასაქონლო მრეწველობა"-ს, რომელიც მისივე განცხადებით, „ზუტად შეესაბამება მრეწველობის ამ საფეხურის ხასიათს და ამავე დროს კაპიტალიზმის პირველ სტადიას მრეწველობაში" [102].

„გარდა ამისა, — განაგრძობს დ. გოგოლაძე, — ტერმინი „წვრილი სასაქონლო მრეწველობა" ყველა ქვეყნისათვის გამოდგება, როგორც მრეწველობის მესამე ფორმის ცნება და მისი აღმნიშვნელი სახელწოდება"[103]. ვფიქრობთ, უდავოა, რომ კაპიტალისტური მრეწველობის პირველი სტადიის ზუსტად გამომხატველი და „ყველა ქვეყნისათვის გამოსადეგი" ცნება შეიმუშავეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, რომელთა ფუძემდებლურ ნაშრომებშიც მთელი სისრულითაა გათვალისწინებული ყველა კაპიტალისტური ქვეყნის სამრეწველო განვითარების კანონზომიერება და სპეციფიკა. არაფერს ვიტყვით „შინამრეწველობის" გოგოლაძისეულ ინტერპრეტაციაზე, რადგან ცნობილია, რომ მეცნიერული კვლევისათვის ამ ცნების სრული მიუღებლობა ამომწურავი სისრულით დაახასიათა ვ. ი. ლენინმა [104].

დ. გოგოლაძის ნაშრომში ასევე ზედმეტი და უსაგნოა იმავე III თავის უკანასკნელი პარაგრაფი: „ფაბრიკის ცნების სწორი მეცნიერული გაგებისათვის". ეს ცნებაც, როგორც ცნობილია, თავის დროზე დაადგინეს მარქსიზმის კლასიკოსებმა და მას შემდეგ თითქმის არავინ დავობს „ფაბრიკის ცნების" სწორი მეცნიერული გაგების ირგვლივ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კ. მარქსის განსაზღვრით, „ყოველი განვითარებული მანქანური მოწყობილობა შედგება სამი არსებითად სხვადასხვა ნაწილისაგან: მანქანა-ძრავისაგან, გადამცემი მექანიზმისაგან და ბოლოს მანქანა-იარაღისაგან, ანუ სამუშაო მანქანისაგან". მანქანური

---

[102] დ. გოგოლაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 195—196.
[103] იქვე, გვ. 196.
[104] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 532 და სხვ.

წარმოების მოცემული დახასიათება გასაღებს იძლევა ფაბრიკის ცნების დასადგენადაც. მაგრამ, როგორც ცნობილია, მკვლევარმა მ. სამსონაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ორთქლის მანქანის არსებობის მიჩნევა ფაბრიკული წარმოების განმსაზღვრელ ნიშნად (ერთ-ერთ და არა ერთადერთ ნიშნად—ავტორები) მართებული არ არის“[105], მკვლევარი დ. გოგოლაძე არ ეთანხმება და ეკამათება მას და ამავე დროს თავის მხრივ დასძენს: „რაც შეეხება მუშათა რაოდენობას ანუ მუშათა გარკვეული რიცხვის დასაქმებას ფაბრიკაში, წინააღმდეგ რიგი მკვლევარებისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ არავითარი განსაზღვრული (კატეგორიული) მუშათა რიცხვის (მათ შორის 16 კაცის) არსებობა საწარმოში არაა სავალდებულო ფაბრიკის ცნებისათვის“[106]. გვსურს მკითხველს შევახსენოთ, რომ ზემოთ მოხსენებული პირობითი ნიშანი ფაბრიკის

---

105 მ. სამსონაძე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, თბ., 1967, გვ. 203.

106 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 210.

მ. სამსონაძის თვალსაზრისი, რომ „ორთქლის მანქანის არსებობა საწარმოში აუცილებელი არაა, რათა საწარმო ფაბრიკად ჩავთვალოთ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი სჩადისო“, როგორც ჩანს, მომდინარეობს კ. მარქსის შემდეგი დებულების არასწორი გაგებიდან: „თვით ორთქლის მანქანასაც კი, რა სახითაც იგი გამოგონებული იყო მანუფაქტურულ პერიოდში მე-17 საუკუნის ღამლევს და განაგრძობდა არსებობას მე-18 საუკუნის 80-იანი წლების დაწყებამდე, არავითარი სამრეწველო რევოლუცია არ გამოუწვევია. პირიქით, სწორედ სამუშაო მანქანის შექმნამ წარმოშვა აუცილებლობა იმისა, რომ ორთქლის მანქანაში რევოლუცია მომხდარიყო“ (კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 475). მაგრამ აქ ხომ საქმე ეხება ორთქლის მანქანის როლს „მე-18 საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისამდე“ (ე. ი. ამ მანქანის შემდგომ სრულყოფამდე ანუ უატის გამოგონების დანერგვამდე!). და არა საერთოდ?! როგორც ცნობილია, კ. მარქსი იმავე პარაგრაფში საკუთარი გარკვეული მიუთითებდა: „... ბოლოს, ძრავას ტექნიკური გამოყენება უნიკერსალური ხასიათისაა და მისი აღგილსაყოფელი შედარებით ნაკლებადაა დამოკიდებული ამა თუ იმ ლოკალურ პირობებზე. უატის ღიდი გენიოსობა,—განაგრძობს კ. მარქსი, — ჩანს 1784 წლის აპრილში აღებული პატენტის დეტალური აღწერილობიდან, სადაც იგი გვისურათებს თავის ორთქლის მანქანას არა როგორც გამოგონებას განსაკუთრებული მიზნებისათვის, არამედ როგორც მსხვილი მრეწველობის უნიკერსალურ ფაქტორს“ (კაპიტალი, ტ. I, გვ. 478). ბოლოს, ციტა ქვემოთ კ. მარქსი წერს: „მანქანის საშუალებით მანქანების ფაბრიკაციის ყველაზე არსებითს საწარმოო პირობას შეადგენდა მანქანა-ძრავა, რომელსაც უნარი ექნებოდა განეკუთვნებინა ყოველნაირი ზომის ძალა და რომელიც ამავე დროს მთლიანად დაექვემდებარებოდა კონტროლს. ასეთი მანქანა-ძრავა უკვე არსებობდა ორთქლის მანქანის სახით“ (იქვე, გვ. 487, ხაზგასმა ჩვენია). ამრიგად, ვფიქრობთ, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს მოსაზრება, რომ „ორთქლის მანქანის არსებობის მიჩნევა ფაბრიკული წარმოების განმსაზღვრელ ნიშნად მართებული არ არისო“. ორთქლის მანქანა მისი სრულყოფის დროიდან (1784 წლიდან) „მსხვილი მრეწველობის უნიკერსალური ფაქტორია“ და მან. სხვა ფაქტორებთან ერთად, სამრეწველო რევოლუცია გამოიწვია.

ცნების დასადგენად პირველად ვ. ი. ლენინმა შემოიღო. იკვლევდა რა მეფის რუსეთში ფაბრიკების რიცხვის ზრდას, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „ჩვენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკაში „ფაბრიკის" ცნება მეტად ქაოტურად იხმარება" და დაასკვნიდა: „უწინარეს ყოვლისა საჭიროა დავადგინოთ „ფაბრიკის" ცნების ერთი რაიმე ზუსტი ნიშანი. — უამპირობოდ უაზრობა იქნებოდა მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების დასურათება იმ საწარმოთა შესახები ცნობებით, რომელთა რიცხვში სხვადასხვა დროს ხვდებოდა სხვადასხვა რაოდენობა წვრილ წისქვილებისა, ზეთსახდელებისა, აგურის საწვავებისა და სხვ. და სხვ. ასეთ ნიშნად ავიღოთ საწარმოში დაბანდებულ მუშათა რიცხვი არანაკლებ 16-ისა..." [107] ეს, ასე ვთქვათ, პირობითი ნიშანი გათვალისწინებულია საბჭოთა მკვლევრების იმ ნაშრომებში, რომლებიც მიზნად ისახავენ რევოლუციამდელი რუსეთის (ასევე საქართველოს) მანქანური წარმოების გამოყოფას მრეწველობის დაბალი ფორმებისაგან.

გამონაკლისს წარმოადგენს დ. გოგოლაძე, რომელიც ფაბრიკის ცნების დასადგენად მოცემულ პირობით ნიშანს ისევე არ ცნობს, როგორც მ. სამსონაძე მანქანა-ძრავას ანუ ორთქლის მანქანას.

დ. გოგოლაძე დასახელებულ წიგნში კვლავ უბრუნდება მანუფაქტურის არსის საკითხს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ მანუფაქტურული წარმოებისათვის არსებითია მხოლოდ მუშებს შორის შრომის დანაწილების მომენტი. ასე მაგალითად, იგი 4—5 მუშიან საწარმოს, იმ ნიშნით, რომ მუშები აქ სხვადასხვა ოპერაციებს ასრულებენ, მიაკუთვნებს მანუფაქტურას. ამასთან, დ. გოგოლაძე დასძენს, რომ „მანუფაქტურა წვრილ კუსტარულ საწარმოსაგან განირჩევა, როგორც წესი, თავისი სიდიდით და ცხადია, ასევე მასში დასაქმებული მუშების რაოდენობით, რადგან მანუფაქტურა წვრილი კაპიტალისტური წარმოების მომდევნო, უფრო მაღალი საფეხურია" [108].

თუკი 4 — 5 მუშიანი საწარმო შეიძლება წარმოადგენდეს მანუფაქტურას, ისმის კითხვა — რამდენი მუშაა სავარაუდო „წვრილ კაპიტალისტურ წარმოებაში?"... ვეჭვობთ, რომ 2—3 მუშა, როგორც წესი, იძლეოდეს იმდენ ზედმეტ ღირებულებას, რომ ასეთი საწარმო კაპიტალისტურად მივიჩნიოთ და არა წვრილ საქონლურ წარმოებად.

დ. გოგოლაძე მანუფაქტურულ სტადიას საქართველოში XVIII ს. მეორე ნახევრიდან XIX ს. მიწურულამდე ვარაუდობს. ამას აბათილებს თვით ავტორის განცხადება: „მანუფაქტურული სტადიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია, დროის გარკვეულ პერიოდში, მანუფაქტუ-

107 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 552.

108 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 177.

რული წარმოების მეტი ხვედრითი წონა კაპიტალისტური მრეწველობის სექტორში. ეს იმას ნიშნავს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში კაპიტალისტურ მრეწველობაში მანუფაქტურულ წარმოებაზე უნდა მოდიოდეს მეტი ხვედრითი წონა, ვიდრე წვრილ სასაქონლო და მანქანურ წარმოებაზე" [109].

თვით დ. გოგოლაძეს არსად არ მოუცია ასეთი შეფარდების დადგენის ცდა, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულ გაანგარიშებას იგი ხელაღებით იწუნებს. დ. გოგოლაძე უფრო სერიოზულად რომ ჩაკვირვებოდა არსებულ გაანგარიშებათა კრიტერიუმს (რომლის განმსაზღვრელია მუშათა რაოდენობა, შრომის დანაწილება, პროდუქციის მოცულობა და ტექნიკური აღჭურვილობა), მეტ ანგარიშს გაუწევდა მანუფაქტურული სტადიის სხვა მკვლევართა მიერ მიღებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს (30-იანი — 80-იანი წლები). შეძლებდა XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. დასაწყისში წვრილი წარმოების უპირატესი განვითარების, ხოლო XIX ს. 80-იანი წლების შუახანებიდან და განსაკუთრებით 90-იან წლებში მანქანური წარმოების ხვედრითი წონის განუხრელი ზრდის დანახვას.

1968 წელს გამოიცა გ. მარგიანის ნაშრომი — „სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში". ავტორმა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მონოგრაფიულად შესწავლის გზით სცადა ისეთი საკითხების კომპლექსურად შესწავლა, როგორიცაა სამრეწველო რაიონის ბურჟუაზიის გენეზისი, სამრეწველო რაიონის მუშათა კლასის ჩამოყალიბება, მრეწველობის სტადიების დადგენა, ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის როლი ჭიათურაში, ცარიზმის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა, მრეწველთა წარმომადგენლობითი ორგანიზაცია (ყრილობა), ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის მდგომარეობა, ქართული საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება მრეწველობისადმი და სხვ. ავტორმა არ გაიზიარა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება, რომელიც მთელი რევოლუციამდელი ხანის ჭიათურის მრეწველობას აცხადებს „წვრილ, კუსტარული" „პრიმიტიული და მტაცებლური-პირველყოფილი" ან კიდევ „შინამრეწველური ფორმის" წარმოებად. მისი აზრით, „90-იან წლებში საფუძველი ეყრება მრეწველობის მოცემული დარგის გარდაქმნას ინდუსტრიულ ყაიდაზე. სამრეწველო გადატრიალება ძირითადად დასრულებულ სახეს პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში იღებს" [110]. ის მკვლევრები, რომელთა შეხედულებაც მოტანი-

---

109 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 186.

110 გ. მ ა რ გ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 461.

ლი დებულების ავტორმა გადასინჯა, ამ თვალსაზრისს არ იზიარებენ, ან იზიარებენ ნაწილობრივ.

ამრიგად, ჩვენ გავეცანით საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის საბჭოურ ისტორიოგრაფიას და დავინახეთ, რომ მოცემული პრობლემის გასაშუქებლად გარკვეული საკვლევაძიებო სამუშაოებია ჩატარებული; რთული პროცესის არა ერთმა საკითხმა ჰპოვა სწორი გადაწყვეტა, მრავალი ამჟამადაც სადავოა ან შეუსწავლელი.

საქართველოს მრეწველობის განვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში შედარებით უკეთაა გამოკვლეული. საქართველოს სამრეწველო საწარმოო ძალთა განვითარება იმპერიალიზმის ეპოქაში (XX საუკუნის დამდეგიდან სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე) ამ უკანასკნელ წლებამდე სავსებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მდგომარეობას, სამწუხაროდ, ვერ ცვლის XIX საუკუნის საქართველოს ეკონომიური განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში გაკეთებული ზოგადი ექსკურსები, ვერც XX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი თუ კონკრეტული ხასიათის ნაშრომებში ქვეყნის სამრეწველო განვითარების შესახებ მოცემული მიმოხილვები და დასკვნები, რომლებიც საფუძვლიანი კვლევის გარეშეა გაკეთებული. ასე რომ, საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარება იმპერიალიზმის ეპოქაში ჩვენს ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანწილად გაუტეხავი ყამირია.

საგანგებოდ აღსანიშნავია შემდეგიც: ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში თავიდანვე შეინიშნება ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური მრეწველობის დონის ერთგვარი შეუფასებლობა, რომლის დაძლევა უკანასკნელ ხანს გაღრმავებული კვლევაძიების საფუძველზე ინტენსიურად ვიმდინარეობს.

ქვეყნის სამრეწველო და საერთოდ კაპიტალისტური განვითარების ერთ-ერთი არსებითი მხარეა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება. ეს პრობლემა დიდხანს არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი, თუ არ ჩავთვლით ცალკეული ქალაქებისადმი მიძღვნილ რამდენიმე მონოგრაფიას [111] და თბილისის 1500 წ. იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ ზოგადი ხასიათის ნაშრომს [112]. მკვლევართა უმრავლესობა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საკითხთან კავშირში ძირითადად ეხებოდა ქალაქების მოსახლეობის ზრდას XIX ს. მეორე

---

111 მ. ნიკოლეიშვილი, სამტრედიის ისტორიიდან (1870—1921 წწ.), ქუთა-1937; ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958.

112 შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958.

ნახევარში. ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს ე. ხოშტარიას წიგნში ქალაქების განვითარებისადმი მიძღვნილი თავები, სადაც მოცემულია ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე (რაც XIX ს. პირველ ნახევარში, ასევე რეფორმის შემდეგდროინდელ პერიოდში მიმდინარეობდა), ქალაქების მოსახლეობის დინამიკა ამავე პერიოდში, ცვლილებანი ქალაქის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაში XIX ს. მთელ სიგრძეზე და სხვ., თუმცა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ბურჟუაზიული ხანის XX ს. მონაკვეთი კვლავ შეუსწავლელი რჩება.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბურჟუაზიული ხანის საქართველოში კომუნიკაციისა და ტრანსპორტის საშუალებათა განვითარების შესწავლას; ამავე დროს, მრეწველობისა და მიწათმოქმედების წარმოების წესში მომხდარმა რეოლუციამ, ჩვენში, ისევე როგორც ეს თავის დროზე საზოგადოდ ხდება, „განსაკუთრებით აუცილებელი გახადა აგრეთვე რევოლუცია საზოგადოებრივი წარმოების პროცესის საყოველთაო პირობებში, ე. ი. კომუნიკაციისა და ტრანსპორტის საშუალებებში“ (კ. მარქსი). ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების ისეთი უმნიშვნელოვანესი სფეროები, როგორიცაა ვაჭრობა და ფინანსები, დღემდე არაა ჯეროვნად გამოკვლეული.

ბურჟუაზიული საქართველოს აგრარული ურთიერთობის ევოლუციისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კვლევა-ძიებას გარკვეული ყურადღება ექცეოდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე. იმ დროს გამოცემული პირველადი წყაროები და გამოკვლევები საკმაო მასალას შეიცავს მიწათმფლობელობა-სარგებლობის ფორმების, აგრარული ევოლუციის, სასაქონლო წარმოების განვითარების, ვაჭრობა-მევახშეობისა და სხვა საკითხებზე. მაგრამ ხშირად ეს მასალა და მკვლევართა დასკვნები არასანდო, მიუღებელი. წინააღმდეგობრივი და ტენდენციურია.

ხალხოსნური, ლიბერალურ-ბურჟუაზიული და სოციალ-ფედერალისტური მიმდინარეობის პუბლიცისტები, დამკვირვებლები და მკვლევრები თითქმის ყურადღების გარეშე ტოვებდნენ სოფლის კაპიტალისტური განვითარების ტენდენციებს, თვალს ხუჭავდნენ და არ ამჩნევდნენ გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესს, გლეხური ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის წარმოშობას. ბევრი მათგანი ცდილობდა „დაესაბუთებინა“ სოფლის არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობა და „ამტკიცებდა“, რომ სოფლის მეურ-

ნეობაში წვრილი სასაქონლო წარმოება ბატონობს და ამ სფეროში მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას მომავალი არ აქვსო. ინტელიგენციის წრეში ასეთი შეხედულების ფართოდ გავრცელება იყო იმის უმთავრესი მიზეზი, რომ რევოლუციამდელ არამარქსისტულ ისტორიულ-ეკონომიურ ლიტერატურაში კაპიტალიზმზე და სოფლის მეურნეობრივ კაპიტალისტურ საწარმოებზე თითქმის არ გვხვდება არცერთი სერიოზული გამოკვლევა. ამ მხრივ თითქმის ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ს. ავალიანის ოთხტომეული [113], სადაც პირველად არის წამოყენებული დებულება, რომ ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის გატარების წინაპირობები მხარის სოციალურ-ეკონომიური განვითარებით მომზადდა. იქვე დეტალურადაა გაშუქებული რეფორმის მომზადებისა და გატარების ისტორია.

ვ. ი. ლენინი თავიდანვე იბრძოდა ქვეყნის განვითარების ისტორიულ-ობიექტური პროცესის მრუდე სარკეში წარმოჩენის წინააღმდეგ. მან ფესვებამდე გააშიშვლა ხალხოსნებისა და სხვ. წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობათა მცდარი თეორიები და ჯერ კიდევ XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე დაწერილ თავის ნაშრომებში მოგვცა სოფლად კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ყველა მოვლენის მთლიანობაში, ურთიერთგანპირობებულობაში შესწავლის ნიმუში.

მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით შეიარაღებული საბჭოთა ისტორიულ-ეკონომიურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კაპიტალისტური ხანის საქართველოს სოფლის შესწავლას. დღემდე ვამოქვეყნდა პ. გუგუშვილის, შ. ჩხეტიას, ა. კიკვიძის, ი. ანთელავას, ვ. მოჩალოვის, პ. რატიანის, გ. მეგრელიშვილის, ი. მირცხულავას, გ. ძიძარიას, ზ. ვანეევის, ვ. აბაევის, ი. უთურაშვილის, ა. ბენდიანიშვილის, ნ. ნაცვლიშვილის, აბელ სურგულაძისა და სხვა ავტორთა ნაშრომები, რომელთაგან. ზოგში სპეციალურად, ზოგში გაკვრით განხილულ-გაშუქებულია საქართველოს სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა მხარეები. მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩატარებული საქართველოში საგლეხო რეფორმის შესწავლის ხაზით. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა შ. ჩხეტიას, პ. გუგუშვილის, ი. ანთელავას, გ. ფურცელაძისა და სხვათა ნაშრომები.

პ. გუგუშვილს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის XIX ს. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკის და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების შესწავლაში. მან გამოიკვლია აგრარული

---

113 С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I—IV, 1912—1920. მეხუთე ტომი, სამწუხაროდ, არ გამოცემულა. ეს ტომი ხელნაწერის სახით ინახება პროფ. გ. მეგრელიშვილის პირად არქივში.

ურთიერთობის ფორმები, სოფლის მეურნეობის დარგები. მკვლევარი გარკვეულ ყურადღებას აქცევს აგრეთვე აგრარულ-სამეურნეო ევოლუციის, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ფაქტებს და იძლევა არაერთ საყურადღებო დასკვნას [114].

ი. ანთელავას ორტომეულში [115] მოტანილი მასალა და ავტორისეული დასკვნები ცხადყოფს, რომ სახაზინო სოფელში უფრო სწრაფად მიმდინარეობდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, რომ იქ უფრო მრავალრიცხოვანი და მძლავრი იყო გლეხობის კულაკური ზედაფენა. ი. ანთელავას და ვ. გუჩუას წიგნში [116] ყველა კატეგორიის გლეხთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობაა შესწავლილი. იქვე გაშუქებულია აგრარული ევოლუციის ზოგი საკითხი. სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შესწავლის საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯია ი. ანთელავას და ე. ორჯონიკიძის გამოკვლევა [117], რომელშიც, არსებულ ლიტერატურაზე და რიგ პირველწყაროებზე დაყრდნობით, მოკლედ გაშუქებულია პრობლემის ცალკეული საკითხები. ნაშრომში ნაჩვენებია კაპიტალისტური ხანის საქართველოს სოფლის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. აღდგენილია მისი რეალური სურათი, მაგრამ ნაშრომის შედარებით მცირე მოცულობის გამო, მოცემულ დასკვნებს აკლია კონკრეტული ფაქტებით შემაგრება, ეს სურათი რამდენადმე სქემატურია.

სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მხარე გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციაა. ამ საკითხის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი. უთურაშვილმა [118]. მან მიახლოებით დაადგინა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობის

---

114 ვ. გ ო გ ო შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941; მ ი ს ი ვ ე, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება, ტ. II, III, IV, თბ., 1956—1965 წწ.; მ ი ს ი ვ ე. მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—1920 წწ., თბ., 1954. П. В. Гугушвили, Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., I, Тб., 1968.

115 И. Г Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. I, 1955, т. II, 1962. (ტომი I, ავტორმა მცირე შემოკლებებით ხელმეორედ გამოაქვეყნა 1969 წელს).

116 ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ვ. გ უ ჩ უ ა, საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1967.

117 იხ. И. Антелава, Э. Орджоникидзе, Э. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленность Грузии, 1967, (თავი II).

118 ი. უ თ უ რ ა შ ვ ი ლ ი, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარში, თბ., 1957 წ.; მ ი ს ი ვ ე. გლეხობის სოციალურ-ეკონომიური ჯგუფების თანაფარდობა აღმ. საქართველოში, „მაცნე“, 1967, № 1.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პროცენტული თანაფარდობა, პირველმა სცადა სოფლის პროლეტარიატის რაოდენობის განსაზღვრა.

ა. კიკვიძის ორტომეულში [119] და საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე წიგნში [120], რომლის პირველი ნაწილის ავტორია პ. რატიანი, ზოგად ხაზებში სწორად არის ნაჩვენები საკაპიტალისტო მიწათმოქმედების, აგრარულ-სამეურნეო ევოლუციისა და საერთოდ სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ძირითადი ტენდენციები. საყურადღებოა ი. მირცხულავას ორტომეული, სადაც მკაფიოდაა ნაჩვენები აგრარული ურთიერთობისა და გლეხთა მდგომარეობის სურათი XIX საუკუნის ბოლოსა და XX ს. რევოლუციამდელ ხანაში. ნაჩვენებია აგრარული საკითხის როლი გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში, კრიტიკულადაა გარჩეული საქართველოს პოლიტიკური პარტიების აგრარული პროგრამები და სხვ.[121]

ვ. ი. ლენინმა დეტალურად გააშუქა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების გზების საკითხი, ცხადყო, რომ რუსეთის იმპერიის სოფელში კაპიტალიზმი ვითარდებოდა როგორც პრუსიული, ისე ამერიკული გზით. პრუსიული ევოლუცია სპარბობდა მემამულეებითა და დროებით ვალდებული გლეხებით დასახლებულ მხარეებში, ამერიკული ევოლუცია კი თავისუფალი და სახაზინო გლეხებით დასახლებულ ოლქებში.

ვ. ი. ლენინის ამ სახელმძღვანელო დებულების შუქზე საქართველოს ფაქტიური ვითარება ბოლო ხანებამდე არავის გამოუკვლევია, თუმცა ზოგი მეცნიერი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ხაზინისა და მემამულური მიწათმფლობელობის ბატონობის გამო საქართველოში განვითარების ერთადერთი გზა იყო პრუსიული გზა. ამერიკული ევოლუციისათვის კი ადგილი არ რჩებოდა.

საქართველოს სოფლის კაპიტალისტური განვითარების გზების საკითხი პირველად დასვა და ლენინის სახელმძღვანელო დებულებაზე დაყრდნობით არსებითად გადაჭრა კიდეც ალ. ბენდიანიშვილმა [122]. საქართველოს ფაქტიური ვითარება ავტორს ასე აქვს წარმოდგენილი: XIX ს-ის რეფორმის მომდევნო ხანაში საქართველოს მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ სახელმწიფო გლეხები. მართალია, ცარიზმი

---

119 ა. კ ი კ ვ ი ძ ე. საქართველოს ისტორია, ტ. I—II, 1954 და 1959.

120 საქართველოს ისტორია, ტ. II, 1958.

121 ი. მ ი რ ცხ ულ ა ვ ა. აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წლებში. წიგნი I, II. თბ., 1964 და 1967 წლები.

122 ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში. 1890—1917 წლებში. 1965; მ ი ს ი ვ ე. საქართველოს სოფელი 1864—1917 წლებში. საბოქტორო დისერტაცია, 1967.

ინარჩუნებდა ხაზინის მიწის საკუთრების მონოპოლიას, ყოველნაირად აფერხებდა სახელმწიფო გლეხთა გადასვლას მესაკუთრეთა კატეგორიაში, ცდილობდა აღეკვეთა მათი ქონებრივ-კლასობრივი დიფერენციაცია. მაგრამ, როგორც ლენინი აღნიშნავდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკვე შეუძლებელი გახდა სახაზინო გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაცია. სახელმწიფო გლეხები ნაკლებ ექცეოდნენ კაბალაში და მათი წრიდან უფრო სწრაფად ხდებოდა სოფლის ბურჟუაზიის გამოყოფა. სახელმწიფო გლეხთა ზედაფენამ კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობები საკმაო რაოდენობით შექმნა სიღნაღის, ბორჩალოს, დუშეთის, თიანეთის, ქუთაისისა და სხვა მაზრებში. აქ აშკარად სჭარბობდა კაპიტალიზმის განვითარების ამერიკული გზა. სხვა რაიონებში, მართალია, უფრო ძლიერი იყო კაპიტალიზმის პრუსიული გზით განვითარების ტენდენცია, მაგრამ ამერიკული ტიპის ევოლუციაც შეინიშნებოდა. იქ გლეხურ-ბურჟუაზიული ევოლუციის მატარებელი მესაკუთრე გლეხობა იყო. საქართველოში საკმაოდ ბევრი კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ვაჭარ-მრეწველებმაც შექმნეს. ამგვარად, საქართველოში მემამულური და სახაზინო მიწათმფლობელობის ბატონობის მიუხედავად, ხაზინა და მემამულეები ვერ ახერხებდნენ გლეხური მეურნეობის გადაქცევას მემამულური მეურნეობის დანამატად. ჩვენს ქვეყანაში გლეხური მეურნეობა ძირითადად ეკონომიურად დამოუკიდებელ ერთეულს შეადგენდა და გადამწყვეტ როლს ასრულებდა წარმოებაში, განაპირობებდა სოფლის მეურნეობის ამერიკული გზით განვითარების გარკვეულ უპირატესობას.

ალ. ბენდიანიშვილის ნაშრომში დღემდე უცნობი წყაროების საფუძველზე მონოგრაფიულადაა შესწავლილი აგრეთვე რამდენიმე ათეული გარდამავალი ტიპის მემამულური და წმინდა კაპიტალისტური ტიპის ვაჭარ-მრეწველთა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ამ გამოკვლევამ ცხადყო, რომ საქართველო სავაჭრო და კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარებით რუსეთისა და უკრაინის მოწინავე გუბერნიების დონეზე იდგა.

ასეთია ზოგად ხაზებში ბურჟუაზიული ხანის საქართველოს აგრარული ურთიერთობისა და სოფლის მეურნობის ისტორიის კვლევაძიების უმთავრესი შედეგები. მთავარი ის არის, რომ აგრარული ურთიერთობის გაღრმავებული შესწავლა ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე აზრთა ბრძოლის ვითარებაში მზარდი წარმატებით მიმდინარეობს. იგივე ითქმის სოფლის მურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებაზე. ძირითადად დაძლულია სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების დონის შეუფასებლობა.

საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა ვრცლადაა დახასიათებული ქართველი საბჭოთა მეცნიერების ისტორიოგრაფიულ ნარკვევებში [123], რის გამოც მას გაკვრით შევეხებით და არსებითად მარტო უახლეს გამოკვლევებს განვიხილავთ.

საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის ცალკეული ეპიზოდები ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის წარმომადგენელთა რევოლუციამდელ ნაშრომებშია გაშუქებული. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იმთავითვე დაიწყო საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის ფართო გეგმით შესწავლა. კვლევის ცენტრი მალე გახდა საქ. კპ(ბ) ცკ-თან არსებული ისტორიულ-პარტიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდეგ—სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი).

საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობას და რევოლუციურ ბრძოლას ნარკვევები უძღვნა არაერთმა მკვლევარმა. შემდგომ შედარებით უფრო საფუძვლიანად მუშათა კლასის ისტორია გააშუქა ფ. მახარაძემ [124]. იგი სწორად მიუთითებდა, რომ საქართველოში მუშათა კლასის ჩამოყალიბება განხილულ უნდა იქნეს კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარებასთან კავშირში, თუმცა ეს პრინციპი განზე რჩება, როცა ავტორი თვლის, რომ საქართველოში მუშათა კლასი დაახლოებით XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩაისახა, ხოლო როგორც კლასი, იგი 80—90-იან წლებში ჩამოყალიბდა.

ფ. მახარაძემ დაახასიათა მუშათა კლასის მდგომარეობა, მუშათა ბრძოლის დაბალი ფორმებიდან მაღალზე გადასვლა. ავტორი მუშათა კლასის ჩამოყალიბებასა და მოძრაობაში ორ ეტაპს გამოყოფს: პირველი. როცა მუშათა კლასს არ ჰქონდა შეცნობილი თავისი ამოცანები და სტიქიურ ბრძოლას ეწეოდა; მეორე, როცა მუშათა კლასი ჩამოყალიბდა, ეზიარა მარქსისტულ იდეებს და სოციალ-დემოკრატიის ხელმ-

---

123 იხ. ი. კაჭარავა. ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962; ე. ხოშტარია. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, წიგნი II, თბ., 1968. შესავ. „პროლეტარიატის ისტორიის შესწავლა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში".

124 იხ. Ф. Е. Махарадзе, Очерки революционного движения в Закавказье, Тб.; Его же, История возникновения и развития рабочего движения в Грузии (см. книгу: Ф. Махарадзе и Г. Хачапуридзе. Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии, М., 1932); Его-же, Грузия в девятнадцатом столетии, Тиф., 1933; ფ. მახარაძე, 1905 წელი ამიერკავკასიაში, თბ., 1932.

ძღვანელობით თანდათან გადავიდა პოლიტიკურ ბრძოლაზე. ამ პერიოდს XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს უკავშირებს. ასევე საყურადღებოა ფ. მახარაძის დაკვირვება მუშათა კლასის რიცხობრივი ზრდის პროცესზე.

საყურადღებოა ა. კიკვიძის წიგნი — „მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში. 1870 — 1901 წწ." (თბ., 1945), სადაც განხილულია: მუშათა კლასის ჩამოყალიბების წყაროები. ქალაქების მოსახლეობის ზრდა სოფლის მოსახლეობასთან შედარებით, ახსნილია მუშათა კლასის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები, ხაზგასმულია მუშათა კავშირი სოფელთან. პროლეტარიატის, როგორც კლასის, ჩამოყალიბებას ა. კიკვიძე უკავშირებს მუშათა მოძრაობის გაშლას: „ამ ბრძოლაში ისე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოში XIX საუკუნის 70-იან წლებში ყალიბდებოდა მუშათა კლასი"[125].

ა. კიკვიძე განიხილავს მუშათა კლასის მდგომარეობას. სოციალ-დემოკრატიის შეერთებას მუშათა მოძრაობასთან, წარმოგვიდგენს მუშათა კლასის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ვრცლად აშუქებს 70—90-იანი წლების მუშათა მოძრაობის ასახვას ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. მისი სქემით, მუშათა მოძრაობა ორ ძირითად საფეხურად იყოფა: 1898 — 1900 წლებამდე და შემდეგ: 1898 — 1900 წლებამდე მუშათა მოძრაობა თბილისში არაორგანიზებულია, სხვა სამრეწველო რაიონებში ეს მოუმზადებლობა კიდევ უფრო საგრძნობია; დასახელებული წლებიდან გარდატეხა ხდება თბილისის მუშათა მოძრაობაში. ამ წლებში მუშათა მოძრაობას რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს და მუშათა კლასი ეკონომიური ბრძოლიდან პოლიტიკურ ბრძოლაზე გადადის. ასევე აღსანიშნავია ს. ხუნდაძის, პ. გუგუშვილის, ნ. მახარაძის, ი. ხუციშვილის, ნ. სტურუას, გ. მეგრელიშვილის, ლ. გორგილაძის, ი. კაჭარავას გ. ბაქრაძის. ნ. ჩახვაშვილის, ვ. ჯიქიას, ვ. მესტვირიშვილის, მ. ჯიჯეიშვილისა და სხვათა ნაშრომები. სადაც მეტ-ნაკლები სიზუსტით და სიღრმითაა გაშუქებული საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობა, რიცხობრივი და თვისობრივი ზრდა, მუშათა კლასის ბრძოლა, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის როლი მუშათა მოძრაობაში და სხვ.

საყურადღებოა საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები (ტ. I, თბ., 1957), სადაც გადმოცემულია საქართველოს მუშათა კლასის მოკლე ისტორია.

აღსანიშნავია ე. ხოშტარიას „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში" (წიგნი

---

125 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. 113.

II). ავტორმა დაადგინა, რომ XIX საუკუნის დამლეევს საქართველოში თავის შრომას აქირავებდა 90 ათასი მუშა (სოფლის მეურნეობის მუშების, ასევე სეზონური მუშების დიდი ნაწილის გამოკლებით), აქედან საკუთრივ მრეწველობაში ჩაბმული იყო 24 ათასი მუშა. მანვე განსაზღვრა რეფორმისმერმინდელ ხანაში საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, წვრილ, მანუფაქტურულ და ფაბრიკულ-ქარხნულ წარმოებაში დასაქმებული მუშახელის თანაფარდობა, მუშათა სქესობრივი, ასაკობრივი და ეროვნული შედგენილობა, ასევე განათლების დონე. ავტორს მიზნად დაუსახავს მუშათა კლასის შემადგენლობაში თვისობრივი ცვლილებების, მსხვილ წარმოებაში ჩაბმული მუშების ხვედრითი წონის ზრდის, კლასობრივი თვითშეგნების გამომუშავების ჩვენება. ნაშრომში გადასინჯულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის დამლეევს დასრულდა. ავტორმა არ გაიზიარა დღემდე გავრცელებული შეხედულება, რომელიც საქართველოს მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებას 1898 — 1900 წლებით განსაზღვრავს. ირკვევა, რომ ორივე მოვლენა უფრო გვიან, XX საუკუნის დამდეგს დასრულდა.

საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი რაზმის — ჭიათურის სამრეწველო რაიონის მუშათა კლასის კონტინგენტის შექმნის და ბრძოლის ისტორია მოცემულია გ. მარგიანის წიგნში „სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში“ (თბ., 1968 წ.).

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს სოფლიდან მოსული გლეხობის დიდი ნაწილი თავდაპირველად წარმოებაში მხოლოდ დროებით, სეზონურად ებმებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მუშების კავშირი სოფელთან სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. ყალიბდებოდა მუდმივ მუშათა კონტინგენტი. გაირკვა, რომ XX ს. დასაწყისისათვის ჭიათურაში დასაქმებული იყო 8 ათასი მუშა, ხოლო 1913 წლისათვის 12 ათასი კაცი, მუშათა შორის ქართველები შეადგენდნენ 80 — 85 პროცენტს.

ნაშრომში გაშუქებულია ჭიათურელ მუშათა ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ავტორი იშველიებს ახალ მასალებს, რომელიც მოგვითხრობს მუშათა პოლიტიკურ გამოსვლაზე უკვე 1902 წლის ივლისში.

ამ უკანასკნელ წლებში მკვლევარმა მ. კანტერემ საქართველოს მუშათა კლასის შესახებ გამოაქვეყნა რამდენიმე ნარკვევი, მათ შორის წიგნი — „Из истории рабочего класса Грузии“ (თბ., 1970),

სადაც ნაცადია საქართველოს მუშათა კლასის რაოდენობრივი მაჩვენებლების, ასევე მუშათა კლასის შემადგენლობის დადგენა რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერისა და პროფკავშირების 1921 წლის სტატისტიკური ცნობების განხილვის საფუძველზე.

ავტორის უდავო დამსახურებაა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პირობებში საქართველოს მუშათა კლასში მომხდარი ძირფესვიანი სოციალური ცვლილებების აღნიშვნა. საყურადღებოა საქართველოს მუშათა კლასის რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენა მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, ურომლისოდაც შეუძლებელი ხდება ზოგიერთი „კატეგორიის" (ვთქვათ, მშენებლების, სავაჭრო, კომუნალური დაწესებულებების) მუშათა რიცხვის სრულად გათვალისწინება, ასევე იმპერიის სხვადასხვა გუბერნიებიდან და უცხოეთიდან მოსული მუშების აბსოლუტური და შეფარდებითი რაოდენობის წარმოდგენა. მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოს მუშათა კლასის რიცხობრივი მაჩვენებლების შედარება იმპერიის სხვა გუბერნიების შესაბამის მაჩვენებლებთან (იმავე 1897 წლის მონაცემების მიხედვით). ყოველივე ეს მიგვაჩნია მ. კანტერეს ნაშრომის ღირსებად.

ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს მ. კანტერეს დასახელებული ნაშრომის სერიოზული ხარვეზები, რომელიც ავტორის კვლევის არასწორი მეთოდიდან მომდინარეობს. მოცემული თვალსაზრისით მძიმე შთაბეჭდილებას ქმნის მ. კანტერეს მიერ საკვლევი პრობლემის ისტორიოგრაფიის უგულებელყოფა, იგნორირება. ავტორი საქმეს ისე წარმოადგენს, რომ თითქოსდა მისი წინამორბედი მკვლევრებიდან არავის განუსაზღვრავს საქართველოს „მთელი მუშათა კლასის რიცხვი" (იხ. მისი ნაშრ., გვ. 5), არავის დაუდგენია „მრეწველობის სხვადასხვა დარგებში დასაქმებული მუშების რიცხვი, რის გამო შეუძლებელი ხდება სამრეწველო მუშათა შემადგენლობის სტრუქტურის დადგენა" (გვ. 31), „ამასთანავე არ არსებობდა საერთო აზრიც" (გვ. 5) და სხვ. ერთი სიტყვით, მ. კანტერე იმდენად ამუქებს ვითარებას, რომ საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა შეიძლება მართლაც დაიჯეროს—რევოლუციამდელი საქართველოს მუშათა კლასის ისტორია ჩვენი ავტორის წიგნის გამოცემამდე თითქმის გაუტეხავი ყამირი იყო. მკვლევარს საჭიროდ არ ჩაუთვლია განსახილველი პრობლემის ქართული ისტორიოგრაფიის თუნდაც რამდენადმე გათვალისწინება (ლიტერატურა კი, გასაგები მიზეზების გამო, უპირატესად ქართულ ენაზეა გამოცემული), არც რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომებისათვის მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება. არაფერს ვიტყვით ადრეც ცნობილი საარ-

ქივო და სხვა, მათ შორის ბეჭდური წყაროების დიდი ნაწილის, ასევე პერიოდული პრესის მონაცემების გამოუყენებლობაზე.

იმისათვის, რომ რამდენადაც შეიძლება შეაქოს და გააზვიადოს ᲩᲝსახლეობის 1897 წლის აღწერის პუბლიკაციის, როგორც საისტორიო წყაროს მნიშვნელობა (შევნიშნავთ, რომ ეს წყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში კანტერეზე ადრე სხვა მკვლევრებმა კრიტიკულად გამოიყენეს), ავტორს უხვად მოაქვს ციტატები ამავე პუბლიკაციის წინასიტყვაობიდან, რაც მის შემდგენელ, ოფიციალურ მოხელეთა კალამს ეკუთვნის. ამგვარი „დასაბუთების" შემდეგ იგი დასძენს: „აქ ჩვენ ვსარგებლობთ მხოლოდ მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მაჩვენებლებით, არ შეგვაქვს რა შესწორებანი საარქივო და ოფიციალური მასალების საფუძველზე"... (გვ. 9). ამას მ. კანტერე იმით ამართლებს, რომ საქართველოს შესახები მონაცემების სხვა გუბერნიებთან და ეროვნულ განაპირა მხარეებთან შესადარებლად „სტატისტიკური გაანგარიშების თანაბარ პირობებს ინარჩუნებს" (იქვე). მაგრამ ნაშრომის — „საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან" — უმთავრეს მიზანდასახულობას, თუკი სათაურს რაიმე ანგარიში უნდა გაეწიოს, წარმოადგენს არა ხსენებული „შედარება", არამედ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ისტორია. ავტორი სერიოზულად ირწმუნება, რომ რაოდენ „ცუდიც არ უნდა იყოს აღწერის მონაცემები მუშათა შესახებ, მათი მეშვეობით უკეთ ჩანს იმჟამინდელი რუსეთის მუშათა კლასის, კერძოდ, საქართველოს პროლეტარიატის მდგომარეობა, თუ გავიხსენებთო, რომ „Других более лучших источников царизм после себя не оставил" (გვ. 8). ავტორს ამ შემთხვევაში ავიწყდება, ჯერ ერთი, რომ 1897 წლის აღწერის მონაცემების სერიოზულ ნაკლოვანებაზე თავის დროს სავსებით გარკვევით მიუთითა ვ. ი. ლენინმა[126], მეორეც, რომ საბჭოთა მკვლევრების კალამს ეკუთვნის არაერთი ნაშრომი, სადაც 1897 წლის აღწერის მონაცემების გათვალისწინებით და, რაც მთავარია, მასთან ერთად დიდძალი საარქივო და სხვა წყაროების ფართოდ გამოყენებით, გაშუქებულია საქართველოს, ასევე რუსეთის შიდა გუბერნიებისა და განაპირა ნაციონალური მხარეების მუშათა კლასის რიცხობრივი მაჩვენებლები და შემადგენლობა. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ნაშრომებს მ. კანტერე გამოიყენებდა. უსაფუძვლოა ავტორის ჩივილი, რომ თითქოსდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში მრეწველობა ღარგობრივად არავის შეუსწავლია, რომ არც ამ დარგებში დასაქმებულ მუშათა რიცხვისა და შემადგენლობის დადგენაც არავის არ უცდია ავტორი არც მაშინაა სწორი, როცა ამტკიცებს, რომ თითქოს

126 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 3, გვ. 505.

საქართველოს „მთელი მუშათა კლასის რიცხვის“ დადგენა არავის განუზრახავს.

მთავარი კი ის არის, რომ ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია თავისი განვითარების თანამედროვე დონეზე არ სჯერდება მუშათა რიცხვის დადგენას მეურნეობის დარგებისდა მიხედვით, არამედ უკვე შეიქმნა გამოკვლევები, სადაც დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზეა ნაჩვენები მუშათა კლასის შევსების წყაროები, სამრეწველო მუშათა განლაგება მრეწველობის ფორმებისდა მიხედვით, გაშუქებულია ცვლილებანი მუშათა კლასის შემადგენლობაში, მისი ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობა, განათლების დონე და სხვ. ამით იმას როდი ვამტკიცებთ, რომ თითქოს ყველაფერი გაკეთდა და არაფერი დარჩა გამოსაკვლევი; პირიქით, უეჭველია, შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიება დიდ სიახლეს შეიტანს მუშათა კლასის ისტორიის გაშუქებაში. მაგრამ, ვფიქრობთ, კანონზომიერი იქნება, თუკი შემდგომი კვლევა წარიმართება ისტორიოგრაფიის მოცემულ სფეროში მიღწეული დონის გათვალისწინებით; საბჭოური ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად. მ. კანტერემ ეს გარემოება არ გაითვალისწინა, XIX საუკუნის დამლევის ვითარების კვლევა „თავიდან“ დაიწყო, თანაც ვიწრო გეგმით, ისიც უმთავრესად მეტად ნაკლული წყაროს (1897 წლის აღწერის) გამოყენებით. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მოცემული საკითხის კვლევაში ვერ შეძლო ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ მიღწეულ დონემდე ამაღლება.

ჩვენს ავტორს მეტად თავისებურად ესმის მრეწველობის ფორმების მარქსისტულ-ლენინური კლასიფიკაცია. ასე, მაგალითად, მას ჰგონია, რომ მსხვილ სამრეწველო დაწესებულებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი, რომელიც ერთდროულად 100 დაქირავებულ მუშაზე მეტს ითვლის (გვ. 50), ეს მაშინ, როცა მანუფაქტურაც მსხვილ წარმოებას მიეკუთვნება, ხოლო მექანიზებული საწარმოო, სადაც მუშათა რიცხვია არა ნაკლებ 16-ისა, შეიძლება მანქანურ საწარმოდ ჩაითვალოს. ასევე მიუღებელი ჩანს ავტორის მეთოდოლოგიური პოზიცია კაპიტალიზმის გენეზისის, ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი კლასების ჩამოყალიბების, სამრეწველო გადატრიალებისა და სამრეწველო პროლეტარიატის ფორმირების გაგებაში. მას მიაჩნია, რომ კაპიტალისტური „სოციალ-ეკონომიური წყობა“ („уклад“)—„это сложившееся качество с присущими ему чертами, классами“ (გვ. 36), ე. ი. თვლის, რომ კაპიტალისტური „წყობის“ არსებობა გულისხმობს ამ საზოგადოების ძირითადი კლასების ჩამოყალიბებას. მ. კანტერეს აზრით, საქართველოში სამრეწველო გადატრიალება ქრონოლოგიურად XIX საუკუნის 80-იან წლებს მოიცავს (სინამდვილეში ეს პროცესი მრეწვე-

ლობის უმთავრეს დარგებში ქრონოლოგიურად 80-იან წლებს არ უკავშირდება), ხოლო „ნამდვილი მუშათა კლასი კი ჩამოყალიბდა“ 90-იან წლებში (საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუშათა კლასი საზოგადოდ სამრეწველო რევოლუციის პროცესში ყალიბდება, რომ ამ უკანასკნელის სოციალური შედეგი სწორედ პირველის ჩამოყალიბებაა). ამდენად. ავტორი სამრეწველო რევოლუციასა და მუშათა კლასის ჩამოყალიბებას ორ სხვადასხვა ხანას უკავშირებს. სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება, მის შემადგენლობაში, მდგომარეობაში და ფსიქოლოგიაში ძირფესვიანი გარდატეხა. როგორც ცნობილია, სამრეწველო რევოლუციის პერიოდში და მის შედეგად ხდება. „მხოლოდ მსხვილი მანქანური წარმოება აღვიძებს მუშებს, ანათლებს და რაზმავს მათ, ობიექტურ პირობებს ქმნის მასობრივი მოძრაობისათვის“ [127].

ავტორი რიგ შემთხვევაში არ იცავს ისტორიზმის პრინციპს; ეს, როგორც ჩანს, გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი წყაროს პუბლიკაციებს არ იცნობს. აი, მაგალითიც: ავტორი გვთავაზობს საქართველოს მრეწველობაში 1897 წელს დასაქმებულ მუშათა დარგობრივი განლაგების ჯამურ მონაცემებს და იქვე მიუთითებს, რომ იმავე წლის აღწერის მონაცემები დაუზუსტა და შეავსო ა. ვარზარის მიერ 1912 წელს გამოცემული სტატისტიკური კრებულის მაჩვენებლებით, რაც 1908 წლის ვითარებას ასახავს. ისმის კითხვა: თუკი ამ შემთხვევაში ა. ვარზარის პუბლიკაციის გამოყენება საჭირო იყო, რატომ არ გამოიყენა მისივე 1903 წლის პუბლიკაცია, რაც 1900 წლის ვითარებას ასახავს და უფრო ახლოა განსახილველ — 1897 წელთან?

მ. კანტერე ერთმანეთისაგან განყენებულად განიხილავს მუშათა კლასის რაოდენობრივ მაჩვენებლებს და შემადგენლობას 1897 და 1921 წლებში, მათ ერთმანეთს არ უდარებს, არ იკვლევს მოცემულ პერიოდში მუშათა კლასის რიცხობრივი და თვისობრივი ზრდის პროცესს.

მთავარი კი ისაა, რომ საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის შემდგომი კვლევა-ძიება ნაყოფიერი იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუკი მუშაობა წარიმართება საბჭოური ისტორიოგრაფიის თანამედროვე დონის გათვალისწინებით, „საშენი“ საისტორიო მასალის ფართოდ გამოყენებით.

ამრიგად. ჩვენ თვალი გადავავლეთ საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის კვლევის მიმდინარეობას (თითქმის 50 წლის მანძილზე) და დავინახეთ, რომ მოცემულ აქტუალურ პრობლემას უკვე მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. მაგრამ ავტორთა უმეტესობა მუშათა კლასის რიცხობ-

---

[127] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 455.

რივ თუ თვისობრივ ზრდას კარგა ხანს იკვლევდა ამ პროცესის განმაპირობებელი სოციალურ-ეკონომიური ვითარების ჯეროვანი გათვალისწინების გარეშე. მუშათა მოძრაობას სწავლობდა პროლეტარიატის კლასად ჩამოყალიბების პროცესთან კავშირის გარეშე. ჩვენს ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ ხანებამდე იგრძნობოდა საქართველოში მუშათა მოძრაობის მძლავრი გაქანების განმსაზღვრელი ობიექტური პირობების ანუ შინაგანი ფაქტორების ერთგვარი შეუფასებლობა. გარეგანი ფაქტორების გადაჭარბებული შეფასება, იმის გაუთვალისწინებლობა, რომ მუშათა კლასის ჩამოყალიბება. საზოგადოდ არის ხანგრძლივი, რთული პროცესი, რომელიც ერთი მხრივ, ორგანულ კავშირშია საწარმოო ძალთა ზრდის გარკვეულ დონესთან, კერძოდ, სამრეწველო გადატრიალებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერული სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის შეერთებასთან. მოცემული თვალსაზრისით ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ უკანასკნელ ხანს ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი დარჩა.

დაბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე ვერ პოვა სრული აღიარება კაპიტალისტური ხანის საქართველოს კლასობრივ ძალთა განლაგების, კერძოდ ბურჟუაზიისა და გლეხობის როლისა და იდეოლოგიის სწორმა გაგებამ.

საკმარისია ითქვას, ზოგიერთი თანამედროვე ქართველი მკვლევარი სერიოზულად ფიქრობს, რომ რეფორმათა ხანის ყველაზე მოწინავე კლასი და იმდროინდელი პროგრესის მებაირახტრე, ანტიბატონყმური რევოლუციური მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი და მამოძრავებელი ძალა იყო „აღმომავალი ბურჟუაზია", რომ თერგდალეულები (ქართველი განმანათლებლები) თავიანთი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით „აღმომავალი ბურჟუაზიის" ინტერესებს გამოხატავდნენ.

ამ თვალსაზრისზე მდგომი მკვლევრები აღიარებენ კაპიტალისტური ხანის „საქართველოსა და რუსეთის ეკონომიური განვითარების საერთო კანონზომიერებას", მიუთითებენ, რომ „რუსეთსა და საქართველოში ისტორიული განვითარების საერთო კანონზომიერება საზოგადოებრივი აზრის განვითარებასაც. აქაც და იქაც, ერთი საერთო კანონზომიერებით წარმართავდა", სიტყვიერად ცნობენ, რომ „რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაცია, მოცემული ვ. ი. ლენინის მიერ, სახელმძღვანელოა საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის ეტაპების შესწავლისას", საქმით კი საწინააღმდეგო პოზიციიდან უდგებიან როგორც ბურჟუაზიის. ისე გლეხობის როლისა და იდეოლოგიის შეფასებას — პირველს საზოგადოებრივი პროგრესის მეთაურად თვლიან, ხოლო მეორის როლსა და იდეოლოგიას სავსებით უგულებელყოფენ.

ა. ბოგვერაძე

დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ

დავით აღმაშენებლის ისტორია, ანუ როგორც ის მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაშია“ დასათაურებული — „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი“, — ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მწვერვალია.

„დავითის ისტორიკოსის შემდეგ ჩვენს ძველ ისტორიოგრაფიას აღარაფერი ახალი (იდეის განვითარების თვალსაზრისით) არ მოუცია“[1].—აღნიშნავდა აწ განსვენებული აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი. მისივე სიტყვით, ისტორიოგრაფიის, როგორც კლასობრივი ბრძოლის ძლიერი იდეოლოგიური იარაღის საილუსტრაციოდ, სხვა რომ არაფერი დაგვრჩენოდა, ამისათვის დავითის ისტორიკოსის ნაშრომიც საკმაო იქნებოდა[2].

*

* *

დავითის ისტორიკოსის თხზულებაში აისახა გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებზე აღმოცენებული კლასობრივი თუ შინაკლასობრივი ბრძოლისა და მძაფრი იდეოლოგიური დუღილის მთელი ნახევარსაუკუნოვანი ხანა ჩვენი ისტორიისა. საამისოდ კი მწერალს უბიძგა გარკვეულმა ამბებმა და მოვლენებმა. გასაგებია ამის შემდეგ, თუ დავითის ისტორიის მიზანდასახულობა და ხასიათი დიდადაა განსაზღვრული თხზულების ხასიათით. ასე რომ, ამ საკითხების ერთმანეთისაგან მოწყვეტა და მათი დამოუკიდებლად განხილვა არც გამართლებული იქნებოდა და, მით უფრო, არც შესაძლებელი[3].

1 ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები. I, 1955, გვ. 185.

2 იქვე, გვ. 183.

3 ცხადია, რომ აქ ავტორის ვინაობაზე საუბარიც უპრიანი იქნებოდა, მაგრამ ამჟერად ამისაგან თავს ვიკავებთ. თუმცა თავისი შეხედულება ამ საკითხზე წინამდება-

*

* *

დავითის ისტორიკოსი თხზულებაში აღწერილი ამბების თვითმხილველი თანამედროვე და ამასთან მეფის ახლობელი კაცი ჩანს. როცა ერწუხს მეფემ „ქმნნა წყობანი დიდნი“ ისტორიკოსი მეფის ამალაში ყოფილა, რასაც უეჭველს ყოფს შემდეგი ადგილი მისი თხზულებიდან: „... ჯრმლით მისით უკმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდაჯდისა და სარტყლისა განჭსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყნად რა დაითხია ესეოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თჳთ მისგან ვგონებდით გამოსრულად“[4]; ისტორიკოსი ხშირად ხლებია მეფეს „სლვათა შინა თჳსთა სამეფოთასა“, როცა „დაჭირებულნი და მიმძლავრებულნი“ მეფეს ხვდებოდნენ და თავიანთ გასაჭირს მოახსენებდნენ. ამ უბადრუკთა ხილვისას „მრავალგზის გჳხილავს იგი დამალტობელად ღაწუთა თჳსთა ცრემლითა“-ო[5]; მეფის შეუდარებელი ნადირობის მოწმე ის თავად ბევრჯერ ყოფილა: „ჴეშმარიტად ვერცა ერთი... შეესწორებოდა ამას, ვითარცა გჳხილავს ჩუენ“[6]; ის, როგორც ჩანს, თავისუფლად შედიოდა სამეფო წიგნთსაცავში, სინჯავდა მეფის საყვარელ წიგნებს და მის შენიშვნებს ეცნობოდა. „წიგნი სამოციქულოჲ“-ს შემოწმების შემდეგ ავტორი ამბობს: როცა მეფის მიერ წანაკითხის მაჩვენებლად დასმული ნიშნები „აღვთუალეთ“, ერთ წელიწადში „ოცდაოთხჯერ წარეკითხა“-ო[7]; მაგრამ, რაც მთავარია, მწერალს შეეძლო თურმე მკითხველისათვის ეთქვა: „ნუ მეტყჳ ჳისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიკსენნეს! უწყი ჴეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმედილითა გონებითა მიიღებდა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა თანამოწამებითა სჳნდისისათა და არა მხილებითა გონებისათა, რომლისა მოწამე არს სარწმუნო იგი ცათა შინა“[8]. ცხადია, რომ ამის

რე წერილის ავტორს ჯერ კიდევ ამ 15 წლის წინათ ჰქონდა გამოქმული (იხ. მისი „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი“, რომელიც სადიპლომო ნაშრომის სახით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სხდომაზეა დაცული 1956 წ. მაისში). დავითის ისტორიის ავტორად, იმ დროის საბუთებით, კარგად ცნობილი არსენ ბერი მიგვაჩნია. ეს აზრი, როგორც ცნობილია, პირველად ს. კაკაბაძემ წამოაყენა, რომელიც შემდეგ კ. კეკელიძემაც გაიზიარა, ხოლო ბოლო დროს ჯ. ოდიშელმა უფრო განამტკიცა (იხ. მისი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, ხელნაწერთა ინს-ტის მოამბე. V, 1963 წ.).

4 დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 329.

5 იქვე, გვ. 354.

6 იქვე, გვ. 349.

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 352.

თქმა მხოლოდ იმ კაცს შეეძლო, რომელსაც მეფე მთელი ათი წლის მანძილზე აღსარებას აძლევდა საიდუმლო ზიარების მიღების წინ[9].

როდის უნდა იყოს დაწერილი ეს „ცხოვრება"?

თ. ჟორდანიამ და შემდეგ ს. კაკაბაძემ თხზულების დაწერის თარიღად 1130-იანი წლები მიიჩნიეს[10]. ივ. ჯავახიშვილი კი თვლიდა, რომ ის 1123 — 1126 წლებში დაიწერა[11]. ეს თარიღი არც კ. კეკელიძეს ეჩვენებოდა სადავოდ[12].

რას ემყარებოდა ამ თვალსაზრისის შემუშავებისას ივ. ჯავახიშვილი? „ავტორის ერთი წინადადებითგან ჩანს, რომ როცა იგი თავის თხზულებას სწერდა, მაშინ ტფილისი დავით აღმაშენებლის მიერ აღებული ყოფილა: „ქალაქი ტფილისი იყო ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებული იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ"-ო[13].

---

[9] თუმცა „უწყი ჰეშმარიტებითი" აქ ბრძანებითი კილოა და ნიშნავს „უწყოდე ჰეშმარიტებით", ჯ. ოდიშელს ის გაუგია, როგორც „ვუწყი ჰეშმარიტებით" და აქედან ასეთი დასკვნა გაუკეთებია: „ეფიქრობთ, ეს სიტყვები ეკუთვნის ისეთ პირს, რომელმაც შეიძლება უწყოდეს და შეიძლება არც უწყოდეს ჰეშმარიტად ეს ამბავი; სწორედ ამიტომ სჯირდება ხაზგასმა—დანამდვილებით ვიცი, ეჰვი არ შეგეპაროთო" (გვ. 212). მაგრამ მოძღვრისაგან ამისი თქმა შეუფერებელია, გარეშე პირისაგან ხომ წარმოუდგენელი.

[10] მოჰყავდა რა ცნობა (დადიანთა ქრონიკა) გელათის მონასტრის დასრულების შესახებ 1130 წელს, თ. ჟორდანია წერდა: „რის მომსწავებელია ყოველივე ეს, თუ არა იმის, რომ დავით აღმაშენებლის მატიანე დაწერილია შემდეგ გელათის შესრულებისა, ე. ი. 1130 წლისა" (ქრონიკები, I, გვ. XLIV). ს. კაკაბაძე თ. ჟორდანიას ამ საბუთიანობას იზიარებდა (იხ. მისი დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა, 1913).

[11] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, 211.

[12] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, წიგნი 1, 1951, გვ. 209.

[13] ეს ფრაზა თავისთავად აღებული მართლა შეიძლება გაგებული იქნეს იმგვარად, რომ ისტორიკოსი ასხვავებს თბილისში შექმნილ ვითარებას მის სრულ დამორჩილებამდე და საბოლოო დამორჩილება-შემომტკიცების შემდეგ, როგორც ესმის ის, მაგალითად, ვ. გაბაშვილს (იხ. მისი რედაქციით გამოქვეყნებული „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან", გვ. 157). მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანა კონტექსტიდან შეუძლებელია. ისედაც ხომ წარმოუდგენელია, რომ თბილისს აღების შემდეგ ქალაქი სავსე ყოფილიყო ქრისტიანეთა სისხლით და ისტორიკოსს ეთქვა: „ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ, რომელი ესე ფრიად ეძკნებოდა სულსა დავითისსა". გამოდის, რომ თბილისს დავითი ფაქტიურად ვერც დაუჭერია საერთოდ. თე ეს ამბები „მრავალჟამ" გრძელდებოდა. მაგრამ თუ რა ვითარებას გულისხმობდა ისტორიკოსი, ეს კარგად ჩანს დავითის იმ ერთ-ერთი საპასუხო მოქმედებიდან, რომლის საჭიროებაც ზემოთქმული გარემოებით იყო გამოწვეული: „შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით, და თანა შემოჰყვეს თურქნი დიდნი. ცნა რა მეფემან, გაგზავნნა მონათაგანნი თხუთმეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ლოჭინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ, ნუ უკუე იგი თურქნი გამოვიდენ ღევნაო, და მოსწყჳდნეს ამით ღონით. ხოლო თჳთ სამასითა ოდენ მჴედრითა დაიმალა ღელეთა ავჭალისათა" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 349).

მაშასადამე, ისტორია 1122 წლის შემდგომ უნდა იყოს დაწერილი. ხოლო ისტორიის დასასრულითგან ჩანს, რომ ამ თხზულების უკანასკნელი ნაწილი მაშინ უნდა იყოს დამთავრებული, როცა მეფე უკვე მკვდარი ყოფილა... ამის გამო ცხადია, რომ ბოლო დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდგომ უნდა იყოს მიმატებული ანუ 1125 წლის შემდეგ. მაშასადამე, მთელი ისტორია 1123 — 1126 წლებში უნდა იყოს დაწერილი"[14].

აქ სწორია ის აზრი, რომ ისტორიკოსი თავის თხზულებას, უფრო სწორად თხზულების ამ ადგილს, თბილისის აღების შემდგომ წერდა. ამავე დროს ისტორიის ბოლო ფურცლებზე მას დავითის სიკვდილიც ფართოდ აღუნიშნავს, მაგრამ თავისთავად ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მთელი თხზულება მაინცდამაინც 1123 — 1126 წლებშია დაწერილი.

ჩვენი ისტორიკოსის თხზულების შესწავლიდან ჩანს, რომ იგი „ცხოვრების" წერას შესდგომია დავით აღმაშენებლის სიკვდილიდან გარკვეული ხანის გასვლის შემდეგ. მას რომ თხზულების წერა დავითის სიცოცხლეშივე დაეწყო, მეფის სიკვდილის თარიღს ასე არ აღნიშნავდა: „რამეთუ იყო მაშინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი. ოდეს ქრონიკონი იყო სამას ორმოცდახუთი"[15]. და განა ამისავე მოწმობა არაა აქ თხრობის ის მშვიდი და აუღელვებელი კილო, რომელიც ამ მძიმე დანაკლისს კარგა ხნის შეჩვეულ ადამიანს თუ შეუძლია მხოლოდ[16].

თავისი თხზულების არც ერთ ფურცელზე მწერალს არ ჰყავს თვალწინ ცოცხალი გვირგვინოსანი. ყველაფერი გარდასულ დროშია მოთხრობილი და ნაგულისხმები; ამასთან, არა იშვიათად გაცილებით მერმინდელი ვითარებაც არის გათვალისწინებული.

1106 წლისათვის[17], როცა დავითმა „მოიგონა აღშენება მონასტრისა", ისტორიკოსი იქვე უმატებს, რომ ეს ტაძარი „ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა, რ ო მ ე ლ ს ა ა ნ თანამოწმობით ხედვენ თუალნი ყოველთანი... რ ო მ ე ლ ი ც ა ა ნ წი-

---

14 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 211.

15 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 362.

16 საკვირველია თ. ჟორდანიას შთაბეჭდილება: „მთელი უკანასკნელი ნაწილი მატიანისა ისეთის გრძნობით და კილოთი არის აღწერილი, ისრეთის მწუხარებით არის აღბეჭდილი, თითქო მწერალი ახალს მკვდარს დასტირის და მოსთქვამსო".

17 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I. გვ. 239.

ნამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად. სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად...“[18].

ამ სტრიქონების წერისას ავტორი მკითხველს უდავოდ განსრულებულ ტაძარს თვალწინ უდგენს, რომელიც, ერთი ცნობით[19], დასრულდა 1130 წლისათვის (ყოველ შემთხვევაში, მეფე თავის სიკვდილისწინა ანდერძში გელათის მონასტრისადმი ამბობს: „დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძუალე შჯლთა უსრულად და წარმყვა მისთჳსცა ტკივილი სამარადისოჲ. აწ შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულჰყოს ყოველითურთ“)[20]. ისტორიკოსს აქვე არაპირდაპირ აღუნიშნავს დიდგორის ძლევამოსილი ომის შესახებაც და ამას, ყველა ნიშნით, ის წერდა შემდგომად 1121 წლისა.

„...გკრგკნნი და მანიაკნი, ფიალანი და სასუმელნი, რომელნი მოუხუნა მეფეთა არაბეთისათა, რ ა ჟ ა მ ს თჳთ იგინიცა ტყუედ მოიყვანნა, მასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა საჴსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკჳრველისა“[21].

1124 წლის შემოდგომაზე, როცა დავითმა შარვანში ილაშქრა და „აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველნი შარვანი“, ისტორიკოსი დასძენს: „განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თჳსი სჳმონ, ჴყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი“[22].

ქართლში შემობრუნებულმა მეფემ „ყივჩაყთა თჳსთა უჩინა საზამთროდ სადგური, და საზრდელი, და კაცნი ზედამდგომნი მათნი“. დავითი ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს: „ეგულებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა“, მაგრამ 1125 წლის 24 იანვარს ის გარდაიცვალა. ეჭვს გარეშეა, რომ სჳმონ ბედიელ-ალავერდელმა ჴყონდიდელის ხელი დემეტრეს მეფობაში მიიღო[23]. როცა ისტორიკოსი თავის თხზულებას წერდა, სჳმონი უკვე

---

18 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

19 დადიანთა ქრონიკა: „წელსა ჩრლ დავით აღმაშენებელმან გელათი აღაშენა“, ე ო რ ო ბ ა ნ ი ა, ქრონიკები I, გვ. 246.

20 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოც., გვ. 20.

21 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

22 იქვე, გვ. 345.

23 ნ. ბერძენიშვილის ქრონოლოგიით, 1118 — 1125 წლებში ჴყონდიდელი ვიღაც ეცნობი პირი ყოფილა და არც თუ სასურველი დავითისათვის. ეს რომ არა, მწიგნობართუხუცესად ის იქნებოდა. ამ უცნობის შემდეგ 1125 წ. დავითს ჴყონდიდლობა თავისი ერთგული და გამოცდილი მწიგნობართუხუცესის სჳმონისათვის მიუბოძებია და მასაც ამიერიდან ბედიელ-ალავერდელობისათვის თავი დაუნებებია (იხ. მისი, საეკზარო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 11).

ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი ყოფილა. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს იმისი ცნობა, თუ რომელ წელს გახდა ის ჭყონდიდელი, რომ ეს ფაქტი თხზულების თარიღისათვის, როგორც terminus ante დაგვედო. ვიცით მხოლოდ, რომ 1141 წ. ჭყონდიდელი ისევ სვიმონია[24]. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, ყველაზე მკერმეტყველური მოწმობანი თხზულების შემდეგი ადგილებია მაინც.

„ხოლო აქუნდა ამას ყოვლად ბრძენსა მეფესა საქმედ ესეცა, რომლითა უმეტეს ყოველთა საშიშად საზარელ იყო ყოველთა... არა-რა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა. დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული, — არა-რა დაეფარვოდა ყოველადვე, არამედ რაოდენცა კეთილ ფარულად ექმნის ანუ თუ ეთქუს, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტყუანიცა და მოგონებანი ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომელთა ზარგანჭდილ ყურნის... ნუ ამას ეძიებ მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას ცნობდა, თუ რა სარგებელი ეოვის ამათ მიერ... არამედ დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე: პირველად ორგულებასა, და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თჳსსა თანა, ანუ მოყუასსა თჳსსა. გინა ყრმათა თჳსთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყჳსასა საცნაურ ქმნილ არს უეჭუელად წინაშე მეფისა. და მრავალნი განპატიჟებულცა იყვნეს და მხილებულ ესევითართათჳს. ამისთჳსცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი რაჲთურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო“[25].

რად დასჭირდა მწერალს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ეს,

ეს შეხედულება. ვფიქრობთ, საჭიროებს გადასინჯვას. 1124 წლის შემოდგომაზე შარვანში „განმჳებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა“ ჩენილი სვიმონ მწიგნობართუხუცესი და ბედიელ-ალავერდელი როსღა უნდა გადაეყვანა მეფეს ჭყონდიდლის მთავარეპისკოპოსად, როცა ქართლში შემოქცეული ის სულ ორიოდე თვეში გარდაიცვალა კიდეც. ან იყო კი საიმისო საჭიროება?

მწიგნობართუხუცესის ბედიელ-ალავერდელობა, ჩვენი აზრით, ახალი მომენტია ამ „ქელის“ განჳითარებაში და იმ გარემოებით გამოწვეული კი არა, რომ 1118—1125 წლებში ჭყონდიდლის კათედრა დავითისათვის ვიღაც არასასურველ მღვდელთმთავარს ეჭირა.

სხვა საკითხია, მწიგნობართუხუცესობა დავითის სიკვდილის შემდეგ რომ გაეყარა ბედიელ-ალავერდელობას და ისევ ჭყონდიდლობას დაუკავშირდა.

24 ნ. ბერძენიშვილი, საკაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 12.

25 ქართლის ცხოვრება, გვ. 354 — 355.

ცოტა არ იყოს, საჩოთირო მხარე (ყოველ შემთხვევაში მას ასე ეჩვენება: „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე...") ასეთი დაბეჯითებით და სიცხადით გამოეტანა საზოგადოების წინაშე? ჩანს, აქ მას იმდენად წარსული ვითარების აღნიშვნა როდი აინტერესებს, რამდენადაც ის ამით დავითის საშინაო პოლიტიკას შემდეგდროინდელ, უპირისპირებს.

აქ ჩვენ მივადექით ისტორიის იმ ადგილს, რომელიც გარკვევით მიგვითითებს, თუ რა დროს და რა ვითარებაში წერდა დავითის ერთ-ერთი „თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა" თავის თხზულებას.

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თესთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვთხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი. და ესე მან უბრძნესმან ყოველთა კაცთმან კეთილად სადმე უწყოდა. ამისთვსცა არაოდეს მოაცალა ამისად განზრახვად, ანუ განსუენებად, ანუ შეკრებად და ქმნად რასამე ესევითარსა"[26].

და განა დავითის მაბრალობელთა ბრალდებანი მეფის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ასეთი სიმძაფრით და მგზნებარებით აბათილებს ისტორიკოსი, ამ ამბებისავე მოწმობა არაა. რა იყო „დიდებულთა" („დიდების" მპოვნელთა) ის „განზრახვა ბოროტი და საქმენი", რომელსაც მწერალი დავითის შემდეგ, დემეტრეს მეფობაში[27] ხედავდა?

XIII ს. სომეხ ისტორიკოსს ვარდანს თავის ისტორიაში 1130 წლის ქვეშ აღნიშნული აქვს, რომ ივანე აბულეთის ძეს და მეფის ძმას[28] განუზრახავთ დემეტრეს ტახტიდან გადაგდება და მოკვლა.

---

26 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 359.

27 თ. ჟორდანიას შენიშნული აქვს, რომ ეს „საორგულო ამბები" დიმიტრის მეფობის პირველ წლებში მომხდარა (ქრონიკები, I, გვ. XLIV).

28 ეს იყო, ალბათ, დავითის „ცხოვრებაში" მოხსენებული მეფის ძე ვახტანგი. ყიჩაყთა მთავრის ასულისაგან. ეს უფლისწული დავით აღმაშენებლის სიკვდილის წინა ანდერძშიაცაა მოხსენებული ცვატას სახელით.

დავითი თავის ანდერძში არსენ ბერის პირით დემეტრეს ავალებდა: „მივანდვენ შვილნი და დედოფალნიცა, შეამდგომლობითა ღმრთისაჲთა, რათა ძმაჲ მისი გაზარდოს. და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა, და დათა მისთა პატივ-სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა". დავითის ეს გულისნადები აშკარა დარღვევაა ტახტის მემკვიდრეობის დიდი ხნით შემუშავებული წესისა და რაღაც ამ მეფის საღ პოლიტიკურ აზროვნებას და მის უკომპრომისო ნებისყოფას არ უდგება. მაგრამ ჭეშმარიტად რომ ბრმაა სიყვარული. ხანში შესულ დავითს, ჩანს, განსაკუთრებული სიყვარულით ჰყვარებია თავისი

მეფემ ძმა შეიპყრო და თვალები დასწვა, ხოლო ივანე აბულეთის ძე ორი წლის შემდეგ ვერაგობით მოაკლეევინაო[29]. ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯა ლაშა-გიორგისდროინდელ მემატიანესაც აღუნიშნავს, მხოლოდ ის ამ ფაქტს 1145 წელზე დებს.

ვარდანის ამ ცნობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენ ვარდანის მოთხრობის მეტი სხვა არავითარი წყარო არ მოგვეპოვება, რომ ვარდანის მოკლე და ბუნდოვანი აღწერილობა შეგვეესო და საქმის ნამდვილი ვითარება გაგვეგო"[30].

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", ჩვენი აზრით, სწორედ ამ ამბების ხილვითა და ამ ვითარებაშია შექმნილი, ე. ი. 1130-იან წლებში. მართალია, ქართველი ისტორიკოსი ამის კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებს არ იძლევა და არც ამ „განდიდებულთა და განსუქებულთა" სახელებს არ ასახელებს, ის დიდებულთა ამ შეთქმულება-განდგომის ნამდვილ მიზნებსა და ზრახვებზე გაცილებით მეტს გვაძლევს და გვითვალისწინებს.

„კუალად სხვასა ბრალობასა შემოიღებენ მეტყუელნი ესრეთ: „შეიყუარნ-ს ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლისო"[31].

აი, თავი და თავი დიდგვარიან აზნაურთა მოთხოვნებისა მთელს შუასაუკუნეების საქართველოში. თითქოს, აზნაურთა ამ „ბრალდების" განმარტებას იძლეოდა ნ. ბერძენიშვილი:

უმცროსი ძე, ბატარა ცვატა-ვახტანგი, რომელიც მისი სიკვდილის ჟამს შვიდი წლის არც იქნებოდა (დაიბადა 1118 წელს). თითქოს, კაცი შეიძლება დაეჭვდეს ამ ანდერძის უტყუარობაში. მაგრამ ეს დოკუმენტი რომ ნატყუარი ყოფილიყო, ის ვახტანგის გამეფების მოსურნე დიდებულთა პარტიას უნდა შეედგინა აჯანყების წინ. მაშინ ანდერძის უმთავრესი შინაარსი — „თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამელსა ზედა" — ამ აჯანყებითვე გაუფასურებულა. ან შეიძლებოდა არსენ ბერის პირით ყალბი დოკუმენტი შედგენილიკო, იმ არსენისა, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო? ის კი უნდა ითქვას, რომ ივანე აბულეთის ძის მოთავეობით დემეტრეს საწინააღმდეგოდ გამდგარ დიდებულებს, ალბათ თავი დავითის ანდერძის აღმასრულებლადაც მოჰქონდათ. რა მნიშვნელობა ჰქონდა დავითის სურვილს, რომ ცუატა „გამზრდელ" მეფე-ძმას „შემდგომად მისსა" და ჭისივე მონაწილეობით ტახტზე აეყვანა, როცა შეიძლებოდა ეს საქმე ამ დიდებულთა „მზრუნველობითა" და მათივე ხელისშეწყობით იმთავითვე გარდაწყვეტილიყო?

სასტიკი ყოფილა გვირგვინოსანი ძმის განაჩენი. როგორც 12 წლის ყრმა უფლისწულისათვის, ისე ამ განდგომილების განმზრახ-განმგებელ ივანე აბულეთის ძისათვის.

29 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, 1948, გვ. 223—224.

30 იქვე.

31 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 359.

„მეფის ხელში „დიდება“ ძლიერი იარაღი იყო. მეფეს შეეძლო „ედიდებინა“ არა მარტო დიდი აზნაური, არამედ ყველა, ვისაც ის ამის ღირსად მიიჩნევდა. მეფისავე ნებაზე იყო დამოკიდებული დიდების შეცვლა თუ წართმევა. დიდი აზნაურებიც იბრძოდნენ „დიდებისათვის“, ე. ი. სამეფო კარის იმგვარად დაუფლებისათვის, რომ დიდების „წყალობა“ და „მოღება“ (ე. ი. ბოძება და წართმევა) მეფის ნებაზე კი არა, არამედ ამ დიდებულ აზნაურთა ნებაზე ყოფილიყო დამოკიდებული“[32].

და მერმე როგორც შეცვლილა ვითარება დავითის შემდეგ! ისტორიკოსს თავის თხზულებაში არ ავიწყდება იმის აღნიშვნა, რომ მეფე თავისი სამეფოს სხვადასხვა მხარეების მიმოვლა-მიმოხილვის შემდეგ „განაგებდა ყოველთა საქმეთა მანდაურთა“. ის ერთ ადგილას კიდეც გვიხსნის ამ „განგების“ უმთავრეს შინაარსს:

„მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვნტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა“[33]. თუ მეფის ასეთი გადამჭრელი ზომების შედეგად მის დროს მაინც „ორგულებასა, და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა“, ახლა კი გამარჯვების სასწორი დიდებულთა მხარეს გადახრილა. ამ ფენის ერთი ჯგუფის კოლექტიური ბრალდება ცენტრალური ხელისუფლების წარსული პოლიტიკისადმი მკაფიო მოწმობაა იმისა, რომ დემეტრე I სამეფო კარის საშინაო-პოლიტიკური კურსი უკვე შეცვლილია. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა წარსულ „უსამართლობაზე“ უსასოო მოთქმა მხოლოდ. ან ამისი უფლება კი მათ ექნებოდათ? მაგრამ ჯერ არც დავით აღმაშენებლის წვრილაზნაურ-მოლაშქრეთა პოლიტიკის მომხრე ძალები გადასულიყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელიდან[34]. განა მათი ხმა არ ისმის ამ ბრალდების საპასუხოდ დავითის ისტორიკოსის პირით:

„ეჰა უსამართლოებასა, ჰ უგუნურებასა!.. ამისთჳს რად არა ღმერთსაცა აბრალებ, უგუნურო, ამასვე ესრეთ მოქმედსა?.. ანუ რასთჳს ქადაგებულ არიან სამოთხისა შუებანი და სასუფეველისა ნეტარებანი ღმრთისა ნების მყოფელთათჳს ჭეშმარიტად, ხოლო საშინელებანი ურჩთა და უღირსთათჳს? უკეთუ მეფემან ერთგულნი,

---

32 საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958. გვ. 186.

33 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 339.

34 არც დემეტრე იყო, როგორც ჩანს, გულხელდაკრეფილი. დიდებულთა ღალატს, შეთქმულებას, რამდენაჯაც შეეძლო, ისიც შესაფერი ზომებით პასუხობდა: თვალების დაწვა, სიკვდილით დასჯა... მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ პირობებში მას „აღმაშენებლობა“ უკვე არ შეეძლო.

ფრთხილნი და ახოვანნი, ნაცვლად ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა.. ადიდნეს, რა უსამართლო ქმნა?.. უკმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ თავთა თჳსთა აბრალებდენ"[35].

ყოფილა სხვა ბრალდებაც დავითის მიმართ:

„ხოლო არიან ვინმე მაბრალობელნი მეფისანი ჯერეთცა ესეოდენ ჭირსედ მოქალაქობისა და მოლაშქრეობისათჳს და მკედრობათა მისთა. განუსუენებელისა მიმოსლვისათჳს და დაჭირებისა, ვითარმედ: „არცა მშჳლდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა, რამეთუ ჟამსა ჭმარებისა მათისასა ოითოეული მათი უკმარ იპოვოსო". და ესევითართა უგიობლისა. მისთჳს და ყოვლად უმიზეზოსა იტყჳან"[36].

ამ ბრალდების საპირისპიროდ ბუნებრივად გვაგონდება გიორგი III-ის დიდებულების მოთხოვნა:

„არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა"-ო[37].

რაშია საქმე? ამისი მიზეზი, ალბათ, ამ მეფეების ურთიერთისაგან განსხვავებულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. „დავითის პოლიტიკის მიხედვით,—აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი,—მთელი ქვეყანა უნდა საბეფო საქონებელი ყოფილიყო, რომელიც აზნაურების სარგებლობაში იქნებოდა გადაცემული პირადი სამსახურის პირობით (მოსაკარგავე)... თამარისაგან განსხვავებით ის მხარს უჭერდა ქვეყნების უშუალოდ სამეფოდ დაპყრობას"[38].

დავითის ძლევამოსილი ლაშქრობანი არა მარტო აძლიერებდა, არამედ კიდეც ამდიდრებდა სამეფო ხელისუფლებას. დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან ჩანს, რომ „იავარი" „უფროსად სამეფოს აღავსებდა", ვინემ „ლაშქარს". ასეთ პირობებში „მოლაშქრეობა" და „განუსუენებელი მიმოსლვა და დაჭირება", ბუნებრივია, დიდებულებს[39] დიდად უმძიმდათ.

ისტორიკოსი ამ ბრალდებაზეც ჯეროვან პასუხს იძლევა:

„გარნა ისმინეთ ესევითართა მათ პირველად ესე, რამეთუ სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა მოკლებული, და მცირე იყო, და ტყუეო-

35 ქართლის ცხოვრება. I, გვ. 359—360.

36 იქვე, გვ. 357—358.

37 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 15.

38 ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, გვ. 181.

39 ამ ბოლო დროს გამოსულ ზოგიერთ მონოგრაფიაში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ დავითის ეს მაბრალობელნი, თითქოსდა, მატერიალურად დავლათის მწარმოებელნი, კერძოდ, გლეხები იყვნენ, რაც, სამწუხაროდ, გაუგებრობის ნაყოფია მხოლოდ.

პათა და ზემოკსენებულთა ჭირთაგან მცირე გუნდი მკედრობისა და ოგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სიკლტოლითა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი. უკეთუმცა ესეოდენ უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძღომითა, და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა არა განეწუართნეს სპანი თჳსნი, და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მკნეთა, ქებითა და ნიჭთა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცუმითა და კიცხევით ძაგებითა... რათამცა ექმნნეს ესეოდენნი ძლევანი, ანუ რათამცა ექმნნეს და აღეხუნეს ესეოდენნი სამეფონი? ნუ უკუე ძილითა ანუ ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსმეურობითა და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შედგომითა?"[10].

„მეორეცა მიზეზი ამისვე პირისა", ისტორიკოსის სიტყვით, „ქართველთა ორგულ ბუნება არს". „განუსუენებელი მიმოსლვითა და დაჭირებით" მეფემ „განდიდებულნი და განსუქნებულნი" „არაოდეს მოაცალა" „განზრახვად ბოროტისა"-ო.

დავითსავე აყვედრიდნენ მაბრალობელნი, ჩანს, ყივჩაყთა გადმოყვანასაც, რადგან ისტორიკოსი ამბობს: „არა ცუდად დაშურეს: არცა ცუდ იქმნა გამოყვანა მათი, არამედ მათითა ჴელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, და მათითა თანადგომითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი"[41]. ეს ბუნებრივიც იყო. ყივჩაყთა გადმოყვანა და ამ გზით მოლაშქრეთა ფენის უზომოდ გაზრდა ხომ მეფის საშინაო და საგარეო პოზიციებს განამტკიცებდა. მაბრალობელნი, როგორც ჩანს, ჩირქს ცხებდნენ თვით მეფის პიროვნებას. ამის გამოა, რომ ასე გამწარებით შესძახებს ისტორიკოსი: „ნუ მეტყჳ მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიკსენნეს!".

ავტორი, უეჭველია, ეკუთვნოდა ქართული ფეოდალური საზოგადოების იმ იდეურ-პოლიტიკურ დასს, რომლის საშინაო სამოქმედო პროგრამას შეადგენდა: მთავრების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური წინსვლისათვის ხელის შეწყობა. ჩვენი ისტორიკოსი დავითის მოღვაწეობის პასიურად შემყურე, ან მარტოოდენ მადიდებელი როდია, იგი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწედ და ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთ მშენებლად გამოიყურება.

---

40 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 358.

41 იქვე, გვ. 336.

სავსებით მართებულად შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი: „ესენი მხოლოდ მშვიდობიანი, მლოცველი ბერ-მონაზვნები როდი არიან (მხედველობაში ჰყავდა გიორგი ათონელი და დავითის ისტორიკოსი) ისინი აქტიური პოლიტიკური მოღვაწენი არიან, ქვეყნის პოლიტიკური მშენებელნი... სწორედ ამათ ასწავლეს დიდაზნაურებს (მაგალითი მისცეს), თუ როგორ უნდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მათ გადაყენეს სუსტი გიორგი II, დავითის მამა და უსასტიკესი ომი გამოუცხადეს „მტრებს“ შინაურთ თუ გარეულთ“[42].

მთელ ქართულ ისტორიოგრაფიაში არავის არ გამოუმეღავნებია ისეთი აქტიური სიძულვილი და ზიზღი მეფის (ობიექტურად ქვეყნისაც) ორგული დიდებულებისადმი, როგორც ამას „დავითის ცხოვრების“ ავტორთან ვხედავთ. მეფის მრავალფეროვან მოვალეობას შორის საგანგებოდაა დასახელებული „განხეთქილობათა კრძალვანი“ და „მთავართა ზაკვისა ცნობანი“.

მთელი წინა ნაწილი თხზულებისა, სადაც დავითის წინარე საქართველოს მძიმე მდგომარეობაა ნაჩვენები და შემდეგ მოკლედ ამ მეფის სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებანი, ემსახურება ავტორის იმ მიზანს, „თუ სადათ პოვა სამეფო თჳსი სიმდაბლედ შთასრული, და თუ სადა სიმაღლედ აღიყვანა, და თუ სადა დასხნა საზღვარნი და ძლეულნი ვითა მძლედ გამოაჩინნა“ [43]. ისტორიკოსი ყველა იმ წარმატებასა და კეთილდღეობას, რომელსაც საქართველომ ამ პერიოდში მიაღწია, სრულიად გარკვეული მიზნით, დავითის სახელთან აკავშირებს. ის მკითხველს უსსნის და უთვალისწინებს დავითის პირად ღირსებასა და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობას ქვეყნისათვის. განსხვავებით შუა საუკუნეების სხვა ისტორიკოსებისაგან, იგი მეფეს აკისრებს რთულ და მძიმე მოვალეობას: „ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენი საქმენი ეთსოვებიან მეფობასა, რაოდენი მართებანი და განსაგებნი“. „დიდია“ მეფის სახელი, მაგრამ „უდიდესია“ მისი საქმენიო. ამ მხრით, თვით მეფენიც ერთნაირად მნიშვნელოვანნი და ღირსეულნი როდი არიან: არიან „უმდაბლესი“ და „უმაღლესი“. დიდია ავტორის ირონია გიორგი II მიმართ, რომელიც თურქთა ჯარებით კახეთის ასაღებად მდგარი „აღარას ზრუნვიდა სხუასა“, გარდა ნადირობისა. სულ სხვა იყო დავითიო, რომელმაც „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ჴორცთა თჳსთა: არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ. არცა ნებასა ჴორცთასა“[44]. ასე კეთდება დიდი საქმენიო და არა „ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსმურობითა, განცხრომითა“-ო. აქის გამოა,

[42] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული სტატია, გვ. 177.

[43] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 347.

[44] ი ქ ვ ე, გვ. 336.

ოთ იგი სიტყვას არ ძრავს გიორგი II გარდაცვალებაზე, მაშინ. როცა გიორგი მწიგნობართუხუცესი-ჟყონდიდელი „იგლოვა ყოველმან საბეფომან და თუით მეფემან, ვითა მამა, შემოსითა შავისათა ორმეოცდღე"-ო. მას, როგორც ჩანს, არც დემეტრე ჰყავდა გულში ხატად. მაშინ, როდესაც ტახტზეა ახალი გვირგვინოსანი (საჭირო იყო მისი შექებაც), იგი დავითის შესახებ ამბობს: „ვინა ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგანმან შეიკრიბა ყოველი სრულებით თითოეული, რომელ ყოველთათჳს შეუძლებელ არს დაკკრვება ოდენ, არათუ მიბაძვა"[45]; „კუერთხი მეფობისა ესეოდენ დამდაბლებული, ესეოდენ ძნელი და ნანდჯლვე დიდი განსაგებელი, რათა იპყრა ესრეთ მაღლად, ვითარ ვერვინ სხუამან"[46].

თანახმად მაშინდელი ქართული ეროვნული თვითშეგნებისა, დავითი მან მსოფლიო-ისტორიულ ასპარეზზე გამოიყვანა. თავის გმირს იგი ადარებს ძველი ისტორიის თუ ცნობილი პოეტური ნაწარმოებების გმირებს, მაგრამ დავითის სწორსა და ღირსეულს ვერსად პოულობს. ისტორიკოსს ესმის, რომ საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს შექმნა მსოფლიო-ისტორიულ აქტს წარმოადგენდა. მაშინ, როდესაც „ძალი ბერძენთა შემცირებულ იყო", საქართველო გამოვიდა ქრისტიანობისა და ქრისტიანული კულტურის დასაცავად წინა აზიაში. ჩვენი ისტორიკოსის ეროვნული თავმოწონება და სიამაყე იქამდე მიდის, რომ არაქართველთ ის „წარმართებსა" და „ბარბაროზებს" ეძახის. მოგვყავს ამ იდეის შემცველი ნაწყვეტი თხზულებიდან:

„რამეთუ სულტანი დასუა მოხარკედ თჳსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსი. დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი. მრწემედ მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად კელმწიფენი; მეოტად წარიქცევნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი"[47].

ისტორიკოსის გარდამეტებულ ეროვნულ ქედმაღლობას და ზეაწეულ ნაციონალურ გრძნობებს თავისი საფუძველი ჰქონდა კიდეც.

ერთი სიტყვით, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი" დაიწერა „ბოროტ განზრახვათა" ხანაში. თხზულებაში აღწერილი ამბები, მოვლენები, მოქმედებები და ღონისძიებები უაღრესად შეკუმშულად, გარკვეული მიზნით და სულისკვეთებითაა დაწერილი. მწერლის მრავალგზისი განცხადება: „მცირედითა და ყოვლითა კნინითა სიტყუითა წარმოგუიჩენიან, დიდთა მათ და მითხრობად შეუძლებელთა საქმეთა

---

45 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 360—361.

46 იქვე, გვ. 351.

47 იქვე.

მისთვან", „მცირედნი მრავლისაგან მივსცნეთ თხრობასა" და სხვა, გვაფიქრებინებს, რომ მწერალს დავითის მოღვაწეობის დეტალურად გაშუქება არც ჰქონია მიზნად. იგი მხოლოდ ძირითად და მნიშვნელოვან მომენტებზე აჩერებს მკითხველის ყურადღებას. თხზულების უმთავრესი ნაწილი მეფის ზნეობრივ-მორალური მოღვაწეობის გადმოცემას აქვს დათმობილი[18].

ნაწარმოები ფართო საზოგადოებრივი აზრისადმია მიმართული. ყოველ გვერდზე, ყოველ ფურცელზე მწერალი მკითხველს გრძნობს, მას უხსნის და უთვალისწინებს („უწყით ყოველთა", „განიცადეთლა ჩემდა", „ხოლო ისმენდი", „გარნა ისმინეთ", „იხილემცა", „ნუ ამას ეძიებ მკითხველო", „უკეთუ ვიეთმე ჰგონონ" და სხვ.). ამავე დროს თხზულების გაღიზიანებულ-პოლემიკური კილო, მეთოდი, გეგმა, სტილი და ხასიათი იმასაც მოწმობს, რომ „ცხოვრება", მეორე მხრით, პასუხიცაა „მაბრალობელთადმი".

მწერალს თავის დროზე, როგორც ჩანს, არ ჰქონია მიზნად დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა-შეფასებისათვის ხელი მოეკიდა. რადგან თხზულება უმთავრესად ისტორიკოსის მეხსიერებაში დარჩენილი ფაქტობრივი მასალისაგანაა შექმნილი. ამის გამო, მას არ აქვს მატიანისებური ელფერი და წყაროების ცხადი კვალი. მწერალს, ჩანს, დუმილი აღარ შეეძლო. ის ვალდებულად გრძნობდა თავს დაეცვა დავითის პიროვნება, რომელთანაც ახლო ურთიერთობაში მან ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა.

ვფიქრობთ, ამ ვითარებაში მოჰკიდა მან ხელი კალამს და მაღალი საზოგადოებრივი იდეებისა და საუცხოო ლიტერატურული ფორმის პოლემიკური თხზულება შესძინა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობას. თუ ერმა და ისტორიამ დავით IV სამშობლოს აღმაშენებლის სახელით უკვდავჰყო, ამ საქმეში თავისი ღვაწლი მის უნიჭიერეს ისტორიკოსსაც მიუძღვის. „ვითარცა მის დიდ საქმეთა დიდად გამომაჩინებელსა და შემფასებელს".

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი" ჭეშმარიტად უკვე მაშინ იყო შთამომაელობისა და ისტორიის პირუთვნელი მსჯავრი.

---

[18] მშვენივრად შეუნიშნავს ეს გარემოება თ. ჟორდანიას: „მწერალი გატაცებულია უფრო მეფის პიროვნულ ღირსებათა მიერ, მისის სიბრძნითა, ხასიათის სიმტკიცითა, ღვთისნიერებითა, მხედართმთავრულ ნიჭიერებითა, კაცურ-კაცობითა. ამ მხარესა მეფისას ვრცლად და ნიჭიერად გვისურათებს, ხოლო რაც შეეხება თვით იმ დიდებულ ლაშქრობათა, რომლითაც ამ საკვირველმა მეფემ თავზარი დასცა მთელს აზიის თურქობას და მთელს აღმოსავლეთ-დასავლეთში მოჰფინა სახელი ქართველთა ძლიერებისა, ამ სახელოვანს ამბებს მემატიანე სამწუხაროდ, მოკლედ და ვაკვრითლა აღგვინუსხავს, მრავალს დიდ-დიდს და საოცარ ამბებს ოდნავ შეეხება ანუ ხშირად სრულიად სტოვებს" (ქრონიკები, I, გვ. XLIII).

არჩილ გარამიძე

პირველყოფილ-თემური წყობილებისა და ანტიკური (ადრეკლასობრივი საზოგადოების) საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხები XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში

XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართული ისტორიული აზროვნება ძირითადად ფეოდალური ხანის იდეოლოგიას გამოხატავდა. მაგრამ ამ საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, ქართველი განათლებული საზოგადოება ახალ, შედარებით პროგრესულ, ბურჟუაზიულ იდეოლოგიურ აზრს დაადგა. ამავე პერიოდში, კერძოდ 60—70-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა, დემოკრატიულმა მიმართულებამ, რომლის ხელში გადავიდა მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერება (გ. ერისთავი, დ. ჭონქაძე, ა. ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი).

კაპიტალისტურ ურთიერთობათა აღმოცენება შეუმჩნეველი არ დარჩენია ისტორიკოს პლ. იოსელიანსაც, რომელიც 1871 წელს წერდა: „ჩვენ ვიმყოფებით შუა საუკუნეთა დასასრულის მიჯნაზე, ჩვენი თვალის წინ რომ ქრება. კაცობრიობა მოელის გონების მოძრაობის ახალ ნაყოფს, ახალ იდეებს, ახალ საკითხებს, თუმცა ზოგჯერ ძველს, რომელზედაც ჩუმად ლაპარაკობენ ევროპის მსწავლულები და ხმამაღლა გაჰყვირიან მათი უგუნური მიმდევრები. ღმერთმა ქნას, რომ ახალ იდეათა ეს დაბადება და მათი განხორციელება და ახალ იდეათა მიხედვით ახალი საზოგადოებრივი წყობილების ფორმათა შექმნა (ხაზი ჩვენია, ა. ბ.), იყოს უმტკივნეულო სიხარულად ადამიანთა მოდგმისათვის, რომელმაც უიმისოდაც ბევრი დაცემა და უბედურება განიცადა“[1].

[1] П. Иоселиани, Путевые заметки от Тифлиса до Мцхеты. Тб., 1871, стр. 82—83.

ცხადია, ბურჟუაზიული ურთიერთობის წარმოშობა-განვითარება თავისთავად ფეოდალიზმის მოსპობის მაუწყებელია. საქართველოში ეს პროცესი, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა იმ დიდ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელსაც იმჟამინდელი იდეოლოგიის დარგში ბატონყმობის გაუქმების პრობლემა წარმოადგენდა და რომლიდანაც ვ. ი. ლენინის სიტყვით, ყველა სხვა საკითხი გამომდინარეობდა[2]. ამ უაღრესად რთული პრობლემის გადაჭრას სხვადასხვაგვარად უდგებოდნენ გვიანფეოდალური ხანის იდეოლოგიისა და პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენლები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ უკიდურესობამდე მისული ბრძოლის ერთგვარი სურათია დახატული ქართველი ისტორიკოსის სულხან ბარათაშვილის (1821—1866) „История Грузии"-ს პირველ რვეულში, სადაც ავტორი ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებით, ასკვნის: „ოცი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა ქართველი ხალხი უძლიერეს დამპყრობელთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის და ეს ბრძოლა იქამდე გაგრძელდა. სანამ ერთმა საქართველოს უკანასკნელ მეფეთაგანმა არ შეარყია ხალხის ეროვნული წოდების ძველი სამეფო უფლებანი"[3].

XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა შორის ს. ბარათაშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თავის დროისათვის საკმაოდ საფუძვლიანად განათლებული, მოაზროვნე და ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარი ს. ბარათაშვილი. ქართველ გაღატაკებულ თავადაზნაურთა იმ მცირე წრეს ეკუთვნოდა, რომლის საქმიანობა სამშობლოს უანგარო სიყვარულში მჟღავნდებოდა. სწორედ სამშობლოსადმი სიყვარულის ამ უსაზღვროებამ შეაძლებინა მას „საქართველოს ისტორიის" სამი რვეულის შედგენა, რომელიც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იმჟამინდელი ისტორიოგრაფიის სიმაღლეზე იდგა. იგი თავისი „ისტორიის" მეორე რვეულში საგანგებოდ ჩერდება კიდეც იმ წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის აღნიშვნაზე, მას რომ აქვს გამოყენებული. „ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ — აღნიშნავს ავტორი — ავუხსნათ მკითხველს, თუ რა მეთოდით ვხმარობთ და ვაჩვენებთ ხოლმე წყაროებს... ჩვენი წერილების... უმეტესი ნაწილი ამოღებულია „ქართლის ცხოვრებიდან"..., მსოფლიო ისტორიიდან...., ბიზანტიის ისტორიკოსთა დალაგებული მოთხრობიდან... და უკანასკნელ დროს შესანიშნავ ისტორიკოსთა თხზულებიდან" (გვ. 3—4). ამასთან, თუ მოვიგონებთ

---

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზულებანი. ტ. 2. გვ. 628.

3 ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორია. რვეული I: „საქართველოს ძველი ისტორია, ქუთაისი, 1895, გვ. 49—50. ჩვენ აქ და ყველგან ქართულ ტექსტს მივუთითებთ.

იმასაც, რაც მას პირველი რვეულის დასაწყისში აქვს აღნიშნული: „ძველმა ისტორიამ უნებლიედ უნდა მიმართოს ზღაპრულ გადმოცემებს: ისტორიკოსი ცდილობს, რომ ჭეშმარიტების მცირედი კვალი იპოვოს ამ გადმოცემებში“ გვ. 6). თავისთავად გამოირკვევა ჩვენი ავტორის წყაროთა მრავალფეროვნება,

ს. ბარათაშვილის „История Грузии“ რუსულად დაწერილი დიდი გამოკვლევაა და სამი რვეულისაგან ანუ წიგნისაგან შედგება. მათში მოთხრობილია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უძველესი ხანებიდან ვიდრე მონღოლთა ბატონობის დამკვიდრებით. ამ ნაშრომის დასაწყისში ავტორი გადმოგვცემს თავის შეხედულებას ქართველი ხალხის უძველესი პერიოდის ისტორიაზე იმგვარი მეთოდის გამოყენებით, რითაც ხასიათდება დასავლეთ ევროპული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია. ს. ბარათაშვილს მიაჩნია, რომ ქართველი ხალხის უძველესი გადმოცემა თავის წარმოშობაზე, რომელიც „ქ. ც“-შია დაცული, სინამდვილეს იმდენად შეესაბამება, რომ ამ წყაროში ეჭვის შეტანა ნიადაგს არ პოულობსო. მისი სიტყვით, ქართველი ხალხი „გაჩენილა ძველისძველ დროში და უცხოვრია ცალკე, როგორც ბინადარ ხალხს, ქართლოსის შთამომავლობის ფეოდალურ მართველობის ქვეშ“ (გვ. 13). მაგრამ ავტორი აქვე დასძენს, რომ ქართლოსიანთა საზოგადოების ფეოდალური სისტემა კი არ იყო იმგვარი, როგორიც ბარბაროს გერმანელ ტომთა საზოგადოებრივი წესწყობილება რომის იმპერიის დაცემის ჟამს. ქართველთა სოციალური ვითარება ბარბაროსებთან შედარებით მაინც დაბალ დონეზე იდგა თუნდაც იმის გამო, რომ ამ ველურმა ტომებმა იხილეს რომის იმპერიის დიდება და მის ნანგრევებზე დაიწყეს ცხოვრება. ხოლო რაც შეეხება ქართველებს, მათ მხოლოდ საკუთარი ცხოვრების პირობებით უნდა ეცხოვრათ და დაკმაყოფილებულიყვნენ საქართველოს ბუნებით (გვ. 13). რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი წინადადება აშკარად მცდარია.

ქართველთა პოლიტიკური ვითარება ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე. ს. ბარათაშვილის აზრით, ორი ფაქტორით შეიძლება აიხსნას, კერძოდ. შინაგან და გარეგან მოვლენათა ნიადაგზე, რომელნიც თავის მხრივ ქართველობას სხვა ხალხთაგან განასხვავებენ. ესაა მიწის ნიადაგის სპეციფიკურობა და ქართველთა ენობრივი ერთიანობა. ხოლო გარეგან ფაქტორთა შორის, ავტორის აზრით, აღსანიშნავია ხაზართა (სკვითთა) შემოსევა, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვის VII ს-ში ჰქონდა ადგილი.

„საზოგადოდ ყველა უძველესი ხალხები — აღნიშნავდა ს. ბარათაშვილი — წასული დროის მიხედვით კი არ ეწყობოდნენ, არამედ ისე, როგორც შინაგანი ანუ გარეგანი მოვლენა და გარემოება უჩვე-

ნებდა მათ. უმთავრესად გარემოებანი, რომელთაც გავლენა ჰქონდათ ქართველი ხალხის პირველდაწყებით ცხოვრებაზე, შემდეგნი იყვნენ. პირველი საქართველოს მიწის ნიადაგი: რადგან ეს ნიადაგი ხეობებით დასერილ მთიან ადგილს წარმოადგენს, ამიტომ თავიდანვე ყოფდა ხალხს რამდენიმე ნაწილად. ქალაქების და სოფლების მოსაშენებლად მთებს და მთების ტყიან მწვერვალებს ირჩევდნენ, რადგან ამგვარ ადგილებში მათი ოჯახობა და ავლა-დიდება უფრო უშიშარ მდგომარეობაში იყო. აი ეს ადგილები ბადებდა ხალხში თავისუფლების სურვილს და უნერგავდა მას გულში მეომრობასა და გულადობას. ამავე დროს ამ მთების ძირში გადაშლილი მშვენიერი მინდვრები, მცხოვრებთ მიწის სამუშაოდ იზიდავდა. მეორე გარემოება იყო — ხალხის საერთო ენა და თვისტომობა, რის წყალობითაც ერთტომობა გამაგრებული იყო" (გვ. 13—14).

მოტანილი ამონაწერი ავტორის ორიგინალურ მოსაზრებად ვერ ჩაითვლება. ეს „თეორია" ეკუთვნის ისტორიკოს პ. იოსელიანს, რომელმაც 1844 წელს წამოაყენა იგი[4]. სამწუხაროდ, ს. ბარათაშვილი გამოყენებულ ლიტერატურაზე არ მიუთითებს. ხოლო რაც შეეხება ნიადაგის მნიშვნელობას ხალხის ეკონომიური განვითარების საქმეში, აქ ჩვენი ავტორის შეხედულება არსებითად ემყარება ცნობილი განმანათლებლის, ფრანგული ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლის, შარლ მონტესკიეს (1689—1755) თეორიას. შ. მონტესკიემ ეს კონცეფცია განავითარა თავის განთქმულ ნაშრომში „კანონთა შესახებ"[5]. ს. ბარათაშვილი იცნობს ფრანგი სოციოლოგის ამ ნაშრომს და თავის „პირველ რვეულში" სამგზის იმოწმებს მას ფრანგულად (გვ. 44—45). ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენი ისტორიკოსის მიერ გამოთქმული იდეა გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობის შესახებ ქართველ ტომთა განვითარებაში, შ. მონტესკიესაგან, მაშასადამე, ფრანგული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიიდან მომდინარეობს.

ამავე წყაროდან (ფრანგული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია) იღებს თავის სათავეს ს. ბარათაშვილის მეორე იდეაც, ქართველთა ენობრივი ერთიანობის შესახებ. სწორედ ამის შედეგია, რომ იგი ქარ-

---

[4] П. Иоселиани, Различные наименования грузин. ЖМВД, 1844, № 6, стр. 115—143.

[5] პირველად გამოიცა პარიზში, 1748 წ., პროფ. გ. ნათაძეს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ს. ბარათაშვილს იდეა ისტორიაში ნიადაგის გადამწყვეტი მნიშვნელობის ბაობაზე აღებული აქვს ჰეხრი ბოკლის (1821—1862) „კაპიტალური ნაშრომიდან „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში", რომელიც, მართალია, ს. ბარათაშვილს არ აქვს დამოწმებული თავის „ისტორია"-ში, მაგრამ რომელიც მას უნდა ჰქონოდა წაკითხული (იხ. Г. Натадзе, Сулхан Баратов как историк Грузии, Тбилиси, 1934, стр. 14, 15, 102).

თველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხში იზიარებდა ფრანგი მეცნიერის ლუი ვივიენ დე სენ-მარტენის (1802—1897) მოსაზრებას მათი ინდო-კელტური (ინდოევროპული) წარმოშობის თაობაზე (გვ. 12)[6].

ბუნებრივად ისმის კითხვა — ყველაფერი ზემოთქმული ხომ არ აახლოებს ს. ბარათაშვილს ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიასთან? ვფიქრობთ, რომ ამის საფუძველს იძლევა საკუთრივ ავტორის ნაშრომთა შესწავლა. ამ მხრივ ძალზე ნიშანდობლივია. ჩვენი აზრით, ს. ბარათაშვილის წერილი „Краткое обозрение главнейших причин падения грузинского царства“[7]. წერილი მიზნად ისახავს აჩვენოს ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს სამეფოს დაცემა ისტორიულად. აქ ხაზგასმულია ორი ფაქტორის როლი: საგარეოსი და შინაგანისა. საგარეო ფაქტორი საქართველოს ისტორიაში თითქმის მუდმივად მოქმედი იყო და მისი უარყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება — აღნიშნავს ავტორი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის დაცემის მთავარი მიზეზი მაინც სამეფოს შინაგან დაშლილობაშია საძიებელი. ამ თეზისის დასამტკიცებლად იგი მიმართავს საქართველოს ისტორიას და განსაკუთრებით ჩერდება XII—XVIII ს-ის ისტორიულ მოვლენებზე.

თამარის მმართველობა საქართველოს ძლიერების უკანასკნელი საფეხურია, თუმცა არა ყველა მიმართულებით. იმჟამად ჩვენში ძალზე განვითარებული იყო პოეზია, მაგრამ არ იყო ცნობილი მათემატიკა და ზუსტი მეცნიერებანი; მაშინ განთქმული იყო სამხედრო სიმამაცე. თუმცა ნაკლები ყურადღება ექცეოდა მანუფაქტურის, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო თანამედროვეთათვის სამეფოს მოჩვენებითი დიდების ფონზე დაცემის დასაწყისის შემჩნევა: ქვეყნის სამხედრო დაძაბუნება მონღოლებთან პირველსავე დამარცხებაში გამოვლინდა.

მონღოლებს მოჰყვა მძვინვარე თემურლენგის 7 გზისი (უნდა იყოს 8 — ა. ბ.) ლაშქრობა საქართველოში და მისი ბუნებრივი თავდაცვითი საშუალებები რომ არა (ხალხის მთებსა და ხეობებში გაბიზვნა), ქართველობა სავსებით ამოწყდებოდა. ამას მოსდევს ალექსანდრე I-ის მეფობიდან გადადგომის (1442 წ.) შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს სამ სამეფოდ დაყოფა, რამაც ქვეყნის გაერთიანების მაგივრ მისი საბოლოო დაშლა გამოიწვია. ამრიგად, ქართველი ხალხი, ისტორიულად შეკავშირებული ერთი წარმოშობითა და საერთო ინტერესებით, აღარ არსებობდა.

---

[6] Vivien de Saint-Martin. Recherches sur les populations primitives et les plus anciennes traductions du Caucase. Paris, 1847, გვ. 95—97.

[7] „Кавказ“, № 10, 1818, გვ. 39—40.

საქართველოს დაყოფას სამ სამეფოდ საზოგადოებრივი თვალსაზრისით ეკონომიური დაცემაც მოჰყვა, სახელმწიფოს შემოსავალი ძლივს აუდიოდა მთავრობის, მებატონეთა და ჯარის გამოკვებას, მისი მოგება ერთ მეოთხედამდე დაეცა. სამი მეოთხედი კი სამღვდელოებას გადაეცა, რომელიც არ თვლიდა საჭიროდ სახელმწიფოსათვის ეკონომიურ დახმარებას თუნდაც ომიანობის ჟამს.

ასეთი იყო სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში იმ დროს, როდესაც სამეფო ტახტზე ერეკლე II ავიდა. მაგრამ მისი კეთილშობილური პოლიტიკა (სახელმწიფო რეფორმები, სამთამადნო წარმოების წამოწყება, ქართლ-კახეთის გაერთიანება). მიმართული საქართველოს სახელმწიფოს ჩქარი დაცემის შეჩერების წინააღმდეგ, თავის მიზანს ვერ აღწევდა: საშინაო არეულობისა და აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში შემოსვლისა და ქვეყნის განადგურების გამო, საქართველოს სამეფო დაეცა.

ს. ბარათაშვილის ამ წერილის ისტორიულ პოზიციას, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია განსაზღვრავს. იგი ცდილობს მის თანადროულ რუსულსა და დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში არსებული ბურჟუაზიული თვალსაზრისის გადატანას საქართველოს სინამდვილეში. ამიტომ იგი მიმართავს მოდერნიზაციის მეთოდს და XII—XIII საუკუნეების საქართველოში მანუფაქტურის, ვაჭრობისა და მრეწველობის განუვითარებლობას მწვავედ განიცდის. თავისთავად არაფერია გასაკვირი, რომ XI—XIII ს-ის საქართველოში ადგილი ჰქონოდა მანუფაქტურის, ვაჭრობისა და მრეწველობის არსებობას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი ავტორის მოღვაწეობის დროს საქართველოში უკვე არსებობდა კაპიტალისტური საწარმოებიზ, რასაც იგი ვეო ხედავდა XII—XIII ს-ის საქართველოში. ამიტომ იგი უჩივის იმ დროს და მიაჩნია, რომ მათი სუსტი განვითარება ერთ-ერთი არსებითი შინაგანი ფაქტორთაგანი იყო საქართველოს სამეფოს დაცემის მიზეზთა შორის. მაგრამ საკუთრივ ის ფაქტი, რომ ს. ბარათაშვილი ეკონომიკის განუვითარებლობაზე ლაპარაკობს XII—XIII ს-ის საქართველოში, ერთი მხრივ, ხოლო მათემატიკისა და ზუსტ მეცნიერებათა არარსებობაზე, მეორე მხრივ, ცხადია, მიუთითებს მის სიმპათიებზე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისადმი. ეს უკანასკნელი არ უარყოფს სიტყვიერად მაინც ხალხის შინაგანი ცხოვრების (სოციალურ-ეკონომიური) ისტორიის შესწავლას. ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთ მოთხოვნას უყენებს თავის თავს აგრეთვე ს. ბარათაშვილიც. მან მიუთითა იმ ში-

---

[8] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма..., Тбилиси, 1967, стр. 87.

ნაგან ბიზეზებზე. რომლებმაც ისტორიულად განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოს დაცემა. ერთი სიტყვით, ს. ბარათაშვილის ტენდენციები ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისადმი თითქოს ეკვს არ უნდა იწვევდეს. იგი თეორიულად მომზადებული ჩანს იმისათვის, რათა საქართველოს ისტორიის შესწავლას მიუდგეს როგორც ბურჟუაზიული ისტორიკოსი.

ს. ბარათაშვილი შედარებით ახალი, მაღალი საფეხურია XIX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიისა. მას ახასიათებს წყაროზე ზუსტი მითითება, გამოყენებული ლიტერატურის (უპირატესად) დამოწმება, ტექსტიდან ამონაწერთა გამოყოფა, წყაროთა ურთიერთშეჯერება და მათი მეცნიერული ანალიზი, „ქ. ც"-ის ტექსტის ტრადიციული სქემის დარღვევა და საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დაახლოება-დაკავშირება და სხვ. მაგრამ, ამასთან, საქართველოს კონკრეტული ისტორიის კვლევის დროს იგი სავსებით ივიწყებს ბურჟუაზიულ მეთოდს და იზღუდება ამ ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ბუნებით. ესაა. უწინარეს ყოვლისა, თითქმის აბსოლუტური იგნორირება ისტორიზმისა. ხალხის შინაგანი, სოციალურ-ეკონომიური ისტორიისა. მართალია. ჩვენ დავინახეთ, რომ ავტორი აღნიშნავდა ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის მნიშვნელობას, მაგრამ, როდესაც იგი კონკრეტულად ეხება ქართველი ხალხის წარსულის კვლევა-ძიებას, აქ ს. ბარათაშვილი ივიწყებს თავის დაპირებას და ძირითადად პოლიტიკური ისტორიის ტყვეობაში ექცევა. ავტორის სამი რვეული 400 (399) გვერდისაგან შედგება და მისგან მხოლოდ რამდენიმე ფურცელი შეეხება შინაგანი ისტორიის საკითხებს. აქედან ჩანს, რომ ს. ბარათაშვილი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ისტორიზმის პრინციპს. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსული ჟურნალის „Отечественные записки"-ს რედაქციას, რომელიც მისი პირველი რვეულის რეცენზირებისას წერდა: „ეს ნაწარმოები... ჩვენ, რუსებს, არ შეიძლება არ გვაინტერესებდეს, და ამიტომ ვუსურვებთ რა ბ-ნ ბარათოვს მის მიერ განზრახული ნაშრომის წარმატებით (გამოცემას), ჩვენს მოვალეობად ვთვლით მოვაგონოთ მას, რომ მისი თხზულება მით უფრო მოიხვეჭს წარმატებასა და მნიშვნელობას, უკეთუ მომდევნო რვეულებში ყურადღება შედარებით მეტად იქნება გამახვილებული ქ ვ ე ყ ნ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ი ცხოვრების (შესწავლისადმი) (ხაზი ჩვენია, ა ბ.), რაც მხედველობის გარეშე დარჩა (მას) პირველ გამოშვებაში"[9].

სახელდობრ. რისი თქმა შეიძლება ს. ბარათაშვილის მიერ მო-

---

[9] «Отечественные записки», т. CLXII (162), № 10, 1865. განყოფილება «Литературная летопись», стр. 258.

თხრობილი „ღრეკლასობრივი ხანის საქართველოს შინაგანი ისტორიის პრობლემებზე?. უწინარეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ავტორის კონცეფციას ამ მხრივ მკვეთრი ეკლექტიზმი ახასიათებს. იგი ერთხელ ნათქვამს მალე ივიწყებს და არსებითად სავსებით საწინააღმდეგო დებულებას აყენებს. თუ, ერთი მხრივ, იგი მიუთითებდა, რომ ხალხთა ისტორიაში გადამწყვეტ ფაქტორს მიწის ნიადაგი (გეოგრაფიული გარემო) და სისხლითი ნათესაობა (ფიზიოლოგია) წარმოადგენდა, მეორე მხრივ, ს. ბარათაშვილი წერს, რომ „ყველაფერი ქვეყანაზე განგების ნებით მოხდება ხოლმე და ეს გზა გამოიხატება ბუნების კანონებით. ამ კანონების ძალით ყველაფერი, როგორც ფიზიკური, ისე მორალურიც, ფრიად შესამჩნევ სიდიდის იქნება ის და კაცის გონებისათვის წარმოუდგენელი, თუ არარაობის შესადარი უუმცირესი რამე, ყველაფერი იცვლება. პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ხალხთა დაწესებულებანიც არ არიან დაფარულნი ამ საერთო წესისაგან“ (რვეული მეორე, გვ. 8).

მაშასადამე, ისტორიული პროცესის განვითარების დედაბოძია ე. წ. პროვიდენციალიზმი. იგია უზენაესი განგება, რომელიც წარმართავს მსოფლიო ისტორიის მსვლელობას, კაცობრიობის დასაბამიდან დასასრულამდე წინასწარ განსაზღვრული თვალსაზრისით. ამასთან. ეს პროცესი განვითარებასაც ცნობს, იგი დიალექტიკის ელემენტებს შეიცავს — „ყველაფერი იცვლება“. იცვლის სახეს საკუთრივ საზოგადოებაც: ასე, მაგალითად, ქართლოსის დროის ქართველთა საზოგადოებრივი წყობილება, მართალია, ფეოდალური იყო, მაგრამ ერს ჯერ კიდევ არ შეადგენდა, მაშინ როდესაც, განვითარების შედეგად, ფარნავაზის სახელმწიფო მონარქიულია და ხალხი ერად ჩამოყალიბდა. აქ. რა თქმა უნდა, დაშვებულია „განვითარების“ კანონზომიერება, თუმცა მეთოდოლოგიურ დამახინჯებასთანაც გვაქვს საქმე. ქართლოსის შთამომავალთა სოციალური წყობა, ჩვენი ავტორის აზრით, ფეოდალურია (I რვ., გვ. 13), მაგრამ ფეოდალიზმის წიაღში დაშვებულია აგრეთვე გვაროვნული წყობილების არსებობა ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის აზიაში გამოჩენამდე. ამ ხანაში ქართველ ტომებში ადგილი აქვს ტომთა ტერიტორიულ-გეოგრაფიულ კარჩაკეტილობას, დანაწილებას, განცალკევებას, იზოლაციას, მამასახლისობას, თვისტომობასა და ერთტომობას (I, გვ. 14). ცხადია, ამ სიტყვებში ძნელი დასახახი არ უნდა იყოს ის გარემოება. რომ ს. ბარათაშვილისათვის ცნობილია გვაროვნული წყობილება, რომლის საფუძველია ფეოდალიზმი. მართალია, გვაროვნული წყობილების სურათი ს. ბარათაშვილს მკვეთრად არ აქვს დახატული, როგორც მის წინამორბედ ისტორიკოსებს (თ. ბაგრატიონი, პ. იოსელიანი), მაგრამ საქართველოში სამეფოს დაარსების წინა საფე-

ხურზე მსჯელობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, რომ მისი არსებობის უგულებელყოფა შეუძლებელია. „ამ ხანებში — აღნიშნავს ავტორი—... ქართველების ერად ჩათვლა ჯერ კიდევ... არ შეიძლებოდა. მათი მდგომარეობა არ აძლევდა კაცს ნებას, წარმოედგინა ისინი მთელ შეერთებულ საზოგადოებად. ისინი იყვნენ მხოლოდ ერთი ტომისანი და იმგვარ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, სადაც ყოველი ხეობა თავის მცხოვრებელთ განსაკუთრებულ სახელს აძლევდა“ (I, 18). მაშასადამე, ქართველობა ჯერ კიდევ „შეერთებულ საზოგადოებად“ არ ცხოვრობდა, იგი იზოლირებულად სახლობდა და ცალ-ცალკე ხეობაში ერთიანდებოდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ აღწერაში საქმე უნდა გვქონდეს გვაროვნული საზოგადოების არსებობასთან. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა — როგორ უნდა ავხსნათ ავტორის ცნობა გვაროვნული წყობილების წიაღში ფეოდალური მმართველობის (I. 13) არსებობის შესახებ? პასუხი აქ შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: ს. ბარათაშვილს ძალზე სუსტად აქვს წარმოდგენილი ფეოდალური ურთიერთობა, იგი მას იმთავითვე გაჩენილად მიაჩნია და არა გარკვეული ეპოქის მოვლენად. იგი წერს: ქართველობა „გაჩენილა ძველის-ძველ დროში და უცხოვრია ცალკე როგორც ბინადარ ხალხს, ქართლოსის შთამომავლობის ფეოდალური მმართველობის ქვეშ“ (I. 13). აქედან ჩანს, რომ ჩვენი ავტორისათვის „ფეოდალიზმი“ ოდინდელი, სახელმწიფოებრიობამდელი ინსტიტუტია, რომელიც საქართველოში სამეფოს წარმოშობასთან ერთად კიდევ უფრო მეტად ვითარდება და ფარნავაზის ხელში იგი იქცევა „ფეოდალური ცხოვრების“ (I, 46) ქვაკუთხედად. ს. ბარათაშვილის აზრით, გვაროვნული წყობილება გაგრძელდა იმ დრომდე, ვიდრე „ძლიერმა და განუწყვეტელმა გარეგანმა ომებმა ხალხს არ დაანახვა, რომ აუცილებლად საჭირო იყო უმეტესად შეკავშირება და შეერთება“ (I, 20).

ამრიგად, გვაროვნული წყობილების წიაღში დაშვებულია ფეოდალური ურთიერთობის არსებობაც. ფეოდალიზმი თავისთავად ფეოდალთა კლასის არსებობას გულისხმობს. ამიტომ ს. ბარათაშვილის აზრით, ფეოდალურ-გვაროვნული წყობილების დროს, ცალ-ცალკე მცხოვრებ ქართველ ტომთა შორის გარკვეული მნიშვნელობით სოციალურ უთანასწორობას აქვს ადგილი. ეს ფაქტი, კერძოდ, მაშინ გამომჟღავნდა, როდესაც მცხეთის მამასახლისი თურქთა და ებრაელთა ქართლში დასახლებისათვის თხოვნით მიმართავს „ქვეყნის სხვა მთავრებს“ (других владетелей этой страны) (I, 27; რუსული, გვ. 13). აქ ნახმარი „ქვეყნის სხვა მთავრები“, როგორც ირკვევა, გულისხმობს განსაკუთრებულ, პრივილეგირებულ ხალხს, რომელნიც საზოგადოების სხვა წევრებზე მაღლა დგანან. სამწუხაროდ, ამგვარი დასკვნა

...ქ. ც.-ის ტექსტიდან არ გამომდინარეობს და ეს აზრი ს. ბარათაშვილის მიერ მოგონილი ამბავია. ამასთან, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის მთელი ეს „კონცეფცია“ ძალზე მერყეევი, ნებისმიერი და ქაოსურია.

ნაწილობრივ შეიძლებოდა გაგვეზიარა ს. ბარათაშვილის მოსაზრება საქართველოში კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის პროცესში გარეგანი ფაქტორის მონაწილეობის შესახებ, რასაც შედეგად უცხო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას ობიექტურად ქართველ ტომთა კონსოლიდაცია მოჰყვა (I, 20). კონსოლიდაცია თავის მხრივ ამზადებს ნიადაგს სახელმწიფოს დასაარსებლად, რაც ს. ბარათაშვილის აზრით, ს

განსაკუთრებული დოვლათიანობის მეოხებით ფეოდალთა გამდიდრების წყაროდ იქცა. აქედან გამომდინარეობს, რომ ს. ბარათაშვილს, როგორც თავადაზნაურობის აშკარა დამცველს, უდავოდ მიუჩნევია კერძო საკუთრების ინსტიტუტის იმთავითობის არსებობის იდეა. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა განსაკუთრებული ყურადღება მიქცია მიწის, როგორც პრივილეგირებული წოდების კერძო საკუთრების საკითხს და ამით იდეოლოგიური, თეორიული წინამძღვრების პრეცედენტი შექმნა XIX ს-ის 60-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში; მაშასადამე, იმათ სასარგებლოდ, ვინც გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებას უჭერდა მხარს. იგი იზიარებდა იმ შეხედულებას, თითქოს მიწის კერძო მფლობელობა ღვთის მიერაა დაკანონებული. ამით ჩვენი ავტორი არაპირდაპირი გზით იცავდა გაღატაკების გზაზე შემდგარ ქართველ თავადაზნაურთა გააფთრებულ ბრძოლას თერგდალეულებთან გლეხთა უმიწოდ განთავისუფლების შესახებ. ამდენად, ქართული საზოგადოებრივი აზრის ამ მწვავე წინააღმდეგობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ს. ბარათაშვილის შემოქმედებაშიაც.

მაგრამ, როდესაც ვაჯამებთ ჩვენი ავტორის მიერ მოპოვებულ შედეგებს საქართველოს ძველი ისტორიის დარგში, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ამ ისტორიკოსის დიდი ორიგინალობა, თავისებურება და ნიჭიერება სხვა მკვლევრებთან შედარებით. შესაძლებელია, მის მოსაზრებაში არც ერთ დებულებას არ დავეთანხმოთ, მაგრამ მწყობრი ლოგიკური მსჯელობა არ გავიზიაროთ და ფაქტების აბსოლუტურად სხვაგვარი გაგება წარმოვადგინოთ, რაც ჩვენთვის, ცხადია, არავითარ სიძნელეს არ შეადგენს, მაგრამ ყურადღებას იქცევს, უთუოდ. ს. ბარათაშვილის კვლევა-ძიების მეთოდის განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურება. აღსანიშნავია, რომ მან იმჟამად მის ხელთ არსებული ყველა კომპლექსური მასალა გამოიყენა („ქ. ც."-ბა, ბერძენ-რომაელ-ბიზანტიელ-სომეხ ისტორიკოსთა ცნობები და მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები). ამ სახის წყაროთა ურთიერთშეჯერება, მათში წინააღმდეგობის შემცველ შეხედულებათა შემჩნევა. ყველა ამათ ნიადაგზე ისტორიულ რეალობათა დადგენა და მათი თეორიული განზოგადება — აი, ის ძირითადი, დამახასიათებელი ელემენტები ს. ბარათაშვილის მეთოდოლოგიისა, რომელზედაც ყურადღება უნდა გაამახვილოს ჩვენმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. იგი თეორიულად მომზადებული იყო ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დონემდე ასულიყო, თუმცა პრაქტიკულად მის სიმაღლემდე ვერ ავიდა. იგი შერჩა ფეოდალური ისტორიოგრაფიის მაღალ დონეს, მაგრამ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დიდი ელემენტებით. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ პროფ. გ. ნათაძის თეზისს, თითქოს ს. ბარათაშვილი იყო

ფეოდალურ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი[10].

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ს. ბარათაშვილი მოაზროვნე ისტორიკოსია, ამასთან ძალზე ერუდირებული და განათლებული, საკმაოდ ორიგინალური იდეებისა და თეორიების მქონე. და თუ მისი ერუდიცია, აღნიშნულის მიუხედავად, ამჟამად მარტოოდენ ისტორიოგრაფიული თვალსაზრისითაა მხოლოდ ყურადსაღები. ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ ს. ბარათაშვილი, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი, არ უნდა იმსახურებდეს ნდობას. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დ. ბაქრაძე აღტაცებული იყო ს. ბარათაშვილის მომზადებითა და მისი ერუდიციით. იგი ს. ბარათაშვილისადმი გაგზავნილ პირად წერილში წერდა: „თქვენს ისტორიულ სტატიებს საქართველოზე ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე... იმედი არა მქონდა, თუ ჩვენთაგანი, საქართველოს შვილთაგანი, აწინდელს დროში ასეთს შრომას დაუდებდა თავსა და ან თუ ვინმე ასე მომზადებული იქნებოდა... გავკვირდი, თქვენს უკანასკნელს შრომაში რომ ასეთი ვრცელი წყაროების ცოდნა და სვინდისიანი შემუშავება ვპოვე... ამ შრომაში ისეთი წყაროები ვიპოვე, რომლებსაც ღიდი ხანია დავეძებ და ჯერაც ყიდვით, ვერც ისე დროებით ვერსად მომიპოვებია“[11].

ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ს. ბარათაშვილის „ისტორიას“ დიდი გავლენა მოუხდენია XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაზე[12]. საკუთრივ დ. ბაქრაძის (1826—1890) შემოქმედებაშიც იჩენს თავს ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ აგების არქიტექტონიკა. ასე, მაგალითად, დ. ბაქრაძის თხზულების „საქართველო“, პირველი რვეული შესავალი: კავკაზია“ (თბილისი, 1871 წ.) სათაურიდანვე ჩანს, რომ იგი კომპოზიციური თვალსაზრისით ს. ბარათაშვილის „რვეულების“ პრინციპზეა აგებული. „საქართველო“ დ. ბაქრაძის სიტყვით, „სამ რვეულად“ (გვ. 11) იყო დაგეგმილი გამოსაცემად.

საგულისხმოა, ამასთან, დ. ბაქრაძის პირად წერილში ს. ბარათაშვილისადმი აღნიშნული ერთი ფაქტი. „ამ შრომაში ისეთი წყაროები

---

10 Г. Натадзе, Сулхан Баратов как историк Грузии. Тбилиси, 1934, გვ. 103—104. საგულისხმოა, რომ „БСЭ“-ში ს. ბარათაშვილი არ არის მიჩნეული თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლად. იხ. БСЭ, ტ. 4, გვ. 229—230.

11 თ. სახოკია, თავადი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი. „მოამბე“, № 7, 1896, განყოფილება II, გვ. 38.

12 დ. ბაქრაძის გარდა, „საქართველოს ისტორიას“ თავისი დადებითი რეცენზიები მიუძღვნეს ა. ფურცელაძემ (იხ. „ცისკარი“, 1863, № 3) და სხვებმა. ყველა ამათ შესახებ იხ. ალ. კალანდაძე. საქართველოს მოამბე, თბილისი, 1963, გვ. 93—94.

ციპოვე. რომლებსაც დიდი ხანია დავეძებ და ვერც ყიდვით, ვერც ისე დროებით ვერსად მომიპოვებია". დ. ბაქრაძის ნაშრომში „ისტორია საქართველოსი" (თბილისი, 1889) ჩახედული მკველვრისათვის ერთ-ერთი ამგვარი წყაროს აღმოჩენა არ გაჭირდება. იქ, მაგალითად, ძველი კოლხეთის ეკონომიური აღმავლობის ფაქტის აღნიშვნისას მოტანილია პლინიუსის ცნობა შორაპანში (სარაპანა) რომაელ ვაჭართა მიერ ყოველწლიურად 100 მილიონი სესტერცის[13] შემოტანის შესახებ. პლინიუსის ეს წყარო, როგორც ცნობილია, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ს. ბარათაშვილმა გამოიყენა (საქ. ისტ. I, გვ. 88—89), რითაც თავის მხრივ დ. ბაქრაძესაც უსარგებლია (ისტორია საქართველოსი, გვ. 115) და წყაროს პიუთითებლად გამოუყენებია, რაკი აღნიშნული საბუთი მას ხელთ არ ჰქონია.

დ. ბაქრაძე ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე გამოვიდა ხალხის შინაგანი ისტორიის (სოციალურ-ეკონომიური) შესწავლის სურვილით. ამ გარემოებას ჭეშმარიტად ადასტურებს მისი პირველივე სამეცნიერო ნაშრომი „Сцены из грузинской жизни"[14] რომელიც მიძღვნილია XIX ს-ის შუა ხანების ქართველ (კახელ) გლეხთა საშინაო ცხოვრების, მათი საქმიანობისა და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლისადმი. მასში მკვეთრად მოჩანს დ. ბაქრაძის დიდი სიმპათიები ქართველ გლეხთა მიმართ; იგი მთელი თავისი არსებით მოხიბლულია მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა კლასის საქმიანობით. დ. ბაქრაძე ვერც მალავს თავის განწყობილებას და თავისი ყველა გმირი (ისინი რეალურად არსებული პირები არიან) მაღალ, მშრომელ, პატიოსან და კეთილშობილურ პირებად ჰყავს წარმოდგენილი. ჩვენი ავტორი თავისი მთავარი გმირის ფარსადან კახიშვილის სიტყვებით ლაპარაკობს: „მე განსაკუთრებით მომწონს მისი (ერთ-ერთი გლეხის, ალექსანდრე ნინიაშვილის — ა. ბ.) კეთილგონიერება: მას უყვარს შრომა" (გვ. 14). ეს წერილი — ბაქრაძის სამეცნიერო მოღვაწეობის საპროგრამო დოკუმენტია.

აქედან აშკარად მოჩანს, თუ რა სითბოთი და სიყვარულით ეკიდა დ. ბაქრაძე ქართველ გლეხობას, რა ხიბლავს მას ამ ხალხში. და ეს გარემოება არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენი ავტორი თავისი მსოფლმხედველობით სამოციანელია, თერგდალეულთა დიდი ბელადის ი. ჭავ-

---

13 დ. ბაქრაძის ცნობით, 100 მილიონი სესტერცი უდრის 25½ მილიონ ფრანკს. თოთო ფრანკი კი შეესაბამება 5 შაურს. იხ. დ. ზ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889, გვ. 115.

14 ჟურნალი «Современник», СПб., 1851, № 1. ტ. XXV, განყ. VI, გვ. 1—26 და № 2, განყ. VI, გვ. 165—191.

ქავაძის იდეური საქმიანობის მიმდევარია[15]. დ. ბაქრაძის მოღვაწეობის ამ მხარეს, ე. ი. ხალხის შინაგანი ცხოვრების შესწავლის მნიშვნელობას საგანგებოდ შეეხო პროფ. ა. კიკვიძე. მან ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველმა დასვა საკითხი დ. ბაქრაძის დამოკიდებულებისა ხალხის შინაგანი ცხოვრების შესწავლისადმი[16]. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს ხალხის შინაგანი ისტორიის საკითხების შესწავლის მიმართულებით პირველი მკვლევარი იყო დ. ბაქრაძე[17] და რომ იგი XIX ს-ის ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე პირველია, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს შინაგანი ისტორიის ცალკე სპეციალური გამოკვლევა[18].

დ. ბაქრაძის კონცეფციას ამ მიმართულებით ორი წყარო განსაზღვრავდა. ერთი მხრივ, მისი წინამორბედი ქართული ისტორიოგრაფია, ხოლო, მეორე მხრივ, რუსული და დასავლეთევროპული ისტორიოგრაფია. ევროპულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხს პირველად ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა დე-მეზერე (1610—1683) შეეხო. იგი თავის „საფრანგეთის ისტორიაში" ამტკიცებდა, რომ „ისტორია უნდა იყოს არა მარტო მეფეთა ისტორია, არამედ ხალხთა ისტორიაც". ამ აზრის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია გამოჩენილი ფრანგი განმანათლებლის ფრანსუა ვოლტერის (1694—1778) სახელთან, რომელიც თავის ფილოსოფიურ ნაშრომებში მოითხოვდა სოციალური საკითხების შესწავლის აუცილებლობას. მანვე აღნიშნა, რომ ისტორია უნდა სწავლობდეს მხოლოდ ხალხთა ისტორიას და არა მეფეებისასო[19]. საფიქრებელია, რომ დ. ბაქრაძის ერთ-ერთ წყაროს სწორედ ფ. ვოლ-

---

15 ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სულ უფრო მეტად მკვიდრდება ის შეხედულება, რომ დ. ბაქრაძე სამოციანელების ძლიერ გავლენას განიცდიდა. იხ. П. Ратиани, Национально-освободительное движение и передовая культура Грузии во второй половине XIX века, „მაცნე", № 6, 1964, გვ. 91—92. ამასთან, გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიდი ქართველი მამელიქველი ეკუთვნოდა ქართული ისტორიოგრაფიის რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრთას. ი. კაკაბაძე, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1962, გვ. 24, 26, 27, 178, 203. А. Барамидзе, Историк, археолог, этнограф. „Вечерний Тбилиси", № 43. 1965, გვ. 4.

16 ა. კიკვიძე, XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება. მსკი, 1951. ნაკ. 29, გვ. 1—19. დ. ბაქრაძეზე გვ. 4—8.

17 ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

18 მ. დუმბაძე. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ბათუმი, 1950, გვ. 122. ამასვე იხ. ა. ბარამიძე. პირველყოფილ-თემური წყობილებისა... „მაცნე", № 2, 1966, გვ. 94—121, განსაკუთრებით გვ. 106.

19 О. Л. Вайнштейн. Историография средних веков, М.-Л., 1940, стр. 91.

ტერის კონცეფცია ედო საფუძვლად. ხაზგასმით უნდა შეენიშნოთ, რომ არ დარჩენილა დ. ბაქრაძის არც ერთი მეტ-ნაკლებად მსხვილი ნაშრომი, რომელშიც აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღება არ ჰქონდეს მიქცეული. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში იგი გულისტკივილით წერდა, რომ „ქართლის-ცხოვრებაში არიან ჩვენებულნი მხოლოდ გარეგანნი ფაქტები; აქ ვერ ვპოვებთ შინაგან განკარგულებათა, მონახდენის საქმეების მიზეზთა და შედგომილებათა....“[20]. მხოლოდ იმგვარ საისტორიო წყაროებში, როგორც, მაგალითად, გუჯრებია, შეესაძლებელია აღმოჩნდეს საქართველოს „შინაგანი წესდებულება: რა ყოფილა სამეფო მოსავალი და სამეფო გუარის მამული, რა უფლება ჰქონიათ მოურავებს, რა თანამდებობანი და ღირსება მოხელეებს“ (გვ. 66—67: შდრ. რუსული, გვ. 415).

ასეთი შეხედულებისა იყო ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი ძველ ქართულ წყაროთა შესახებ XIX ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისში. ხოლო ეს ხანა, დ. ბაქრაძის ერთ-ერთი თანამედროვის სიტყვით რომ ვთქვათ, იყო ისტორიკოსის მოღვაწეობის დასაწყისი, ხანა, როდესაც იგი ჯერ კიდევ სავსებით ჩამოყალიბებულ მკვლევრად ვერ ჩაითვლებოდა და ძირითადად მაინც მატიანეთა ცნობების ტყვეობაში იმყოფებოდა[21]. მაშასადამე, მით უფრო საყურადღებოა დ. ბაქრაძის ამ მოსაზრებათა გათვალისწინება, რათა სწორად გაერკვეთ მომავალი მკვლევრის მსოფლმხედველობის წყაროთა საკითხში.

როგორც ვახსენეთ, დ. ბაქრაძე იმთავითვე გამოვიდა მშრომელი ხალხის (გლეხობის) ისტორიის შესწავლის პროგრამით. ეს იდეა წითელი ზოლივით გასდევს ჩვენი ისტორიკოსის მთელ შემოქმედებას. ასე, მაგალითად, ნაშრომში „საქართველო“ (კავკაზია), რომლის გამოცემას იგი ს. ბარათაშვილის გავლენით ხუთ რეუულად აპირებდა, აღნიშნულია, რომ მას განზრახული ჰქონდა გამოეკვლია „განსაკუთრებით შინაური ცხოვრება ჩვენის ტომისა, დამყარებული ძველს ქართულს და უცხო-ტომთ ლიტერატურაზე, ეკლესიებისა და ხატების წარწერებზე, გუჯრებზე და სიგელებზე“[22].

ამგვარი აზრია გამოთქმული აგრეთვე დ. ბაქრაძის მიერ დაწერილ ნაშრომში „Археологическое путешествие по Гурии и Адчаре“[23].

---

20 დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორიის წყაროები, „ცისკარი“, 1857, წიგნი 2, გვ. 56. შდრ. Дм. Бакрадзе. Об источниках грузинской истории. „Кавказский календарь“, 1857. стр. 408.

21 Современники. Димитрий Захарьевич Бакрадзе, «Новое обозрение», № 2117, 1890. стр. 1.

22 დ. ბაქრაძე, საქართველო...., თბილისი, 1871, გვ. VI.

23 СПБ., 1878.

„ამჟამად, როგორც ცნობილია, ხალხის ისტორიად. ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მიჩნეულ უნდა იქნას არა აღწერა გარეგან მოვლენათა და არა ცალკეულ პიროვნებათა ბიოგრაფიები, არამედ ნამდვილი და საფუძვლიანი დასურათება ხალხის შინაგანი ცხოვრებისა, მისი ეკონომიური და სოციალური ყოფისა. ასეთი ისტორია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს შედგენილი, როცა გაგებული და გამორკვეული იქნება შინაგანი ცხოვრების ყველა მხარე. ძველი საქართველოს შინაგანი ცხოვრების შესახებ ჩვენ მაინცდამაინც არა ვიცით რა. მათზე ჩვენ ან ცოტა გვაქვს მონაცემები, ან სულ არა. ქრონიკები უმთავრესად ეხებიან მის საგარეო მოვლენებს. საქართველოზე მტრის დაცემას და მის განდევნას. შინაგან ცხოვრებას ისინი ან ღუმილით უვლიან გვერდს ან გაკვრით ეხებიან“ (გვ. XIII)[24].

ამრიგად. პოსტულირებული მასალებიდან კარგად ჩანს დ. ბაქრაძის განსაკუთრებული ყურადღება ქართველი ხალხის შინაგანი ისტორიის, ე. ი. სოციალური და ეკონომიური ცხოვრების შესწავლის სურვილისადმი. თუ საკითხს თეორიული თვალსაზრისით შევხედავთ, აღმოჩნდება. რომ XIX ს-ის ქართულ ისტორიოგრაფიაში შინაგანი ისტორიის შესწავლის ამგვარი ბეჯითი ლტოლვა, ცხადია, ბევრს არა ჰქონია. მართალია, იყო თეორიული ცდები ამ პრობლემათა შესწავლის მიმართულებით, თითქოს დაწერილია კიდეც ამ მხრივ ცალკე ნაშრომიც (თ. ბაგრატიონი), მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართველ ტომთა სოციალურ-ეკონომიური სურათის აღდგენის სურვილის საქმეში ჩვენს ავტორს ნამდვილად პირველი ადგილი ეკუთვნის. სამწუხაროდ. დ. ბაქრაძის ლტოლვაც ამ მიმართულებით მხოლოდ შორეული მომავლის ოცნება იყო.

როგორც დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი“ „წინასიტყვაობიდან“ ჩანს, ჩვენს მამულიშვილს ჰქონია განზრახვა „საქართველოს შინაგანის წყობილების“ სურათის წარმოდგენისა (გეოგრაფიული, პოლიტიკური და სოციალურისა უძველესი ხანებიდან ვიდრე X ს-ის ბოლომდე)[25], მაგრამ სათანადო წყაროთა უქონლობის გამო დ. ბაქრაძემ მისი დაბეჭდვა ვერ შეძლო (გვ. V), ხოლო ამ წიგნის გამოსვლიდან არც კი გასულა ერთი წელი. რომ იგი გარდაიცვალა. ამრიგად. დაპირება შეუსრულებელი დარჩა...

---

24 იგივე აზრი დ. ბაქრაძეს გამოთქმული აქვს აგრეთვე თავის შემდეგ ნაშრომებში: История Грузии на основании новых изысканий. „Кавказская старина“, 1873. № 7—8, გვ. 194. ახალ გამოკვლევაზედ დაფუძნებული საქართველოს ისტორია. „ივერია“, 1883, № 12, გვ. 27.

25 ამ ნაშრომის პროგრამა ავტორმა დაბეჭდა „ივერიაში“, № 235. 1888. გვ. 4.

სხვა მხრივაც ძნელი წარმოსადგენია, რომ იმჟამად შესაძლებელი ყოფილიყო ხალხის შინაგანი ისტორიის შემცველი ნაშრომის შედგენა. ამ გარემოებას, როგორც ჩანს, საკუთრივ ჩვენი ავტორიც კარგად გრძნობდა. „შინაური ცხოვრება ძველის საქართველოსი, — წერდა იგი, — სწორე რომ თქვას კაცმა, ჯერ ჩვენთვის გამოურკვეველია. ამის შესახებ სულ მცირე ცნობანი გვაქვს ხელში, ან სულ არა მოგვეპოვება რა. მატიანენი თუ სულ არა მომეტებულს ნაწილად მაინც მოგვითხრობენ გარეგან ამბებს — მტერთ შემოსევას საქართველოში და მათ განდევნის ამბავს ქართველთაგან. შინაურ ცხოვრებას იგინი სულ არ შეეხებიან და მდუმარებენ, ან თუ ამბობენ რასმე, მხოლოდ ოდნავ, გაკვრით. მხოლოობით მოწამედ ამ შინაურის ცხოვრებისა არქიტექტურული სახსოვარნიღა არიან დარჩენილნი, კოშკნი, ციხენი, დანგრეულნი ხიდნი, აგრეთვე საეკლესიო შენობანი და მათი ზედ-წარწერანი: ბაგრამ მარტო ამგვარ სახსოვართა შემწეობით უწინდელის გამქრალის ცხოვრების ნამდვილი მოთხრობა და მოგონებით აღდგენა — შეუძლებელია"[26].

მაშასადამე, ხალხის ისტორიად დ. ბაქრაძეს სამართლიანად მიაჩნია მისი შინაგანი ცხოვრების ანალიზი, დასაბუთება ხალხის სოციალური და ეკონომიური წყობილებისა. ისტორიული მეცნიერების საგანი, ამდენად, ხალხის შინაგანი ცხოვრების გამოვლენაში გამოიხატება, მის მამოძრავებელ საზოგადოებრივ და ეკონომიურ ძალებში მეღავნდება[27].

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძის ისტორიული კონცეფცია მეცნიერულია, თუმცა იმჟამინდელი პირობებიხ შესაბამისად — განუხორციელებელიც. ამ სურვილთა განუხორციელებლობა შესაძლებელია ორი გარემოებით აიხსნას: ერთი მხრივ, როგორც ავტორი შენიშნავდა, საკითხის შესახებ სათანადო პირველწყაროთა სიმცირით, ხოლო, მეორე მხრივ, თეორიული ხასიათის ნაკლოვანებით, მეთოდოლოგიური ჩამორჩენილობით. იმჟამად დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელსაც პოზიტივიზმი ეწოდებოდა და რომელსაც „ეკონომიზმიც" ახასიათებდა[28]. მის დიდ და ბეჯით დამცველად გამოდიოდა გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსი ჰენრი ბოკლი (1821—1862), რომლის გავლენა შეინიშნება დ. ბაქრაძის ადრინდელ შემოქმედებაში.

---

26 დ. ბაქრაძე, ახალ გამოკვლევებზე... 27, შდრ. Дм. Бакрадзе, История Грузии... стр. 194.

27 ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ.. გვ. 4.

28 О. Л. Вайнштейн, Историография средних веков. М.-Л., 1940, гз. 213.

მაგრამ დ. ბაქრაძე არ დასულა ემპირიკოს-ისტორიკოსის დონემდე. იგი არ შემოფარგლულა ფაქტების უბრალო აღწერით და ცდილობდა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმოჩენას[29]. საქართველოს ძველი ისტორიის საკითხში ამ მხრივ ეტად ნიშანდობლივია დ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული ერთი თეზისი: „შინაგანი წყობილება იმისი (საქართველოსი—ა. ბ.), საზოგადოებრივი, სარწმუნოებრივი და პოლიტიკური იმგვარი თურმე იყო, რა გვარსაც ისტორია უძველეს დროებში თვით სხვა მრავალ ტომებსაც მიაწერს: თვითოეული ტომი თვითვე განაგებდა სათემო საქმეებსა, საეროსა და სასულიეროსა, მის მიერვე ამორჩეულ პირთ შეამდგომელობით. შემდეგ სამეფოები დამყარებულა. იმ დროიდამ, როდესაც ჩვენი მატიანე პირველად უჩვენებს სამეფოს დაარსებას ქართლში, უცხოელთ მწერლობა ხანდახან ეთანხმება იმის გარდმოცემასა და თვით უმთავრესი ფაქტები ამ მატიანისა არ ეწინააღმდეგება მსოფლიო ისტორიის ცნობებსა. ვფიქრობთ, იმ დროსვე, თუ უფრო ადრე არა, ჩვენში დაარსებულა მწერლობა (ე. ი. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში—ა. ბ.), თუმცა ამ აზრის შესამოწმებელი ცხადი ფაქტი ჯერ არ აღმოჩენილა. არ ვეპვობთ კი, რომ უნდა აღმოჩნდეს. თვით ჩვენის მწერლობის ნიშნებს იმგვარი ხასიათი აქვთ, რომ ჩანს, იმას ძველადვე დიდი ხანი უვარჯიშნია“[30].

მართალია, მოტანილი ამონაწერები დ. ბაქრაძეს „ისტორია საქართველოსი“ წინასიტყვაობაში აქვს ნათქვამი თეზისების სახით, მაგრამ აქედანაც ნათლად ჩანს ავტორის მსჯელობის მწყობრი, მეთოდური ხასიათი. საქართველოს ტერიტორიაზე წინაკლასობრივი საზოგადოების კლასობრივში თანდათანობითი გადასვლის ავტორისეული კონცეფცია უახლოვდება ისტორიული პროცესის ახსნის მატერიალისტურ გაგებას: ტომი, ტომთა ბელადები, სამეფოს წარმოშობა გვაროვნული წყობილების რღვევის საფუძველზე და დამწერლობის გაჩენა[31].

დ. ბაქრაძის მიერ „წინასიტყვაობაში“ გამოთქმული ეს თეზისები შემდგომ განვითარებას პოულობენ საკუთრივ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში. აქ, კერძოდ, გაზიარებულია თეიმურაზ ბატონიშვილის მამასახლისობის თეორია (გვ. 61—62), ე. ი. ქართველ

---

29 მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ბათუმი, 1950, გვ 139; ვ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე. კრებული „საისტორიო წერილები“, ნაკვეთი I, თბილისი, 1968, გვ. 5.

30 დ. ზ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889, გვ. III.

31 დ. ზ. ბ ა ქ რ ა ძ ე, იქვე. ამ საკითხში ჩვენი მოსაზრება ემთხვევა პროფ. ა. კიკვიძის აზრს. იხ. ა. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

ტომებში საზოგადოებრივი განვითარების პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების არსებობის ფაქტი: გაზიარებულია აგრეთვე ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები საქართველოში კლასობრივი საზოგადოების ჩარმოშობის შესახებ, ოღონდ მათ მოსაზრებებს დართული აქვთ დ. ბაქრაძის კომენტარებიც. ერთ-ერთი ასეთი განმარტება შემდეგი შინაარსისაა: „ახლა დასკვნილია, რომ ერი მიაწერს სხვადასხვა დროს აღმოჩენილს მოვლენასა, სხვა და სხვა პირთ მოღვაწეობასა ერთს დროს და ერთს რომელსამე ზღაპრულს თუ ისტორიულ პირსა. ამგვარად, ფარნავაზისაგან საქართველოს დაყოფა საერისთავოებად თუმცა სრულებით ეთანხმება ჩვენის ტომ-ნათესავის გეოგრაფიულს და ეთნოგრაფიულს დანაწილებასა, მაგრამ ამ ბუნებითს თვისებაზე იყო ფარნავაზის წინათაც და შემდეგშიაც დამყარებული საქართველოს პოლიტიკური დაყოფა“ (გვ. 81).

მაშასადამე, დ. ბაქრაძის აზრით, ფარნავაზ მეფეს კი არ ეკუთვნის ერთიანი საქართველოს საერისთავოებად დაყოფა, არამედ ქვეყნის ამგვარი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დანაწილება სახელმწიფოს დაარსებამდეც კი არსებულა. დ. ბაქრაძის ამ მოსაზრებას თუ ზემოთქმულს დავუპირისპირებთ, ერთი შეხედვით შეიძლება ისე მოგვეჩვენოს, თითქოს ამ ორ მოსაზრებას შორის აშკარა წინააღმდეგობაა. მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანა არ იქნებოდა მართებული. მამასახლისობა დამახასიათებელია გვაროვნული წყობილებისათვის, ხოლო ერისთავობა კლასობრივი საზოგადოებისათვისაა ნიშანდობლივი. მაშასადამე. დ. ბაქრაძემ არ უარყო ქართველ ტომთა შორის პირველყოფილ-თემური წყობილების ფაქტის აღიარება, სადაც ცალკეულ ტომს თავისი საკუთარი მამასახლისი ჰყავდა. ფუნქციონალურად ამგვარ მოვალეობას ასრულებდნენ აგრეთვე ერისმთავრებიც, ოღონდაც უკვე კლასობრივ. ანტიკურ ხანაში საერთოდ[32]. მათი ძირითადი მოვალეობა სამხედრო სამსახურში მდგომარეობდა. ჩვენი ავტორი აქ თ. ბაგრატიონისა და ს. ბარათაშვილის სქემას მისდევს[33].

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რა ხასიათისა და ბუნებისა უნდა ყოფილიყო ფარნავაზისა და მის შემდგომ მეფეთა დროის საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ამას არ აქვს მაინცდამაინც არსებითი მნიშვნელობა. მაგრამ მისი წინამორბედი ისტორიკოსებისაგან (ვ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი) გამომდინარე და ამასთან იმ ფაქტის

---

32 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 39, 290, 405.

33 თ ე ი მ ु რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია ივერიისა. სანკტპეტერბურგი, 1846, გვ. 112; ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია. რეული I, ქუთაისი, 1895, გვ. 48.

აღიარება. რომ დ. ბაქრაძე ლაპარაკობს ფარნავაზის დროს აზნაურთა, როგორც პრივილეგირებული სოციალური კლასის შესახებ, მიუთითებს ამ საზოგადოების ფეოდალურ ბუნებაზე. ჩვენი ავტორიც, როგორც სხვა ქართველი ისტორიკოსი, ხმარობს ტერმინ „ფეოდალიზმს". იგი იცნობს როგორც საერო, ისე სასულიერო ფეოდალებს [34]. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური წყობილება მას მიაჩნდეს ფეოდალურად. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბუნების ფეოდალურობა მკვეთრად ჩანს ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობათა იმ ინტერპრეტაციაში, რომლის მიხედვით, იბერიის მოსახლეობის მეოთხე გენოსს ყმა გლეხები შეადგენდნენ (საქ. ისტ., გვ. 118—119).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის ნიადაგზე შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ დ. ბაქრაძეს საფუძვლიანად ჰქონდა შეთვისებული ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის აუცილებლობის აზრი. იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ბეჯითად მოითხოვდა ხალხის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალის, ისტორიის შესწავლას. მაგრამ წყაროთა სიმცირე და მისი კრიტიკული შეუსწავლელობა და იმჟამინდელი ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიური პრინციპების შეზღუდულობა არ იძლეოდა მყარ საფუძველს საზოგადოების ისტორიაზე ტრადიციული შეხედულების შეცვლის სასარგებლოდ.

XIX ს-ის 60-იანი წლებიდან რუსეთის გზით საქართველოში იწყებს თავის მოღვაწეობას რევოლუციური იდეებით შთაგონებული ქართველ პატრიოტ-ინტელიგენტთა მთელი თაობა, რომლის იდეური ხელმძღვანელი და ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო. ესაა პერიოდი, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის უმაღლეს საფეხურს აღწევს. ილია თავის დევიზად და სამოქმედო პროგრამად აცხადებს „ძმობას, ერთობას, თავისუფლებას". ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში. ე. ი. ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების ამგვარ ვითარებაში, დღის წესრიგში დამდგარიყო ცხოველი ინტერესი საქართველოს ისტორიული წარსულისადმი. ი. ჭავჭავაძემ, რომელსაც არ დარჩენია უყურადღებოდ ქართველი ხალხის არც ერთი საჭირბოროტო საკითხი, მიუძღვნა მას მთელი რიგი ბრწყინვალე წერილებისა, სადაც საოცარი გონებამახვილობითაა ნაჩვენები ჩვენი სამშობლოს წარსული ცხოვრება. სახელოვანი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჩვენ გვევლინება როგორც დიდი მოსარჩლე და დამცველი ქართველი გლეხობისა. იგი ისტორიკოსებისაგან მოითხოვს ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრე-

[34] Дм. Бакрадзе. Сцены из грузинской жизни, «Современник», 1851, ტ. XXI, № 1, განყ. VI, გვ. 15.

ბის ისტორიის შესწავლას. ი. ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ამ მიმართულებით კვლევა-ძიებას ჩვენში კარგა ხნის ისტორია აქვს და დიდი და ნაყოფიერი მუშაობაცაა ჩატარებული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკად. ი. ჯავახიშვილის, პროფ. პ. რატიანისა და პროფ. ა. კიკვიძის გამოკვლევები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს მგოსნის შეხედულებების შესწავლას ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაზე[35]. საკითხთა ამ წრეში განსაკუთრებით ასახელებენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის მოცულობით პატარა, მაგრამ შინაარსით დიდ წერილს „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ"[36]. ესაა ეპოქალური მნიშვნელობის ნაშრომი, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ საისტორიო-ეკონომიურ ლიტერატურაში. საკითხის ღრმა ცოდნამ და მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ცხოვრებაში კარგად ჩახედულმა ილიამ დაამტკიცა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს მისი ეკონომიკა წარმოადგენს, ეკონომიკის გარეშე კაცობრიობა ვერ იარსებებს. საკუთრივ პოლიტიკური წყობილებაც, ი. ჭავჭავაძის აზრით, მის ეკონომიკას ემყარება. იგი წერს: „ყოველს ამ საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხელს ვერაფრით შეგვიწყობს. ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინა ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ. ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა. ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით გაზეთის მოკლე წერილშია. სწორედ მოგახსენოთ ამისათვის არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო. ხოლო ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ვგონებთ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრი მკითხველსაც განვუზიაროთ.

---

35 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. თბილისი, 1938; პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე. მოღვაწეობა და აზროვნება. თბილისი, 1965, გვ. 53—56. 116—117. 128, 243. 248. 253. 481. 540, 572; ა. კ ი კ ვ ი ძ ე, XIX ს. ქართული ისტორიული აზროვნება (დ. ბაქრაძე, ი. ჭავჭავაძე). მსკი. ნაკ. 29, 1951, გვ. 1—19.

36 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებული. ტ. IV, თბ., 1955, გვ. 175—178.

ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა. ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში... ჩვენს ეკონომიურ წყობაში ორგვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის ნრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე, — საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა — მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა. აქედამ ცხადია. ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფთხილებოდნენ" (გვ. 176—177).

ამრიგად. წარმოდგენილ მსჯელობაში ყურადღებას იქცევს მიწის თემური მფლობელობის საკითხი. მიწის საერთო მფლობელობაში დარღვევას. თემის მიწების გასაკუთრებას და მისგან გამომდინარე მიწისმფლობელობაში უწესრიგობის გაჩენას შეეძლო ქართველ გლეხთა გაღატაკება-გაბოგანება. მაგრამ ი. ჯავჯავაძის აზრით, ამგვარ ვითარებას საქართველოში საბედნიეროდ არ ჰქონია ადგილი. „საკვირველია, — შენიშნავდა ავტორი,—რომ დღესაქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძებება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას. რომელიც დაუშრობელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო. და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები. ამ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასეთუესე" (გვ. 177).

ი. ჯავჯავაძის ამ მსჯელობიდან თავისთავად ცხადია, თუ რამდენად სწორია ძველი საქართველოს ეკონომიკის ავტორისეული დასაბუთება. პროფ. ა. კიკვიძის სიტყვით: „ილ. ჯავჯავაძის კონცეფცია არა საერთოდ ძველი საქართველოს ეკონომიკის შესახებ, არამედ მიწათმფლობელობის შესახებ, გარდა იმისა, რომ ფრიად საინტერესოა. მიახლოებით გამოხატავს ისტორიულ სინამდვილეს. საქმე ის არის, რომ მიწათმოქმედ გლეხთა „ფუძეები" პატრონყმურ საქართველოში შეიცავდა ანარეკლს თემური მიწათმფლობელობისა. როცა თემური საკუთრება უკვე დიდი ხნის დარღვეული იყო და მხოლოდ საძოვრები და ტყე რჩებოდა თემის მფლობელობაში. „ფუძე". როგორც დღიურების მიხედვით განსაზღვრული მიწის ფართობი, წარმოდგა სწორედ თემური მიწათმფლობელობის საფუძველზე" (გვ. 11).

ი. ჯავჯავაძის აღნიშნული ნაშრომი სხვა მხრივაცაა საგულისხმო.

აქ. სახელდობრ. ჩვენს ყურადღებას იქცევს პოეტის აზრი ქართველთა ისტორიული განვითარების შესახებ. პროფ. პ. რატიანის სიტყვით: „ილიას შეხედულებები (ამ საკითხზე—ა. ბ.) პირდაპირ გაკვირვებას იწვევენ თავიანთი სიღრმითა და მეცნიერულობით. ამ მხრივ ილია ჭავჭავაძე მთელი თავით მაღლა იდგა ფრანგ მატერიალისტებზე..., რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ქვეყნიერებას შეხედულებანი მართავენ. ასევე მაღლა იდგა ილია ნაროდნიკებზეც, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ისტორიას ჰქმნიან ცალკეული გამოჩენილი პიროვნებანი“ (გვ. 53 — 54).

ი. ჭავჭავაძე წერს:

„ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის, კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში.

ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაეუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესაშეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა“-ო (გვ. 175).

ი. ჭავჭავაძის საყვედური „ქ. ც.“-ის მიმართ, ძირითადად, მართებულია, მაგრამ აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმისა არ იყოს, ილია ჭავჭავაძეს, დ. ბაქრაძეს და სხვა სამოციანელებს ცალმხრივობა სჭირდათ „ქართლის ცხოვრების“ შეფასებისას. მათ ავიწყდებოდათ ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრება“ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების იდეების საქადაგოდ კი არ იყო შექმნილი, არამედ — თავისი დროისათვის, ე. ი. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებისათვის, ფეოდალთა კლასობრივი ბატონობისათვის, რასაც ის დიდი წარმატებით ემსახურებოდა[37]. „ქ. ც“.-ბა ესაა „ქართული ფეოდალური საზოგადოების აღიარებული სახელმძღვანელო“ წიგნი[38], რომელსაც თავისი კლასის ინტერესების დაცვა ევალებოდა. ამიტომ მასში ამაოდ დავეძებთ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მოთხოვნილებათ. ამ გარემოების მიუხედა-

---

37 ნ. ბერძენიშვილის „შესავალი“, წამძღვარებული აკად. ე. თაყაიშვილისაგმი მიძღვნილ კრებულში. თბილისი, 1966, გვ. 8—9.

38 ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი. თეზისები, თბილისი, 1964, გვ. 7.

ვად ჩვენი პოეტის საყვედური ამ ძეგლის მიმართ მაინც ძალაშია. ი. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1872 წელს აღნიშნავდა, რომ „ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომების და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსით არი"[39]. პოეტის ამ სიტყვებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიაში ხალხთა მასების როლის საკითხში. მისი სიტყვით, — ისტორიის შემოქმედი არის ხალხი. — შესანიშნავი მეცნიერული აზრია და თავისი შინაარსით „მატერიალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი ცენტრალური დებულებათაგანია"[40].

გამოდიოდა რა თავისი სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან ეკონომიკის გადამწყვეტი როლის შესახებ, ი. ჭავჭავაძე მართებულად სვამდა საკითხს პირველყოფილ-თემური წყობილების წიაღში მიწის საერთო სახალხო საკუთრების არსებობაზე. მისი სიტყვით, „მეცნიერთა გამოკვლევით, საკუთრებას ორი ელემენტი აქვს: ერთი საზოგადოებრივი, ანუ თემობრივი, და მეორე კერძოობრივი. ყველგან პირველ-ქამურ თემთა შორის — აზიაში, აფრიკაში, თუ ევროპაში — თემობრივს თვისებას საკუთრებისას სჭერია უპირველესი ადგილი. ინდოელებს, სლავიანებს, გერმანელებს, — მიწა სათემო საკუთრებად ჰქონიათ ისე, როგორც დღეს რუსეთშია და იავას კუნძულზედა. თვითოეულს თემის კაცის სახლობას წილადხდომილი მიწა სჭერია დროებით. დროგამოშვებით, ეგრე გაწილადებულს მიწებს ისევ თემი დაიბრუნებდა ხოლმე და ხელახლად დაუყოფდა წილის-ყრით თემის კაცებს, რომ თვითოეულს ავი და კარგი თავის რიგზედ შეხვედროდა. თანასწორობა მიწის მფლობელობაში ამ სახით დამკვიდრებული იყო, მეტ-ნაკლებობის ჩამოვარდნას გზა შეღობილი ჰქონდა: მიწის მშრომელი და მიწისმფლობელი ერთი და იგივე კაცი იყო. უმამულობა ამგვარს წყობაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა.

დროთა განმავლობაში ეს წყობა შეიცვალა და კერძოობრივმა საკუთრებამ ძირი გაიკეთა. ამის მიზეზი უფრო ბევრგან უცხო ხალხთა შემოსევა იყო. შემოსეულები ჩამოართმევდნენ ხოლმე მკვიდრებს მიწებსა და ერთმანეთში დაჩემებით მოირიგებდნენ. ამ უკანასკნელის მიზეზით აღორძინდა კერძოობრივი საკუთრება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიის ნახევარ-კუნძულზედ და ინდოეთში...

---

39 ჯ. რატიანი. დასახ. ნაშრ., გვ. 56, 481, შდრ. ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, ტ. I, თბილისი, 1929, გვ. 371.

40 ჯ. რატიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 56.

რა თქმა უნდა, რომ რაკი კერძოობრივმა საკუთრებამ სათემოში. ცოტად მაინც ფეხი მოიკიდა, ფეხსაც განზედ გადადგამდა. ამ-სახით, უფრო შემძლებელი და ღონიერი უფრო ბევრს მიწებს ჩაიგდებდა ხელ-ში. ეგრეც მოხდა. ჯერ თითონ ტაციტის დროს გერმანიაში ზოგს სხვა-ზედ ბევრად მომეტებული მიწები სპერიათ თემშივე. ამსახით ჩამოვარ-და კერძოობრივი საკუთრება იქ, სადაც უცხო ხალხთაგან დაპყრობა-არ მოხდენილა, მაგალითებრ გერმანიაში... ეგრეთ აღვირ-მიშვებულმა კერძოობრივმა საკუთრებამ დაძლია თემობრივი და ბოლოს იქამდინ მიიყვანა, რომ თემი, რომელსაც წევრთა რიცხვი ემატებოდა და მიწები კი ხელიდამ ეცლებოდა, ვეღარ უძღვებოდა გამთავრებული თემის კა-ცებს და უმამულოდ დარჩენილს კაცს თემის გარეთ უნდა მოენახა სახსარი თავის რჩენისა და გამოკვებისა... ერთი მხრით უმამულობა მიწის მოქმედებისა და მეორე მხრით უხელობა მიწის მეპატრონეებისა იყო დასაბამი თითონ ბატონ-ყმობისა"[41].

ნიშანდობლივია, რომ ჩვენი ავტორი პირველყოფილ-თემურ წყო-ბილებას განიხილავს არა ტრადიციული თვალსაზრისით, არა როგორც გარკვეული სტადიის პოლიტიკურ მოვლენად, არამედ როგორც საზო-გადოებრივი განვითარების სოციალურ-ეკონომიურ საფეხურად, მსოფ-ლიო-უნივერსალურ წყობილებად. ამაშია მისი უდიდესი ღირსება. ილია კიდევ უფრო წინ სწევს ქართულ ისტორიოგრაფიაში მის წინა-მავალ ისტორიკოსთა შეხედულებებს თემური წყობილების საკითხზე და კონკრეტულ მასალათა ბრწყინვალე ანალიზის საფუძველზე მეტად საინტერესო და საყურადღებო დასკვნებს იძლევა. ხოლო მისი თეზისი, რომ ეკონომიკა განსაზღვრავს საზოგადოებრივ წყობილებას, შესანი-შნავი დაკვირვებაა და მატერიალისტური დიალექტიკის ქვაკუთხედს შეადგენს.

სამწუხაროდ, ი. ჭავჭავაძის თემური წყობილებისა და ეკონომიური ცხოვრების ამ შესანიშნავმა იდეებმა თავისი გამოხატულება ვერ ჰპოვა 90-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა ხალხის ცხოვრე-ბის, ქვეყნის საშინაო ამბების შესწავლის მიმართულებით ამ მხრივ სა-პატიო ადგილი უდავოდ მოსე ჯანაშვილს (1855—1934) ეკუთვნის. მართლაც, საქართველოს ისტორიის ეს მხარე — ქვეყნის შინაგანი ცხოვრება მ. ჯანაშვილს ერთგვარად წინ წამოწეული აქვს თავის „საქართველოს ისტორიაში"[42]. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ი. ჭავჭავაძის „ივერიასაც", რომელიც ამ ნაშრომის მეორე გამოცემის

---

[41] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, თბილისი, 1928. გვ. 135—137.

[42] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა, თბილისი, 1934.

გამო 1895 წელს წერდა: „ბ-ნი მოსე ჯანაშვილი თავისს მოკლე ისტორიაში შეძლებისა და გვარად ასრულებს ისტორიის ფილოსოფიის მოთხოვნილებათაც. ის გვაცნობებს ჩვენ არა თუ მარტო ქართველთა ომებს, არამედ მათს კულტურულს ცხოვრებასაც, იმდენად, რამდენადაც საქართველოს საისტორიო არსებული წყაროები ნებას აძლევენ მას"-ო[13].

მაგრამ არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, რომ მ. ჯანაშვილი, როგორც XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი, იმთავითვე გამოვიდა ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესწავლის პროგრამით. მ. ჯანაშვილის დროისათვის ამ საკითხების კვლევა-ძიებას ჩვენს ისტორიოგრაფიაში უკვე კარგა ხნის ტრადიცია ჰქონდა და აღარაფერია გასაკვირი იმაში, რომ ჩვენი ავტორიც შეეცდებოდა მათზე საუბარს; მაგრამ საქართველოს შესახებ როგორც საკუთრივ ქართული, ისე უცხოური ისტორიული წყაროების შესწავლის მდგომარეობა იმქამად არ იდგა მაღალ მეცნიერულ დონეზე, რომ შინაგანი ისტორიის პრობლემათა შესწავლას მკვიდრი საფუძველი ჰქონოდა. ამიტომ მ. ჯანაშვილიც მიმართავდა თავის ყურადღებას საქართველოს ისტორიის ამგვარი შესწავლისადმი, თუმცა ნაყოფი მეტად მცირე იყო.

მ. ჯანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი პერიოდი საქართველოს ისტორიის შესწავლისადმი მნიშვნელოვანი სქემატურობითა და პირველწყაროთა მიმართ არაკრიტიკული მიდგომის მეთოდით ხასიათდება. ეს ნაკლი აშკარად გამოსჩვივის როგორც მისი „საქართველოს ისტორიის" პირველ და მეორე გამოცემებში[14], ისე მ. ჯანაშვილის მიერ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში[15]. მაგალითისათვის ავიღოთ მისი „საქართველოს ისტორიის" უკვე მოხსენებული მეორე გამოცემა. აქ ავტორი მარტივი ისტორიული კრიტიკის ელემენტებსაც კი ვერ ამჟღავნებს. მ. ჯანაშვილის ისტორიული სქემის საფუძველს „ქ. ც.-ის მატიანე შეადგენდა. მას დასაშვებად მიაჩნდა ქართველთა ბიბლიური წარმომავლობა და ყველა ქართველ ეთნარქთა ისტორიულობა[16], მაშინ, როდესაც მ. ჯანაშვილის ზოგიერთი წინამორბედი ქართველი ისტორიკოსი (ს. ბარათაშვილი,

---

13 ინგ. და ფარ. ბიბლიოგრაფია, მოსე ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიის" გამოცემის გამო. „ივერია", № 74, 1895, გვ. 4, სვ. 2.

14 საქართველოს ისტორიის პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1884 წ., ხოლო მეორე — 1894 წელს.

15 მიუთითებთ მ. ჯანაშვილისაევე ბიბლიოგრაფიაზე. იხ. მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თბილისი, 1956, გვ. 82—112.

16 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა, თბილისი, 1894, გვ. 3, 4, 10, 11.

დ. ბაქრაძე), „ქ. ც.-ის ამ ლეგენდარულ ცნობებში ისტორიულ მარცვალსაც ვერ ხედავდა.

ძალზე მარტივად აქვს გადაწყვეტილი ჩვენ ავტორს აგრეთვე საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის მოსვლისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ამბების თხრობა. მას სწამს ალექსანდრეს საქართველოში ლაშქრობის ისტორია და მის მიერვე აქ მზის, მთვარისა და ხუთი უძრავი ვარსკვლავის კულტის შემოტანა. ამასთან მას ავიწყდება, რომ მეოთხე გვერდზე ამ წარმართულ-ასტრალური სარწმუნოების საქართველოში შემოღებას იგი უკავშირებდა კოლხეთში ეგვიპტელთა ლეგენდარული შემოსვლის ამბავს. წიგნში ამგვარი წინააღმდეგობანი არაიშვიათია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომშიც თავს იჩენს გარკვეული ცდა ამა თუ იმ მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმოჩენისა. საკითხი ეხება საქართველოში სახელმწიფოებრიობის დაარსების პრობლემას, რომელიც გასული საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განსაკუთრებული ყურადღების საგანს შეადგენდა, და რომელიც, მართალია, მეტად ლაკონიურად აქვს ჩვენ ავტორს გადმოცემული, მაგრამ ის რაც მოტანილია, გარკვეული მნიშვნელობის მქონეა. „ერთ-მეფობის დაარსებას, — წერდა მ. ჯანაშვილი,—ხელი შეუწყვეს იმ უბედურებათა, რომელთაც ხშირად ეწეოდა ზემო-ქართლი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში; აგრეთვე ერთად ბრძოლამ, ვაჭრობამ, ერთმანეთში მისვლა-მოსვლამ, ერთნაირმა სჯულმა, განცალკევებული ხალხი ერთმანეთს დაუახლოვა. ეს იყო მიზეზი, რომ იაზონის მოკვლის შემდეგ ყველა ქართველებმა დასვეს თავის მეფედ ფარნაოზი და დაემორჩილენ მას 302 წელს ქრისტეს მოსვლამდის“ გვ. 6) მ. ჯანაშვილის მსჯელობის მნიშვნელობა არა იმდენად საკითხის დასმაში მდგომარეობს (რადგან იგი დიდი ხნის დასმული იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში), არამედ მის გადაწყვეტაში. მაშასადამე, მ. ჯანაშვილის აზრით, საქართველოში სახელმწიფოს დაარსების აუცილებლობა ორი ფაქტორით განისაზღვრება, კერძოდ, საგარეოთი, რაც გამოწვეული იყო ცალკეული ქართული ქვეყნების გაერთიანებით[17] საერთო მტერთან ომში და შინაგანი აუცილებლობით, რაც ნაკარნახევი იყო ქართველ ტომთა სოციალურ-ეკონომიური განვითარებით[18].

[17] ჩვენი ავტორის აზრით, ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისმა შთამომავლობამ ქართველთა ქვეყანა რამდენიმე ნაწილად გაჰყო. მათ სათავეში მამასახლისები ესხნენ. რომელნიც მცხეთის მმართველს ანუ მამასახლისს ემორჩილებოდნენ. იქვე. გვ. 3.

[18] მ. ჯანაშვილისთვისაც პირველი ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ფეოდალურ სისტემაზე იყო აგებული. მისი სიტყვით, ფარნავაზის „დროს გაჩენილა „ოთხი წოდება: თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა“ (გვ. 7). ამ ცნობიდან ჩანს ავტორის თვალსაზრისი ქართული სახელმწიფოებრიობის ბუნებაზე.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში კლასობრივი საზოგადოების ჯანაშვილისეული სურათი იმჟამინდელი მოწინავე მეცნიერების დონეზე დგას. არამარქსისტულ ლიტერატურაში ერთვალად თუ შევხვდებით სხვა, ასე სწორედ გადმოცემულ შეხედულებას საქართველოს დაარსების საკითხზე. ეს გარემოება მ. ჯანაშვილის ერუდიციის ნიშანდობლივი თვისებაა.

მ. ჯანაშვილს სხვა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებისათვის მიუქცევია ყურადღება. ესაა, როგორც აღვნიშნეთ, XIX ს-ის ისტორიოგრაფიაში მის დრომდე დასმული საკითხი — ხალხის შინაგანი ისტორიის დამუშავების პრობლემა. საგულისხმო აქ ისაა, რომ ჩვენმა ავტორმა ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს შემდგომი მეცნიერული გაშუქება მისცა, რითაც გაამდიდრა XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფია. მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორიის" მესამე გამოცემა, არსებითად რომ განსხვავდება წინა ორისაგან, საზოგადოების ახალ მოთხოვნილებებს ემსახურებოდა. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი მწუხარებით იუწყებოდა, რომ ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყარო „ქართლის ცხოვრება" „ისტორიულ მოვლენებს გვიხსნის არა მათ შინაგან ძალთა მიხვედრისამებრ ანუ მათ შედეგისა და გვარად, არამედ აღგვინუსხავს ქრონოლოგიურს რიგზე. ისიც ხშირად შეცდომებით, აბნეულ-დაბნეულად"[49]. მისივე სიტყვით, „საქართველოს ერის შინაური წეს-წყობილების შესახებ, სამწუხაროდ, ჩვენი მატიანეები არას იტყობინებიან" (გვ. 293).

მოტანილი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ მ. ჯანაშვილს ყოველი ისტორიული მოვლენის შინაგანი ძალა აინტერესებდა; მაშასადამე, მისი ყურადღების საგანს იმ მიზეზთა ძიება შეადგენდა, რომლებმაც ეს უკანასკნელი წარმოშვა. ავტორს ყურადღების სფეროდან არ ეპარებოდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. კ. გრიგოლია[50], აგრეთვე შედეგიც, რომელიც ამა თუ იმ მოვლენას თან მოჰყვა. ერთი სიტყვით, ჩვენი ავტორი ისტორიული მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ახსნის ნიადაგზე დგას. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა მ. ჯანაშვილს დამდგარიყო სწორ მეთოდოლოგიურ პოზიციებზე. თუმცა ისტორიული მეცნიერების იმჟამინდელმა პირობებმა ხელი შეუშალა მას გამხდარიყო ნამდვილი მარქსისტი ისტორიკოსი.

XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია აგრეთვე პროფ. ა. ხახანაშვილიც. მას მეტად

---

49 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, VII.

50 კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, მოსე ჯანაშვილი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი, კრებულში „მოსე ჯანაშვილი", თბილისი, 1956, გვ. 16.

ორიგინალური მსჯელობა აქვს განვითარებული ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხთა შესახებ. ჩვენ სპეციალური წერილი მივუძღვენით მის ამ შეხედულებებს და ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით მათ განხილვაზე[51].

ამრიგად, XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებანი პირველყოფილ-თემურ წყობილებასა და ანტიკური ხანის (ადრეკლასობრივი საზოგადოების) საქართველოს სოციალურ საკითხებზე, როგორც დავინახეთ, ფრიად საინტერესო და საყურადღებოა თეორიულად. ამ ხანის ქართველი ისტორიკოსები ყველა უკლებლივ და მეტ-ნაკლები ოდენობით გრძნობდნენ ხალხის შინაგანი ისტორიის პრობლემათა შესწავლა-დამუშავების საქმეს. მართალია, ეს იდეა ჩვენში გადმოინერგა თანადროული დასავლეთ-ევროპული ისტორიოგრაფიიდან, მაგრამ მან ქართულ ნიადაგზე მიიღო შემდგომი თეორიული და ნაწილობრივ პრაქტიკული გამოყენება. მაგრამ ქართული წყაროთმცოდნეობითი ბაზის შეზღუდულობამ და მეცნიერული კვლევა-ძიების იდეალისტურმა მეთოდოლოგიამ[52], ჩვენს ისტორიკოსებს განზრახული სურვილის პრაქტიკულ-მეცნიერული განხორციელებისა და ფაქტების განზოგადების საშუალება არ მისცა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ს. ბარათაშვილის დროიდან (მასზე ადრე კი პ. იოსელიანის) თავს იჩენს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფისათვის ფრიად დამახასიათებელ მოვლენათა ელემენტების (შინაგანი ისტორიის საკითხთა შესწავლის) დასმა, თუმცა დ. ბაქრაძე, ი. ჯავჯავაძე, მ. ჯანაშვილი და ა. ხახანაშვილი, უკვე ახალგაზრდა ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ისტორიოგრაფიის დონეზე დგანან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ხახანაშვილის თეორიული მომზადება და მისი კონცეფციის მატერიალისტური საფუძველი. მაგრამ XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის დიდ მიღწევათა მიუხედავად, საკითხი ძველი საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების შესახებ მაინც შეუსწავლელი დარჩა და იგი ამჟამად XX ს-ის ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის კვლევა-ძიების საგანს შეადგენს.

---

51 არჩილ ბარამიძე, ა. ხახანაშვილი და პირველყოფილ-თემური წყობილების საკითხები ქართველ ტომებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე", ტ. XXXIV: 3, 1964, გვ. 737—744.

52 გ. მელიქიშვილი. საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე. „საისტორიო წერილები", თბილისი, 1968, გვ. 7.

ნ. როდონაია

გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფიიდან (ნიკო ნიკოლაძე და ივანე ჯავახიშვილი XIX ს. საქართველოს გლეხთა მოძრაობის შესახებ)

მე-19 საუკუნის საქართველოს გლეხთა მოძრაობის შესახებ დღეისათვის დაგროვილია საკმაოდ ვრცელი ისტორიოგრაფიული მასალა. იგი საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ჩვენი ისტორიის ამ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის შესწავლის მთელ ისტორიას და წარმოვაჩინოთ ამ საკითხზე ქართული ისტორიული აზრის განვითარების სურათი. წინამდებარე ნაშრომი მიზნად არ ისახავს ესოდენ დიდი საკითხი ამოწუროს. ჩვენი ამოცანა ამჯერად უფრო მოკრძალებულია. წარმოდგენილი სტატია ეძღვნება მე-19 საუკუნის საქართველოს გლეხთა მოძრაობის შესახებ ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ჯავახიშვილის შეხედულებების განხილვას. ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის. ნიკო ნიკოლაძე სხვა ქართველ სამოციანელებთან ერთად სათავეში ედგა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას, მისი ერთ-ერთი მედროშე და იდეოლოგი იყო, „მისი კალამი ეხმაურებოდა ყველაზე მწვავე ეკონომიურ, პოლიტიკურ თუ ისტორიულ პრობლემებს, რომელთაც ჩვენი მაშინდელი ცხოვრება დღის წესრიგში აყენებდა"[1]. მისი დემოკრატიული იდეების საუკეთესო დადასტურებაა გლეხთა მოძრაობის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისი, რაც დღესაც მეტად საინტერესო და ანგარიშგასაწევია.

გლეხთა მოძრაობის გაგებისა და შეფასების ნიკოლაძისეული თვალსაზრისი, რაც თავისთავად 60-იანი წლების მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების პროდუქტი იყო, შემდგომ განვითარებასა და ღრმა მეცნიერულ ანალიზს პოულობს პროფესიულ ქართულ ისტორიოგრაფიაში — მხედველობაში, გვაქვს ჩვენი სასიქ-

[1] ჰ. რატიანი, ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუციის საკითხისათვის (ჟურნ. „მნათობი", 1966 წ., № 11, გვ. 132).

დულო მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა. მას საქართველოს ახალი ისტორიის საკითხებიც არ დაუტოვებია ყურადღების გარეშე და მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდზე მცირე რაოდენობის ნაშრომები გააჩნია, მთელი რიგი მისი მოსაზრებებისა დღესაც ფასდაუდებელია ქართული ისტორიოგრაფიისათვის. ეს უპირველესად ითქმის გლეხთა მოძრაობის ისტორიის ჯავახიშვილისეულ ინტერპრეტაციაზე. ეს თვალსაზრისი მეცნიერს გამოთქმული აქვს 900-იანი წლების დასაწყისში. მათი თვალის გადევნება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ერთიანი ხაზი სამოციანელებისა და ჯავახიშვილის შეხედულებებს შორის. მათ ძირითადში ერთნაირად (და რაც მთავარია ბართებულად) ესმოდათ საქართველოს ისტორიის ეს ერთ-ერთი საკვანძო საკითხი — გლეხთა მოძრაობის ხასიათი და ამოცანები. სწორედ ამიტომ შევაჩერეთ წინამდებარე სტატიაში ყურადღება ქართული ისტორიოგრაფიის ამ ორ წარმომადგენელზე.

გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს ნიკო ნიკოლაძეს მე-19 საუკუნის საქართველოს გლეხთა მოძრაობის შესახებ სპეციალური ნაშრომი არა აქვს. მიუხედავად ამისა, საჭიროდ ვცანით ყურადღება გაგვემახვილებინა მის ერთ-ერთ სტატიაზე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი. მას ეწოდება „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში"[2].

ნიკო ნიკოლაძემ საკლეხო რეფორმა შეაფასა, როგორც ხალხის ნოტყუების ფაქტი. ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია სტატიის პირველი ნაწილი, სადაც ავტორი თავის შეხედულებებს იძლევა გლეხთა მოძრაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ნიკოლაძე წერს: „ოსმალეთის ომის დროიდან (1853 — 56 წწ.) გლეხთა განთავისუფლების საკითხმა ქართველი საზოგადოების ყოველი ელემენტი ააღელვა. ამ საკითხმა თავიდანვე, მისი სოციალური ხასიათის მიუხედავად, პოლიტიკური ბალანსის ხასიათი მიიღო... რადგან გლეხთა საკითხი, მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული მოქმედებისა... საქართველოში იზრდებოდა არა დღეობით, არამედ საათობით. ამიტომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი ძალით განვითარდა და თავისი ბედ-იღბალი თანდათან გლეხთა საკითხის ასეთ თუ ისეთ გადაჭრას დაუკავშირა"[3]. ამ ამონაწერში შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული ნიკოლაძისეული განმარტება იმ რევოლუციური სიტუაციისა, რომელიც 60-იანი წლების

---

2 ეს სტატია დაბეჭდა გერცენის „კოლოკოლში" 1865 წელს (№ 199) და შემდეგ შევიდა ნ. ნიკოლაძის რჩეული ნაწერების I ტომში.

3 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 162—163.

წინა ხანებში შეიქმნა საქართველოში. ნიკოლაძეს კარგად აქვს წარმოდგენილი გლეხთა მოძრაობის ის დიდი მნიშვნელობა, რამაც ეს უკანასკნელი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენამდე აიყვანა ჩვენში. ნ. ნიკოლაძე საქართველოს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გლეხთა მოძრაობას[4] განიხილავს, როგორც ერთიანი ხაზის მოვლენას, მასში ერთ ტენდენციას ხედავს და სწორედ ამიტომაა, რომ რომელიმე ცალკეული აჯანყების მარცხი მას საქმის გათავებად არ მიაჩნია. „საქმე თავისი გზით მიიმართებოდა. იმერეთის აჯანყების (1820 წ.) მარცხმა ვერ შეაჩერა გურიის აჯანყება 1841 წელს, კიდევ უფრო ნაკლებად შეაფერხა გლეხთა მოძრაობა 1855 — 1862 წლებში. მთავრობა ალღოთი ხვდებოდა, რომ „რეფორმის საჭიროება საგრძნობი" იყო. ამიტომ მან ხელი მიჰყო მის განხორციელებას ზემოდან, რათა შეეფერხებინა მისი განვითარება ქვემოდან"[5]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიკო ნიკოლაძე ჩამოთვლილ აჯანყებებს შორის ხედავს ობიექტურ, კანონზომიერ კავშირს, ისინი მას წარმოუდგენია ერთიან ისტორიულ პროცესად, იმ პროცესად, რამაც რეფორმის გატარებამდე მიიყვანა მთავრობა. ეს არის კარგად დანახული მომენტი. ნიკოლაძის ბევრი თანამედროვე და მომდევნო ხანის ავტორი კი ამას არამც თუ ვერ ხედავს, არამედ ფიქრადაც არ მოსდის ცალკეულ გამოსვლებსა და აჯანყებებს შორის რამე კანონზომიერი კავშირი მოძებნოს.

გლეხთა მოძრაობების შეფასების ნიკოლაძისეული თვალსაზრისი კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს ქვემოთ მოტანილ მსჯელობაში — „მიუტევებული შეცდომა იქნებოდა, — წერს ნიკოლაძე, — რომ საქართველოს გლეხთა მოძრაობის მიზეზად მარტო რუსეთის მთავრობის უსამართლობა და აზნაურთათვის „დვორიანინობის" უპირატესობათა დაკანონება მიგვეჩნია. ცხადზე უცხადესია, ამ ღონისძიებამ ცეცხლს ნავთი დაასხა, მაგრამ ბოროტების სათავეს ეს არ წარმოადგენს და არც მხოლოდ მის მოსასპობად არის მიმართული გლეხობის ძალ-ღონე. ბოროტების ძირი არის აბა მარტო ქართული. არამედ მსოფლიოც. საქართველოში ამჟამად იგივე ბრძოლა წარმოებს, რომელსაც რუსეთის, ევროპის და თამამად შეიძლება ითქვას. მთელი მსოფლიოს ძალ-ღონე ხმარდება. ეს არის მშრომელთა ბრძოლა შთამომავლობისა და კაპიტალის პრივილეგიების წინააღმდეგ. ე. ი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მშრომელ-ღატაკთა სოციალური ბრძოლა მუქთახორა სიმდიდრის წინააღმდეგ"[6]. როგორც ვხედავთ, ნიკო ნიკოლაძე საქართველოს

---

[4] ნ. ნიკოლაძე არ ახსენებს 1804 წლის მოიულეთისა და 1812 წლის კახეთის აჯანყებებს. ისინი, ალბათ, ცნობილი არ იყო მისთვის.

[5] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩეული ნაწერები. ტ. I, გვ. 167.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 167—168.

გლეხთა მოძრაობას მიიჩნევს ძთლიანი, მსოფლიო მოძრაობის ნაწილად. დღეისათვის სავსებით გასაგებია, რომ ეს მოძრაობა მთლიანი რუსული საზოგადოებრივი მოძრაობის ერთი რგოლი იყო, განსაკუთრებით გამწვავებული თუნდაც იმიტომ, რომ მასში ბატონყმურ ჩაგვრას ზედ ერთვოდა კოლონიური ჩაგვრის უღელიც. ნიკოლაძეს ისიც კარგად ესმოდა, რომ ქართველ ხალხს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა შესისხლხორცებული სოციალური მეცნიერების მთელი საფუძველი, რომ იგი „ამხედრებულიყოს საფრანგეთის ან სხვა დემაგოგის მოწოდებით. არა, ამ სტრიქონების დამწერმა კარგად იცის, რომ ქართველ ხალხს, როგორც ყოველ სხვა ხალხსაც, მთლად არა აქვს გარკვეული უკუღმართობის ყოველი წვრილმანი და ზედმიწევნით არ იცნობს მის წინააღმდეგ გამოსაყენებელ იარაღს. მაგრამ ხალხს ერთი რამ კარგად აქვს შეგნებული. ვაი-ვაგლახით ცხოვრება. როგორც აქამდე ცხოვრობდა, პირდაპირ აუტანელია, ასეთი ცხოვრების სიდუხჭირე მოთმინების ყოველგვარ საზღვარს სცილდება და სჯობს დაიღუპოს იგი. ვიდრე ეფლობოდეს იმ ჭაობში, რომელიც მას ნელ-ნელა სისხლსა სწოვს და ძალ-ღონეს აცლის“[7].

ნ. ნიკოლაძე საქართველოს გლეხთა მოძრაობას განიხილავს როგორც თვითმყოფად მოვლენას, რომელიც ობიექტურად ერთი დიდი საერთო მოძრაობის ნაწილია, მაგრამ იქვე განმარტავს, რომ ამ მოძრაობას აკლია თეორიული შეგნება მისი კლასობრივი ჩაგვრის მიზეზებისა, თუმცა ეს სრულებით არ უშლის მას ხელს პრაქტიკული მხარე გაიგოს ამ სოციალური უკუღმართობისა და იბრძოლოს მის წინააღმდეგ. ეს სახალხო მოძრაობის, მისი დადებითი მხარეებისა და ნაკლოვანებების სწორი შეფასებაა.

საქართველოში საგლეხო რეფორმისათვის მზადებას ნიკოლაძე კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს, რადგან ჯერ კიდევ „რესკრიპტამდე“ ქართველმა გლეხებმა მანიფესტაციებს კი არ მიჰყვეს ხელი, არამედ იარაღით ამჟღავნებდნენ თავის უკმაყოფილებას ბატონყმობის წინააღმდეგ. ნიკოლაძე იქვე უჩვენებს, რომ მთავრობა და ადგილობრივი თავადაზნაურობა ძალას არ იშურებდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგალითად, სამეგრელოს 1857 წლის აჯანყების შემდეგ, დედოფალი გააძევეს და იქ „სამეგრელოს დროებითი მმართველობა“ შექმნეს. გურიის, იმერეთისა და ქართლ-კახეთის სხვა აჯანყებებიც დაამარცხეს ჯარისკაცებმა და აზნაურთა მილიციამ, მაგრამ გლეხები მაინც არ იხევენ უკან, „ისინი სრულებით არ მალავენ, რომ აჯანყების ერთადერთი მიზეზი ბატონყმობა იყო. ხოლო ერთადერთი მიზანი —

---

7 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 169.

მისი მოსპობა. ასე რომ, უკიდურესად გამწვავებული მდგომარეობიდან სხვა გამოსავალი არ იყო, თუ არა იმ ყბადაღებული რეფორმის გატარება, რომელმაც დაბეჩავებულ ყმა-გლეხობას მხოლოდ სახელი გამოუცვალა"[8].

ასეთია ნ. ნიკოლაძის მიერ ამ პატარა სტატიაში გლეხთა მოძრაობის შეფასების სურათი. იგი თამამად შეიძლება დავუყენოთ გვერდში ამ საკითხის შესახებ სპეციალურად დაწერილ ბევრ სქელტანიან გამოკვლევას, სადაც საუბარი არ არის იმ არსებით მოვლენებზე, რასაც ნიკოლაძემ ასე დროულად მიაქცია ყურადღება. აღნიშნულ სტატიაში ნ. ნიკოლაძემ პირველმა შენიშნა და გვიჩვენა გასული საუკუნის საქართველოს გლეხთა მოძრაობისათვის დამახასიათებელი შემდეგი მომენტები:

1. რეფორმამდელი ხანის გლეხთა ცალკეულ გამოსვლებს შორის კანონზომიერი კავშირი არსებობდა.

2. საქართველოს გლეხთა მოძრაობა საერთო რუსული მოძრაობის ნაწილია და ამით მეტად იზრდება პირველის მნიშვნელობა. აქედან გამომდინარეობს საგლეხო რეფორმის გატარების კანონზომიერება.

3. გლეხთა მოძრაობას ჩვენში აკლდა კლასობრივი შეგნება. მიუხედავად ამისა, გლეხობას პრაქტიკულად კარგად ესმოდა სოციალური უკუღმართობა და იბრძოდა მის წინააღმდეგ.

4. გლეხობის ბრძოლას შეერთებული ძალებით უპირისპირდებოდნენ ქართველი თავადაზნაურობა და რუსული ხელისუფლება. ეს უკანასკნელი ბურჯი იყო ბატონყმობისა და, ცხადია, მას დაუჭერდა მხარს.

მე-19 საუკუნის საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა. მხედველობაში გვაქვს მისი ნაშრომი: „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в"[9]. ივ. ჯავახიშვილის ეს შედარებით მცირე მოცულობის წიგნი, რომელიც თავის დროზე ლექციების სახით იქნა წაკითხული პეტერბურგში, შეიცავს ბევრ ისეთ საინტერესო მომენტს, რომელთა მნიშვნელობა დღესდღეობით ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის ფასდაუდებელია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ცალკეული საკითხების

---

8 იქვე, გვ. 170.

9 წიგნი დაისტამბა პეტერბურგში 1906 წელს. შემდეგ კი შევიდა ქართველი ერის ისტორიის V ტომში.

დაყენებისა და მოელენების შეფასებისადმი ჯავახიშვილისეული მიდგომა ძალიან ხშირად მაღლა დგას მომდევნო ხანაში გამოსული ბევრი ნაშრომის დონეზე[10]. აღნიშნული ნაშრომის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი ეხება რა 900-იანი წლების საქართველოში სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის მასშტაბებისა და მნიშვნელობის ზრდას, აღნიშნავს: „ყველას თუ არა, უმრავლესობას[11] მაინც იგი ეჩვენება მოულოდნელობად. უცაბედად აღმოცენებულად და ვერ გაუგიათ საიდან გამომუშავდა ის ერთსულოვნება, რომელსაც ავლენს ქართველი ხალხი სოციალურ მოძრაობაში. საიდან მოვიდა ის სანიმუშო დისციპლინა და ორგანიზებული მოქმედება, რომლებიც ასე მკაფიოდ განასხვავებენ თავისი კულტურით ქართულ მოძრაობას რუსეთის სხვა მხარეების მისივე თანამედროვე მოძრაობებისაგან“[12].

სწორედ ამ კითხვაზე აძლევს პასუხს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი. კერძოდ, დიდი მეცნიერი გამოყოფს საკითხების სამ რიგს, რომლებზეც შემდგომ ვითარდება მსჯელობა:

1. მისი მიზანია აჩვენოს მკითხველს ის მიზეზები, რომელთაც განსაზღვრეს ქართველი ხალხის თვალში რუსეთის მთავრობის ავტორიტეტის (რომელიც ეგზომ დიდი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ ხანებში) დაცემა.

2. ხაზი ესმის იმ გარემოებას, რომ მე-19 საუკუნეში, თუ უფრო ადრინდელ ხანაზე არაფერს ვიტყვით, სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობას ჩვენში ჰქონდა თავისი ისტორია. ქართველი ხალხი დიდი ხნის გამოწრთობილი იყო ამ საქმეში.

3. ავტორი გვიჩვენებს, რომ სახალხო მოძრაობას ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული ხალხის ფსიქიკასა და ცხოვრებაში[13].

ივ. ჯავახიშვილი, ეხება რა ქართველი დიდებულების და ბატონიშვილების უკმაყოფილებას საქართველოს სამეფოს გაუქმების გამო, აღნიშნავს: „მხოლოდ ქართველი გლეხობა იყო მოლოდინში. სულის სიღრმეში მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი რუსების წყალობით თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისა“[14]. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და მანაც დაკარგა რუსეთის მთავრობისადმი ნდობა. „როცა რუსული

---

10 მხედველობაში გვაქვს ზოგადი მსჯელობის ხასიათი და საკითხის დაყენება. თორემ, ცხადია, ცალკეული აჯანყების შესახებ კონკრეტული მასალების სიუხვით (საარქივო დოკუმენტები, წყაროები), მათი მონოგრაფიული შესწავლითა და თვით გლეხთა აჯანყებების რაოდენობის გამოვლენილობაც შემდგომი ხანის გამოკვლევები გაცილებით მდიდარია.

11 მხედველობაში აქვს რუსული ხელისუფლება და საზოგადოებრიობა.

12 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 1 (წინასიტყვაობა).

13 ი ქ ვ ე.

14 ი ქ ვ ე. გვ. 12.

ბატონობის მძიმე უღელი დააწვა, იგი მიხვდა, თუ რა ელოდა მომავალში"[15]. ყველაზე ადრე ეს დაინახეს მთიულებმა. თავდაპირველად მათ შვიდწლიან შეღავათებს შეჰპირდნენ. სინამდვილეში კი გადასახადები მოსთხოვეს. ფურაჟს უფასოდ ართმევდნენ, ერეკებოდნენ ცხენებს და მძიმე საგზაო სამუშაოებს ასრულებინებდნენ. „მხსნელი თანამოაზრეები არაფრით უკეთესი არ გამოდგნენ დაუძინებელ მტრებზე და როცა მთავრობამ 1804 წელს მოისურვა სპარსეთის ფრონტის შესავსებად წეველამველთა გაწვევა, საქართველოს მთიანეთი აჯანყდა"[16]. აჯანყების მსვლელობასა და მარცხზე არ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ივ. ჯავახიშვილი მთიულეთის აჯანყების გამომწვევ მიზეზებს უშუალოდ უკავშირებს 1812 წლის კახეთის აჯანყებას, იმ განსხვავებით, რომ ყოველივე ზემოთქმულს კახეთში ზედ დაერთო სამხედრო ეგზეკუცია — პროვიანტის აკრეფა ჯარისათვის. ჯავახიშვილს ეს აჯანყება წარმოდგენილი აქვს, როგორც ორგანიზებული მოძრაობა. სწორედ ამიტომ, კახეთის აჯანყება „საფრანგეთის რევოლუციის" სახელითაც კი მოინათლა. დაიწყო მოლაპარაკება მეზობელ ხალხებთან, აირია დაღესტანი, შირვანის სახანო. ამოძრავდნენ ბორჩალოს, შამშადილისა და ყაზახის თათრები. დღე-დღეზე ელოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის შემოსვლას სპარსეთიდან. აჯანყების ალი ქართლში გადადიოდა. ყოველივე ეს არ შეიძლება მომხდარიყო თავისთავად, წინასწარ მომზადებული გეგმის გარეშე. ჯავახიშვილი იმოწმებს მთავარმართებლის ცნობას — „აჯანყების ორგანიზაცია ექვს გარეშე ხდის, რომ აქ იფარებოდა შეგნებული შეთქმულება, რომლის შედეგადაც კავკასიის ტერიტორია მთლიანად ეკარგებოდა რუსეთს"[17].

კახეთის აჯანყებას 1819 — 20 წლებში მოჰყვა იმერეთის აჯანყება. რომლის უშუალო მიზეზი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იყო.

ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ მართალია, აჯანყებები აიძულებდა ადგილობრივ ხელისუფალთ ეზრუნათ მდგომარეობის გამოსწორებისათვის, უსამართლობის აღმოსაფხვრელად. „მაგრამ დროებით, საქმე ზედაპირულად მიდიოდა". დიდ მეცნიერს კარგად ესმოდა, რომ მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები არ ეხებოდა იმ ფესვებს, რომლებიც სინამდვილეში განსაზღვრავდნენ მომხდარ ამბებს. ამდენად, ბრძოლა ხელახლა იწყებოდა. აქედან დასკვნა — ეს მოძრაობა მიმართული იყო არა მარტო იმ ზედაპირული უსამართლობის წინააღმ-

---

15 იქვე.
16 იქვე, გვ. 13.
17 АКАК, ტ. V, № 97.

დეგ. რაც ცალკეული კაპიტან-ისპრავნიკის თავგასულობაში ვლინდებოდა. არამედ ამ უსამართლობის საფუძვლების წინააღმდეგ. სწორედ ამან განაპირობა საზოგადოებრივი მოძრაობის წარმოშობა და მასშტაბები სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ფორმით, თორემ, ცხადია, კონკრეტული, ერთეული შემთხვევა ასეთ დიდ მოძრაობას ვერ გამოიწვევდა საქართველოში.

განსაკუთრებით საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა მე-19 ს. 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დამდეგს გლეხთა მოძრაობასა და თავადაზნაურულ მოძრაობას შორის დამოკიდებულების შესახებ. საკითხის ამგვარი დაყენება პირველად ამ ნაშრომში გვხვდება. კერძოდ, ჯავახიშვილი ეხება 1832 წლის შეთქმულების მომზადების ამბებს და აღნიშნავს: „ახლა, როცა ჩვენს ხელთ არის დოკუმენტები, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფალავანდიშვილის ღალატის გარეშეც, შეთქმულებას არ შეიძლება რაიმე წარმატება ჰქონოდა. ეს იმიტომ კი არა, რომ ქართველ საზოგადოებას თითქოს გაბოროტება აკლდა რუსეთის მთავრობის მიერ დამყარებული რეჟიმის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ ქართველ გლეხობაში სწორედ ამ დროს ხდებოდა დიდი დუღილი და იგი მხარს არ დაუჭერდა თავადაზნაურული წრის აჯანყებას. საქმე იმაშია, რომ სწორედ შეთქმულებისათვის მზადების პერიოდში, ქართველ გლეხობაში კვლავ დაიწყო მძლავრი მოძრაობა ბატონყმობისაგან განთავისუფლებისათვის“[18].

ივ. ჯავახიშვილი, როგორც თვითონ აღნიშნავს[19], იმ დროს ჯერ კიდევ არ იცნობდა საკმარისად სათანადო კონკრეტულ მასალას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ბრძოლის. აღორძინებისა და მსვლელობის ილუსტრაცია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის ხელთ არსებულ მცირე მასალაზე დაყრდნობითაც, მან დიდი მეცნიერული ალღოთი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება შესძლო.

მის მსჯელობაში ორი მომენტია მეტად ყურადსაღები. პირველ ყოველისა. ეს არის ის გარემოება. რომ უკვე მე-19 საუკუნის 30-იანი წლების საქართველოს გლეხთა მოძრაობაში დანახულია სოციალური, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების სურათი. სწორედ ამ ხანიდან ძლიერდება ქართველი გლეხობის ბრძოლა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ და, ცხადია, ასეთ პირობებში გლეხობა მხარს არ დაუჭერდა თავადაზნაურულ მოძრაობას[20]. მოტანილი მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ ყოველივე ეს იმ კრიზისის გამოხატულებაა, რომელ-

---

18 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

19 ი ქ ვ ე.

20 ამის შესახებ იხ. პ. რ ა ტ ი ა ნ ი. ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ახალი ისტორიის ზოგიერთი საკითხი (შრომები, III, 1958, გვ. 257 — 258).

მაც სწორედ ამ ხანებში მოიცვა ქართული ბატონყმური სისტემა, რაც, თავის მხრივ, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებით იყო გაპირობებული. ასე რომ, გლეხობა თავისი კლასობრივი ინტერესებით დაუპირისპირდა თავადაზნაურობას. ივანე ჯავახიშვილამდე არც ერთ ისტორიკოსს ეს მომენტი არ შეუნიშნავს და არ გაუმახვილებია მასზე ყურადღება.

შემდეგ, მეორე გარემოება, რაც აგრეთვე მეტად საინტერესოა. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქართველ გლეხობაში კვლავ დაიწყო ძლიერი მოძრაობა...“ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სიტყვა „კვლავ“. ცხადია, ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში იმ გარემოებას გულისხმობდა, რომ ამ ბრძოლას ადრეც ჰქონდა ადგილი და ახლა ხელახლა აღმოცენდა შესაფერის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში. როდის ჰქონდა მას ადგილი? ცხადია, მე-18 საუკუნის საქართველოში. აგრარულ მოძრაობას ჩვენში ხანგრძლივი ისტორია აქვს. დოკუმენტები მოწმობენ, რომ, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური პირობებისა, მთელი მე-18 საუკუნის მანძილზე ჩვენში აგრარული მოძრაობა არ შეწყვეტილა. იგი გარკვეული დროის მონაკვეთებში იფეთქებდა ხოლმე აქა-იქ. „მაგრამ შექმნილი პოლიტიკური ვითარება—გარეშე მტრის შემოსევის საფრთხე, საშუალებას არ აძლევდა ამ მღელვარებას ნორმალური მსვლელობა მიეღო“[21].

ფეოდალური საქართველოს ისტორიისა და სამართლის ბრწყინვალე მცოდნე მეცნიერისათვის ეს ვითარება კარგად იყო ცნობილი და მან, ბუნებრივია, 30-იან წლებში დაინახა ამ ბრძოლის ხელახალი აღმოცენება, მისი გაგრძელება. მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში ეს ბრძოლა თითქოს შენელდა. ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა აქტმა, როგორიც საქართველოს რუსეთთან შეერთება იყო, დროებით შეაჩერა ეს მოძრაობა, რაღაც იმედები ჩაუსახა ქართველ გლეხობას. მაგრამ საკმარისი გამოდგა ამ იმედების გაცრუება და ბრძოლამ კვლავ იფეთქა ახალ ვითარებაში ახალი ძალებით. აი, ასე წარმოგვიდგება ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე საქართველოს გლეხთა მოძრაობების სურათი. გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ მასში არ ჩანს ეს დამაკავშირებელი ძაფი, იკარგება ისტორიული პერსპექტივა და მე-18 საუკუნისაგან მოწყვეტით განიხილება მე-19 საუკუნის საქართველოს გლეხთა მოძრაობები. ერთიანი ისტორიული ძაფის გაწყვეტის შედეგად დაშვებულია მეორე შეცდომაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ არ ჩანს ამა თუ იმ მოვლენისათვის ქვეყნის შიგნით შექმნილი ობიექ-

---

21 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5—6.

ტური პირობები და საერთოდ, ყველაფერი გარედან შემოტანილი ჰგონიათ. ასეთ ვითარებაში მით უფრო დასაფასებელია აკად. ივ. ჯავახიშვილის ის ღრმა მეცნიერული დასკვნა, რომელიც მან ჯერ კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გააკეთა.

ქართველი გლეხობისა და თავადაზნაურობის მოძრაობათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხს უშუალოდ უკავშირდება გლეხობის განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი რუსული ხელისუფლების დამოკიდებულების საკითხი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი, აგრეთვე, არ ტოვებს ყურადღების გარეშე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს საკითხიც ჯავახიშვილამდე არავის დაუყენებია. — „ქართველი გლეხობის ამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში რუსი ჩინოვნიკობა გლეხების მხარეს იჭერდა. ჩვენთვის უცნობია ასეთი მფარველობის აღმძვრელი მიზეზი, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს იგი, სრულიად ნათელია, რომ ქართველ გლეხობას, რომელიც ხედავდა რუსი მოხელეების მხრიდან არსებით[22] დახმარებას ბატონყმობისაგან თავის დაღწევისათვის ბრძოლაში, არ შეეძლო მხარის დამჭერის წინააღმდეგ წასვლა. არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო წამოწყებულ აჯანყებაში თავადაზნაურობასთან ერთად, რომლისგანაც თვითონ სურდა თავის დაღწევა. რუსული რეჟიმის მთელი სიმძიმის მიუხედავად, გლეხობას თავისი ინტერესები არ აძლევდა უფლებას გამოსულიყო რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, ვინაიდან მათგან ელოდა დახმარებას ბატონყმობისაგან განთავისუფლების საქმეში. შეთქმულების ორგანიზატორ თავადაზნაურობას რომ გაეგო საქართველოს გლეხთა მოძრაობის მთელი სერიოზულობა და ხელი გაეწვდინა მისთვის, ჩანაფიქრი რეალურ ნიადაგს იპოვნიდა“[23].

ისმის კითხვა, რამდენად შეიძლებოდა ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს მხარი დაეჭირათ იმ მოძრაობისათვის, რომელიც ძირში მიმართული იყო ამ სახელმწიფოს ბურჯის — ბატონყმობის წინააღმდეგ. ეს შეიძლება მომხდარიყო ერთ გარკვეულ მომენტში, ვთქვათ, თავადაზნაურული შეთქმულების დროს. შეიძლება ადგილობრივი ხელისუფლება გლეხობის ძალას მათ წინააღმდეგ იყენებდა და ისიც მცირე ხნით. სანამ გლეხთა გამოსვლები ფართო ხასიათს მიიღებდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხარდაჭერა და თვით გლეხობის სიმპათიებიც ამ უკანასკნელთა მიმართ, როგორც ზემოთ

---

22 ეხება. აქ რაიმე არსებით დახმარებაზე ფიქრიც ზედმეტია. ავტორს მხედველობაში აქვს ადგილობრივი მოხელეების მიერ საჩივრების შედგენაში დახმარება და სხვა მსგავსი ხასიათის ფაქტები.

23 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ღასახ. ნაშრ., გვ. 29.

იყო აღნიშნული. მხოლოდ გარკვეული ისტორიული მომენტის თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს და იგი სრულიადაც არ განსაზღვრავს მთელი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი მოძრაობის არსს. სავსებით გასაგებია ჯავახიშვილის მსჯელობის ის ადგილი, სადაც იგი ასაბუთებს, რომ გლეხობა ვერ მიემხრობოდა თავადაზნაურობას, როცა თვითონ იბრძოდა მის წინააღმდეგო[24]. გლეხობა თავადაზნაურობას არ მიმხრობია და ვერც მიემხრობოდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი მეფის რუსეთის ხელისუფლებას ემხრობოდა. ჯავახიშვილი სავსებით მართალია, როცა აღნიშნავს. რომ ამას ადგილი ჰქონდა რუსული ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდში. როცა ცარიზმი ჯერ კიდევ კავკასიის პოლიტიკური დაპყრობის პროგრამას ახორციელებდა და ნაკლებად ავლენდა თავის სოციალურ ბუნებას. მაგრამ საკმარისი იყო მას დაემხო ადგილობრივი თავადაზნაურობისა და დიდებულების წინააღმდეგობა, დაექვემდებარებინა საქართველო მთლიანად, საკმარისი შეიქნა დაენახა გლეხთა ბრძოლის მიზნები, რომ იგი გვერდში ამოუდგა იმავე თავადაზნაურობას და ერთიანი ფრონტით გააჩაღა ბრძოლა გლეხობის წინააღმდეგ, რუსეთის თვითმპყრობელური სახელმწიფოს ბურჯის — ბატონყმობის დასაცავად. გლეხობის განმათავისუფლებელ ბრძოლას უპირისპირდება არა მარტო ქართველი თავადაზნაურობა. არამედ რუსეთის ხელისუფლებაც. ამის ნათელი მაგალითებია. თუ სხვას არ ჩამოვთვლით, 1841 წლის გურიისა და 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა მოძრაობის ამბები. ქართველ თავადაზნაურობას შეეძლო ხელი გაეწოდებინა გლეხობისათვის და ბოლომდე გაეგო მისი ბრძოლის მიზნები. თავადაზნაურობა ცდილობდა გამოეყენებინა ეს უკანასკნელი თავისი დაკარგული უფლებების აღსადგენად და საკმარისი იყო დაენახა გლეხობის ბრძოლის ნამდვილი მიზნები. რომ ზურგს აქცევდა მას. ასე რომ, გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ქართველი თავადაზნაურობისა და რუსული ხელისუფლების დამოკიდებულება ერთგვაროვანი იყო (კონკრეტული ისტორიული პირობების შესაბამისად). რაკი გლეხთა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო, მთავრობა დაინტერესდა შექმნილი ვითარებით და ეს პუნქტი კუტაისოვისა და მეჩნიკოვის კომისიის მუშაობის პროგრამაშიც შეიტანა. აი. როგორი გადაწყვეტა მისცა მან გლეხობის საკითხს: „ამჟამად არსებული გადასახადები თანდათან მოისპოს და, არა უმეტეს სამი წლის მანძილზე, შეიცვალოს იგი რუსეთში არსებული გადასახადებით. ქართველ მებატონეებს დაუყოვნებლივ მიეცეთ თავისი

---

[24] ივ. ჯავახიშვილი გულისხმობს შეთქმულებაში მაარდაჭერას.

გლეხების ჯარისკაცად გაშწესებისა და ციმბირში გადასახლების უფლება"[25].

როგორც დავინახეთ, გლეხობის რეკრუტად გაწვევისა და გადასახლების უფლება მთავრობის დადგენილებით იქნა დაკანონებული „რუსეთის მთავრობის გამთანაბრებელი ტენდენციების წყალობით, ასე სამწუხაროდ დამთავრდა ქართველი გლეხობის განმათავისუფლებელი მოძრაობა"[26] — წერს ჯავახიშვილი.

ივ. ჯავახიშვილი განიხილავს 1857 წლის სამეგრელოს მოძრაობას და აღნიშნავს, რომ გლეხთა მოთხოვნები აქ მინიმალური იყოო (გლეხებისადმი ადამიანური მოპყრობა, ჯაჭვითა და ბორკილებით დასჯის მოსპობა, ყმის გაყიდვის აკრძალვა, საერთოდ კი, ბატონყმობის ნორმების დაცვა). როგორც ჩანს, იმ დროს ივ. ჯავახიშვილისათვის არ იყო ხელმისაწვდომი ყველა ის საარქივო დოკუმენტი, რომლებშიც ლაპარაკია 1857 წლის აჯანყებაზე, თორემ ცხადია, მაშინ იგი გლეხთა მოთხოვნებს ასე შეზღუდულად არ წარმოგვიდგენდა. დღეს უკვე ცნობილია, რომ სამეგრელოს გლეხები ბატონყმობის ნორმების დაცვას კი არ მოითხოვდნენ, არამედ აცხადებდნენ კაცის კაცი არ უნდა იყოსო.

ივ. ჯავახიშვილი თავის შეხედულებას გამოთქვამს 1864 წლის საგლეხო რეფორმის თაობაზე. იგი მას თვლის უსამართლო აქტად ქართველი გლეხობის მიმართ. „რუსეთში არსებული სისტემის გადმოტანა საქართველოში უდიდესი უსამართლობა იყო, ის ქართველი გლეხობის უფლებების დარღვევას მოასწავებდა"[27]. მაგრამ ჯავახიშვილი აქვე აკეთებს ერთ საინტერესო შენიშვნას: „ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლების მომენტში თვით ეს ფაქტი ახდენდა იმდენად დიდ დამაშოშმინებელ ზეგავლენას, რომ ზემოთაღნიშნული უფლებების დარღვევანი გლეხობაზე საგრძნობ შთაბეჭდილებას აღარ ტოვებდა"[28]. სწორედ ეს გარემოება უნდა იყოს ამოსავალი ჩვენთვის, როცა რეფორმისშემდგომი ხანის გლეხთა მოძრაობის შესახებ ვლაპარაკობთ. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამ პერიოდში გლეხთა მოძრაობა ისე აქტიური და მასობრივი აღარ არის, როგორც რეფორმამდელ ხანაში იყო. ეს შედარებით მშვიდობიანი განვითარე-

---

25 АКАК, ტ. VIII, № 8.

26 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31. ცხადია, ეს ბრძოლა 30—40-იან წლებში არ დამთავრებულა, იგი უფრო გაიშალა და გამწვავდა სწორედ ამ დროიდან.

27 ი ქ ვ ე, გვ. 36 (მხედველობაში აქვს ტყისა და საძოვრების წართმევა გლეხობისათვის, რომლებიც ვახტანგ VI-ის კანონებით ჰქონდათ საკუთრებაში).

28 ი ქ ვ ე, გვ. 37.

ბის ხანაა[29]. ის ცალკეული აჯანყებები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ რეფორმის შემდეგ, ხელისუფლების სხვა ღონისძიებებით უფრო იყო გამოწვეული (მაგალითად, 1878 წ. აჯანყება ქიზიყში გამოწვეული იყო წვევამდელთა გაწვევით მოქმედ არმიაში).

გლეხობის ბრძოლის ახალ აღმოცენებას ჯავახიშვილი უკავშირებს 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისს, როდესაც ქართველი გლეხობა საბოლოოდ დარწმუნდა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების უიმედობაში (საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი მცირემიწიანობა, საიჯარო გადასახადის მატება, კოლონიზაცია და სხვა). ამ დროისათვის „ყველაფერი იყო შემზადებული იმისათვის, რომ მოძრაობას, წარმოშობისთანავე, ქართული საზოგადოების ყველა ფენა მოეცვა და გრანდიოზული ხასიათი მიეღო. და ეს მოძრაობა დაიწყო, როგორც ადრე ხდებოდა, აგრარულ ნიადაგზე. და პირველ ყოვლისა, გლეხობაში"[30]. ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი იყო 1902 წლის ამბები გურიაში.

ამრიგად, ჯავახიშვილი გლეხთა მოძრაობას განიხილავს, როგორც აგრარული მოძრაობის ერთიან პროცესს. ეს მოძრაობა, სხვადასხვა დროს და ვითარებაში, პოლიტიკური და სხვა მომენტების შესაბამისად, განსხვავებულ ხასიათს ატარებდა. მაგრამ, მთლიანობაში, ჯავახიშვილი მას უწოდებს გლეხობის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

---

29 ეკულისხმობთ პერიოდს პროლეტარული მოძრაობის აღმოცენებამდე.

30 იქვე, გვ. 42.

აკად. სიმონ ჯანაშია*

მოსე ჯანაშვილი

წლეულ დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა მ. ჯანაშვილს, რომლის სახელს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს. ამავე დროს, უკვე 53 წელიწადია, რაც იგი პედაგოგიურ, ლიტერატურულ და საზოგადოებრივ სარბიელზეა გამოსული. ამ მძიმე გზაზე ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში მ. ჯანაშვილი შეუხრელი მისწრაფებით მოძრაობდა დასახული მიზნისაკენ. უანგაროდ ასრულებდა ნებსით დაკისრებულ საზოგადოებრივ საქმეს, და მხცოვანი მოღვაწე ღირსია იმისა, რომ ეს თარიღი განსაკუთრებულად იქმნას აღნიშნული.

მოსე ჯანაშვილი დაიბადა ყოფილ ზაქათალის ოლქის სოფელ კახში 1855 წ. მარტის 19-ს. მამის სახელია გიორგი. დედა — მარიამ — იყო ბედირ გამხარაშვილის ქალი. 1865 წ. მოსე მიუციათ კახის სამრევლო სკოლაში, საიდანაც ქ. ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში გადასულა: შემდეგ მას უსწავლია თბილისის სასულიერო სემინარიაში, ხოლო 1878 წ. ქუთაისის გიმნაზიის საგამოცდო კომიტეტში ჩაუბარებია სათანადო გამოცდები და სამასწავლებლო მოწმობა მოუპოვებია.

პედაგოგიურ-აღმზრდელობითი საქმიანობა მოსეს უფრო ადრეც დაუწყია. ჯერ ყოფილა მ. პეტრიაშვილის პანსიონის გამგედ, 1876 წლიდან ქ. ქუთაისის პროგიმნაზიაში ყოფილა მასწავლებლად, ხოლო 1878 წ. სამუდამოდ გადმოსულა თბილისში, სადაც სხვადასხვა სასწავლებელში უმსახურია: თბილისის სასულიერო სასწავლებელში (1878—1900), რეალურ სასწავლებელში (1892—1918), წმინდა ნინოს სასწავლებელში (1909), ქალთა მეხუთე გიმნაზიაში (1910—1916), ვაჟთა

---

* მომღინარე წელს შეასრულდა 70 წელი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ განსვენებული მეცნიერის არქივიდან ამოღებულ ორ ნაშრომს, რომლებიც რედაქციას ლაშას ჯანაშიამ გადმოსცა.

ნაშრომი ქვეყნდება პირველად.

მეხუთე გიმნაზიაში (1917—18). მიწისმზომელთა სასწავლებელში (1917—1919), ლექტორად თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1920—21). ამას გარდა, ყოფილა განათლების ოლქში საგამოცდო კომიტეტის წევრად (1895—1917). ამრიგად, პედაგოგიურ სარბიელზე მოსეს 45 გრძელი წელიწადი დაუყვია. უსწავლებია, უმთავრესად, ქართული ენა. იმავე დროს უცდია თავისი კალამი სასწავლო ლიტერატურაში, რის ფაქტსაც მისი ყრმათათვის საკითხავი „მერცხალი" (1881 წ.) წარმოადგენს, მაგრამ მისი სამწერლო მოწოდების მთავარი საგანი მაინც ეს არ ყოფილა.

მოსეს პირველი ნაბეჭდი წერილია: „ცხოვრების ზოგი ვითარებანი" („სასოფლო გაზეთი", 1877 წ. 17 აგვისტო). მისივე თვლით, მას აქეთ რვაასამდე თხზულება დაუწერია (უდიდესი ნაწილი გამოცემულია, ნაწილი — გამოუქვეყნებელი), და დღესაც კალამი ხელიდან გაგდებული არა აქვს. რა თქმა უნდა, ამ დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ყველაფერი თანაბარი მნიშვნელობისა არ არის, მაგრამ მარტოოდენ მეცნიერული რიგის ნაწერებიც რომ გამოვყოთ, მათი ბოცულობა დამკვირვებლის გაოცებას იწვევს. ენერგიისა და შრომისმოყვარეობის მხრივ მ. ჯანაშვილს მის ტოლთაგან ბევრნი ვერ შეედრებიან, და თუ მოვიგონებთ იმ პირობებს, რომელშიაც მაშინ მუშაობა უხდებოდათ ჩვენს სიძველეთამცოდნეობის მეშაკებს, — როცა მსგავსი შრომისმოყვარეობისათვის წმინდა ინტერესს გარდა სხვა სტიმული არ არსებობდა, — ჩვენთვის ნათელი გახდება ამ გარჯილობის ნამდვილი ფასი.

მ. ჯანაშვილს უწერია ისტორიული, ისტორიულ-ლიტერატურული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, საენათმეცნიერო და მრავალი სხვა საკითხის შესახებ, კრიტიკული თვალი უდევნებია მიმდინარე მწერლობისათვის, გულისყური მიუპყრია პრაქტიკული ცხოვრების საჭიროებათათვის, მხატვრულ პროზასა და შაირთმთქმელობაშიც კი შეუტანია თავისი წვლილი, — ერთი სიტყვით, იგი ყოფილა არა მარტო ძლიერი, არამედ მრავალმხრივი ინტერესების პატრონიც.

ძირითადი მისთვის მაინც სამეცნიერო-საკვლევო ინტერესია, რომელიც ქართული სიძველეებისაკენ არის მიმართული და თუ ეს ინტერესი მაინც განშტოებულია და ცოდნის სხვადასხვა დარგში იჩენს თავს, ამ გარემოებას, ისე როგორც საერთოდ მის სამეცნიერო მიზანდასახულობას, ჩვენი ისტორიოგრაფიის თვით იმ პერიოდის ხასიათი განსაზღვრავს, რომელშიც მოსეს მოუხდა სამოქმედო სარბიელზე გამოსვლა.

ამ დროს ქართველი საზოგადოების მოწინავესა და აქტიურ წრეებში მწიფდება ის აზრი, რომ საქართველოს წარსულის მეცნიერული

სურათის აღსადგენად წინასწარ საჭიროა შეკრებილ, მოწესრიგებულ, აღწერილ და გამოქვეყნებულ იქმნას მთელი ის მასალა, რომელსაც კი შეიძლება საისტორიო წყაროს მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი, უაღრესად საშური საქმე იმიტომაც, რომ უწყებული მასალები, რომელნიც თავის დროზე განუზომელი რაოდენობით მოიპოვებოდნენ ჩვენში, უპატრონობისა და დაუდევრობის წყალობით, განადგურების სწრაფ პროცესში იმყოფებოდნენ.

ამ აზრის ერთი პირველ მქადაგებელთაგანი იყო ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. 1873 წ. იგი წერდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას: „როგორც მთავრობას, ისე თვით ქართველ საზოგადოებას, მოვალეობა აწევს, რათა, მეცნიერების ინტერესების გულისათვის, თავის დროზე მიღებულ იქმნას სერიოზული ღონისძიებანი საქართველოს არქეოლოგიური მასალების დაღუპვისაგან გადასარჩენად და მათ დასამუშავებლად". მიუცილებლად იყო აგრეთვე ცნობილი, რომ ეს მასალები თვით საქართველოში უნდა დარჩენილიყო.

აღნიშნულმა პროპაგანდამ თავისი ნაყოფი გამოიღო: 1880 წ. არსდება წერა-კითხვის საზოგადოების სიძველეთსაცავი. 1888 წელს კი — „ტფილისის საეკლესიო სიძველეთსაცავი", შემდეგში საეკლესიო მუზეუმად წოდებული (მისი დაარსების მთავარი ინიციატორი სწორედ დ. ბაქრაძე იყო). ეს ორი დაწესებულება გადაიქცა იმ მთავარ საგანძურად, საითკენაც ამიერიდან დიდი რაოდენობით იწყებს დენას ქართველი ხალხის წარსულიდან ნივთიერი სახით მოღწეული ნაშთები. ეგევე დაწესებულებანი იმავე დროს არიან იქნებ სუსტი, მაგრამ ერთადერთი, სამეცნიერო კვლევის ცენტრები საქართველოში. საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მუშაკი მათთან არის დაკავშირებული. და მათს რიცხვში ვხედავთ მოსე ჯანაშვილსაც, რომლისთვისაც ეს კავშირი არის არა მარტო მეცნიერული მნიშვნელობის ფაქტი, არამედ სამსახურებრივი მდგომარეობის ერთი მთავარი მომენტიც, იმდენად, რამდენადაც იგი 1898 წლიდან 1921 წლამდე საეკლესიო მუზეუმის გამგე[1]. ხოლო 1921 წლიდან, როცა ეს მუზეუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადმოეცა, — თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის ასისტენტი. მაშასადამე, 32 წლის განმავლობაში ეწევა სიძველეთა მცველის მოვალეობას.

მ. ჯანაშვილმა ადრევე შეითვისა ზემოთაღნიშნული შეხედულება ქართულ სიძველეთამცოდნეობის ამოცანების შესახებ. თავის „საქართველოს მოკლე ისტორიის" (ტფ., 1884) წინასიტყვაობაში იგი წერდა: „მეცნიერების ყოველგვარი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ის-

[1] არაოფიციალურად ამ მოვალეობას ის უკვე 1897 წლიდან ასრულებდა. Церковный Музей Духовенства Грузинской Епархии, Т., გვ. 3.

ტორიის შედგენა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მასალები შესახებ საქართველოს ისტორიისა ცნობაში მოყვანილნი, განხილულნი და შესწორებულნი იქმნებიან". ამ მასალებში ავტორი გულისხმობდა: მატიანეებს, სიგელ-გუჯრებს, ზღაპართთქმულებათ (=მითოლოგიურ გადმოცემებს), უცხოელ მწერალთა ცნობებს, ხელოვნების ძეგლებს, ეთნოგრაფიულსა და საენათმეცნიერო ფაქტებს. ამ მრავალფეროვან მასალაში მთავარი მნიშვნელობა მაინც ადგილობრივ წყაროებს ჰქონდათ, ხოლო ამ უკანასკნელთაგან — წერილობით ძეგლებს. მ. ჯანაშვილი კი სათავეში ედგა სწორედ იმ დაწესებულებას, რომელშიც წერილობითი ძეგლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კოლექცია იყო დაცული. ბუნებრივი იყო, რომ სიძველეთა მცველიდან ის მათ მკვლევრადაც ქცეულიყო.

ამიტომ არის, რომ მ. ჯანაშვილი, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ როგორც არქეოგრაფი წარმოგვიდგება. იმთავითვე ის აქვეყნებს მთელ რიგს ნაშრომებისა, რომელშიც აღწერილია როგორც მუზეუმის ცხოვრება, ისე მასში დაცული ძეგლების შინაარსი და მნიშვნელობა. უკვე 1898 წ. ის ბეჭდავს წიგნს, რომელიც შეიცავს დაწესებულების ისტორიას, მის წესდებას და ხელნაწერთა და ნივთთა კატალოგს[2]. ეს იყო მუზეუმის ფონდის პირველი აღწერილობა. მას მოჰყვა გაგრძელებანი და ანალოგიური ხასიათის სხვა წვრილი გამოცემები. განცალკევებით აღსანიშნავია: „Описание рукописей Церковного Музея Духовенства Грузинской Епархии"-ის მესამე წიგნი (Т. 1908). რომელიც იმავე გამოცემის პირველი ორი, თ. ჟორდანიას მიერ შედგენილი, ტომის გაგრძელებაა და სამეცნიერო ტიპის აღწერილობას წარმოადგენს. ამჟამად ხელნაწერის სახით დასრულებულია და თბილისის უნივერსიტეტის მიერ დასაბეჭდად მიღებულია იმავე აღწერილობის მეოთხე წიგნი. ყველაზე საკვირველი მოსეს ნაღვაწიდან ამ დარგში, თუ ავტორის ჰასაკს გავითვალისწინებთ, არის ყოფილ წერა-კითხვის საზოგადოების ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, შესრულებული სულ უკანასკნელ წლებში (თუ არ ვცდებით, 1928—1929-ში). აქ აღწერილია 5263 ხელნაწერი, ე. ი. თითქმის მთელი კოლექცია (ასიოდე ხელნაწერია აუწერელი).

მეცნიერული აღწერილობაც კი, რაც უნდა სრული არ იყოს, თვით ძეგლის გამოცემის მაგივრობას ვერ გასწევს. მოსეს შეგნებული ჰქონდა ეს ჭეშმარიტება და ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამომცემლებს შორის მას ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს. საკმარისია მოვიგონოთ მოსეს ისეთი გამოცემები, როგორიცაა: 1) ე. წ.

---

[2] Тифлисское Церковное Древнехранилище, Т., 1898.

„ათონის კრებული“ (ტფ., 1901), რომელიც შეიცავს რამდენსამე უძვირფასეს ძველ ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებს და. საერთოდ. მნიშვნელოვან საისტორიო მასალას, 2) „თუალთაჲ“ (СМОМПК, XXIV), 3) „სამკურნალო ტრაქტატი“ და „სასწავლო წიგნი“ („აღვადგინე“, დამატება. ტფ.. 1891), 4) ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“ (ტფ., 1904) და იმავე თხზულების უფრო ადრე ბროშურებად გამოცემული ცალკე ნაწილები („სამცხე“, „ქართლი“), 5) იმავე თხზულების რუსული თარგმანი (ტფ., 1904), 6) „მასალები საქართველოს ისტორიისათვის. შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა. 1744—1840 წწ.“ (ტფ., 1905), 7) პოემა „ალეუზიანი“ რუსული თარგმანითურთ (СМОМПК, XXII), 8) შავთელის „აბდულმესიახი“, 9) ჩახრუხაძის „თამარიანი“ და მრავ. სხვა. თუმცა ამ თხზულებათაგან უმრავლესობა უკვე იყო მანამდე გამოცემული, დანარჩენი კი ცნობილი, მ. ჯანაშვილის გამოცემებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა ხელმისაწვდომობისა, ზოგჯერ უკეთესი ტექსტისა და მრავალ სხვა თვისებათა გამო.

მაგრამ ამ ინტენსიური, კვლევა-ძიებითი მუშაობის შედეგი იყო აგრეთვე სრულიად უცნობ, უაღრესად მნიშვნელოვან, ძეგლთა მოპოვებაც. მოსემ აღმოაჩინა და გამოსცა ისეთი პირველხარისხოვანი ნაწარმოები მეათე საუკუნის ქართული მწერლობისა. როგორიცაა: ბასილ ზარზმელის თხზულება („ქართული მწერლობა“, წ. II. ტფ., 1909). ამჟამად ლათინურადაც თარგმნილი ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტის პეეტერსის მიერ. მოსემვე აღმოაჩინა და დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ის ფრიად საყურადღებო ვარიანტი, რომელიც ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას ეკუთვნის („ნაშრომი“, წ. I). საყურადღებოა აგრეთვე მოსეს მიერვე მოპოვებული ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის უცნობი ნაწარმოებნი — ქართულ-არაბულ-სპარსული ვოკაბულარი და სხვა წვრილი წერილები („ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“, ტფ.. 1896).

ყველა ამ გამოცემას დართული აქვს წინასიტყვაობა და კომენტარი, სადაც ტექსტთან, ავტორის ვინაობასა და ნაწარმოების წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხებია გარკვეული. თვით ძეგლები გამოქვეყნებულია იმ პრინციპული მოსაზრების თანახმად. რომ ძველი ქართული ტექსტები უნდა იბეჭდებოდეს უცვლელად. დედანთან მაქსიმალური სიახლოვის დაცვით. მოსე იყო თავგამოდებული დამცველი ამ შეხედულებისა და ცხარედ ებრძოდა იმათ. ვისაც. მისი აზრით. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა გამოცემაში სუბიექტური ელემენტი შეჰქონდა. ამ ნიადაგზე აღმოცენებულია მოსეს საკმაოდ დიდი კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მწერლობა (ნ. სანიმუშოდ „აღ-

ეადგინე"). შეიძლება ამ ნაწერებში ბევრი რამ უმართებულოდ ან გადაჭარბებულად გვეჩვენოს, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ავტორს არა ერთი სრულიად სამართლიანი შენიშვნა აქვს გამოთქმული.

გასაგებია, რომ მ. ჯანაშვილის ნიჭისა და ინტერესების პატრონს, ამ არქეოლოგიური, ფილოლოგიური, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მუშაობის პროცესში ისტორიულ-ლიტერატურული განზოგადების სურვილი გასჩენოდა. მთელს რიგ თხზულებებში მ. ჯანაშვილი ეხება ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს: იქნება ეს ისეთი კარდინალური პრობლემა, როგორიცაა ქართული მწერლობის წარმოშობის საკითხი, თუ ურთიერთობა მეზობელ ერთა ლიტერატურასთან, თუ ლიტერატურული ფაქტების დაფასება და ავტორობის საკითხი და სხვა. ამ ნაწერებში გზადაგზა გაბნეულია პოლემიკური შენიშვნები არსებულ შეხედულებათა შესახებ, ახალი ბიბლიოგრაფიული ცნობები, წვრილი ტექსტები, მოცემულია საყურადღებო პარალელები, რომ აღარაფერი ვთქვათ გრამატიკულ, პალეოგრაფიულ და სხვ. დაკვირვებათა შესახებ. — ერთი სიტყვით, აქ უხვი და საყურადღებო მასალაა თავმოყრილი და თავისებურად გაშუქებული („ქართული მწერლობა", წ. I, ტფ., 1900; „მწერლობა მეათე საუკუნისა". ტფ., 1891; „ქართული მწერლობა". წ. II. ტფ.. 1909; „ნაშრომი" (წ. II), ტფ. 1907; „ნაშრომი", წ. II, ტფ., 1907; „ნაშრომი", წ. III, ტფ., 1910; „საუნჯე მეათე საუკუნისა", ტფ., 1891; „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი", ტფ., 1895 და სხვ.). ცალკე ეხებოდა ქართულ საისტორიო მწერლობას, და ამ უკანასკნელის ძეგლთა კრიტიკასთან ერთად, სხვათა შორის, სცდილობდა მათს პოპულარიზაციას ქართულის არმცოდნე წრეებში («Картлис—Цховреба» — Жизнь Грузии», СМОМПК XXXV; «Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России. Описание Осетии, Дзурдзукии, Дидоэтии, Тушетии, Алании и Джикетии. О царях Хазаретии. Алгузиани. СМОМПК XXII; «Известия грузинских летописей и историков о Херсонисе, Готфии, Осетии, Хазарии. Дидоэтии и России. СМОМПК XXVI; „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი", „მოამბე", 1903 და სხვ.).

ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია საერთო კულტურული და სოციალ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინების გარეშე, და თუ ეს ვითარება ნათელი არ არის, აღნიშნულმა საკითხებმა შეიძლება მკვლევარი წმინდა ისტორიულ ძიებასთან მიიყვანოს. მოსე ჯანაშვილი უკვე 1884 წ. აქვეყნებს „საქართველოს მოკლე ისტორიას", მაგრამ თუ ეს იყო მხოლოდ სახელმძღვანელო (სხვათა შორის, სკოლებშიც მიღებული), ამ წიგნის მეორე, გადა-

შეშავებული და მნიშვნელოვნად განვრცობილი გამოცემა (ტფ., 1895), უკვე წარმოადგენდა ცდას მეტნაკლები დამოუკიდებლობით შემუშავებული სურათის წარმოსადგენად ქართული ისტორიული პროცესის შესახებ, და იმავე დროს ავტორისათვის შეადგენდა საფეხურს უკვე მსხვილი გამოკვლევის გამოქვეყნებისათვის: 1906 წ. იგი ჰბეჭდავს „საქართველოს ისტორიის" პირველ ტომს, რომელშიც თხრობა აღწევს 985 წლამდე ქ. შ. ამ წიგნის შედარება წინა გამოცემათა სათანადო ნაწილებთან გვიჩვენებს, რომ ამ ხნის განმავლობაში ავტორი შეუჩერებლად განაგრძობდა კვლევას და უკანასკნელ გამოცემისათვის მას მნიშვნელოვანი ნაბიჯი წაუდგამს წინ. მოსეს „საქართველოს ისტორია" ეხლაც არ არის ინტერესს მოკლებული და ზოგჯერ იქნებ უსამართლოდაც უგულვებელყოფილია, — ხოლო თავის დროზე მან, განსაკუთრებით მეორე, უფრო მისაწვდომმა გამოცემამ, დიდი გავრცელება და ბევრი ერთგული მკითხველი მოიპოვა და საქართველოს ისტორიის ცოდნის სახალხოდ გადაცემის საქმეში საპატიო როლი ითამაშა. ეს აზრი ამ „ჩინებული გამოცემის" შესახებ თავის დროზე ცნობილმა გიორგი წერეთელმა შემდეგნაირად გამოხატა: „ეს პირველი წიგნია, რომელსაც მისწრაფებით უნდა საპიროებდეს ყოველი ქართველი და მუდამ ხელში ეჭიროს... რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს ასეთ სახელმძღვანელოს (იგულისხმება მეორე გამოცემა), მაინც იგი დარჩება ერთ საუკეთესო და სასიამოვნო მოვლენად ამ დროის ქართულ ლიტერატურაში და მწიგნობრობაში"-ო. მოსეს აქვს სხვა შრომებიც საქართველოს ისტორიიდან და არაერთი წვრილი მოხოგრაფია („საქართველოს საეკლესიო ისტორია", ტფ., 1886, „Царица Тамара", ტფ., 1900; „Грузинские обители вне Грузии", ტფ., 1899, „К материалам по истории и древностям Грузии и России", ტფ., 1912 და სხვა მრავალი).

მ. ჯანაშვილის ისტორიული ნაწერების მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ავტორი განსაკუთრებით დაინტერესებულია ქართველ ტომთა თავგადასავლით ისტორიის წინადროინდელ ხანაში. სხვადასხვა ნაბეჭდს გამოცემაში გაფანტულ მოსაზრებათა გარდა პრეისტორიულ საკითხებს ეხებიან მისნი მრავალფურცლიანნი, ჯერ გამოუცემელნი. თხზულებანი.

კაცობრიობის ცხოვრების იმ ხანის შესაგნებად, რომლისთვისაც წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება, იძულებულნი ვართ ნივთიერ ნაშთებს დავემყაროთ, რომლებშიაც თითქოს ისტორიის ნაწილია გაქვავებული. და მიღებულ ნიშნებათა ინტერპრეტაციისა და შეჯერებისათვის ენობრივსა და ეთნოგრაფიულ ფაქტებს მივმართოთ. თუ გათხრითი ძიების სრული მოუგვარებლობის გამო ჩვენში მოსე სათანადო

ცნობისმოყვარეობას ისტორიულ არქეოლოგიაზე იკმაყოფილებს („Гори и его окрестности", СМОМПК XXXIV; „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი", ქუთ., 1899; „საინგილო" და სხვ.), სამაგიეროდ იგი ხარბად ეწაფება იმ ჩვენებებს, რომელსაც, ერთის მხრით, ქართველ ხალხის ზნე-ჩვეულება, ადათები და რწმენანი, მეორეს მხრით, ქართველური ენები იძლევიან. მისს უაბრავ ეტიმოლოგიებში, ქართულ ეთნოგრაფიულ მასალების განმარტებაში, ამ რიგის ფაქტების დაპირისპირებაში სხვა ქვეყნების ანალოგიურ მოვლენებთან, — ხშირად შეჰხვდებით ჭკუამახვილ დასკვნებს და კიდევ უფრო ხშირად ახალი საკითხების წამოყენებას. ჩვენს აღწერითს ეთნოგრაფიას მ. ჯანაშვილმა დამოუკიდებელი შრომებიც უძღვნა (განსაკუთრებით საყურადღებოა „საინგილო", „ძველი საქართველო", ტ. II; კომპილაციური „Абхазия и абхазцы", ЗКОРГО XVI; წვრილი წერილები).

ქართული ენის ბუნება, ქართველურ ენათა ურთიერთობა, ქართული დიალექტოლოგია, ქართული ენის მონათესაობა. — ყველა ეს ენათმეცნიერული პრობლემები უკვე მუდმივად მის ყურადღების ცენტრში იმყოფებიან. ის ძლიერ ბევრს წერს ამ საკითხებისათვის. ქართული დიალექტოლოგიისათვის მეტად ძვირფასია მისი გამოკვლევა ინგილოურ კილოს შესახებ („საინგილო"). მისი „Картвельский язык и сравнительная грамматика его идиомов" (ხელნ.-წ.) თავის დროზე შეიძინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. ყოველგვარ ოფიციალურ ლინგვისტიკურ სკოლას მოკლებული მ. ჯანაშვილი მაინც ახერხებს ბევრი საინტერესო საკითხის წამოყენებას და არცთუ იშვიათად ჩვენს სამეცნიერო ცირკულაციაში ახალი მოსაზრებანი შემოაქვს („ქართული გრამატიკა", ტფ., 1906; „Картвельский язык и славяно-русский. Точки соприкосновения между этими языками", СМОМПК XXXI; მასალები ერკერტის ცნობილ გამოცემისათვის: Die Sprachen des Kaukasischen Stammes. Wien. 1895 და სხვ.)

ამ საენათმეცნიერო ძიებასთან ბუნებრივ კავშირში იმყოფება ლექსიკოგრაფიული მუშაობა: მ. ჯანაშვილს გაწეული აქვს უზარმაზარი შრომა სხვადასხვა ლექსიკონთა შედგენის სახით, რომელნიც, სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ ხელნაწერებად არიან დაცულნი ავტორის არქივში (ქართული ლექსიკონი, ავტორის თვლით 104 000 სიტყვას შეიცავს; შოთას ლექსიკონი; პეტრიწის ლექსიკონი და სხვ.).

აღარას ვამბობთ მრავალრიცხოვან წერილებზე სოფლის მეურნეობის საკითხების შესახებ, პუბლიცისტურ მოღვაწეობაზე (თანამშრომლობდა ე. წ. „ტეტიათამოტრფიალეების" გამოცემებში: „იმედსა" და „მეურნეში"), მოთხრობებსა, ლექსებსა და პოემებზე...

ამ სახელდახელო მიმოხილვიდანაც ჩანს, რამდენად ინტენსიური მუშაობა უწარმოებია მოსე ჯანაშვილს. ეს მუშაობა მიმდინარეობდა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე: და ესლაც, 75 წლის მოხუცი, იგი წინანდელი ტემპით განაგრძობს თავის საქმეს. შესაძლოა, მისი შეხედულებანი დღეს ჩვენ მთლიანად ვეღარ გავიზიაროთ, შესაძლოა. მის უთვალავ ნაწერებში ზოგ კაბადონს დღეს უკვე ბინდგადაკრული იერი ჰქონდეს, — მეცნიერებაში ხომ უბერებელი წიგნები არ არსებობენ! — მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მთელს იმ ზნეობრივს და ნივთიერ გარემოს, რომელშიც მოსეს თავის მუშაობის ჩატარება მოუხდა, უნებლიე პატივისცემის გრძნობა შეგვიპყრობს მისდამი.

ვინც მ. ჯანაშვილის ცხოვრების შესახებ დაფიქრდება, მის ყურადღებას თავისთავად მიიზიდავს ის გარემოება, რომ ღაბადებით მოსე ეკუთვნის საინგილოს, ძველი ჰერეთის თემის ყველაზე განაპირა კუთხეს. ძველი საქართველოს ეს პერიფერიული ზოლი იყო იმავე დროს ის ეთნიკური ზღუდე, რომელსაც პირველ ჯერში აწყდებოდა ყოველი მორიგი ტალღა შუა და წინააზიიდან მოსულ დამპყრობლებისა. ამ უსწორო ბრძოლაში თითქმის მთლიანად განადგურდა ჰერეთის თემის მოსახლეობა. და როცა იმ ერთმა მუჭა ქართველობამ, რომელმაც სხვადასხვა საფარველით მეცხრამეტე საუკუნემდე თავი შეინახა ზაქათალის ოლქის რამდენსამე სოფელში, შესძლო სულიერი კავშირის აღდგენა დანარჩენ საქართველოსთან, ამ „მ ე ო რ ე დ“ ინგილოელებმა[3] ჰაბუკური ენერგია შესძინეს მათთვის ახლად მოპოვებული მშობლიური კულტურული კერის აღორძინების საქმეს (საინგილოდან გამოვიდა წარსულსა და ამ საუკუნეში მთელი რიგი განათლებულ და სასარგებლო პირთა, მოვიგონოთ თუნდაც მოსეს ახლობელი ნათესავი ისტორიკოსი დ. ჯანაშვილი). ისედაც მებრძოლის ტემპერამენტით დაჯილდოებულმა, მ. ჯანაშვილმა ახალმოქცეულის ვნება და აღტკინება შეიტანა თავის საქმეში. იქნებ აქ იყოს მისი დაუშრეტელი მხნეობის სათავე და მისი გულისყურის მიმართულების ფაქტორი. და უთუოდ ამ ნიადაგზე მოხდა ისიც, რომ, როგორც ეს ბრძოლის ეშხმა იცის. ზოგჯერ ფრონტი იშლებოდა საჭიროების მოთხოვნილებაზე ფართოდ. ყოველივე ამის შესახებ საბოლოო სიტყვას იტყვის ჩვენი ცხოვრების ამ პერიოდის ისტორია. დღევანდელი დღის დანიშნულებაა საჯარო განცხადება, რომ მოსე ჯანაშვილის დამსახურება შეგნებულია და დაფასებული მოქმედ ქართულ კულტურულ დაწესებულებათა მიერ. ხოლო მისი ნაღვაწი შესულა, როგორც მიუცილე-

---

3 „ინგილო“ ნიშნავს პროზელიტს.

ბელი ნაწილი, ამ საქმეში, რომლის ამოცანა არის ქართული მეცნიერების სისტემის შექმნა.

ს. ჯანაშია

P. S. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს ა. წ. აპრილის 25-ის დადგენილებით მ. ჯანაშვილი არჩეულია იმავე ფაკულტეტის სიძველეთამცოდნეობის კათედრის პროფესორად. და ეს დადგენილება დამტკიცებულია უნივერსიტეტის გამგეობის მიერ. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებათა შეერთებულ საზოგადოკრების მიერ ა. წ. მაისის 2-ს მ. ჯანაშვილი არჩეულ იქნა ორსავე საზოგადოების ს ა პ ა ტ ი ო წევრად.

დავით კარიჭაშვილი*

პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქ. გორის სასულიერო სასწავლებელში, საიდანაც 1876 წ. გადავიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის ოთხი კლასის კურსი წარჩინებით დაამთავრა 1880 წ. უმაღლესი განათლების მისაღებად შეავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც დაჰყო 1881-დან 1883 წლამდის, შემდეგ კი გაემგზავრა საზღვარგარეთ — ჯერ შვეიცარიაში — ჟენევის უნივერსიტეტში, 1883-იდან 1884-მდის, და უფრო ხანგრძლივ — პარიზის უნივერსიტეტში, რომლის სტუდენტადაც იყო 1884-დან 1886 წლამდის. როგორც პეტერბურგის, ისე უცხოეთის უნივერსიტეტებში ის ლექციებს ისმენდა ბუნებისმეტყველებისა, ისტორიისა და ენათმეცნიერების დარგებიდან. ძირითადი ინტერესი დავ. კარიჭაშვილისა, მაინც, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში იდო. პარიზიდან სამშობლოში განზრახულ ვადაზე ადრე დაბრუნდა მამის სიკვდილის გამო და მას შემდგომ საქართველოს არც მოჰშორებია.

სამშობლოში დავ. კარიჭაშვილი იწყებს პრაქტიკულ საქმიანობას. თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯიდანვე ის უკავშირდება უდიდეს ქართულ კულტურულ დაწესებულებას — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის სამსახურში მან გაატარა მთელი თავისი ცხოვრება და სულიც ამ საზოგადოების მიერ შექმნილ ეროვნულ საგანძურის მზრუნველობაში დალია. 1888 წ. დავ. კარიჭაშვილი დაინიშნა მასწავლებლად ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში, რომელიც პირველი სკოლა იყო საზოგადოებისა. ქუთაისში განსვენებული მუშაობდა სამი წლის განმავლობაში, სანამ 1891 წელს დანიშნული არ იქნა წ. კ. საზ-ბის მდივნად. მაგრამ მასწავლებლობას ის განაგრძობდა შემდეგშიაც ტფ. ქართულ გიმნაზიაში (1895-დან 1915 წლამდის), ასწავლიდა ფრანგულსა და ქარ-

---

* ხელნაწერს აკლია პირველი გვერდი.
კარიჭაშვილი დაიბადა 1862 წ. გორის მაზრის სოფ. ხიდისთავში.
რედაქცია

თულ ენებს და ამ მძიმე ასპარეზზე დაჰყო 23 წელიწადი. განსაკუთრებით აქტიური დავ. კარიჭაშვილი თვით „საზოგადოება“-ში იყო. 1891 წ., როგორც მოვიხსენიეთ. ის დანიშნულ იქნა „საზოგადოების“ მდივნად და ამ მოვალეობას ეწეოდა 1899 წლამდის, ხოლო 1892 წ. ის აირჩიეს „საზოგადოების“ გამგეობის წევრად, ივანე მაჩაბლის ნაცვლად, რომელმაც გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ ის გამგეობის წევრია „საზოგადოების“ უკანასკნელ დღეებამდის, 1914 წლიდან უკვე როგორც „საზოგადოების“ თავმჯდომარის ამხანაგი. 1918 წ. საზოგადო კრება მას ირჩევს საზოგადოების საპატიო წევრად და გამგეობის თავმჯდომარედ გიორგი ყაზბეგის ნაცვლად. 1922 წელს კი „საზოგადოების“ წესდების შეცვლის შემდეგ საზოგადო კრება ირჩევს მას „საზოგადოების“ საპატიო თავმჯდომარედ.

„საზოგადოების“ ანგარიშებიდან და განსვენებულის უახლოესი თანამშრომლების მოთხრობიდან ჩანს, რომ დავ. კარიჭაშვილი არის გამგეობის ერთი ყველაზე აქტიური წევრთაგანი. ის არ აკლდება თითქმის არცერთ სხდომას გამგეობისას. გამგეობის დავალებით იგი დროგამოშვებით რევიზიას უშვრება „საზოგადოების“ სკოლებსა და სახალხო ბიბლიოთეკებს. გამგეობის მინდობილობითვე იგი არის „საზოგადოების“ წიგნთსაცავისა და მუზეუმის გამგე იმთავითვე. და ამ მოვალეობას სრულიად უსასყიდლოდ ასრულებს 1922 წლამდის. როცა გამგეობამ მას ხანგრძლივი სამსახურისათვის დაუნიშნა მცირედი პენსია. თავის ამხანაგებში მან მოიხვეჭა განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული თავისი უანგარობისა, სერიოზულობისა და საზოგადო საქმისათვის თავდადების გამო. — ასეთი იყო მისდამი დამოკიდებულება. მაგალითად, გიორგი ყაზბეგისა.

35 წელიწადი ემსახურა პატიოსნებით დავ. კარიჭაშვილი იმ საქმეს, რომლის ორგანიზაცია არის ბრწყინვალე აქტი ქართული საზოგადოებრიობისა წინარეევოლუციურ ხანაში და რომელმაც ერთადერთმა იმ პირობებში შესძლო ყველა ქართული სასიცოცხლო ძალის გაერთიანება ეროვნულ-კულტურული იდეის გარშემო. მთელი თავისი ზნეობრივი და ფიზიკური ენერგია შესწირა მან ამ საქმეს და უთუოდ ელოდა, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იტყოდა მის საფლავზე პირველ სიტყვას. მაგრამ ბედისწერამ თვით მას დააკისრა „საზოგადოების“ საბოლოო ლიკვიდაცია სულ რამდენიმე თვით ადრე ვარდაცვალებამდის... ოდესმე მაინც დაიწერება წ. კ. საზოგადოების სახელოვანი ისტორია და დავ. კარიჭაშვილის კეთილშობილი ღვაწლი მოიპოვებს იქ ღირსეულ შეფასებას.

მწერლობა განსვენებულმა ადრე დაიწყო: ჯერ კიდევ სტუდენტობისას ის აგზავნიდა პარიზიდან კორესპონდენციებს „ივერია“-ში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მისი სხვადასხვა შინაარსის წერილები იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და გამოდის ცალკე გამოცემების სახითაც. უცდია განსვენებულს კალამი ბელეტრისტიკაშიც: მას დარჩა რამდენიმე ორიგინალური ნაწარმოები (მოთხრობები და სხვ.). უთარგმნია აგრეთვე ფრანგულით ვოლტერის, მოპასანის, კაფ-ესსეხ-ტერის და შარლ-დაგეს ნაწერები.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია დავ. კარიჭაშვილის სამწერლო მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიასა და ფილოლოგიაში. საქართველოს წარსულის კვლევის საქმეშიაც განსვენებულს სხვადასხვა საკითხები აინტერესებდა, — ისტორია, მწერლობის ისტორია და ფილოლოგია. ენათმეცნიერება. თვითეულ ამ დარგს ქართველთმცოდნეობისას დავ. კარიჭაშვილმა დაუტოვა თავისი წვლილი. საქართველოს ისტორიიდან მას ეკუთვნის რამდენიმე მონოგრაფია („თამარ მეფე“, ტფ.. 1892; „სვიმონ მეფე“, ტფ., 1894; „როსტომ მეფე“, ტფ., 1894; „საქართველო მეთორმეტე საუკუნეში“, ტფ., 1902), რამდენიმე წერილი სპეციალური საკითხების შესახებ („ვინ იყო მობიდან ეპისკოპოზი?“, „მოამბე“, 1901, № 3; „დავით კუროპალატის გენეალოგია“, „საქართველოს სიძველენი“, 1909. ტ. I; „ვინ უნდა იყოს „სუმბატის ქრონიკის“ ავტორი?“, „ძველი საქართველო“, 1909, ტ. I; „ქართლის მატიანის წარმართი ღმერთები“, „თემი“, 1912, № 66) და „საქართველოს მოკლე ისტორია“, ნაწ. I. ტფ., 1908, რომელშიაც მოთხრობა მოყვანილი არის მე-15 ს-ის 60-იან წლებამდის.

ქართული მწერლობის ისტორიას დავ. კარიჭაშვილმა შესძინა ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (წინასიტყვაობისა და შედგენილობის საკითხები), ალექსანდრე ყაზბეგისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიები და სხვ. მასვე ეკუთვნის ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ ქართული თარგმანის რედაქცია. ამავე დარგში მუშაობდა განსვენებული უკანასკნელ წლებში: ქართული სტამბის 300 წლისთავისათვის იგი ამზადებდა დიდ გამოკვლევას „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, რომლის ცალკე თავები უკვე გამოქვეყნებულია. ისტორიკოსთან ერთად განსვენებული ფილოლოგიც იყო. 1903 წ. მან გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერი ვარიანტების გათვალისწინებით. ამ გამოცემამ ფართო გავრცელება მოიპოვა და 1920 წ. გამოვიდა ხელმეორედ. ცალკე აღსანიშნავია მისივე „ხუცური ანბანი“ „ცხრათა ყრმათა კოლაელთა“ წამების ტექსტით, რომლის მეორე გამოცემას თანდართული ჰქონდა პატარა ნარკვევი „ქართული ანბანის წარმოშობა და განვითარება“ და ხუცურისა და მხედ-

რული დამწერლობის ნიმუშები. ეს გამოცემა დღესაც პრაქტიკულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს ჩვენი სტუდენტებისათვის ქართულ პალეოგრაფიაში.

აინტერესებდა ბ. დავითს აგრეთვე გრამატიკული საკითხები: წვრილი წერილებისა და კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული შენიშვნების გარდა მას შედგენილი ჰქონდა „ქართული ენის გრამატიკა" (ჯერ დაუბეჭდავი) და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების დაარსების შემდეგ აქტიური წევრი გახდა ამ უკანასკნელისა, სადაც წაკითხული აქვს რამდენიმე მოხსენება და არა ერთგზის მონაწილეობა მიუღია საჯარო კამათში. სთარგმნა ქართულად აგრეთვე ნ. მარის გამოკვლევა: „წინასწარი ცნობა ქართულისა და სემიტური ენების ნათესაობის შესახებ".

ცნობილია დავ. კარიჭაშვილი თავისი ლექსიკოგრაფიული ნაშრომებითაც — მას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონი, ივ. ბუქურაულთან ერთად „ძვ. საქართველოში" დაბეჭდილი აქვს „თუშურს ლექსებში ნახმარი სიტყვების განმარტება". მანვე შეადგინა წ.-კ. საზბის გამგეობის დავალებით დიდი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც დაბეჭდილი არ არის.

მაგრამ დავ. კარიჭაშვილი იყო ქართველთმცოდნეობის არა მარტო თეორეტიკოსი, არამედ თვალსაჩინო პრაქტიკული მუშაკიც. წ.-კ. საზოგადოებამ, სხვა მემკვიდრეობასთან ერთად, დაუტოვა ქართველ ერს ფასდაუდებელი განძი — მუზეუმ-წიგნთსაცავი, რომელიც ცნობილია განსაკუთრებით თავისი უმდიდრესი ქართულ ხელნაწერთა კოლექციით. უკვე წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დავ. კარიჭაშვილი არის ქართული ისტორიის ამ ამოურწყველი სალაროს გამგე. რევოლუციის შემდეგ, როცა „საზოგადოების" მოქმედება ახალი მდგომარეობის გამო შეიკვეცა, დავ. კარიჭაშვილს მთავარი თავისი ყურადღება გადმოაქვს მუზეუმ-წიგნთსაცავზე. რომლის ახალი მეპატრონე — ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰნიშნავს მას თავის ასისტენტად. ამ ღაწესებულების მესვეურობაში ამოჰხდა სული ბ. დავითს. მუზეუმ-წიგნთსაცავისათვის განსვენებული იყო არა მხოლოდ მცველი და მეთვალყურე: 1905 წ. მან შეადგინა წიგნთსაცავის კატალოგი, რომელსაც 1911 წ. დაურთო სპეციალური დამატება. ეს კატალოგები დღესაც სპეციალისტებისათვისაც კი მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ. წიგნთსაცავის კატალოგიზაციაზე განსვენებული მუშაობდა უკანასკნელ დღეებამდისაც: დაცულია ხელნაწერად 13 მანუსკრიპტის აღწერილობა, რომელიც შედგენილია უფრო ვრცელი წესით, ვიდრე ეს მიღებულია დაბეჭდილ კატალოგებში. სპეციალურად მოიგონებს დავ. კარიჭაშვილს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგა-

დოება, რომლის დაარსების დღიდანვე ბ. დავითი არის „საზოგადოების" თავმჯდომარის ამხანაგი, კითხულობს საჯარო მოხსენებებს, ბეჭდავს თავის გამოკვლევებს „საზოგადოების" გამოცემებში და იღებს მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში. უკანასკნელ წლებში საზოგადოების თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო, მას ხშირად უხდებოდა საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობისა და საჯარო კრებების ხელმძღვანელობა. აქაც ის თავის მოვალეობას მუდამ ხალისიერ, სრული შეგნებით და გულმოდგინებით ეკიდება და თავის თანამშრომლებში სტოვებს ფაქიზ ხსოვნას გამოცდილი მეთაურის, გამტანი ამხანაგის და დარბაისელი ადამიანისას. მისი უკანასკნელი გამოკვლევებიც უმთავრესად ჩვენს საზოგადოებაში გამოქვეყნდა.

გარდაიცვალა ბ. დავითი ა. წ. ივლისის 26-ს, დაბადებიდან 65 წლისა და განსაკუთრებით უნდა აღნიშნულ იქნას, რომ მიუხედავად ამ ჰასაკისა, როცა ჩვენში საზოგადო მოღვაწე ჩვეულებრივად სავსებით ჯანგატეხილი არის ხოლმე, მიუხედავად გამუდმებული ავადმყოფობისა და მძიმე პირობებისა, — მას არამც თუ არ შეუწყვეტია მუშაობა, არამედ შეიძლება ითქვას, რომ ის ეხლა იმყოფებოდა თავისი ნიჭის სრული გაშლის პერიოდში: მისი უკანასკნელი გამოკვლევები („როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი", „ქართული პერიოდელ იგამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა", „ვინ იყო ნიკიფორე ირბახი", „ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი") უთუოდ წარმოადგენდა ავტორის საუკეთესო ნაშრომებს. ეკვი არ არის, რომ მას კიდევ არა ერთი შეუსრულებელი განზრახვის ტკივილი წაჰყვა სამარეში. შესაძლოა აგრეთვე თავმდაბლობას დაეშალა მისთვის დარწმუნებული ყოფილიყო იმაში (სიცოცხლეში ხომ ეს მისთვის არავის არ უთქვამს), რომ ქართველ მკვლევართა კიდევ არა ერთი თაობა მადლიერებით შეაჩერებს ყურადღებას ამ ადამიანის ცხოვრების გზაზე, როცა მის მიერ მოვლილი საგანძურის კარებს შეაღებს და როცა არა ერთგზის მიჰმართავს იმ ხიდს, რომელიც დავ. კარაჭიშვილის იდეურობითა და ერთგულებით გადებული არის ქართულ სიძველეთა შესწავლის დიდ სამყაროში ქაოსიდან სისტემისაკენ.

ხ. ჯანაშია

ოქტომბრის 14, 1927 წ.
ქ. ტფილისი.

არნ. ჩიქობავა

მცირეოდენი—მოგონებებიდან

სიმონ ჯანაშია 1908 წლიდან მახსოვს: ის ძველი სენაკის ქართული — ოთხგანყოფილებიანი — სკოლის მოწაფე იყო. მისი მამა ნიკო ჯანაშია ამ სკოლაში მასწავლებლობდა და მეტად პოპულარული პიროვნება იყო: უბრალო, თავაზიანი ადამიანი, მოწინავე მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე[1]. მე სოფლის სკოლაში (ე. წ. „სამინისტროს ორკლასიან სკოლაში") ვსწავლობდი (ამ სკოლაში ხუთი განყოფილება იყო — I — III განყოფილება ერთ კლასს უდრიდა. IV — V განყოფილება მეორეს. სწავლა პირველი განყოფილებიდანვე რუსულ ენაზე იყო).

1908 წელს აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით ძველი სენაკის ქართულ სკოლაში ლიტერატურული დილა გაიმართა. სოფლის სკოლიდანაც რამდენიმე მოწაფე ვიღებდით მონაწილეობას: აკაკის ლექსები უნდა გვეთქვა (მე წილად მხვდა „პოეტი და მდიდარი"). ლიტერატურული დილისათვის ვემზადებოდით და საამისოდ ქართულ სკოლაში დავდიოდით.

სიმონი — ბავშვებში მოთამაშე, ძალიან ცოცხალი, ცქრიალა — დამამახსოვრდა. ათი წლის შემდეგ, 1918 წლის ოქტომბერში, უნივერსიტეტის პირველი აუდიტორიის[2] კარებთან შეეხვდით ერთმანეთს, პირველი კურსის სტუდენტები.

ეს უკვე ის სიმონი იყო, რომელსაც ცქრიალა არ ეთქმოდა: დინჯი ახალგაზრდა, სოლიდურიც კი.

სტუდენტობის დროიდან მოყოლებული თითქმის ოცდაათი წელი უნივერსიტეტი თუ ინსტიტუტი (აკადემია) გვაკავშირებდა. ბევრი რამ შეიძლებოდა მომგონებოდა.

აქ იმით დავკმაყოფილდებით, რაც სიმონ ჯანაშიას, როგორც ენის სპეციალისტსა და როგორც დაწესებულების ხელმძღვანელს ახასიათებდა.

სიმონ ჯანაშიას სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის) ფაკულტეტის ორი განყოფილება ჰქონდა დამთავრებული: საისტორიო და ენისა.

---

1 ძველი სენაკის ქართული სკოლიდან სამუშაოდ სოხუმს გადავიდა და იქ ქართული სკოლა დააარსა.

2 ახლანდელ პირველ კორპუსში, ამჟამად იქ მეცნიერ მუშაკთა სამკურნალო ღარბაზია.

ძველი ქართული, მეგრულ-ჭანური, აფხაზურ-ჩერქეზული აინტერესებდა ისტორიის თვალსაზრისით, მაგრამ ამ ენათა მასალაზე ხელი მიუწვდებოდა, როგორც ენის სპეციალისტს (მეგრულ-ჭანური და აფხაზური ხომ პრაქტიკულადაც იცოდა). სიმონ ჯანაშიას საგულისხმო დაკვირვება მოეპოვება, კერძოდ, სვანურში ჩერქეზული (ადიღეური) სუბსტრატის შესახებ[3].

როცა ფილოლოგიის ფაკულტეტზე კავკასიურ ენათა კათედრა დაარსდა (და კავკასიურ ენათა განყოფილება ჩამოყალიბდა 1933/1934 წწ.). სიმონ ჯანაშია ამ კათედრის წევრი იყო და აფხაზურ ენას უკითხავდა კავკასიურ ენათა განყოფილების სტუდენტებს წლების მანძილზე. სანამ მისი მოწაფე — ქეთევან ლომთათიძე — ასპირანტურას დაამთავრებდა.

როგორც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა, პირველ ყოვლისა, აფხაზურისა და ჩერქეზულის მკვლევარს, მას უთქმელი დარჩა ბევრი რამ, ალბათ, იმაზე მცირე არა, რაც არ დასცალდა ეთქვა როგორც ისტორიკოსს.

სიმონ ჯანაშია გამოირჩეოდა არა მხოლოდ ნიჭითა და მაღალი კულტურით, მას ფართო ხედვა ჰქონდა; ყველასთან თავდაჭერილი და სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ თუ საჭიროდ დაინახავდა, აზრს ადეკვატურ გამოსახულებას შეურჩევდა.

* * *

სიმონ ჯანაშია იყო ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის („ენიმკი"-ს) დირექტორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

ორიოდე ეპიზოდი სიმონ ჯანაშიას მუშაობიდან ამ თანამდებობებზე.

საქართველოს ფილიალის წლიური მუშაობის შესამოწმებლად მოსკოვიდან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კომისია ჩამოვიდა. ენიმკის მუშაობის შედეგებს ეცნობოდნენ ისტორიკოსი აკად. გოტიე და თურქოლოგი პროფ. მალოვი.

ყველა დამთავრებული სამუშაო მოითხოვეს: ჩვენი თვალით უნდა ვნახოთო: „Деньги на бочку!" როგორც თქვეს, ვითომდა ხუმრობით (ეტყობოდა, ანგარიშს არ ენდობოდნენ: ჩანს, ცარიელი ახგარიშის შედგენის დიდი ოსტატები ენახათ). დირექტორმა არ შეიმჩნია ეს უადგილო ფრაზა. საჭირო ნაშრომები კომისიას წარუდგინეს. კომისიის წევ-

[3] იხ. ს. ჯანაშია „სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები" — ს. ჯანაშიას შრომები, ტ. III, გვ. 81 — 117; აგრეთვე — „ეტად საინტერესო „ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში" — ექსპედიციის ჯღიური — „შრომები", ტ. IV, გვ. 5 — 171.

რები ახლა სხვაგვარად ალაპარაკდნენ: კარგი შთაბეჭდილება მივიღეთ. დირექტორმა არც ეს მოწონება შეიმჩნია.

როცა კომისიამ მუშაობა დაამთავრა და თავისი დასკვნაც—დადებითი — გააცნო საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმს, კომისიის წევრებს ვახშამი გაუმართეს აწინდელ ინტურისტში. სიმონ ჯანაშია მასპინძლობდა: გაშლილ სუფრაზე სტუმრები მიიწვია: „გთხოვთო!“ და დაუმატა: „Трудящийся достоин пропитания!“

ამით ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, თავაზიანად და ღირსეულად.

1945 წელს გაზაფხულზე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. კომაროვი, აღხაზეთში სამკურნალოდ ძიძავალი, ეწვია ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმს და მოისურვა აკადემიის საქმიანობას გასცნობოდა. პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა გაიმართა. ჯერ საბუნებისმეტყველო დარგებისა მოახსენეს, შემდეგ — ჰუმანიტარულისა.

ვიცე-პრეზიდენტ ს. ჯანაშიას ინფორმაცია იყო მოკლე: ძველოდ არსებითი ითქვა, ითქვა ისე, როგორც სწორი სწორს ეტყვის. აკადემიის წარმომადგენელი აკადემიის საპატიო სტუმარს, თავაზიანად, მშვიდად და ღირსეულად.

როცა სამეცნიერო დაწესებულება შესაფერისად არ არის წარმოდგენილი. ეს მძიმეა, პირუკუ: დიდ შინაგან კმაყოფილებას იწვევს, როცა სამეცნიერო დაწესებულების ადგილი და ღირსება შესაფერისად არის წარმოდგენილი: არც ტრაბახი და არც თითის ნვერებზე დგომა! ეს შეეძლო სიმონ ჯანაშიას, და ეს მისი ძალა იყო.

უნაკლოდ სრული ხელმძღვანელი, ისიც ჰუმანიტარული დარგებისა, ძნელად მოიპოვება და ეს უნდა გავითვალისწინოთ.

* * *

დასასრულ, ერთი თავისებურებაც, რაც სიმონ ჯანაშიას ახასიათებდა: ბავშვები უყვარდა და ბავშვურის გაგება შეეძლო.

რუსთაველის პროსპექტზე, ახლა რომ მთავრობის სახლია, იმის წინ ეკლიანი ხე, გლედიჩია, იდგა. გვიანი შემოდგომა იყო, ხეს მაღლა პარკები შერჩენოდა, ორი ბიჭუნა პარკების მოწყვეტას ლამობდა, ერთი ხეზე აძრომას ცდილობდა, მეორე კი ხეს მიკვროდა და ძლივს იჭერდა მის მხრებზე შემდგარ თავგამეტებულ ამხანაგს.

სიმონი შეჩერდა და დიდი ინტერესით უყურებდა ამ სცენას. თვალებში სიცილი ჩაუდგა. მერე ჩაილაპარაკა: „ვინმე ფილისტერმა ეს რომ ნახოს, ბიჭებს დატუქსავს: რუსთაველის პროსპექტზე. დახეთ, რას სჩადიანო! ამ ბავშვებისათვის კი იმ პარკებზე ძვირფასი ახლა არაფერიაო, ბავშვს ასეთი რამ როგორ უნდა დაუშალოო!“

აკაკი გაწერელია

სიმონ ჯანაშია

(მოგონებათა რამდენიმე ფურცელი)

მაღალი იყო. მოთეთრო და ფაქიზნაკვთებიანი პირისკანი ჰქონდა. ხშირი წარბებიდან დაკვირვებით გამომზირალი მისი თვალები არასოდეს აკრთობდნენ თანამოსაუბრეს. ამ თავდაჭერილ და ჭეშმარიტ ელეგანტს, სისადავე რომ არ აკლდა, იმავე დროს შეეძლო ერთგვარად დისტანცია დაეცვა ყველასთან და ეს თანდაყოლილი თვისება ოდნავადაც არაფერს აკლებდა მისდამი სიმპათიას, ნაცნობსა თუ უცნობში რომ იწვევდა იგი. სიარულსა და მიმოხვრაშიაც ეტყობოდა, რომ ჩინებულად აღზრდილი გახლდათ. ისედაც ცნობილი იყო, შესანიშნავი ოჯახური ტრადიციები მოსდგამდა. სიმონ ჯანაშიას დინჯი და საზღვარმიჩენილი თავშეკავება, რაც ასე ხელს უწყობდა სიხარული თუ გაჯავრება (აგრეთვე სიძულვილი ან სიყვარული) თვალსაჩინოდ არ გამოეხატა, ახალგაცნობილშიაც კი მისდამი შინაგანი პატივისცემის გრძნობას აღძრავდა... ჩვენ იშვიათად გვინახავს ემოციის სფეროში ეგზომ დისციპლინირებული ადამიანი.

ამგვარი თვისებებით იყო აღჭურვილი საქართველოს აკადემიის ნ ა მ დ ვ ი ლ ი ვიცე-პრეზიდენტი, კეთილშობილი რაინდი და ყოველმხრივ ლამაზი...

სიმონ ჯანაშია პირველხარისხოვანი მეცნიერი იყო და ეს აზრი სპეციალისტების წრეში ერთხმადაა აღიარებული. ჩვენ უფლება არა გვაქვს მის ისტორიულ შრომებზე ვიმსჯელოთ. კომპეტენტური დამფასებლები სიმონ ჯანაშიას სამეცნიერო მემკვიდრეობას არასოდეს მოაკლდებიან. ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით მის ლიტერატურულ-ისტორიულ ძიებათა გამო.

სიმონ ჯანაშიას მაგალითზე კარგად ჩანს უსაფუძვლობა ფლობერის პარადოქსისა „წიგნი ყველაფერია, ავტორი არაფერი“. ყოველ-

შემთხვევაში ფრანგი რომანისტის ამ ფორმულის აბსულუტიზაცია ნიადაგს მოკლებულია.

სიმონ ჯანაშიას პიროვნება ამშვენებდა მის მეცნიერულსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. უწინარეს ყოვლისა იგი შესანიშნავი ქართველი იყო, რომლისთვისაც მშობლიური კულტურის თითქმის ყველა სფერო ღრმა და უშუალო დაინტერესების საგანს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ჩვენი ხალხის ისტორიულ ფასეულობათა ხელყოფის ყოველგვარი გამოვლინება მის მხრივ აკადემიური, მაგრამ მასთან მომაკვდინებელი კონტრშეტევის მიზეზი ხდებოდა.

ყველასათვის ცნობილია ის ფაქტები, რომელთაც ჩვენ ვგულისხმობთ. სიმონ ჯანაშია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის სადარაჯოზე იდგა. და ამ ფაქიზ კაცს, გულის ტკივილს რომ უჩიოდა, ოქროს კალამი ეპყრა ხელთ და იმით იგერიებდა საშშობლოს მტრებს. და დიდ, მაგრამ სნეულ გულს რომ არ ეღალატნა მისთვის, ასე ადრე არ წაიქცეოდა დამცველი ქონგურების მისადგომებთან...

ამიტომაც სიმონ ჯანაშიას ნაადრევი გარდაცვალება ნამდვილი უბედურება აღმოჩნდა ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით.

მარტოოდენ რისამე საუკეთესო სპეციალისტიც რომ იყო — არ კმარა. ზოგიერთი მზაკვრისა და მუხანათისათვის უმაღლესი ტიტულებიც კი ამაოა.

ცოდნა შეიძინება. სიმონ ჯანაშიას ხასიათის სიდიადე კი — ბუნებამ უნდა გაჩუქოს.

* *

ყველას ფასი ზედმიწევნით იცოდა, თუმცა ზოგჯერ ზედმეტ ნდობასაც უცხადებდა სხვის ნიჭსა და შესაძლებლობებს. და თუ ვინმე მის იმედებს არ გაამართლებდა, მაინც მომთმენი რჩებოდა. მხოლოდ სულმდაბალი შეიძლება ყოფილიყო მისით უმადური.

ადამიანური უმადურობის მაგალითებს კი სიმონ ჯანაშია, რასაკვირველია, კარგად იცნობდა. ჩვენ თვითონ მოწმე ვყოფილვართ მისდამი უმადურობის შემთხვევისა. როცა მის მიერ ნალოლიავები ერთი პიროვნებისაგან მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. მაგრამ სიმონ ჯანაშიამ შეინარჩუნა ის მაღალი სულგრძელობა, რომელიც უფრო მკაცრია თავისი ბუნებით, ვიდრე სამაგიეროს მიზღვა, სიმონ ჯანაშიამ მხოლოდ მოკლე და ძუნწი რეპლიკით განსაზღვრა ხასიათი ჩვენს მიერ ნაგულისხმევი უმადურობისა, რეპლიკით, რომელიც მარტოოდენ ზ ი ზ ღ ს გამოხატავდა. და უმალვე დაუსვა ფრაზას წერტილი და შერიგების ყოველგვარი ცდა რადიკალურად აღკვეთა.

სიმონ ჯანაშია სულიერი არისტოკრატიზმით იყო აღჭურვილი და ზიზღის მხოლოდ წამიერი გამჟღავნება ამგვარ ადამიანთა თვისებაა.

* *

1938 წელს მზადდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერების აკადემიური გამოცემა. რედაქციამ სიმონ ჯანაშიას სთხოვა დაეწერა ნარკვევი ჩვენი დიდი ლირიკოსის წინაპართა გენეალოგიაზე.

სიმონ ჯანაშიამ თავის დროზე ჩააბარა რედაქციას ნაშრომი, რომლის სათაურია „ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის". ეს ნარკვევი დაიბეჭდა პოეტის თხზულებათა 1939 წლის გამოცემაში.

წყაროების ღრმა ცოდნა (რაც, ცხადია, ავტორისაგან მოულოდნელი არ იყო), იშვიათ ლინგვისტურ კულტურასთან შეხამებით, სიმონ ჯანაშიას მცირე მოცულობის გამოკვლევას კლასიკური სრულყოფილობის ხასიათს ანიჭებს — ფაქტების ანალიზი მასში ბრილიანტის ელვარებით ბრწყინავს.

აღნიშნულ პრობლემაზე ამიერიდან უკეთესის დაწერა — წარმოუდგენელია.

* *

სიმონ ჯანაშიამ სოლიდური მონოგრაფია უძღვნა გიორგი შარვაშიძეს. ამ წიგნის მეშვეობით გაეცნო მკითხველი აფხაზთა მთავრების უკანასკნელი ნიჭიერი ჩამომავლის პოეტურ მემკვიდრეობას, კერძოდ. გულის შემძვრელ „ვარადა"-ს.

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე გიორგი შარვაშიძის რამდენიმე ჯარგად დაწერილი რუსული ლექსი.

შემდეგ სიმონ ჯანაშია მოთავე იყო გიორგი შარვაშიძის იუბილესი აფხაზეთში. მაშინ სიმონ ჯანაშიამ თბილისიდან სოხუმში დელეგაციის წევრებად წაიყვანა შალვა დადიანი, გერონტი ქოქოძე და ამ სტრიქონების ავტორი.

საზეიმო სხდომა ქალაქის თეატრში გაიმართა.

ყველანი მოწმენი ვიყავით, თუ რაოდენ დიდი სიყვარულით იყო გარემოცული სიმონ ჯანაშია აფხაზი ხალხის მიერ. დელეგაციის მეთაური ღვინოს არ სვამდა და ღვინო უხვად ისმებოდა გამოჩენილი მეცნიერის მისამართით.

იგივე განმეორდა მოქვში, სადაც პოეტის საფლავი ვინახულეთ. როცა მოქვის ახლო მდებარე სოფლების გლეხობამ თბილისიდან იქ ჩასული დელეგაცია მიიპატიჟა ნადიმზე, დაღამებისას ყველაფერი და-

ემსგავსა მისტერიას, რომლის მთავარი გმირი სიმონ ჯანაშია აღმოჩნდა, თუმცა იგი დინჯად იჯდა სუფრასთან და ბახუსის სიხარული არ განუცდია.

*

თბილისში ერთხელ ჩამოვიდა ცნობილი რუსი ისტორიკოსი ევგენი ტარლე, რომელიც მაშინ თავის ვრცელ „ყირიმის ომზე" მუშაობდა.

ჩვენ მაშინ ვმსახურობდით ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილებაში სიმონ ყაუხჩიშვილთან. სიმონ ჯანაშიამ თავის კაბინეტში, მესამე სართულზე მიხმო. მას ტარლესათვის ურჩევია — ყირიმის ომში ღაღისტნელთა პოზიციის შესახებ მასალებს ჩვენი ერთი თანამშრომელი გაგაცნობთო. ე. ტარლეს ჩვენ შეძლებისამებრ დავეხმარეთ კიდეც.

ე. ტარლე პროპორციულად ჩასუქებული, ძალიან მაღალი კაცი იყო, არაჩვეულებრივად სადა, თანაც ფრანგული ესპრის დიდი ოსტატი (როცა იცინოდა, მთელი მისი ტანი ზანზარებდა• თითქოს, სქელი ქუთუთოები მთლად უვიწროვდებოდა). ე. ტარლე ამართლებდა საყოველთაოდ ცნობილ შეხედულებას, რომ დიდი ცოდნა და ნიჭიერება ბრწყინვალების გარეშე არ არსებობს. ე. ტარლე, მსოფლიო რეპუტაციის ისტორიკოსი, ამასთან შესანიშნავი სტილისტი და ნამდვილი ოქროპირი იყო.

მაგრამ გასაოცარი ის გახლდათ, რომ ვეება ერუდიტი ტარლე, ისიც ნამდვილი ელეგანცია არბიტერ, სიმონ ჯანაშიასთან საუბრისას ბევრს ჰკარგავდა ხასიათის სიდიადისა და ისტორიული პროცესების შორეული ძირების წვდომის თვალსაზრისით. და ამას სიმონ ჯანაშია აღწევდა თავის თავზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ე. ტარლე დიდი გულისყურით უსმენდა ხოლმე მას.

სიმონ ჯანაშია ის ქართველი ინტელიგენტი იყო, რომელიც უმაღლესი ინტელექტუალური ელიტის გარემოცვაშიაც შინაურად გრძნობდა თავს და ყველას თავისადმი გულწრფელი პატივისცემით განმსჭვალავდა. რასაკვირველია, სიმონ ჯანაშია ისე წავიდა ჩვენგან, რომ თავისი ცოდნის ნახევრის გამომჟღავნებაც კი ვერ მოასწრო.

ადამიანი სიკვდილში იცნობა.

სიმონ ჯანაშიას გამოტირება მასიური წუხილისა და სიმძიმილის დემონსტრაციად იქცა.

დაუვიწყარია მეცნიერის თბილისელი კოლეგების შეძრწუნებული სახეები, კოლხი ქალების ძაძები, აფხაზთა მიერ ყაბალახებისა-

გან თავების გაშიშვლება და მოთქმა. და ცრემლები, ხალხისა და ჭირისუფლებისაგან ერთნაირი გულწრფელობით რომ მოედინებოდა.

ნაადრევად თვალდახუჭული ლამაზი კაცი იწვა კუბოში.

ჩვეულებრივ სიკვდილი ცხედარზე თავის ამაზრზენი ამბორით ხეიმობს ხოლმე და ოდესღაც მომხიბლავ სახეს უშნოს ხდის. უხილავ ჯალათს ამჯერად ბრძოლა წაეგო: გეგონებოდათ მიცვალებული ისევ გაახელდა თვალს...

ამ სტრიქონების ავტორმა მამის გარდაცვალების შემდეგ მეორედ იგრძნო დაობლება. ეს გრძნობა ახლაც, მოუშორებლივ თან გვახლავს.

დიდი და უანგარო სიყვარულით ვარ გამსჭვალული ყოველმხრივ უმშვენიერესი, დაუვიწყარი ბატონი სიმონის ხსოვნისადმი, ადამიანისადმი, რომლის ამაგითა და სიკეთით ყელამდე ვარ სავსე.

და უფრო ღირსეული გვირგვინის მიტანას სიმონ ჯანაშიას ხსოვნის კვარცხლბეკთან ჩვენ ვერ შევძლებთ.

ან კი, არსებობს სხვა, უფრო ფასეული გვირგვინი, ვიდრე გრძნობა ადამიანისადმი წარუშლელი მადლიერებისა?

15 ივნისი. 1970.

კ. ანთაძე

ალექსანდრე ნამორაძე

ალექსანდრე გიორგის ძე ნამორაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრის ერთ-ერთი დამაარსებელი და გარდაცვალებამდე (1958 წ.) მისი გამგე იყო. მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალ. ნამორაძემ 30 წელი იმოღვაწა თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტში და დიდი ამაგი დასდო ქართველ პროფესიონალ ისტორიკოსთა აღზრდის, უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის, უმთავრესად კი შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის სწავლების საქმეს.

ალ. ნამორაძე დაიბადა 1890 წელს დაბა თიანეთში, მოსამსახურის ოჯახში. მისი მამა გიორგი ზაქარიას ძე განათლებული პიროვნება და საზოგადო მოღვაწე იყო. დედა, პელაგია ზაქარიას ასული კობაიძე, წარმოშობით სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა; მას ეპარქიული სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. გიორგი ნამორაძის ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები ვაჟა-ფშაველა, ნიკო რაზიკაშვილი, გიორგი (გუცა) ნამორაძე, დავით ხიზანაშვილი, კიკნა-ფშაველა (სიმონ ბადურაშვილი) და სხვები.

1899 წელს ალ. ნამორაძე თბილისის ქართულ გიმნაზიაში ჩარიცხეს. გიმნაზიაში სწავლისას ალ. ნამორაძე ნიჭით, მახვილი გონებითა და მუყაითობით გამოირჩეოდა. ისტორიამ, კერძოდ, ევროპის ისტორიამ იგი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს გაიტაცა და 1910 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად კიევში გაემგზავრა. იმ დროს კიევის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი თავისი შესანიშნავი პროფესორებით იყო ცნობილი. უნივერსიტეტში სწავლისას ალ. ნამორაძე კვლავ დიდი გულმოდგინებით და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.

კიევის უნივერსიტეტში ყოფნისას ცოდნის გასაღრმავებლად, 1912 წელს, გარკვეული დროით, ალ. ნამორაძე გაემგზავრა საფრანგეთის

დედაქალაქში. პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში იგი სწავლობდა საფრანგეთის ისტორიის XVII — XVIII საუკუნეების პირველწყაროებს და ამავე დროს ისმენდა სორბონის უნივერსიტეტში გამოჩენილი ფრანგი პროფესორების ლექციებს.

კიევის უნივერსიტეტში ალ. ნამორაძე მუშაობდა ცნობილი პროფესორის პავლე ნიკოლოზის ძე არდაშევის ხელმძღვანელობით. მართალია, არდაშევი პროგრესულ პოზიციებზე არ იდგა, მაგრამ უდავოდ ეს სახელმოხვეჭილი რუსი მეცნიერი კარგად იყო დაუფლებული ისტორიული კვლევა-ძიების ხერხებს, მას ღრმად ჰქონდა შესწავლილი ფრანგული პირველწყაროები, საერთოდ, საფრანგეთის ისტორიის დიდი მცოდნე იყო და ქართველი სტუდენტი მისგან ბევრს ისწავლიდა.

1914 წელს ალ. ნამორაძემ დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დასავლეთ ევროპის ისტორიის სპეციალობით, მაგრამ მსოფლიო ომის მიზეზით მას საშუალება არ მიეცა ჩაებარებინა სახელმწიფო გამოცდები.

ოთხი წლის განმავლობაში ალ. ნამორაძე მუშაობდა კიევში განათლების დარგში, სრულიად რუსეთის საერობო კავშირის კიევის კომიტეტის სასკოლო განყოფილების ინსტრუქტორად.

1918 წელს დიდი ცოდნითა და სამეცნიერო ჩვევებით აღჭურვილი ალ. ნამორაძე დაუბრუნდა სამშობლოს, რომლის კულტურის სამსახურს, როგორც მკვლევარმა და პედაგოგმა მოახმარა სრული 40 წელი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი ერთ ხანს მუშაობდა მასწავლებლად თბილისის სხვადასხვა სასწავლებლებში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის დაწყების შემდეგაც ალ. ნამორაძეს არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოს საშუალო სკოლასთან: იგი რედაქციას უკეთებდა საშუალო სკოლის დასავლეთ ევროპის ისტორიის სახელმძღვანელოების ქართულ თარგმანებს, ეხმარებოდა ისტორიის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ხელმძღვანელობდა სკოლაში ახალი ისტორიის სწავლების მეთოდიკის საკითხების მეცნიერულ დამუშავებას, ენერგიას არ ზოგავდა იმისათვის, რომ ქართულ საშუალო სკოლაში მსოფლიო ისტორიის სწავლება სათანადო დონეზე მდგარიყო.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ალ. ნამორაძე განაგრძობდა თავისი ცოდნის გაღრმავებას. 1919 წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1924 წლის იანვარში ბრწყინვალედ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და მიიღო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიის განყოფილების კურსდამთავრებულის დიპლომი. აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოსცადა ის

საქართველოს ისტორიაში, დიდად კმაყოფილი დარჩა მისი ცოდნით და უმაღლესი შეფასება მისცა.

იმავე წელს პროფესორ გრ. ნათაძის წარდგენითა და უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებით, ალ. ნამორაძე დატოვებულ იქნა მსოფლიო ისტორიის კათედრაზე სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად დასავლეთ ევროპის ისტორიის სპეციალობით. ასპირანტურის პერიოდში 1924—1928 წწ. მან მონოგრაფიებისა და გამოცემული პირველწყაროების დამუშავებით საფუძვლიანად შეისწავლა საფრანგეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები და ამ დროს დაწერილი ანგარიშებითა და მოხსენებებით ნათელყო მეცნიერული კვლევა-ძიების დიდი უნარი; მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი და შეხედულებანი ზოგ შემთხვევაში ახალ სიტყვასაც კი წარმოადგენდა საფრანგეთის ისტორიის შესწავლის საქმეში.

1926 წლიდან ალ. ნამორაძე კითხულობდა ლექციებს თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1928 წლის თებერვლიდან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ დროიდან სრული 30 წელი ისმენდა უნივერსიტეტის სტუდენტობა მის შესანიშნავ, ნიჭიერად შედგენილ, ღრმად გააზრებულსა და მჭერმეტყველური ხელოვნებით შემკულ ლექციებს. იგი კითხულობდა ლექციებს ისტორიის, ეკონომიკის, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის საგნებში ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ერთ დროს გერმანულ ენაზეც.

ალ. ნამორაძის ღრმა რწმენით, ლექცია, რომელიც არ ეყრდნობა ჭეშმარიტ მეცნიერულ კვლევას, ფუჭია. მან კარგად იცოდა და თავის მოწაფეებს უნერგავდა იმ აზრს, რომ ლექტორმა უნდა აითვისოს საალექციო მეთოდიკის წესები, სერიოზული ყურადღება მიაქციოს ენის, დიქციის, ინტონაციის, გადმოცემის ტემპის სრულყოფასა და დახვეწას, არ გადატვირთოს თხრობა გადაჭარბებული კონკრეტული მასალით, რათა არ დაჩრდილოს და ბუნდოვანი არ გახადოს ის ძირითადი დებულებანი, რომელთა აუდიტორიამდე დაყვანაც ლექციის მთავარ მიზანს შეადგენს, ორგანულად დაუკავშიროს ერთმანეთს მეთოდოლოგიური მონაცემები და ისტორიული ფაქტები. ალ. ნამორაძე უპირატესობას ანიჭებდა სასაუბრო ენით ჩატარებულ ლექციას. მაგრამ აუცილებლად მიიჩნევდა, რომ ლექტორს ხელთ ჰქონოდა წინასწარ გამზადებული გეგმა-კონსპექტი.

უნივერსიტეტში მუშაობის პირველსავე წლებში ლექციების კითხვისას ალ. ნამორაძემ იმდენად დიდი ცოდნა, პედაგოგიური ნიჭი და მკვლევრის უნარი გამოავლინა, რომ საქართველოს სსრ სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულმა საკვალიფიკაციო კომისიამ

1932 წლის 26 ოქტომბერს მას დოცენტის სამეცნიერო წოდება მიანიჭა, ხოლო 1935 წლის 31 დეკემბერს — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1938 წლის 3 ნოემბერს ალ. ნამორაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ადმინისტრატიული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII—XVIII საუკუნეებში". 1939 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ალ. ნამორაძეს მიანიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება.

1936 წლიდან, 22 წლის განმავლობაში ალ. ნამორაძე განაგებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრას და ამ ხნის მანძილზე ფაქტიურად სათავეში ედგა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის და ნაწილობრივ შუა საუკუნეების კვლევისა და სწავლების საქმეს საქართველოში. მისთვის, როგორც კათედრის გამგისათვის, დამახასიათებელი იყო განსაკუთრებული სიზუსტე და დისციპლინა, სამსახურებრივ მოვალეობათა კეთილსინდისიერი და მაღალხარისხოვანი შესრულება.

1940 წლის 27 თებერვლიდან 1942 წლის 10 მაისამდე ალ. ნამორაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი იყო.

გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ნამორაძე სხვადასხვა დროს, ათეული წლის მანძილზე შეთავსებით მოღვაწეობდა რესპუბლიკის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში, პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტში და სხვ. მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო მან ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, სადაც 18 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებსა და ერთ ხანს განაგებდა მსოფლიო ისტორიის კათედრას.

როდესაც ქუთაისში გაიხსნა უმაღლესი განათლების კერა — პედაგოგიური ინსტიტუტი, მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა იკისრა იქ მუშაობა. რომ დასავლეთ საქართველოში ახლად დაარსებული ინსტიტუტი გაძლიერებულიყო. 18 წლის განმავლობაში, მიუხედავად ბგზავრობის მძიმე პირობებისა, განსაკუთრებით სამამულო ომის წლებში, იგი იშვიათი კეთილსინდისიერებით განაგრძობდა ნაკისრ საქმეს. მან ქუთაისის ინსტიტუტში აღზარდა არაერთი მეცნიერი მუშაკი დასავლეთ ევროპის ისტორიის სპეციალობით და დანერგა ამ საგნის სწავლისა და მეცნიერული კვლევის მაღალი კულტურა.

ალ. ნამორაძე დასავლეთ ევროპის ისტორიის ახალგაზრდა მკვლევართა აღსაზრდელად თავისი სტუდენტების აქტიურ ნაწილს აბამდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების საქმიანობაში. წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; მისი ხელმძღვანელობით მრავალმა ახალგაზრდამ წაიკითხა მოხსენებები სტუდენტთა სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოებების სხდომებსა და კონფერენციებზე და დაიწყო დასავლეთ ევროპის ისტორიის კვლევის ხერხებისა და გამოცდილების შეძენა.

ალ. ნამორაძის ლექციებსა და სემინარებზე, მისი ხელმძღვანელობით მომუშავე სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში და მასთან ასპირანტურის გავლით აღიზარდა მეცნიერ-მკვლევართა მთელი თაობა. ალ. ნამორაძე სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში დიდ დროს უთმობდა და უდიდესი გულმოდგინებით ხელმძღვანელობდა ასპირანტების მომზადების საქმეს, უნერგავდა მათ მსოფლიო ისტორიის კვლევის ჩვევებს.

ალ. ნამორაძის პირადი არქივის გადათვალიერების დროს წავაწყდით განსვენებული პროფესორის საგულისხმო ჩანაწერს:

„ყოველი რეცენზია აუცილებლად უნდა იძლეოდეს პასუხს შემდეგ კითხვებზე:

1. შეეფერება თუ არა შრომის თემა მის დანიშნულებას?
2. შეეფერება თუ არა შრომის გეგმა თემის შინაარსს?
3. ამჟღავნებს თუ არა შრომა ავტორის ჯეროვან მომზადებას სათანადო დისციპლინებში?
4. აქვს თუ არა შრომას კვლევითი ხასიათი და ფლობს თუ არა ავტორი სათანადო კვლევის მეთოდებს?
5. დაუძლევია თუ არა ავტორს თემა?
6. როგორი არის შრომის მეცნიერული შედეგები?
7. დამაკმაყოფილებელი არის თუ არა ენა და სტილი?
8. შეიძლება თუ არა შრომა დაშვებულ იქნას დასაცავად“?

ფაქტიურად ეს გახლდათ ის პროგრამა, რომლის მიხედვითაც ალ. ნამორაძე ამზადებინებდა თავის მრავალრიცხოვან ოფიციალურ და არაოფიციალურ ასპირანტებს საკვალიფიკაციო ნაშრომებს და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის მიერ მოწონებული საკანდიდატო დისერტაცია არ ყოფილიყო წარმატებით დაცული.

ნამორაძის დიდი ღვაწლი ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების, კერძოდ დასავლეთ ევროპის ისტორიის სპეციალისტთა ეროვნული კადრების აღზრდის საქმეში წარმატებით დაგვირგვინდა. მის მიერ აღზრდილი ბევრი სპეციალისტი ამჟამად ნაყოფიერად მოღვაწეობს

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

ალ. ნამორაძე არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სტუდენტებთან, პედაგოგებთან. ასპირანტებთან და თავის კოლეგებთან მუშაობით. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის საქმეს. დიდ ყურადღებას იმსახურებს ალ. ნამორაძის უხარი, როგორც ლექტორი პოპულარიზატორისა. ჯერ კიდევ ომამდელ წლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების დავალებით იგი კითხულობდა ლექციებს მუშათა კლუბებში და წითელი არმიის ნაწილებში, რისთვისაც არაერთი მადლობა მიუღია თბილისის საბჭოსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან. მისი ლექციები დიდი სიღრმით, მაღალი იდეურობითა და მჭერმეტყველური ხელოვნებით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელებზე. ომის შემდეგ იგი გაწოდიოდა მოხსენებებით უნივერსიტეტის ლექტორიუმში და საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად პროფ. ალ. ნამორაძე ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. დიდია მისი დამსახურება ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე.

ალ. ნამორაძეს წილად ხვდა თავის უფროს ამხანაგთან და კოლეგასთან მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე გრიგოლ ნათაძესთან ერთად (რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მან 1956 წელს მიუძღვნა დიდი გრძნობითა და სიყვარულით დაწერილი ორი ნარკვევი) ჩაეყარა საფუძველი საქართველოში დასავლეთ ევროპის ისტორიის მეცნიერული კვლევისათვის. მეტად რთული იყო კვლევა იმ საგანში, რომლის არა მარტო პირველწყაროები, არამედ სამეცნიერო ლიტერატურაც კი ხშირად ძნელი მისაწვდომია მკვლევრისათვის. ასეთი სახის კვლევის გარეშე კი შეუძლებელია ქართველი პროფესიონალი ისტორიკოსების აღზრდა, ისტორიის სწავლება ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. ალ. ნამორაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ზემოთ მოხსენიებული სიძნელეებისა, მისი კვლევითი მუშაობა თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით, ყოვლთვის მაღალ დონეზე იდგა.

ბუნებრივია, რომ პროფ. ალ. ნამორაძის სამეცნიერო-პედაგოგიურმა მოღვაწეობამ გულწრფელი აღიარება და მაღალი შეფასება დაიმსახურა სამეცნიერო წრეების, ფართო საზოგადოებრიობისა და მთავრობის მხრივ. 1946 წლის 5 მარტს მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1953

წლის 27 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

* *

ჯერ კიდევ კიევში სტუდენტობის დროს ალექსანდრე ნამორაძეს ინტერესი გამოიჩინა და ხელი მიჰყო XVII — XVIII საუკუნეების საფრანგეთის პროვინციული ადმინისტრაციის შესწავლას.

ქართველი სტუდენტის მიერ თემის შერჩევა ალბათ იმან განაპირობა, რომ მისი ხელმძღვანელი ცნობილი რუსი ისტორიკოსი პ. არდაშევი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციამდელი ე. წ. „ძველი რეჟიმის“ დიდი მცოდნე იყო. სწორედ XVII — XVIII საუკუნეების მუნიციპალური წყობილების პირველწყაროებზე სამუშაოდ გაემგზავრა ნამორაძე 1912 წელს პარიზს.

პირველწყაროებზე დაყრდნობით, დამოუკიდებელი კვლევის შედეგად მან დაწერა ძველი რეჟიმის დროინდელი საფრანგეთის პროვინციების შესახებ მეტად საინტერესო გამოკვლევა, რომელმაც პროფესორ პ. არდაშევის უაღრესად მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ათი წლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისას, ალექსანდრე ნამორაძემ თავისი ეს ნაშრომი გადამუშავებული, გაფართოებული და შევსებული სახით წარმოადგინა სადიპლომო შრომად. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო სადიპლომო ნაშრომთაგანი. რომელიც ისტორიის ფაკულტეტზე დაცულა.

1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობისადმი წარმოდგენილ მოხსენებაში მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი გრიგოლ ნათაძე თავისი ასპირანტის ალ. ნამორაძის მუშაობის შესახებ წერდა:

„...ის შეუდგა ასრეთ წოდებულ „ძველი რეჟიმის“ შესწავლას და პირველ რიგში ის შეჩერდა პროვინციალურ ადმინისტრაციის ორგანიზაციის შესწავლაზე. ეს საკითხი მას უკვე ნაწილობრივ შესწავლილი ჰქონდა არდაშევის ხელმძღვანელობით ქ. კიევში. ისე რომ ამას შედარებით მალე მოერია.

მაგრამ ამ საკითხმა მის წინაშე წამოაყენა სრულიად ბუნებრივად მეორე საკითხი ქრონოლოგიურად და არსებითადაც მასთან დაკავშირებული. ეს გახლდათ საკითხი ადმინისტრაციული მეურვეობისა მე-17 და მე-18 საუკუნეებში. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია მეცნიერებაში და ჯერ საბოლოოდ გამორკვეულადაც არ ჩაითვლება. მოქ. ალ. ნამორაძემ ეს საკითხი არათუ დაიმუშავა თავისთვის, მან სპეციალურად შეისწავლა მთელი მაშინდელი მიწერ-მოწერა ინტენდანტებსა და გენერალურ კონტროლიორს შორის, რაც კი გამოცემულია და თავის საკუთარი თვალსაზრისიც შეიტანა მის ახსნა-განმარტებაში...

ის მიხვდა, რომ წინააღმდეგ არდაშევისა და შერიუელის აზრებისა, მთავარ მასალას მეურვეობის გამოსარკვევად წარმოადგენს სწორედ ეს მიწერ-მოწერა და არა იურიდიული აქტები.

და მართლაც, ასეთმა თვალსაზრისმა საკითხს ახალი შუქი მოჰფინა. ალ. ნამორაძემ ჩემი აზრით დაამტკიცა, რომ მეურვეობა მე-17 საუკუნეში განირჩევა მეურვეობისაგან მე-18 საუკუნეში იმით, რომ მე-18 საუკუნის მეურვეობას უფრო მკაფიო ფისკალური ხასიათი აქვს. ეს შრომა შეიცავს 240 გვერდს და მისი გამოცემის შესახებ მე ვაპირებ შუამდგომლობას გამგეობის წინაშე. ეს ნამუშევარი მოქალაქე ალ. ნამორაძის დიდ დამსახურებად მიმაჩნია".

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბის 1930 წლის X ტომში დაიბეჭდა ალ. ნამორაძის ამ ნაშრომის მოკლე ვარიანტი შემდეგი სახელწოდებით: „ადმინისტრატიული მეურვეობა და სამუნიციპალო მმართველობა საფრანგეთში ძველი რეჟიმის დროს".

რამდენიმე წლის შემდეგ კი, 1935 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ალ. ნამორაძის „ადმინისტრატიული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII — XVIII სს. ეპოქის ადმინისტრატიული კორესპონდენციისა და საკანონმდებლო აქტების მიხედვით", რომელშიაც შეჯამდა მკვლევრის ხანგრძლივი შრომის შედეგები ამ პრობლემაზე.

დასავლეთ ევროპის ისტორიის კარგი მცოდნე, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ნ. დუბროვსკი ალ. ნამორაძის ამ წიგნის შესახებ წერდა. რომ აქ მეტად ორიგინალურად და დასაბუთებულადაა გადაწყვეტილი 1789 წლის რევოლუციამდელი საფრანგეთის ადმინისტრაციული მეურვეობისა და მუნიციპალური წყობის საკითხები. მისი აზრით, ალ. ნამორაძის ამ ნაშრომს შესამჩნევი ადგილი უნდა დაეჭირა საფრანგეთის ისტორიის ისტორიოგრაფიაში. როგორც ყოველთვის. ამჯერადაც ალ. ნამორაძის ეს ნაშრომი გამოირჩეოდა პირველწყაროების ღრმა ცოდნით, მათდამი კრიტიკული მიდგომითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით[1].

---

[1] «Книга т. Наморадзе заслуживает большого внимания Она представляет собою в подлинном смысле слова исследовательскую работу. Она очень интересна новой постановкой вопроса об административной опеке и муниципальном строе во Франции до революции 1789 г. и весьма обоснованным и оригинальным разрешением его. В подлинном смысле она представляет все, что было сделано до сих пор по данной проблеме в западно-европейской и русской исторической науке. Я внимательно прочитал работу тов. Наморадзе и нахожу, что она займет очень заметное место в историографии истории Франции. Необходимо подчеркнуть еще то, что тов. Наморадзе обнаруживает в своей работе чрезвычайную научную добросовестность, тщатель-

ალ. ნამორაძის წიგნში, ძირითადი ტექსტის შემდეგ, მოთავსებულია დასკვნები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. ამ დასკვნებს გაეცნო გამოჩენილი მეცნიერი, დასავლეთ ევროპის ისტორიის უდიდესი მკვლევარი ევგენი ტარლე. მან მაღალი შეფასება მისცა ქართველი ისტორიკოსის ნაშრომს და გამოთქვა სურვილი, რომ იგი რუსულად ეთარგმნათ[2].

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გარდა პროფ. გრიგოლ ნათაძისა და პროფ. ნიკოლოზ დუბროვსკისა, ალ. ნამორაძის სადოქტორო დისერტაციის ოპონენტობა სთხოვა აკად. ე. ვ. ტარლეს, რომელმაც თსოვნაზე თანხმობა მისცა. ბუნებრივია, რომ თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტი უაღრესად მნიშვნელოვნად თვლიდა დასავლეთ ევროპის ისტორიის უდიდესი მცოდნის აკად. ე. ტარლეს შეფასებას და ალ. ნამორაძის წიგნი სპეციალურად ითარგმნა რუსულ ენაზე.

ность, знание первоисточников и строгое отношение к себе. Я считаю, что работа должна быть представлена как диссертационная на соискание ученой степени доктора исторических наук.

проф. Н. Дубровский».

(რეცენზია ინახება პროფ. ალ. ნამორაძის პირად არქივში).

[2] «Исследование Александра Георгиевича Наморадзе «Административная опека и муниципальный строй во Франции при старом режиме» посвящено разработке очень важной исторической теме.

Насколько можно судить по русскому переводу «заключения» и по обширной, очень добросовестно и серьезно составленной библиографии, автор не только ознакомился с литературой предмета, но и вполне критически и научно к ней отнесся, изучив самостоятельно все доступные ему источники.

Очень новой и плодотворной в научном отношении является настойчиво проводимая автором мысль о необходимости установления «периодизации» в истории административной опеки.

Старая буржуазная историография даже в лице таких выдающихся ее деятелей, как Токвиль, жестоко грешила против научности в самой постановке вопроса, принимая абсолютизм за нечто неподвижное и будто-бы неизменяющееся. Автор решительно борется против этого воззрения и считается с диалектикой развития этого государственного института. Очень интересен также анализ последствий фискальной политики абсолютизма для городов.

Остается пожелать, чтобы труд А. Г. Наморадзе поскорее появился полностью на русском языке и стал доступен широкому кругу читателей, интересующихся научными достижениями СССР в области западно-европейской истории.

Е. В. Тарле

Ленинград, 19. 8 — 1936 г.».

(რეცენზია ინახება პროფ. ალ. ნამორაძის პირად არქივში).

ალ. ნამორაძის ნაშრომის გაცნობის შემდეგ აკად. ე. ტარლეს უაღრესად დადებითი შეფასება ქართველი ისტორიკოსის ამ გამოკვლევის მიმართ კიდევ უფრო განმტკიცდა. თავის რეცენზიაში იგი წერდა, რომ ალ. ნამორაძემ დასაბუთებულად გადასინჯა საფრანგეთის მუნიციპალიტეტებისა და სამუნიციპალიტეტო სამართლის საკითხი; სამართლიანად გააკრიტიკა ამ საკითხის მკვლევრები ტოკვილი, არდაშევი, რენუარი, ავენელი, ბაბო, დარესტ-დე-ლა შავანი და სხვები; ალ. ნამორაძემ დამოუკიდებელი დახასიათება მისცა აბსოლუტიზმის, საფრანგეთის ქალაქების თვითმმართველობის იდეისა და პრაქტიკის თანდათანობით დაცემას. ალ. ნამორაძის ნაშრომი მიმართული იყო იმ ისტორიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გაემართლებინათ 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის მიერ დანგრეული რეჟიმი. ე. ტარლეს აზრით, ალ. ნამორაძემ მის ხელთ არსებულ პირველწყაროებზე დაყრდნობით შეძლო სერიოზული გამოკვლევის დაწერა[3].

---

[3] «Исследование профессора Наморадзе является основательным и научно-проведенным пересмотром вопроса о французских муниципалитетах и муниципальном праве последних двух столетий старого режима. Автор подвергает, на основании собственного вдумчивого анализа доступных ему источников воззрения Токвиля, Ардашева, Дареста-де-ла Шаваньи, Ренуара, Авенеля, Бабо и других ученых, писавших об этом предмете, очень основательной критике... Этой научной критикой, которая основывается всякий раз на апелляции к источникам, далеко не исчерпывается сущность содержательной и продуманной работы Наморадзе. Он дает также самостоятельную характеристику постепенного падения и самой идеи и практики самоуправления в городах Франции в эпоху абсолютизма. Доказательно и вполне научно показано превращение былой муниципальной администрации, в одно из разветвлений всемогущей абсолютистской машины, привитой государством.

Работа Наморадзе полемически заострена против целой школы... реакционных историков стремящихся обелить и оправдать в той или иной мере режим разрушенный в 1789 году буржуазной революцией...

Общая характеристика царствования Людовика XIV, даваемая там и сям нашим автором, очень кстати и очень убедительно напоминает, до какой степени позорно лживы с чисто научной стороны все нынешние попытки торжествующей во Франции реакционной историографии (во главе с Луи Бертраном) возвеличивать Людовика XIV и ставить его на пьедестал...

А. Г. Наморадзе дал доказательно исполненное, серьезное исследование, вполне достойное по моему мнению присуждения автору степени доктора исторических наук

Е. В. Тарле

24 сентября 1933 г.»

(რეცენზია ინახება პროფ. ალ. ნამორაძის პირად არქივში.)

ავადმყოფობის გამო ე. ტარლე თბილისში ვერ ჩამოვიდა. 1938 წელს ალ. ნამორაძის მიერ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვა, თავის დროზე, ქართული ისტორიული მეცნიერების დიდი წარმატება იყო. თბილისის უნივერსიტეტში იწერებოდა შესანიშნავი გამოკვლევები ევროპის ისტორიაში და ალ. ნამორაძისათვის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება მსოფლიო ისტორიის ქართველ სპეციალისტთა კიდევ ერთი აღიარება იყო.

ალექსანდრე ნამორაძე არ შემოიფარგლა მხოლოდ XVII—XVIII საუკუნეების საფრანგეთის ადმინისტრატიული მეურვეობისა და მუნიციპალური მმართველობის ისტორიის დამუშავებით. როგორც ჰეშმარიტმა მკვლევარმა, მან პრობლემა ფართო ასპექტში განიხილა და დაწვრილებით გაეცნო დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ქალაქებისა და საქალაქო წყობილების წარმოშობის შესახებ არსებულ თეორიებს. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, რუდოლფ ზომის ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ მან კრიტიკულად და დაწვრილებით განიხილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების VII ტომში მოთავსებულ სტატიაში.

ალ. ნამორაძე შემთხვევით არ დაინტერესებულა ბაზრის თემის თეორიით. თავისი სტატიის დასკვნით ნაწილში იგი აღნიშნავდა, რომ „ზომის თეორიას, შედარებით დანარჩენ ბურჟუაზიულ მეცნიერთა თეორიებთან, მნიშვნელოვანი დადებითი მხარეები მოეპოვება. უკვე ის გარემოება, რომ ამ თეორიამ ქალაქის წარმოშობა ბაზარს დაუკავშირა, ბაზრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სამეურნეო განვითარებას, დიდ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნულ მიმართულების უკვე არსებულ თეორიებთან შედარებით“[4].

ამავე დროს ალექსანდრე ნამორაძე მიუთითებდა ბაზრის თემის თეორიის ჩრდილოვან მხარეებზე: „მართალია, ქალაქის წარმოშობას იგი (რუდოლფ ზომი, კ. ა.) ბაზრის წარმოშობას უკავშირებს. მაგრამ ბაზარი მას აღებული აქვს, როგორც უკვე მზამზარეულად ჩამოყალიბებული და მოცემული... ზომი ქალაქის ფუძემდებელ ელემენტებად ვაჭრებს გულისხმობს, ამით იგი პრიმატობას ვაჭრობას აძლევს და არა მრეწველობას (ხელოსნურ წარმოებას). რაც ეწინააღმდეგება კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს“[5]. ალ. ნამორაძის აზრით, რუდოლფ ზომი „სრულიად უყურადღებოდ სტოვებს ქალაქის სამეურნეო განვითარებას და უმთავრესად და განსაკუთრებით ქალა-

---

4 ალ. ნ ა მ ო რ ა ძ ე, ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, 1936, გვ. 150.

5 ი ქ ვ ე, გვ. 146, 147.

ქის წყობილებისა და ქალაქის საძართლის წარმოშობას იკვლევს... ის ეურიდიული თვალსაზრისით უდგება ქალაქის გენეზისს და ხშირად ზოგადი სახის ფორმულებითა და ფართო კატეგორიების საშუალებით წყვეტს საკითხებს, ხშირია შემთხვევა, როდესაც მრავალფეროვანი კონკრეტული ისტორიული ფაქტები და მოვლენები ვერ პოულობენ თავიანთ ადგილს მის ზოგადი სახის ფორმულებში"[6]. ამიტომაც ალ. ნამორაძე იძლეოდა გაფრთხილებას, რომ თუკი მკვლევარი ისტორიულ სინამდვილეს მხოლოდ ზომის ფორმულების თვალსაზრისით განიხილავდა, მრავალ გაუგებრობასა და წინააღმდეგობას წააწყდებოდა.

ალ. ნამორაძემ შეისწავლა XI—XVIII საუკუნეებში ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება დასავლეთ ევროპის მასშტაბით. მას განზრახული ჰქონდა ასევე დაწვრილებით შეესწავლა საქართველოს ქალაქების შესახებ არსებული პირველწყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. იგი აპირებდა შედარებითი მეთოდის მომარჯვებით განეხილა საქართველოსა და დასავლეთ ევროპის საქალაქო ცხოვრების ძირითადი მხარეები. სამწუხაროდ. ალექსანდრე ნამორაძემ ვერ მოასწრო განეხორციელებინა ეს ჩანაფიქრი. ხოლო ამ მიმართულებით დასავლეთ ევროპის ისტორიაში ჩატარებული მუშაობის შედეგად მან 1933 წელს გამოაქვეყნა დამხმარე სახელმძღვანელო — „დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი I, ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება". ამ სახელმძღვანელომ გარკვეული როლი შეასრულა ჩვენში ისტორიული ცოდნის პოპულარიზაციის დარგში.

დასავლეთ ევროპის ისტორიის პირველ განაკვეთში ალ. ნამორაძე, საბჭოთა და საზღვარგარეთელ ისტორიკოსთა ნაშრომების კრიტიკული გარჩევის საფუძველზე, ქართველ სტუდენტობას აცნობდა XI—XVIII საუკუნეების ფეოდალური ქალაქის გენეზისსა და სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას, ჯვაროსანთა ომებს, საქალაქო მეურნეობას, საამქრო ორგანიზაციებსა და კლასთა ბრძოლას ფეოდალურ ქალაქში.

საერთოდ, ალექსანდრე ნამორაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტებისათვის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების მიწოდებას ქართულ ენაზე. მან თარგმნა „კლასთა ბრძოლა სავაჭრო კაპიტალის ეპოქაში" და პ. კუშნერის „დასავლეთ ევროპის ისტორია"

---

6 ალ. ნ ა მ ო რ ა ძ ე. ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, 1938, გვ. 146, 150.

— გაშოცემული ორ ნაწილად ლითოგრაფიული წესით, მთარგმნელის დამატებებითა და შენიშვნებით.

30-იანი წლების მიწურულისათვის ალექსანდრე ნამორაძემ დაწერა ხუთთომიანი ნაშრომი „კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა", რომლის საფუძველზეც რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა ჟურნალ-გაზეთებში.

მოგვიანებით იგი კვლავ დაუბრუნდა ამ თემას და 1961 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ალექსანდრე ნამორაძის 210-გვერდიანი სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია „კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა", რომელიც ძალიან მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცა.

ალ. ნამორაძის წიგნი პირველი მონოგრაფიული ხასიათის შრომაა ქართულ ენაზე სპეციალურად მიძღვნილი ქრისტეფორე კოლუმბისა და ამერიკის აღმოჩენისადმი. ნაშრომის ძირითადი თემა ერთდროულად ისტორიულიცაა და გეოგრაფიულიც: ავტორს დიდმა ერუდიციამ საშუალება მისცა თითქმის ერთნაირი ვირტუოზობით გაეშუქებინა თავისი წიგნის უმთავრესი პრობლემის ეს ორივე მხარე.

ამერიკის აღმოჩენა ალ. ნამორაძის ნაშრომში განხილულია ფართო ისტორიულ ასპექტში, ამ უდიდესი მოვლენის მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირების ღრმა ანალიზით.

წიგნში აშკარად გამოიყოფა სამი ნაწილი.

პირველ ნაწილში აღწერილია დასავლეთ ევროპის ვაჭრობა, მრეწველობა და სავაჭრო გზები ამერიკის აღმოჩენამდე, გაშუქებულია ახალი საზღვაო გზის ძიების ძირითადი მიზეზები, კოლუმბის მოგზაურობის გეგმის წარმოშობის საკითხი და მისი განხორციელების აუცილებელი წინაპირობები.

მეორე ნაწილში მოცემულია მოკლე ცნობები კოლუმბის პიროვნების შესახებ, მიმოხილულია კოლუმბის საქმიანობა პორტუგალიასა და ესპანეთში, დაწვრილებითაა გადმოცემული კოლუმბისა და მისი თანამედროვეთა მოგზაურობანი და გეოგრაფიული აღმოჩენები დასავლეთ ნახევარსფეროში: კოლუმბის უკანასკნელი დღეებისა და სახელწოდება „ამერიკის" წარმოშობის საკითხისადმი მიძღვნილია სპეციალური თავი.

მესამე ნაწილში მოთხრობილია კონკისტადორების თარეშზე, ინდიელების ექსპლოატაციაზე, მათ გაჟლეტაზე; ნაშრომის ბოლო თავში განხილულია ამერიკის აღმოჩენის შედეგები და მნიშვნელობა.

„კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა" ავტორის მიერ ჩაფიქრებულია და შესრულებული წინასწარ კარგად შემუშავებული ერთიანი

გეგმის მიხედვით, როგორც მთლიანი მონოგრაფია, რომლის თავები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

წიგნი დაწერილია კარგი, გამართული ქართული ენით. ყურადღებას იპყრობს შენიშვნების ძალიან მოხერხებული გამოყენება. შენიშვნების ერთი წყება განმარტებითი ხასიათისაა და განკუთვნილია რიგითი მკითხველისათვის ნაშრომის გაგების გასაადვილებლად. მეორე წყება კი ეხება იმ სადავო და სპეციფიკურ საკითხებს, რომლებიც საინტერესოა ისტორიკოსთა და გეოგრაფთა ვიწრო წრისათვის, მაგრამ რომელთა შეტანაც უშუალოდ ძირითად ტექსტში დაამძიმებდა ნაშრომს და არ იქნებოდა წიგნის მიზანდასახულობის შესატყვისი.

ალ. ნამორაძის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომებიდან ყურადღებას იპყრობს საქ. სსრ მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის, გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით შარლ-ლუი მონტესკიესა და ბენჯამენ ფრანკლინის შესახებ შედგენილი საჯარო ლექციები. საფრანგეთისა და ამერიკის ამ დიდი განმანათლებლების საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი ეს ორი პატარა მოცულობის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშრომი დაწერილია იშვიათი გემოვნებით, საგნისა და ეპოქის ღრმა ცოდნით.

1848 წლის რევოლუციის ასი წლისთავისათვის ალექსანდრე ნამორაძემ დაწერა ვრცელი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი „საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია“. 1848 წლის რევოლუციამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა საფრანგეთის შემდგომ საზოგადოებრივ განვითარებაზე, რაც მრავალმხრივ საგულისხმო იყო. რევოლუციამ ამოძრავებულ მდგომარეობაში გვიჩვენა ყველა სოციალური კლასი და დაგვანახა, თუ როგორ იქცეოდა და როგორი სახით გამოიყურებოდა XIX საუკუნის შუახნის საფრანგეთში ყოველი მათგანი გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში.

ავტორი ვიდრე კონკრეტულად საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციაზე გადავიდოდა, განიხილავდა რესტავრაციის პერიოდს (1815—1830 წწ.), ივლისის რევოლუციასა და ივლისის მონარქიის ხანას (1830—1848 წწ.). წინაპერიოდის განხილვით ავტორი რიგით მკითხველს მოკლედ, მაგრამ მიმზიდველად და შთამბეჭდავად აცნობდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთის ისტორიას, რათა გაეადვილებინა მისთვის 1848 წლის რევოლუციის ამბებში გარკვევა: ამგვარი ვრცელი შესავალი ნაწილი სავსებით გამართლებული იყო, რადგან ქართულ ენაზე თითქმის არაფერი მოგვეპოვება საფრანგეთის ისტორიის ამ პერიოდის შესახებ.

შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ ალ. ნამორაძემ 1848 წლის რევოლუციის წინაპერიოდის საგარეო საქმეები განზე დატოვა

და მთელი ყურადღება მიაქცია საშინაო საქმეებს: იგი გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ მკითხველისათვის ეჩვენებინა ნაპოლეონ I-ის იმპერიის დამხობის შემდეგ მხოლოდ იმ შინაურ ძალთა განვითარების გენეზისი, რამაც საქმე რევოლუციამდე მიიყვანა.

ალ. ნამორაძე სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა წინააღმდეგობას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის იმ მთავარ ღერძად, რომლის გარშემოც ტრიალებდა 1848 წლის რევოლუციის მსვლელობა საფრანგეთში, ამიტომაც რევოლუციის წინაპერიოდში შინაურ ძალთა განვითარების გენეზისის გადმოცემის ცენტრში მოქცეულია ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა საფრანგეთში დაწყებული დამფუძნებელი კრების მიერ 1891 წელს მიღებულ ლე-შაპელიეს კანონიდან.

ჯერჯერობით ალ. ნამორაძის ნაშრომი „საფრანგეთის 1848 წლის რევოლუცია" გამოცემული არ არის. ამ ნაშრომს იცნობს ისტორიკოსთა მეტად ვიწრო წრე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ჯგუფის ყოფილი სტუდენტები (რომელთაც პროფ. ალ. ნამორაძე ცხოვრების უკანასკნელ წლებში უტარებდა სპეცკურსსა და სპეცსემინარს საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის შესახებ) და უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრის წევრები. ამ ნაშრომის გამოცემა დიდად დაეხმარებოდა ჩვენს სტუდენტობას, საშუალო სკოლის მასწავლებლებს და მრავალრიცხოვან მოწაფეობას XIX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთის საშინაო ისტორიის ძირითადი მომენტების შესწავლა-გაცნობის საქმეში.

1912 წელს პარიზში ყოფნის დროს ალ. ნამორაძე ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობდა არა მხოლოდ საფრანგეთის XVII—XVIII საუკუნეების მუნიციპალური წყობილების პირველწყაროებზე, არამედ „ჩივილთა (საწადელთა) რეეულებზედაც". ის რომ ალ. ნამორაძემ ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია XVIII საუკუნის საფრანგეთის აგრარულ ურთიერთობებს, არაა გასაკვირი, თუ გავიხსენებთ იმ ცხოველ ინტერესს, რომელსაც ამ პრობლემისადმი იჩენდა ე. წ. „რუსული სკოლა".

„სათემო მიწების საკითხი რევოლუციამდელი (ძველი წყობილების) საფრანგეთისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხთაგანს წარმოადგენდა"-ო[7], აღნიშნავდა საფრანგეთის აგრარულ ურთიერთობათა რუსი მკვლევარი ი. ლუჩიცკი და სწორედ ამ საკითხის დამუ-

---

[7] И. В. Лучицкий, Состояние земледельческих классов во Франции накануне революции и аграрная реформа 1789—93 годов, Киев, 1912, стр. 119.

შავებას შეუდგა ალექსანდრე ნამორაძე თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში.

სათემო მიწების საკითხს პროფ. ალ. ნამორაძემ მიუძღვნა 6 ნაშრომი, რომელთა საერთო მოცულობა აღემატება 10 საავტორო ფორმას. შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნება ამ ნაშრომების შემდეგი თანმიმდევრობით დალაგება:

1. ლეჟისლატივი[8] და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს.

2. აველინის მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მიწების გაყოფის შესახებ, წარდგენილია ლეჟისლატივში 1792 წელს.

3. შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში.

4. ფაბრის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების გაყოფის შესახებ საფრანგეთში, წარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 წელს.

5. მარენის მოხსენება და პროექტი სათემო მიწების შესახებ საფრანგეთში (წარდგენილი 1793 წ. ეროვნულ კონვენტში).

6. სუე-ს მოხსენება და პროექტი საფრანგეთის სათემო მიწების შესახებ, წარდგენილი ეროვნულ კონვენტში 1793 წელს.

ჩამოთვლილი ნაშრომებიდან ჯერჯერობით გამოქვეყნებულია მხოლოდ ორი „ლეჟისლატივი და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს“ (ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949, გვ. 177—202.) და „შარლ დანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 161—188).

ეს 6 ნაშრომი ფაქტიურად წარმოადგენს თავებს იმ დიდი და უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევისა, რომლის დაწერასაც აპირებდა პროფ. ალ. ნამორაძე აგრარული პრობლემის შესახებ XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედისდროინდელ საფრანგეთში.

ალ. ნამორაძემ ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში დეტალურად და ყოველმხრივ განიხილა საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში სათემო მიწების შესახებ არა მხოლოდ მიღებული საკანონმდებლო აქტები, არამედ დამფუძნებელი კრების, საკანონმდებლო კრებისა და ეროვნული კონვენტის მიერ შექმნილი სათანადო კომიტეტებისა და მათ წევრთა მიერ ამ საკითხის ირგვლივ გამო-

---

[8] საკანონმდებლო კრება.

თქმული მოსაზრებანი და წამოყენებული პროექტები. იგი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს სათემო მიწების საკითხისადმი მიძღვნილ ისტორიკოსთა გამოკვლევების კრიტიკული გარჩევით და წამოჭრილ საკითხებზე ღრმად გააზრებული მოსაზრებების გამოთქმით. მან აუცილებლად მიიჩნია ამ პრობლემაზე დასაბუთებული მსჯელობისათვის გარკვეულიყო, თუ რამდენად დიფერენცირებული იყო გლეხობა სოფლად საფრანგეთში რევოლუციამდელ ხანაში, თუ რას მოითხოვდა გლეხობის ესა თუ ის ფენა სათემო მიწების შესახებ და რა იყო უფრო ხელსაყრელი მათთვის —გაყოფილიყო სათემო მიწები თუ არ გაყოფილიყო და თუ გაიყოფოდა, რა მოდუსის მიხედვით უნდა გაყოფილიყო? იგი სავსებით სამართლიანად მიუთითებდა:

„ვიდრე შესწავლილი არ იქნება და საკმაოდ გარკვეული რევოლუციამდელი საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაცია, ძნელი და შეუძლებელია ვიქონიოთ საფუძვლიანი მსჯელობა იმის შესახებ, თუ გლეხობის რომელი ფენის სასარგებლოდ წყვეტდა სათემო მიწების საკითხს საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია როგორც საერთოდ, ისევე თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე“.

სწორედ ამ ურთულეს და მეტად შრომატევად პრობლემაზე დაიწყო მუშაობა ალექსანდრე ნამორაძემ თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში. იგი აპირებდა დაეწერა და გამოეცა ფუნდამენტური მონოგრაფია საფრანგეთის გლეხობის დიფერენციაციაზე 1789 წლის რევოლუციის წინ, რაც დიდი შენაძენი იქნებოდა საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიოგრაფიისათვის.

ალ. ნამორაძეს არასაკმარისად მიაჩნდა გლეხობის დაყოფა მხოლოდ სამ (მდიდარ, საშუალო და ღარიბ) ფენად. იგი მიზნად ისახავდა, წასულიყო შემდგომი დეტალიზაციის გზით და ამ ფენებში დაედგინა ქვეფენები, გამოეძებნა ის ნიშნები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდებოდა ამა თუ იმ დეპარტამენტის გლეხობის ცალკეული კატეგორიების სათანადო ქვეფენებისადმი მიკუთვნება. მას განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა გლეხთა ქვეფენების სამეურნეო ვითარება, სოციალურ-პოლიტიკური მისწრაფებანი საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს და ამ მისწრაფებათა ობიექტური შედეგები. მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება მან ვეღარ მოასწრო.

ჩვენ პირობებში, როდესაც მკვლევარს ევროპის არქივებში დაცულ პირველწყაროებზე ძნელად მიუწვდება ხელი, ჭირს ევროპული ქვეყნების ისტორიის კვლევა. ის რაც ალექსანდრე ნამორაძემ შეძლო გაეკეთებინა საფრანგეთის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის სა-

კითხვების შესასწავლად, დიდ პატივს სდებს განსვენებულ მეცნიერს.

დიდია ალ. ნამორაძის ნაღვაწი: ენერგიულმა და დაუღალავმა მეცნიერ-მკვლევარმა, გრ. ნათაძესთან ერთად, ჩვენში საფუძველი ჩაუყარა ევროპისა და ამერიკის ისტორიის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის მეცნიერულ კვლევას; აღზარდა მთელი თაობა ამ დარგის სპეციალისტ-ისტორიკოსებისა; დიდი ღვაწლი დასდო მსოფლიოს ისტორიის კვლევის ჩვევების დანერგვას ქართულ ნიადაგზე, ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებას; დიდი როლი შეასრულა ქართველ ხალხში ისტორიული ცოდნის შეტანის საქმეში. დღეს მის მიერ დაწყებულ საქმეს ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი ემსახურება.

პროფესორ ალექსანდრე გიორგის ძე ნამორაძის გამოქვეყნებულ ძირითად ნაშრომთა სია

1. ადმინისტრატიული მეურვეობა და სამუნიციპალო მმართველობა საფრანგეთში ძველი რეჟიმის დროს, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. X, 1930, გვ. 149—224.
2. ადმინისტრატიული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII—XVIII სს. ეპოქის ადმინისტრატიული კორესპონდენციისა და საკანონმდებლო აქტების მიხედვით, თბ., 1935, 222 გვ.
3. ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, 1938, გვ. 123—150.
4. დასავლეთ ევროპის ისტორია, განაკვეთი I, ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება, თბ., 1933, 211 გვ.
5. კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა, თბ., 1961, 202 გვ.
6. შარლ-ლუი მონტესკიო (მისი ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1956, 64 გვ.
7. ლეგისლატიური და სათემო მიწების საკითხი საფრანგეთში 1792 წელს, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 9, 1949, გვ. 177—202.
8. შარლ ლანტონის პროექტი და მოხსენება საფრანგეთის სათემო მიწების ლიკვიდაციის შესახებ, წარმოდგენილი 1792 წელს სამიწათმოქმედო კომიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 161—188.
9. პროფესორი გრიგოლ იასონის ძე ნათაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, 1959, გვ. 357—390.

თერგდალეულთა მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლისათვის*

(პასუხი პროფ. ი. კაჭარავას)

პატივცემული პროფესორი ი. კაჭარავა თავისი რეცენზიის დასაწყისში ამბობს, პ. რატიანს თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის შესწავლის გარდა სხვა კიდევაც რომ არაფერი გაეკეთებინა, ის „მაინც იქნებოდა ქართული საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეო“ (გვ. 7). ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებაა. ასეთივე გადაჭარბებაა, ოღონდ უკვე საწინააღმდეგო მიმართულებით, იმავე რეცენზიის ბოლოში გამოთქმული აზრი, თითქოს დისერტანტმა „ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა... პრობლემის კვლევის საქმე ვერაფრით ვერ წასწია წინ 1948 წლის საკუთარ საკანდიდატო დისერტაციასთან შედარებითო“ (გვ. 50). თავი რომ დავანებოთ ლოგიკურ შეუსაბამობას, რომელიც ამ ორ დებულებას შორის არსებობს, უბრალოდ არც ასეთი ქება შეესაბამება სინამდვილეს და არც ასეთი ძაგება. ეტყობა, პატივცემულ ოპონენტს თავიდან უცდია, უფრო ობიექტური ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ ისე გაუტაცნია პოლემიკის ჟინს, რომ დროებით დავიწყებია ის, რაც რეცენზიის დასაწყისში თქვა. ასეთი რამ პოლემიკის დროს ხდება ხოლმე, ამიტომ ჩვენც აღარ ავუხირდებით ამის გამო პატივცემულ ოპონენტს.

---

* **ავტორის შენიშვნა:** ჩვენი წიგნი „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“, რომელიც 1963 წელს სადისერტაციო ნაშრომის სახით იყო წარდგენილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, მკაცრად გააკრიტიკა ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. ი. კაჭარავამ. კრიტიკა შეეხებოდა, უმთავრესად, წიგნის შესავალ, ისტორიოგრაფიულ ნაწილს. კრიტიკის პასუხი დღემდე არ დაბეჭდილა. — არც განზრახვა გვქონია დაგვებეჭდა, — მაგრამ იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთმა ცნობილმა ისტორიკოსმა თერგდალეულთა კლასობრივი ბუნების გაგების საკითხი კვლავ სადავოდ აქცია (მაგალითად, იხ. „საისტორიო წერილები“, ნაკვეთი პირველი, 1968, გვ. 27), ხსენებული „პასუხის“ გამოქვეყნება მიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

„პასუხი“ იბეჭდება უცვლელად.

კამათი, და თანაც საკმაოდ მწვავე კამათი, ჩემსა და პროფ. ი. კაჭარავას შორის ახალი ამბავი არ არის. მე კარგად ვიცნობ მის წინანდელ პოზიციას და ამიტომ მოველოდი, რომ სადავო საკითხების წრე დღეს ჩვენ შორის უფრო ფართო იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პატივცემული ოპონენტი, როგორც ეს მისი რეცენზიიდან სრულიად გარკვევით ჩანს, სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად ნაწილში არ გვედავება; პირიქით, გამოკვლევის ამ ნაწილს, ე. ი. იმის დამტკიცებას, რომ თერგდალეულები არა მარტო თეორიულ-ლიტერატურულ სფეროში, არამედ პრაქტიკულადაც ეწეოდნენ იმგვარ რევოლუციურ საქმიანობას, როგორსაც — ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლები, — დიდ დამსახურებადაც კი გვითვლის. ერთი შეხედვით ეს ფაქტი საკვირველია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ უაღრესად ძნელ მდგომარეობას, რომელშიც ამჟამად ძველი თეორიის დამცველები იმყოფებიან, ყველაფერი გასაგები გახდება. საქმე ისაა, რომ ძველი თეორიის დაცვა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება, რის გამო მისი დამცველები იძულებული არიან უკან დაიხიონ და თანდათან დათმონ პოზიციები. ბუნებრივია, რომ უკანდახევის ეს პროცესი აისახა ძველი თეორიის ისეთი თვალსაჩინო დამცველის ნაწერებშიაც, როგორიც პროფ. ი. კაჭარავა ბრძანდება. მოვიყვანოთ მაგალითები.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ა გ ა ლ ი თ ი: წინათ პროფ. ი. კაჭარავა, ისევე როგორც ყოველი მეცნიერი, რომელიც ძველ თვალსაზრისს იცავდა, სავსებით იზიარებდა ე. წ. „დასების თეორიას"; ეს თეორია ძველი თვალსაზრისის სული და გული, მისი თეორიული საყრდენი იყო. „დასების თეორია", არსებითად, უდრიდა ძველ თვალსაზრისს, ეს იყო მისი სახელიც და მისი ძირითადი შინაარსიც. მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალი თვალსაზრისის მომხრეებმა „დასების თეორიის" სრული უნიადაგობა დაამტკიცეს, პროფ. ი. კაჭარავა იძულებული გახდა ჯერ კიდევ 1958 წელს გამოცემულ ნაშრომში, თუმცა ძალიან მორცხვად და თითქმის შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც შეეტანა მცირე შესწორება ამ თეორიის ზოგ დებულებაში[1]. ცოტა უფრო გვიან გამოცემულ ნაშრომში ის იძულებული გახდა ახალ დათმობაზე წასულიყო და არა მარტო შეესწორებინა, არამედ გაეკრიტიკებინა კიდეც „დასების თეორიის" ზოგიერთი დებულება[2], თუმცა მთლიანად დასების თეორიას მეცნიერი მაინც

---

[1] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, გვ. 11.

[2] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, 1959, გვ. 41.

ვერ ელეოდა და ჯერ კიდევ ხმარობდა ტერმინებს „პირველი დასი", „მეორე დასი"[3] და ა. შ. ამ ბოლო დროს პროფ. ი. კაჭარავამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ დასების თეორიის უარყოფის გზაზე და ამის შედეგია, რომ სადისერტაციო ნაშრომზე რეცენზიაში ის ერთ სიტყვასაც აღარ ამბობდა დასების შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, კარგი ნიშანია. ეტყობა, დასების თეორიას ისე გაუტყდა სახელი, რომ მისი დამცველებიც კი ვეღარ ბედავენ მის ხსენებას.

მ ე ო რ ე მ ა გ ა ლ ი თ ი: წინათ პროფ. ი. კაჭარავა, ისევე როგორც ძველი თვალსაზრისის ყოველი დამცველი, იმ აზრისა იყო, რომ თერგდალეულები არიან ლიბერალური ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის იდეოლოგები. მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალი თვალსაზრისის მომხრეებმა, ვ. ი. ლენინის ნაშრომებზე დაყრდნობით, სავსებით ნათელყვეს საერთოდ ლიბერალობისა და კერძოდ კი ქართველი ლიბერალების მერყეევი, შემთანხმებლური ბუნება და ლაქიური სული, პროფ. ი. კაჭარავა იძულებული გახდა ხელი აეღო თავის წინანდელ აზრზე და ახლა თერგდალეულთა იდეოლოგიის ლიბერალობაზე ერთ სიტყვასაც აღარ ლაპარაკობს: კიდევ მეტი. — თავის რეცენზიაში სადისერტაციო ნაშრომზე ის აცხადებს, თითქოს „არც არავის უთქვამს, არც არსად დაუწერია ვინმეს, რომ ლიბერალური ბურჟუაზია ყოფილიყოს რუსეთში თუ საქართველოში პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშეო" (გვ. 34).

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის, რომ პროფ. ი. კაჭარავა ძნელ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ საკუთარი ნათქვამის ასე აშკარად გადათქმა მაინც უცნაურად გვეჩვენება. გადავშალოთ ერთ-ერთი მისი ნაშრომი, რომელიც გამოცემულია დაახლოებით ამ ოთხი წლის წინათ და ვნახოთ, რას ამბობს იგი ამ საკითხზე. „თერგდალეულები", — ამბობდა მაშინ ი. კაჭარავა, — ობიექტურად ლიბერალური ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე დამდგარ თავადაზნაურთა იდეოლოგები იყვნენ საქართველოში. ილია ჭავჭავაძე თავისი დროის დიდი განმანათლებელი და აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ამცირებს მის დიდ როლს საქართველოს ისტორიაში. მაშინ, როდესაც ილია და მისი ჯგუფი გამოვიდა საბოლოოდ ნეო-ბურჟუაზიის იდეოლოგობა პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშეს ნიშნავდა"[4].

როგორც ვხედავთ, ამ ამონაწერიდან სრულიად გარკვევით ჩანს, რომ პატივცემულ ოპონენტს თერგდალეულები მიაჩნდა ლიბერალუ-

---

[3] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, სოც-პოლიტ. ცხოვრების განსაკ. პირობები,... 55.
[4] იქვე, გვ. 44.

რი ბურჟუაზიისა და გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის (ე. ი. იგივე თავადაზნაურული ლიბერალების) იდეოლოგებად; ამ ამონაწერიდან სრულიად გარკვევით ჩანს, აგრეთვე, რომ პატივცემულ მკვლევარს აღმავალი ბურჟუაზია ლიბერალურ ბურჟუაზიად მიაჩნდა და მათ შორის, სრულიად სამართლიანად, ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა. დაბოლოს, ამ ამონაწერიდან სრულიად გარკვევით ჩანს, რომ სწორედ აღმავალ ანუ ლიბერალურ ბურჟუაზიას სთვლიდა იგი ჩვენში პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშედ.

დღეს კი დრო შეიცვალა და ყოველივე ამას პატივცემული მეცნიერი უარყოფს. ესეც, რა თქმა უნდა, კარგი ნიშანია: ეტყობა ძველი თვალსაზრისის დამცველები დარწმუნდნენ, რომ ლიბერალური ბურჟუაზიის იმედით ისინი შორს ვერ წავლენ.

მ ე ს ა მ ე მ ა გ ა ლ ი თ ი: წინათ პროფ. ი. კაკარავა, ისევე როგორც ძველი თვალსაზრისის ყოველი დამცველი, იმ აზრისა იყო, რომ, ერთი მხრივ, ი. ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს, ხოლო მეორე მხრივ, ა. ჯორჯაძის ირგვლივ შემოკრებილ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს შორის პირდაპირი იდეური ნათესაობა და კავშირი არსებობსო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ახალი თვალსაზრისის მომხრეებმა ამ სრულიად არასწორ მოსაზრებას ყოველგვარი საფუძველი გამოაცალეს, ი. კაკარავა იძულებული გახდა უფრო ფრთხილად დაეწყო ამ საგანზე ლაპარაკი, ხოლო რეცენზიაში სადისერტაციო ნაშრომზე იმასაც კი ცდილობს, რომ ხაზი გაუსვას სხვაობის ნიშნებს ი. ჭავჭავაძისა და ა. ჯორჯაძის შეხედულებებს შორის. აი სათანადო მაგალითები:

ნაშრომში „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში", რომელიც გამოცემულია 1958 წელს, ი. კაკარავა ამბობს: „ილია ჭავჭავაძე, როგორც ცნობილია 80-იანი წლებიდან ეწეოდა კლასებისა და წოდებათა შერიგების პროპაგანდას. მარქსისტული მოძღვრება კლასთა ბრძოლის შესახებ მას საქართველოს პირობებში მიუღებლად მიაჩნდა. მისი აზრით, საქართველოში ეროვნული ინტერესები სოციალურ ზავს მოითხოვდნენ უეჭველად. ასეთი თვალსაზრისი მარქსიზმის სრული გამარჯვებისა და გაფართოების პერიოდში (1872 — 1904) ტიპიურია ლიბერალიზმისათვის... ილია ჭავჭავაძე 1905 წელშიაც მოუწოდებდა „სოციალური ზავისაკენ". იგი გახდა საქართველოში „საერთო ნიადაგის" თეორიის ფუძემდებელი. სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებს ცვლის კლასთა თანამშრომლობის ბურჟუაზიული თეორია"[5].

---

[5] დასახ. წიგნი, გვ. 12—13.

აქედან ცხადია, რომ ი. კაჭარავა სავსებით აიგივებდა ერთმანეთთან ქართველი ნაციონალისტების „საერთო ნიადაგის“ თეორიას, რომლის ფუძემდებლადაც ის ილია ჭავჭავაძეს აცხადებდა, და იმ შეხედულებებს წოდებათა შერიგებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომლებსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადები ქადაგებდნენ 80-იან წლებში. ამავე აზრს, ამა თუ იმ ფორმით, იცავდა ავტორი თავის სხვა ნაშრომებშიც. მაგრამ ახლა, სადისერტაციო წიგნზე მის მიერ წარმოდგენილ რეცენზიაში ის, თუმცა ეხება ილიასა და ჯორჯაძის ურთიერთობას, მაგრამ ერთ სიტყვასაც აღარ ამბობს არც „საერთო ნიადაგის“ თეორიაზე და არც რაიმე ნათესაობაზე მათ ეროვნულ პროგრამებს შორის: პირიქით, ცდილობს ხაზი გაუსვას ამ ორ მოღვაწეს შორის აზრთა სხვადასხვაობას. მაგალითად, ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა. პატივცემული ოპონენტი ამბობს: ილიაც და ა. ჯორჯაძეც ავტონომიას მოითხოვდნენ, ოღონდ „ჯორჯაძისეული ავტონომია, თუ შეიძლება ასე ითქვას, არსებითად განსხვავდებოდა ჭავჭავაძისეულ ავტონომიისაგან. ამას კარგად ხედავდა თვითონ ჯორჯაძეც და ამისათვის ესხმოდა იგი თავს ილია ჭავჭავაძეს 1901 წელსო“ (გვ. 61).

როგორც ვხედავთ, ამ საკითხშიც თვალნათლივ მოჩანს ძველი ისტორიის დამცველთა უკან დახევისა თუ თავიანთი პოზიციის შერბილების ტენდენცია. თავისთავად ცხადია, რომ ეს ფაქტიც „დროთა ბრუნვის“ შედეგია და კარგი ნიშანია, რადგან იძლევა იმედს, რომ ძველი თეორიის დამცველებიც კი, ბოლოსდაბოლოს შეიძლება მიხვდნენ, რომ ილია ჭავჭავაძისა და საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს არსებითად არაფერი აქვთ საერთო ა. ჯორჯაძის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ თეორიასთან.

ყოველივე ეს, თუ არ ვცდებით, იმას ნიშნავს, რომ ახალი თვალსაზრისის მომხრეთა მუშაობას უქმად არ ჩაუვლია; ამ მუშაობის შედეგად ძველი თეორიის დაცვა იმდენად გაძნელდა, რომ მისი ყველაზე თავგამოდებული დამცველებიც კი იძულებული არიან უკან დაიხიონ, დათმონ ან შეარბილონ თავიანთი პოზიციები.

მაგრამ ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ თითქოს ძველი თეორიის დამცველებმა ხელი აიღეს ამ დრომოჭმულ თეორიაზე და უკუაგდეს იგი: არა, ამისათვის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დაგვჭირდება ბრძოლა. მაგრამ უკვე ახლაც ცხადია, რომ ძველი თეორიის დაცვა სრულიად უიმედო საქმეა. ადვილად შეიძლება, რომ ძველი თეორიის დამცველთა უკან დახევა თუ პოზიციების ნაწილობრივ დათმობა მხოლოდ და მხოლოდ მოწინააღმდეგის ყურადღების მოსადუნებლად გამიზნული ტაქტიკური მონევრი იყოს, მაგრამ ეს საქმის

არსს არ ცვლის. როგორც არ უნდა იყოს, უკვე ზემოთ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ამჟამად ძველი თეორიის ღრმა კრიზისი უდავო ფაქტია. მაგრამ ამ ფაქტს კიდევ უფრო ნათლად და გარკვევით დავინახავთ პატივცემული ოპონენტის რეცენზიის იმ ნაწილის განხილვისას, სადაც ის ცდილობს სადისერტაციოდ წარმოდგენილ თუ სხვა ჩვენს ნაშრომებში ჩაშოყალიბებული შეხედულებების გაკრიტიკებას.

პატივცემული ოპონენტის რეცენზიის კრიტიკული ნაწილის კითხვის დროს ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს რეცენზიის ავტორმა იცის და დარწმუნებულიცაა, რომ სადავო საკითხზე მისი თვალსაზრისი სწორი არ არის, ამიტომ იმაზე კი აღარ ზრუნავს, რომ ჭეშმარიტება დაადგინოს, არამედ სულ იმის ცდაშია, როგორმე ახალ თვალსაზრისს სახელი გაუტეხოს. და რადგანაც ამის გაკეთება მეცნიერული გზით შეუძლებელია, ის მიმართავს არამეცნიერულ გზას და არამეცნიერულ ხერხებს (მე არ ვამტკიცებ, რომ ამას ის განზრახ აკეთებდეს. შესაძლოა ეს ხდებოდეს მისდა უნებურადაც).

მაინც რა ხერხებით ცდილობს პატივცემული ოპონენტი სახელი გაუტეხოს ახალ თვალსაზრისს? პ ი რ ვ ე ლ ი ხ ე რ ხ ი ესაა მოწინააღმდეგისათვის ისეთი აზრების მიწერა, რაც მას არ უთქვამს. პატივცემული ოპონენტი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არაიშვიათად გვედავება ისეთ დებულებებზე, რაც არც ერთ ჩვენს ნაშრომში არ მოიპოვება და თვით მისი გამოგონილია; მ ე ო რ ე ხ ე რ ხ ი ესაა საკამათო საგნის შეცვლა. არაიშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა პატივცემული ოპონენტი პასუხს გვაძლევს არა იმ საკითხზე, რომელზეც მას ედავებიან, არამედ სულ სხვა საკითხზე; მ ე ს ა მ ე ხ ე რ ხ ი ესაა როგორც მოწინააღმდეგის, ისე სხვა ავტორთა ნაშრომებიდან ციტატების არასწორად მოყვანა. არაიშვიათია შემთხვევა, როცა პატივცემულ ოპონენტს ციტატები მოჰყავს ტენდენციურად, საერთო კონტექსტის გაუთვალისწინებლად, რის შედეგადაც ხშირად ის გვეკამათება არა აზრების, არამედ ფრაზების საშუალებით.

აი, ასეთი და ამის მსგავსი არამეცნიერული ხერხებით ცდილობს პატივცემული ოპონენტი თავისი დრომოჭმული თვალსაზრისის დაცვას და ახალი თვალსაზრისის გაბათილებას. მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა, რომ ასეთი მეთოდებით მკვლევარი შორს ვერ წავა, იმიტომ რომ ამ გზით „დამტკიცებულ“ ჭეშმარიტებათა დარღვევა რაიმე სერიოზულ სიძნელეს არ წარმოადგენს, ოღონდ ამისათვის საჭიროა დრო და მოთმინება.

მაშ, აღვიჭურვოთ მოთმინებით და გავარჩიოთ პატივცემული

ოპონენტის არგუმენტები დეტალურად: ნათქვამია, მტყუანს სიმტყუვნის კარამდე უნდა მიჰყვეო.

როგორც უკვე ითქვა, პატივცემულ ოპონენტს სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ნაწილში ჩვენთან სადავო არაფერი აქვს. მაშასადამე, მთელი მისი საკმაოდ ვრცელი კრიტიკული მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომის „შესავალს“ შეეხება. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ, თვით პატივცემული ოპონენტის აზრით, „ჩვენს შორის სადავო საკითხი არ წარმოადგენს სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად საკითხს“ (გვ. 68).

მაშ რაზე გვაქვს დავა? პატივცემული ოპონენტი ბრძანებს: „დისერტანტმა „შესავლის“ პირველ ნაწილში დასახული ამოცანა — გაგვაცნოს საკითხის ისტორიოგრაფია და მისი განვითარების პერიოდები, მხოლოდ ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ გადაწყვიტა, რაც შეეხება „შესავლის“ მეორე ნაწილში დასახულ ამოცანას — გაგვაცნოს თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა კლასობრივი ბუნება, სრულიად ვერ გადაწყვიტაო“ (გვ. 7 — 8).

ამ ამონაწერიდან, და აგრეთვე პატივცემული ოპონენტის შემდგომი მსჯელობიდან, ცხადი ხდება, რომ ჩვენ შორის საკამათო საგანი არსებითად ორია: ერთი, თერგდალეულთა საბჭოური ისტორიოგრაფიის პერიოდიზაციის საკითხი, ხოლო მეორე — თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების გაგების საკითხი.

დავიწყოთ პირველი საკითხით.

პატივცემულ ოპონენტს არ მოსწონს თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლის ისტორიის ის პერიოდიზაცია (ლაპარაკია მხოლოდ საბჭოურ პერიოდზე), რომელიც სადისერტაციო ნაშრომშია წარმოდგენელი. მაინც რას უწუნებს მას? თავის მსჯელობას ის შემდეგი დებულებით იწყებს: „დისერტანტი სამართლიანად გამოჰყოფს თერგდალეულთა საზოგდოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი არსის გაგების საკითხში ქართული ისტორიული აზრის (უნდა ეთქვა: საბჭოური) განვითარების სამ პერიოდს. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ პერიოდებს შორის ავტორისეულ გამიჯვნას“ (გვ. 8).

მაშასადამე, პატივცემული ოპონენტი არ გვეთანხმება პერიოდებს შორის გამიჯვნის დათარიღებაში, მაგრამ თვით სამი პერიოდის არსებობას კანონიერად და სამართლიანად სცნობს. მაგრამ მოდით ესეც ვიკითხოთ: თუკი ოპონენტს ძველი თვალსაზრისი სწორ, მეცნიერულ თვალსაზრისად მიაჩნია, როგორღა შეუძლია მას მესამე პერიოდის გამოყოფა კანონზომიერად სცნოს? „მესამე პერიოდი“ ხომ, — როგორც

ეს სადისერტაციო ნაშრომში სრულიად გარკვევითაა ნათქვამი, — ჩვენ მიგვაჩნია „თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლისა და დაფასების პერიოდად" (გვ. 27). აქ პატივცემულ ოპონენტს როგორღაც ლოგიკა ღალატობს: თუ, მისი აზრით, ძველი თეორია სწორი და მეცნიერული იყო, მას უნდა ეთქვა, რომ არავითარი ახალი, მესამე პერიოდი არ არის საჭირო და არც არსებულაო, ე. ი. ძას უნდა „გაეუქმებინა" ეს ახალი პერიოდი. მაგრამ, როგორც ჩანს, ახალი პერიოდის გაუქმება ამჟამად უკვე შეუძლებელი საქმეა და ეს აღიარა, თუმცა უნებლიედ, თვით პატივცემულმა ოპონენტმაც.

მაგრამ მივყვეთ ქვემოთ.

პატივცემული ოპონენტი განაგრძობს მსჯელობას: „რატომ მიაჩნია ავტორს პირველი პერიოდის დასასრულად და მეორე პერიოდის დასაწყისად ზუსტად 1934 წელი?... თერგდალეულთა კლასობრივი ბუნების შეფასების საკითხში მობრუნების, თუნდაც „ერთგვარი მობრუნების" მიჯნებად არ გამოდგება 1934 წელი და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობა, რომელიც იმავე წლის აგვისტოში მიმდინარეობდა. სწორედ მწერალთა პირველი ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა ერთხელ კიდევ „თერგდალეულთა უხამსი კრიტიკაო" (გვ. 8 — 9).

ჯერ ერთი, ჩვენ ნათქვამი გვაქვს არა „ზუსტად 1934 წელი", არამედ „დაახლოებით 1934 წელი" (იხ. დისერტ. გვ. 17), რაც ერთი და იგივე არ არის. მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს ის აზრი, თითქოს მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა თერგდალეულთა უხამსი კრიტიკა. მაპატიეთ, მაგრამ ეს ისტორიული სინამდვილის აშკარა დამახინჯებაა. პატივცემულმა ოპონენტმა ტენდენციურად შეარჩია ციტატები ხსენებულ ყრილობაზე მალაქია ტოროშელიძის მოხსენებიდან და შექმნა სრულიად ყალბი შთაბეჭდილება. სინამდვილეში კი ხსენებულ მოხსენებაში საესებით გარკვევით იგრძნობა ის „ერთგვარი მობრუნება", რაზედაც სადისერტაციო ნაშრომშია საუბარი. ეს აზრი რომ ყველასათვის ნათელი გახდეს, თავს ნებას მივცემ მოგაგონოთ, რას წერდნენ ჩვენში თერგდალეულებზე ხსენებულ მოხსენებამდე და რა არის ნათქვამი თვით ამ მოხსენებაში.

1932 წელს გამოცემულ ერთ-ერთ წიგნში ვკითხულობთ: „ი. ჭავჭავაძე იყო წარჩინებული თავადის შვილი, მემამულე და გლეხების მებატონე. იგი იყო მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი. როგორც მწერალი, ი. ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესე-

ბის უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი"[6].

აი, ეს გახლავთ რაპული ყაიდის კრიტიკის ნიმუში, რომელსაც ჩვენ ვულგარულ და უხამს კრიტიკას ვეძახით. ნუ დაგვიფიქრდება, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის არა რომელიმე მეორეხარისხოვან კრიტიკოსს, არამედ ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეს, რომლის აზრს იმ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ვნახოთ ახლა, რას ამბობს იმავე საკითხზე მ. ტოროშელიძე თავის მოხსენებაში: „ილია ჭავჭავაძე 60-იანი წლების უდიდესი ფიგურაა, რომელიც თავისი პოეტური და პუბლიცისტური ნაწარმოებებით ძლიერ გავლენას ახდენს ქართულ ლიტერატურაზე თვით უკანასკნელ ხანებამდე... უდავოა, რომ 60-იანი წლების ქართველი მოღვაწეები იმყოფებოდნენ რუსი ნაროდნიკების, რუსი რაზნოჩინცებისა ძლიერი იდეური გავლენის ქვეშ. საერთოდ და მთლიანად ისინი აღიარებდნენ იმავე განმათავისუფლებელ პრინციპებს"[7].

როგორც ვხედავთ, აქ სულ სხვაგვარად არის საკითხი დაყენებული. მაგრამ მომხსენებელი ამაზეც არ შეჩერებულა, ის კიდევ უფრო შორს წავიდა, და აშკარად გააკრიტიკა როგორც ბურჟუაზიული, ისე რაპული კონცეფციები. ის ამბობდა: „მისი (ი. ჭავჭავაძის. პ. რ.) შემოქმედების შეფასება უაღრესად გაცხოველებულ პოლემიკას იწვევს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და ლიტერატურულ მიმართულებებს შორის: ერთ დროს მის ნაწარმოებებს ყოფდნენ ორ ნაწილად. მკვეთრად უპირდაპირებდნენ მის პუბლიცისტურ თხზულებებს მისსავე პოეტურ ნაწარმოებებს; პირველში ხედავდნენ რეაქციულ ან კონსერვატიულ მიმართულებას, ხოლო მეორეში — პროგრესიულს. უკანასკნელ ხანს (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის — რაპპის — ხანებში) მოუნდომეს გადაყრა როგორც უვარგის ნაგავს, მის მხატვრულ ნაწარმოებებსაც და ამით იჩენდნენ კლასიკური მემკვიდრეობის ათვისებისა და გამოყენების სრულ უუნარობას.

ორივე შეფასება ერთნაირად შემცდარია. ი. ჭავჭავაძეში არ ცხოვრობს „ორი სული". მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის პოეტურ შემოქმედებასთან... მისი პოეტური შემოქმედების უკუგდება ნიშნავს მთელი იმ უდიდესი ღირებულების [illegible]ებლობას, რომელიც უოლოდ აქვს მის ნაწარმოებებს".

რა არის ეს, თუ არა „შემობრუნების დასაწყისი" ლერგდალელთა შეფასების საქმეში? მართალია, მ. ტოროშელიძის იმავე მოხ-

---

6 იხ. კრებული „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში", 1932 წ., 47.

7 „მნათობი", 1934 წ., № 7—8, გვ. 246—247.

8 იქვე.

სენებაში გვხვდება აშკარად არასწორი დებულებებიც (თერგდალეულები გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავდნენო, ნაციონალისტები იყვნენო და სხვ.), მაგრამ რა არის აქ გასაკვირი, როცა მსგავს შეხედულებებს ზოგიერთი მეცნიერი ჩვენს დროშიც კი იმეორებს?

მ. ტოროშელიძის ზემოთ ხსენებული მოხსენების უგულებელყოფა და გაბიაბრუება არ შეიძლება. ის ძალიან საინტერესოა არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკურად. არამედ მეცნიერულადაც. განსაკუთრებით საინტერესოა მოსხენების ის ადგილი, სადაც მ. ტოროშელიძე ცდილობს განსაზღვროს ი. ჭავჭავაძის ნაწერების დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა მწერლის პოლიტიკური მრწამსისაგან დაშოუკიდებლად. თუმცა მ. ტოროშელიძე ვერ აღწევს თავს ძველი შეხედულებების გავლენას და ილიას კვლავ თავადაზნაურთა იდეოლოგად აცხადებს, მაგრამ ესეც ხომ მისი ნათქვამია: „ი. ჭავჭავაძის შემოქმედებამ თავადაზნაურობას კი არ გაუწია სამსახური, არამედ თავადაზნაურობის მოწინააღმდეგეებს“[9]. სწორედ ამ სიტყვებით გამოიხატება დედააზრი მ. ტოროშელიძის მოხსენებისა.

ვფიქრობთ, პატივცემულ ოპონენტს რომ ყურადღებით წაეკითხა ეს მოხსენება და ამასთან ელემენტარული ობიექტურობაც გამოეჩინა, ვეღარ იტყოდა, ეს თერგდალეულთა უხამსი კრიტიკაოო და ვერც იმას უარყოფდა, რომ ეს მოხსენება ნამდვილად მოასწავებდა „ერთგვარ შემობრუნების“ დასაწყისს თერგდალეულთა მემკვიდრეობის შეფასებაში.

ახლა დავსვათ კითხვა: რამ გამოიწვია იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის ის შემობრუნება, რომელმაც თავისი ასახვა მ. ტოროშელიძის ზემოხსენებულ მოხსენებაში ჰპოვა? ქართველი ინტელიგენციის უფროსმა თაობამ კარგად იცის, რომ ეს გამოიწვია ამ საქმეში ზემდგომი ორგანოების და პირადად ი. ბ. სტალინის ჩარევამ. მართალია, სტალინს ჰქონდა სერიოზული შეცდომები და დღეს ჩვენ ბრძოლას ვაწარმოებთ პიროვნების კულტის პერიოდში დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად, მაგრამ პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლა არ ნიშნავს იმას, რომ ხელაღებით და განურჩევლად უარვყოთ ყველაფერი, რაც იმ დროს პარტიას გაუკეთებია. უდავოა, რომ სტალინს ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მას ჰქონდა უდიდესი დამსახურებაც. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მისი დამსახურება ისიც იყო, რომ არ მოიწონა გამოჩენილ ქართველ მწერალთა ხელაღებითი ლანძღვა-თრევა, ამან კი საშუალება მისცა ქართველ ინტელიგენციას და მთელ ქართველ საზოგადოებრიობას, ზურგი შეექცი-

---

9 „მნათობი“, 1934, № 7 — 8, გვ. 246 — 247.

ათ რაპპელების ვულგარული კონცეფციებისათვის და გზა მიეცათ იმ ხანად გაცილებით უფრო პროგრესული თვალსაზრისისათვის, რომელიც უკვე ჩამოყალიბებული იყო პროფ. სიმ. ხუნდაძის ნაშრომებში.

აი, ეს გახლავთ ისტორიული სიმართლე.

აქედან ცხადია, რომ პატივცემული ოპონენტის მთავარი არგუმენტი სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი პერიოდიზაციის წინააღმდეგ, სრულიად უსაფუძვლოა. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ ასევე უსაფუძვლოა მისი დანარჩენი არგუმენტებიც.

მეორე არგუმენტი ასეთია: „დაუჯერებელია, რომ 1926 — 33 წლებში გამოქვეყნებულმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარეს მეორე პერიოდს, როდესაც პირველი პერიოდი ჯერ კიდევ არაა დამთავრებული" (გვ. 13) და შემდეგ: „ხუნდაძის შრომები ხომ 1926 — 33 წლებში დაიწერა? და თუ მათ „განდევნეს უხამსი შეხედულებანი", მაშინ მწერალთა პირველ ყრილობას 1934 წლის აგვისტოში როგორ შეეძლო „ზღვარი დაედვა უხამსი შეხედულებებისათვის" ან გამხდარიყო „ერთგვარი მობრუნების" მაჩვენებელი? რა მობრუნებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც 1933 წლისათვის უკვე „განდევნილი იყო უხამსო შეხედულებანი ლიტერატურის სარბიელიდან" (გვ. 13 — 14).

ასე მსჯელობს პატივცემული ოპონენტი. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ მას საზოგადოებრივი აზრის განვითარების პროცესები ძალიან მარტივად აქვს წარმოდგენილი ნუთუ სადავოა ის ელემენტარული აზრი, რომ შესანიშნავი წიგნები ეპოქალურ მნიშვნელობას იძენს არა ყოველთვის მათი დაწერის მომენტიდანვე, არამედ, ძალიან ხშირად, უფრო გვიან, როცა საზოგადოებაში მომწიფდება პირობები ამ წიგნებში გამოთქმული იდეების მისაღებად, და, მაშასადამე, როცა ისინი ჰპოვებენ აღიარებას? რამდენი მაგალითია, რომ ასეთი წიგნების ავტორები სიცოცხლეში ვერც კი მოესწრებიან ხოლმე საზოგადოების მიერ მათი შეხედულებების აღიარებას. მაგალითად, ხომ ისტორიული ფაქტია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის მნიშვნელობა მისმა თანამედროვეებმა, და მათ შორის ისეთმა განათლებულმა და თანაც მახლობელმა ადამიანმაც კი, როგორიც გრიგოლ ორბელიანი იყო, ვერ გაიგეს? თვითონ მარქსიზმის გავრცელებასა და აღიარებას რამდენი დრო დასჭირდა? რუსეთსა და საქართველოში მარქსის ნაწერებს უკვე 60—70-იან წლებში იცნობდნენ, მაგრამ მარქსისტული თვალსაზრისის აღიარება საზოგადოების თუნდაც ყველაზე მოწინავე ნაწილის მიერ 80—90-იან წლებამდე არ მომხდარა.

სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდშიც იყო არა ერთი შემთხვევა, როცა გამოჩენილ მწერალთა და მოაზროვნეთა შეხედულებები ერთ-

ბაშად არ დაფასდა. ვ. მაიაკოვსკიმ რუსეთში და გ. ტაბიძემ საქართველოში მთელი ეპოქა შექმნეს, მაგრამ არც ერთი და არც მეორე ერთბაშად არ ყოფილა აღიარებული ეპოქალურ პოეტად. ერთბაშად არც შოლოხოვის დიდი ნიჭი ყოფილა აღიარებული. ანდა გავიხსენოთ, რამდენი უსიამოვნება შეხვდა დიდ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს, ვიდრე მას, როგორც საბჭოთა ისტორიკოსს, სათანადოდ დააფასებდნენ? მაშ, რაღად უკვირს პროფ. ი. კაჭარავას, რომ სიმონ ხუნდაძის წიგნებს სულ რაღაც 6 — 7 წელიწადი დასჭირდა იმისათვის, რომ აღიარებული ყოფილიყო თითქმის მთელი მაშინდელი მოწინავე ქართული აზრის წარმომადგენლების მიერ? ეს ხომ სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი ამბავია?!

პატივცემული ოპონენტის მესამე არგუმენტი სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი პერიოდიზაციის წინააღმდეგ ასეთია: „დისერტანტის აზრით, თერგდალელულთა კლასობრივი ბუნების (sic) პრავდისეული შეფასება არსებითად განსხვავდება ხუნდაძისეული შეფასებისაგან: თუ ეს სწორია, მაშინ კითხვა იბადება: როგორ შეიძლებოდა მთელი მეორე პერიოდის მანძილზე, პიროვნების კულტის პერიოდში გაბატონებული მდგომარეობა ჰქონოდა ს. ხუნდაძის კონცეფციას... მაშინ, როდესაც ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევართ ხელთ ჰქონდათ „პრავდისეული“ შეფასება? ან როგორ მოხდა, რომ სიმონ ხუნდაძის კონცეფცია გადაიქცა „ოფიციალურ თვალსაზრისად“, თუ იგი „პრავდისეულ“ შეფასებას ეწინააღმდეგებოდა? აქ რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, ანდა ხუდაძისეული კონცეფცია არ ეწინააღმდეგებოდა თერგდალეულთა მოღვაწეობის კლასობრივი ბუნების პრავდისეულ შეფასებას“ (გვ. 14).

რომ ხუნდაძის კონცეფცია არსებითად ეწინააღმდეგება „პრავდის“ სახელმძღვანელო დებულებას, ეს დამაჯერებლად არის ნაჩვენები სადისერტაციო ნაშრომში და ამის უარყოფას პირდაპირ ვერც ოპონენტი კისრულობს. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორ მოახერხა ს. ხუნდაძის შემცდარმა თვალსაზრისმა „პრავდის“ გამოსვლის შემდეგაც შეენარჩუნებინა გაბატონებული პოზიცია, ამის პასუხი, თუ სადმე სამართალია, ჩვენ კი არ უნდა მოგვეკითხებოდეს, არამედ ძველი თეორიის დამცველებს. ყველასათვის ცნობილია, რომ ბერიას ცხობილი წიგნაკი, რომელმაც ხელი შეუწყო ს. ხუნდაძის მცდარი თეორიის სიცოცხლის გახანგრძლივებას, დაწერილი იყო არა თვითონ ბერიას, არამედ სხვების მიერ, ხოლო ის „სხვები“, როგორც ჩანს, ძველი თეორიის მიმდევრები იყვნენ და სწორედ მათ შეიტანეს ბერიას წიგნაკში სრულიად ყალბი დებულება, რომლის მიხედვით ილია ჭავჭავაძე ე. წ. „პროგრესული თავადაზნაურობის“ იდეოლოგად იყო გა-

მოყვანილი (თუმცა ესეც უნდა ითქვას, „პრავდის“ ფორმულას მაშინ ბერიას წიგნის შემდგენლები არ იცნობდნენ): ბერიას წიგნაკის ფორმულა პირდაპირ არის გადმოწერილი სიმ. ხუნდაძის წიგნიდან (იხ. სადისერტ. ნაშრ. გვ. 19). ამრიგად, „პრავდაში“ ეწერა, რომ ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწეაო“, ხოლო ბერიას წიგნაკი გვარწმუნებდა, ილია „პროგრესული თავადაზნაურობის იდეოლოგი იყოო“. განა ძნელი შესამჩნევია, რომ ეს ორი თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან? განა მოიპოვება სადმე ისეთი მარქსისტი ისტორიკოსი, რომელმაც არ იცოდეს, რომ XIX ს. 60-იან წლებში თავადაზნაურობა აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო პროგრესული? ცაგრამ რას ვიზამთ. იმ მეცნიერებს, რომლებიც ისტორიას წინასწარ აღებული მზამზარეული ფორმულით უყურებენ, როგორც ჩანს, არ უჭირთ 60-იანი წლების რევოლუციური სიტუაციის დროსაც კი დაინახონ როგორც თავადაზნაურობა, ისე ბურჟუაზია „პროგრესისა და ცივილიზაციის“ მედროშედ.

ამრიგად, პატივცემული ოპონენტის არც ერთი არგუმენტი არ არის საფუძვლიანი და არ გვაძლევს უფლებას უარვყოთ თერგდალეულთა საბჭოური ისტორიოგრაფიის მეორე პერიოდის დასაწყისად თარიღი „1934 წელი“. ამიტომ ჩვენ შეგვეძლო გვერდი აგვევლო და სრულებითაც არაფერი გვეთქვა ოპონენტის იმ მსჯელობაზე, რომელიც ემსახურება ასეთ თარიღად „1936 — 37 წლების“ დაწესებას, ყურადღებას რომ არ იქცევდეს ხსენებული მსჯელობის, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაური ხასიათი. ჯერ ერთი, პატივცემულ ოპონენტს, რატომღაც ერთმანეთში არევია პირველი და მეორე პერიოდის შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმული დებულებები: სადისერტაციო ნაშრომის 23-ე გვერდზე ლაპარაკი გვაქვს არა იმაზე, რომ თითქოს „პრავდის“ გამოსვლის შემდეგ პირველი პერიოდის შეხედულებები ძალაში დარჩა, — როგორც ეს ოპონენტს ჰგონია, — არამედ იმაზე, რომ „პრავდის“ გამოსვლის შემდეგ კვლავ შეურყეველი დარჩა მეორე პერიოდის, ე. ი. სიმ. ხუნდაძის შეხედულებები, რომელსაც ჩვენ სიმოკლისათვის „ძველ თვალსაზრისს“ ვუწოდებთ (ამაზე იხ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 46). ასე, რომ ეს შენიშვნა (რეცენზია, გვ. 11) ნაყოფია გაუგებრობისა, რომელშიც ჩვენ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის. მაგრამ მთავარი მაინც ეს როდია.

შეუძლებელია ღრმა განცვიფრების გარეშე წაიკითხოთ ამის მომდევნო მსჯელობა, რომელიც არ შეგვიძლია აქვე არ მოვიტანოთ:

„დისერტანტი ლაპარაკობს რაღაც „განცხადებებზე“, როდესაც

საქმე ეხება ილია ჭავჭავაძის შესახებ გაზეთ „პრავდისა“ და ზოგიერთი მკვლევრის მიერ წამოყენებულ დებულებებს. ეს აშკარა შეუფასებლობაა როგორც ცალკეულ მკვლევართა (ვინ არიან ეს მკვლევრები?! — ბ. რ.), ისე გაზეთ „პრავდის“ მიერ 1936 — 1937 წლებში ილია ჭავჭავაძის შესახებ ჩამოყალიბებულ დებულებისა, რაც მეცნიერისათვის შეუფერებელია. მეცნიერს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მთავარია ჩაწვდე მოვლენის არსს, მის შინაგან კანონზომიერებას და იგი სათანადო დებულების სახით ჩამოაყალიბო, ხოლო ამ დებულების შემდგომი ილუსტრირება, პოპულარიზაცია, ეს მეორეხარისხოვანი საშუშაოაო მეცნიერებაში. და ბოლოს, კაცმა რომ სთქვას, მეცნიერი ის კი არაა, ვინც ბევრი იცის, ან ბევრი ცოდნა დაუხვავებია სქელტანიან წიგნებში, არამედ მეცნიერია ის, ვინც სხვაზე ადრე, სხვაზე ღრმად და სხვაზე შორს შენიშნავს მოვლენათა განვითარების შინაგან კანონზომიერებას... მეცნიერებს უდიდესი შემოქმედებითი ძიება და ენერგია დასჭირდათ გეომეტრიული თეორემების დასამტკიცებლად, ფიზიკის კანონებისა თუ ალგებრული წესების დასადგენად. ამ დიდ აღმოჩენათა შემდეგ საშუალო სკოლის ყოველი საშუალო მოწაფე იოლად სწყვეტს გეომეტრიის თუ ალგებრის ურთულეს ამოცანებს. ასეევა ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა მოღვაწეობის შეფასების საკითხშიც.

ამიტომ მას შემდეგ, რაც „პრავდის“ მიერ მოცემულ იქნა ილია ჭავჭავაძის და მაშასადამე, თერგდალეულთა მოღვაწეობის შეფასება, ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევართ დარჩენოდათ ორი რამ: ან უნდა უკუგდოთ „პრავდის“ მიერ მოცემული შეფასება, წამოეყენებინათ და დაესაბუთებინათ ახალი, საპირისპირო დებულება, ან უნდა გაეზიარებინათ „პრავდის“ მიერ მოცემული შეფასება და დაეწყოთ მისი პოპულარიზაცია, დასაბუთება ილუსტრირების მეთოდით, რამდენადაც პიროვნების კულტის პირობებში ასეთი მეთოდი ერთადერთ მეთოდად იყო აღიარებული. პირველი, ე. ი. „პრავდის“ დებულების უკუგდება არავის უცდია საქართველოში, ხოლო მეორე, „პრავდის“ დებულების დასაბუთება ილუსტრირების მეთოდით ბევრმა სცადა, მათ შორის დისერტანტმაც“ (გვ. 12—13).

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ გრძელი ციტატის ქვეტექსტების გამოძიებას, ოღონდ ამას კი ვიტყვით: ძალიან სამწუხაროა, რომ პროფ. ი. კაპარავას ასეთი გამარტივებული წარმოდგენა ჰქონია მეცნიერ-ისტორიკოსთა და საერთოდ სამეცნიერო-საკვლევაძიებო მუშაობის ხასიათსა და ამოცანებზე. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის. — და მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი მიმართულება არავითარ პიროვნების კულტს არ შეუცვლია, — რომ ჩვენი თეორიის, — ისტორიული

მატერიალიზმის, — სწორი დებულებები ამა თუ იმ საკითხზე მეცნიერ-მკვლევართათვის მხოლოდ სახელმძღვანელო ძაფია და ამ დებულების ცოდნა მკვლევარს კი არ ათავისუფლებს, არამედ აკალებს ღრმად შეისწავლოს კონკრეტულ-ისტორიული მასალა, და დებულებებს კი არ შეუფარდოს ისტორია, არამედ პირიქით, ისტორიულ მოვლენათა მეცნიერული ანალიზიდან გამოიყენოს დასკვნები და ზოგადი დებულებები. პროფ. ი. კაკარავას მიხედვით კი გამოდის, რომ თუ ზოგადი სახელმძღვანელო დებულება გვაქვს, მერე საქმე ისე ადვილია, რომ „საშუალო სკოლის ყოველი საშუალო მოწაფე" იოლად გადაწყვეტს მეცნიერების ყველა ურთულეს საკითხს და მათ შორის თერგდალეულთა მემკვიდრეობის შეფასების საკითხსაც. თუ ასეა, მაშ რაღად გვინდა მეცნიერული კვლევა-ძიება? სწორი მარქსისტული ფორმულები ხომ თითქმის ყველა დიდ ისტორიულ პროცესზე და მოვლენაზე მოგვეპოვება. მაშ დავსხდეთ და მოვახდინოთ მათი პოპულარიზაცია „ილუსტრირების შეთოდით". მართალია, ამ გზით ჩვენი საქმე ადვილად გაიოლდებოდა. მაგრამ ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ეს იქნებოდა არა მეცნიერების განვითარების, არამედ მისი ლიკვიდაციის გზა.

სადისერტაციო ნაშრომში, „პრავდის" მოწინავე წერილში გამოთქმულ დებულებებთან დაკავშირებით, ნათქვამი გვაქვს, რომ „ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს ეს სახელმძღვანელო დებულებები... იძლევა გასაღებს თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი არსის ნამდვილი, მეცნიერული გაგებისათვისო" (გვ. 22). დიახ, ეს მართლაც ასეა. მაგრამ ესეც ვიკითხოთ, საიდან გაჩნდა, საიდან წარმოსდგა „პრავდის" ეს შესანიშნავი დებულებები? ცხადია, რომ ისინი წარმოსდგა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებიდან, რომელიც „პრავდის" დაარსებამდე დიდი ხნით ადრე შემუშავდა. განა ლენინის გენიალური შრომები არ შეიცავს ძვირფას სახელმძღვანელო მითითებებს და არ იძლევა გასაღებს საქართველოს ისტორიის შესასწავლად, კერძოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსის გასაგებად? ან კიდევ, განა თვით საქართველოში არ იყვნენ მარქსისტები, რომლებიც სწორად მსჯელობდნენ ჩვენთვის სადაოდ ქცეულ საკითხზე და დაგვიტოვეს ისეთი შესანიშნავი დებულებები, რომლებიც აგრეთვე წარმოადგენენ გასაღებს თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების არსის გასაგებად? დიახ, იყვნენ, მაგრამ პატივცემული ოპონენტი, რატომღაც მათ გვერდს უვლის. მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითს.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში, რომელიც ასე არ მოსწონს პატივცემულ ოპონენტს, ჩვენ ვეხებით გამოჩენილი ქართ-

ელი მარქსისტის ალ. წულუკიძის ნაშრომებს, კერძოდ მის შესანიშნავ ნაშრომს „ოცნება და სინამდვილე“ და თითქმის სიტყვა-სიტყვით ვიმეორებთ იმასვე, რაც „პრავდის“ ზემოხსენებული დებულებების შესახებ ეთქვა: სახელდობრ ჩვენ ვამბობთ: „იმ მარქსისტებს, რომლებიც შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებზე იდგნენ, კარგად ესმოდათ მშრომელი ხალხის და გაბატონებული კლასების ინტერესთა სხვადასხვაობა და არასოდეს არ აურევიათ გლეხური დემოკრატიის წარმომადგენლები თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგებში. ამის მაგალითია ა. წულუკიძის თეორიული ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია გასაღები თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების სწორი, მეცნიერული გაგებისათვის. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ა. წულუკიძის ნაშრომი „ოცნება და სინამდვილე“, რომელშიც წამოყენებული და დასაბუთებულია შემდეგი სავსებით სწორი და მეცნიერული დებულება: „თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი იქნება — ეს კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლათ აღორძინებული მშრომელი ხალხი“ (დისერტ., გვ. 106). ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ალ. წულუკიძის ეს შესანიშნავი დებულება, ისევე როგორც ამ ავტორის მთელი მემკვიდრეობა, პირდაპირ მიგვითითებს, ვინ იყო ჩვენში პროგრესის მეთაური, — ბურჟუაზია თუ მშრომელი ხალხი. მაშასადამე, ჩვენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გვქონია ხელში სწორი დებულება. გვქონია ე. წ. „გასაღები“ თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების გასაგებად, მაგრამ ეს საკითხი დღემდე მაინც ვერ გადაგვიწყვეტია. თუ მართლა ასე ადვილი იყო სწორი, ზოგადი დებულების შემდეგ დიდ ისტორიულ მოვლენათა კვლევა, რატომ ვდაობთ დღემდე თერგდალეულთა მემკვიდრეობის ირგვლივ? ჩანს, არც ისე იოლი ყოფილა ეს საქმე, როგორც პატივცემულ ოპონენტს წარმოუდგენია. ამასთანავე ისმება კითხვა, რატომ აუარა გვერდი პროფ. ი. კაჭარავამ ალ. წულუკიძის ზემოხსენებულ სახელმძღვანელო დებულებას? თუ არ ვცდებით, ეს შემთხვევითი გულმავიწყობა არ უნდა იყოს; საქმე ისაა, რომ ა. წულუკიძის ეს დებულება ძირიანად ეწინააღმდეგება და ანგრევს ძველი თეორიის დამცველთა პოზიციებს, ამიტომაცაა, რომ პროფ. ი. კაჭარავა მას ყოველთვის შორიდან უვლის.

მაგრამ მივყვეთ ქვემოთ.

უნდა მოგახსენოთ, რომ განსაკუთრებით არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს რეცენზიის ის ნაწილი, რომელშიც თერგდალეულთა საბჭოური ისტორიოგრაფიის ახალი, მესამე პერიოდის კრიტიკაა

მოცემული. აქ პატივცემული ოპონენტი გვიყენებს მეტისმეტად მძიმე, თუმცა სრულიად დაუსაბუთებელ ბრალდებას. სახელდობრ ის ამბობს, თითქოს ჩვენ ვაზვიადებთ საკუთარი ნაშრომების მნიშვნელობას და ჩვენი პირველ- წიგნი მიგვაჩნია „მესამე პერიოდის შემქმნელად", „ახალი ეპოქის დამწყებ წიგნად" (გვ. 17) და ა. შ. სრულიად კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ არავითარი ამის მსგავსი ჩვენ არ გვითქვამს არც სადისერტაციო ნაშრომში და არც სხვაგან სადმე. უფრო მეტიც, ასეთი რამ არა თუ არ გვითქვამს, არამედ არც შეგვეძლო გვეთქვა, რადგან ჩვენ თერგდალეულთა ისტორიოგრაფიაში ე. წ. ახალი პერიოდის დაწყება ისე მარტივად არა გვაქვს წარმოდგენილი, როგორც ამას პატივცემული ოპონენტი ფიქრობს.

პატივცემული ი. კაპარავა საქმის ვითარებას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ახალი თვალსაზრისი შემუშავებული იყო „პრავდის" მიერ" (გვ. 15). მაგრამ რატიანმა ეს ფაქტი უგულებელჰყო და ახალი, მესამე პერიოდის დაწყება დაუკავშირა „მის მიერ ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა მოღვაწეობის შესასწავლად მუშაობის დაწყებას. 1945 წელს" (გვ. 15), ხოლო ამ მოღვაწეობის შედეგები გადმოსცა წიგნში „ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი", რომელიც 1949 წელს გამოიცა (გვ. 16).

ამ სქემაში. როგორც ვხედავთ, ყველაფერი ძალიან მარტივად წყდება: ახალი თვალსაზრისი უკვე შემუშავებული ყოფილა ჯერ კიდევ 1936—1937 წლებში, მაგრამ რატიანს, ალბათ იმ მიზნით, რომ საკუთარი პერსონა განედიდებია, განუზრახავს მისი ხელახლა შექმნა. დამჯდარა თუ არა წიგნის დასაწერად 1945 წელს, უკვე დაუწყია ახალი პერიოდი თუ ეპოქა, ხოლო 1949 წელს მას უკვე ყველაფერი დაუმთავრებია. თავისი მოღვაწეობის შედეგი შეუჯამებია ეპოქის შემქმნელ წიგნში.

სინამდვილეში. რა თქმა უნდა, არც რატიანია ისე გულუბრყვილო, რომ ასეთი უაზრობა დაეწერა და არც თერგდალეულთა ისტორიოგრაფიაში ახალი ეტაპის შექმნაა ისე მარტივი საქმე, როგორც ეს ჩვენს კრიტიკოსს ჰგონია. თუ პატივცემულ ოპონენტს სიმართლე აინტერესებდა, მას ადვილად შეეძლო შეემჩნია, რომ სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ საკუთარი თავის გადიდებაზე კი არ ვზრუნავდით, არამედ — თერგდალეულთა მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლაზე; მას შეეძლო დაენახა, რომ „შესავალში" ჩვენ მხოლოდ საქმის ფაქტიური ისტორია გადმოვეცით, რომლის მოკლე შინაარსი ამჟამადაც შეგვიძლია უცვლელად გავიმეოროთ. აი, დაახლოებით, რას ვამბობდით და დღესაც ვამბობთ ჩვენ: „პრავდამ" მოგვცა სწორი დებულებები, ე. ი. გასაღები თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების კლასობ-

რივი ბუნების გასაგებად (გვ. 22); ამის მიუხედავად, იმ ხანებში არ მოხერხდა თერგდალეულებზე ახალი თვალსაზრისის შემუშავება; ამას ხელი შეუშალა ბერიას წიგნაკმა, რომლის კრიტიკა პიროვნების კულტის პერიოდში შეუძლებელი იყო (გვ. 21); მაგრამ სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, როცა გაძლიერდა მე-19 საუკუნის ისტორიის შესწავლა, ძველი თვალსაზრისის მცდარობა იმდენად ნათელი გახდა, რომ საბოლოოდ მომწიფდა ახალი თვალსაზრისის შემუშავების აუცილებლობა. ამ ამოცანის გადაწყვეტაზე მუშაობდა რატიანიც (სიმონ ჯანაშიას დავალებით, რომელმაც ყველაზე უკეთესად იცოდა, რომ ძველი თვალსაზრისი უნდა შეიცვალოს) და ბევრი სხვა ავტორიც, კერძოდ: ლ. გორგილაძე, ა. ქუთელია, გ. მეგრელიშვილი, მ. გაფრინდაშვილი, ვ. გაგოიძე და სხვ. ამ ავტორების, აგრეთვე მრავალი სხვა მკვლევრის (სადისრტ. ნაშრომში დასახელებულია 12 მკვლევარი, რომლებსაც უდავო დამსახურება მიუძღვით თერგდალეულთა მემკვიდრეობის შესწავლაში, გვ. 28) მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა მხოლოდ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ჩ ა ყ რ ო დ ა ახალ პერიოდს. რომელიც, ჩვენი აზრით, იწყება არა 1945 წლიდან, — როგორც ამას პატივცემული ოპონენტი უსაფუძვლოდ მოგვაწერს, — არამედ 1958 წლიდან (გვ. 27), როდესაც დაიბეჭდა საშუალო სკოლის ახალი სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია“ აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება: 1958 წელს სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ როგორც ახალი თვალსაზრისისათვის საფუძვლის ჩაყრას, მის დაწყებას და არა დამთავრებას. ამის შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომში, უფრო ზუსტად „შესავლის“ დასკვნით ნაწილში ნათქვამი გვაქვს: „ჩვენი ღრმა რწმენით, თანამედროვე ქართული მეცნიერული აზრის გადაუდებელი ამოცანაა, რაც შეიძლება მალე ჩამოიშოროს გზიდან ყალბი დანაშრევები და მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დაყრდნობით შეიმუშაოს მეცნიერული თვალსაზრისი სახელოვან თერგდალეულებზე“ (გვ. 107). ჩვენ რომ მართლა მიგვაჩნდეს, რომ ახალი თვალსაზრისის შემუშავება დავამთავრეთ ჯერ კიდევ 1949 წელს ან თუნდაც 1958 წელს, როგორღა ვიტყოდით სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც 1962 წელს გამოიცა, ქართული მეცნიერული აზრის ამოცანაა შეიმუშაოს იგივე ახალი თვალსაზრისიო? ეს ხომ უაზრობა იქნებოდა! არა, პატივცემულო, ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ, ყველაფერი შევიმუშავეთ, დავამთავრეთ და ამოვწურეთ. პირიქით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ნამდვილი მუშაობა მხოლოდ ახლა იწყება და წინ უამრავი საქმე გვაქვს. თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების ყოველმხრივ და სრულად

შესწავლას სჭირდება დიდი დრო და მრავალი ავტორის ერთობლივი, კოლექტიური შრომა. სწორედ იმაშია ახალი თვალსაზრისის მნიშვნელობა, რომ ის გვიბიძგებს წინ, გვისახავს ახალ პერსპექტივებს. ძველი თეორიის დამცველებს ეგონათ, რომ მათ უკვე ყველაფერი შეისწავლეს და ამიერიდან საკვლევი აღარაფერიაო: ჩვენ კი გვგონია, რომ ყველაფერი ხელახლა უნდა დავიწყოთ და ახალი, ნამდვილად მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით შევისწავლოთ. ეს შეიძლება ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ გადაჭარბება არ არის. ამასთან დაკავშირებით მინდა მოგაგონოთ ენგელსის ფრიად საგულისხმო სიტყვები, რომლებიც მიმართულია ისტორიული მატერიალიზმის გაუბრალოებისა და დამახინჯების წინააღმდეგ.

„ბევრი ახალგაზრდა მწერლისათვის გერმანიაში, — ამბობდა ენგელსი 1890 წ. კ. შმიდტისადმი მიწერილ წერილში, — სიტყვა „მატერიალისტური“ წარმოადგენს უბრალო ფრაზას, რომელსაც ეტიკეტივით იყენებენ ყველა და ყველაფერზე ისე, რომ არ ირჯებიან შემდგომი შესწავლისათვის, ე. ი. ამ ეტიკეტს მიაწებებენ და ჰგონიათ, რომ საქმე ამით ამოიწურა. მაგრამ ჩვენი გაგება ისტორიისა, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს სახელმძღვანელოს შესწავლისათვის და არა ბერკეტს კონსტრუირებისათვის ჰეგელიანელობის ყაიდაზე. მთელი ისტორია ხელახლა უნდა იქნეს შესწავლილი. დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციების არსებობის პირობები, ვიდრე შეეცდებოდეთ გამოვიყვანოთ იქიდან მათი შესაბამისი პოლიტიკური, კერძოდ — იურიდიული, ესთეტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური და სხვა შეხედულებანი. ამ მხრივ დღემდე ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. იმიტომ რომ მასზე ძალიან მცირერიცხოვანი ადამიანები მუშაობდნენ სერიოზულად. აქ ჩვენ დიდი დახმარება გვჭირდება, ასპარეზი უსაზღვროდ დიდია და ვისაც სერიოზულად მუშაობა უნდა, ბევრი რამის გაკეთება და თავის გამოჩენა შეუძლია“[10]

დიდი მოაზროვნის ეს შესანიშნავი სიტყვები, ჩვენი ფიქრით, სავსებით სამართლიანია და შეეხება საქართველოს XIX ს. ისტორიის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობასაც. ის, რაც ამ მხრივ დღემდეა გაკეთებული, მხოლოდ საქმის დასაწყისია.

სხვათა შორის, პატივცემულ ოპონენტს თავისი რეცენზიის ერთ ადგილას ნათქვამი აქვს: „პ. რატიანის ესოდენი დაძაბული შემოქმედებითი ძიება ძირითადად წარმატებით დაგვირგვინდა. მან შექმნა ქართველი ხალხის XIX საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერული ისტორიაო“ (გვ. 1). ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში პატივცემული ოპონენტი

---

10 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 464—465.

არ არის ლოგიკური. რადგან თუკი ჩვენ თერგდალეულთა მემკვიდრეობის მეცნიერული ანალიზის გაკეთება ვერ მოვახერხეთ, როგორღა შევძლებდით XIX ს. მთელი მეორე ნახევრის მეცნიერული ისტორიის შექმნას? მაგრამ ლოგიკურიც რომ იყოს პატივცემული ოპონენტი, მე მაინც ვერ მივიღებ იმ დიდ პატივს, რომელიც მან ამ შემთხვევაში მომანიჭა, ოდგან მიმაჩნია, და ამაში სავსებით დარწმუნებულიც ვარ, რომ XIX ს. მეორე ნახევრის ისტორიის შესწავლა მხოლოდ დაწყებულია და მისი წარმატებით დამთავრება, ე. ი. ამ ეპოქის ნამდვილი და სრულფასოვანი მეცნიერული ისტორიის შექმნა მომავლის საქმეა.

ამრიგად, ჩვენ პასუხი გავეცით პატივცემული ოპონენტის ყველა შენიშვნას, რომლებიც პერიოდიზაციას შეეხებოდა; არაფერი გვითქვამს მხოლოდ ერთ საკითხზე. ეს გახლავთ ოპონენტის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თითქოს თერგდალეულთა საბჭოური ისტორიოგრაფიის „მესამე პერიოდის დაწყება უკავშირდება სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და... ხალხის მტრის ბერიას წიგნის კრიტიკის დასაწყისს" (გვ. 25). არა გვგონია ვინმესთვის საჭირო იყოს იმის განმარტება, რომ ჩვენი პარტიის XX ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რომ ყრილობის გადაწყვეტილებებმა საზღვარი დაუდეს პიროვნების კულტს და დასახეს ჩვენი შემდგომი წინსვლისა და განვითარების პერსპექტივები, მაგრამ გამოდგება თუ არა ამ უმნიშვნელოვანესი ყრილობის ჩატარების თარიღი (1956 წელი) თერგდალეულთა ისტორიოგრაფიის ახალი პერიოდის მიჯნად? ჩემი აზრით, არ გამოდგება. და არ გამოდგება იმიტომ, რომ საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების შინაგანი პერიოდები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის განვითარების საერთო კანონზომიერებითა და ჩვენი პარტიის პოლიტიკით არიან განპირობებული, როგორც წესი, არ ემთხვევიან პარტიის ყრილობებს ან სხვა დიდ ისტორიულ მოვლენებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისას. როგორც ცნობილია, ამას წინათ ჟურნალ „ისტორია სსსრ"-ის ფურცლებზე ჩატარდა საგანგებო დისკუსია საბჭოთა ისტორიოგრაფიის პერიოდიზაციის საკითხებზე. აკადემიკოსი მ. ვ. ნეჩკინა, რომლის სტატიითაც დაიწყო ხსენებული დისკუსია, სამართლიანად წერდა: «Условием развития науки являются объективные данные развития советского социального строя в его движении к коммунизму. Но было бы ошибкой механически вопроизводить в истории науки общую периодизацию истории Советской страны.... Критерии для выделения фактов, знаменующих переход от одного периода к другому, должны быть подчеркнуты в собственном развитии науки, внутренне принадлежать ему»[11].

[11] „Ист. СССР", 1960, № 1, стр. 81.

ეს თვალსაზრისი გაიზიარა მრავალმა სხვა მეცნიერმა და ჩვენც მთლიანად ვიზიარებთ მას. ხოლო თუკი საერთოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების პერიოდები არ ემთხვევა ჩვენი ქვეყნის დიდ ისტორიულ მოვლენებს, მით უმეტეს ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ მათ ემთხვეოდეს ცალკეული საკითხების ისტორიოგრაფიის, — ამ შემთხვევაში თერგდალეულთა ისტორიოგრაფიის, — პერიოდები.

კიდევ უფრო ნაკლებად გამოდგება თერგდალეულთა ისტორიოგრაფიის ახალი მიჯნის დასაწყისად ბერიას წიგნაკის „კრიტიკის დასაწყისი", ე. ი. 1953 წელი. თავიც რომ დავანებოთ იმ ლოგიკურ შეუსაბამობას, რომელსაც პატ. ოპონენტი იჩენს იმ მხრივ, რომ ორ, სულ სხვადასხვა თარიღს (1953 წ. და 1956 წ.) მექანიკურად აერთიანებს ერთ მიჯნად, — „1953 წელი" არ გამოდგება ასეთ მიჯნად იმიტომაც, რომ ბერიას წიგნაკიდან ამ თარიღამდე დიდი ხნით ადრე იყო ამოღებული სიმ. ხუნდაძის ის შემცდარი ფორმულა, რომელიც ხელს უშლიდა თერგდალეულთა მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას. ყველასათვის ცნობილია, — გარდა, როგორც ჩანს, პატივცემული ოპონენტისა, — რომ ხსენებული ფორმულა (ილია პროგრესული თავადაზნაურობის იდეოლოგი იყო) — ბერიას წიგნაკიდან ჯერ კიდევ 1948 წლის გამოცემაში იქნა ამოღებული (თუ არ ვცდები, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაშინდელი მდივნის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის ინიციატივით), და შეცვლილი იქნა სწორედ „პრავდის" ზემოთ არაერთხელ ხსენებული სწორი დებულებით.

ასეთი იყო საქმის ნამდვილი ვითარება. აქედან ცხადია, რომ ოპონენტის ეს მოსაზრებაც ისევე უსაფუძვლოა, როგორც უსაფუძვლო იყო ყველა მისი შენიშვნა თერგდალეულთა საბჭოური ისტორიოგრაფიის პერიოდიზაციის ირგვლივ.

ამით ჩვენ შეგვეძლო დაგვემთავრებინა კამათი პერიოდიზაციის საკითხებზე, მაგრამ ვიდრე მეორე სადაო საკითხზე გადავიდოდეთ, გვინდა ორიოდე სიტყვით მაინც შევეხოთ პატივცემული ოპონენტის იმ შენიშვნებს, რომლებიც მიზნად ისახავს ერთი ჩემი ადრინდელი ნაშრომის განქიქებას. მხედველობაში გვაქვს ოპონენტის შენიშვნები ნაშრომზე, „ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი", რომელიც ამ 14 წლის წინათ გამოიცა. პატივცემული ოპონენტი ცდილობს უადგილოდ ამოგლეჯილი ციტატების მეშვეობით დაამტკიცოს, რომ ხსენებული წიგნი არაფრად არ ვარგა, რომ ის სავსეა წინააღმდეგობებით, ეკლექტიკური ნაშრომია და ა. შ. მოჰყავს რა მრავალრიცხოვანი ციტატები ამ წიგნიდან, ოპონენტი შემდეგ დასკვნამდე მიდის: „ამ ამონაწერებმა ნათლად გვიჩვენეს, რომ ავტორის მიერ გაზიარებულია წინამორბედი პერიოდების თითქმის ყვე-

ლა მანკიერი შეხედულება: ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურობის იდეოლოგიც ყოფილა, ბურჟუაზიის იდეოლოგიც, რესტავრატორი, რეფორმატორი, მონარქისტი და ყოველივე ამასთან ერთად გლეხობის იდეოლოგი, რევოლუციონერი და დემოკრატი. ასეთ რამეს მეცნიერებაში წმინდა წყლის ეკლექტიზმს ეძახიან და არა ახალ შეხედულებათა მწყობრ სისტემას, როგორც დისერტანტს სურს დაგვარწმუნოს" (გვ. 25).

ასე „ანადგურებს" პატივცემული ოპონენტი ჩვენს ნაშრომს. კითხულობ ამ სტრიქონებს და გიკვირს, როგორ შეიძლება მოწინააღმდეგის აზრის ასეთი დამახინჯება! უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენთვის არ წარმოადგენს რაიმე სიძნელეს დაწვრილებით განვიხილოთ და უკუვაგდოთ ოპონენტის ეს აშკარად ტენდენციური კრიტიკა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს საჭირო არ არის და თავს ვიკავებთ. სხვათა შორის, თავის რეცენზიაში ერთ ადგილას პატივცემული ოპონენტი ძალიან აქებს ჩემს საკანდიდატო დისერტაციას: ის ამბობს: „რა მშვენივრად წერდა დისერტანტი ამ თხუთმეტიოდე წლის წინ, როდესაც მან აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით დაწერა საკანდიდატო დისერტაცია. ჩანს, მაშინ ეგრე ძლიერ არ იზიდავდა ახალგაზრდა მკვლევარს ორიგინალობის თუ ნოვატორობის მაცდური საჟღარუნებელი" (გვ. 50).

ამ „საჟღარუნებლის" ბრალდებას ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ, თუნდაც იმიტომ, რომ ყველამ იცის, — ასეთი „საჟღარუნებელი" სწორედ ახალგაზრდობაში უფრო წაიტყუებს ხოლმე ზოგიერთ მეცნიერს, ვიდრე მოხუცობის ჟამს: მაგრამ მთავარი ეს როდია; ჩვენ კრიტიკოსს, როგორც ჩანს, არ ცოდნია ის ამბავი, რომ მის მიერ ნაქები საკანდიდატო დისერტაცია სწორედ იგივე ნაშრომია, რომელსაც ის თავს ესხმის და „მიწასთან ასწორებს". ეს საკანდიდატო დისერტაცია მე დავიცავი 1948 წელს ამავე ინსტიტუტში და ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მომანიჭა საძიებელი ხარისხი, რაც შემდეგ სრულიად დაუბრკოლებლად დაამტკიცა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამაც. გარდა ამისა, ხსენებული ნაშრომი დადებითად შეაფასა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. ამიტომაც იყო, რომ ის ორჯერ გამოიცა თბილისში (1949, 1954 წწ.), ხოლო ერთხელ მოსკოვში (1958 წ.). ამ წიგნზე დაიწერა 5 რეცენზია: გაზეთ „კომუნისტში" (1950 წ. 14 მაისი), გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" (1959 წ. 23 იანვარი), გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში" (1950 წ. 3 სექტემბერი), ჟურნალ „მნათობში" (1950 წ. № 11) და ბოლოს, რუსულ ჟურნალში „ვოპროსი ფილოსოფიი" (1951 წ., № 4). ყველა ეს რეცენზია დადებითი იყო. მართალია, რეცენზენტებს ჰქონდათ შენიშვნები, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უთქვამს, წიგნი ეკლექტიკური და გადასაგდებიაო. პირიქით კი ლაპარაკობდნენ. რაც შეეხება საკუთრივ საკითხს თერგ-

დალეულთა შეხედულებების კლასობრივი ბუნების შესახებ, ობიექ-
ტურ რეცენზენტებს სულ სხვაგვარად ესმოდათ და ესმით ხსენებუ-
ლი წიგნის სათანადო ადგილი, ვიდრე ეს პატივცემულ ოპონენტს გაუ-
გია. პატივცემული ოპონენტი მოგვაწერს, თითქოს ჩვენ ვამბობთ, რომ
ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურობის იდეოლოგიც იყო, ბურჟუაზიის
იდეოლოგიც, კონსერვატორიც. მონარქისტიც და ა. შ. ეს სრული
უაზრობაა. ობიექტურ რეცენზენტებს ჩემი წიგნის სათანადო ადგილი
სულ სხვაგვარად ესმოდათ. აი, მაგალითად. რას ამბობს ამ საკითხზე
თავის რეცენზიაში ცნობილი კრიტიკოსი ვანო წულუკიძე: „მთელი
თავისი მხატვრული შემოქმედებით. სოციალურ-პოლიტიკური მოძღვ-
რებით და პრაქტიკული მოღვაწეობით, — ამბობს პ. რატიანი, — ილია
არის... გლესობის იდეოლოგი. ამ თეზისით პ. რატიანი ემიჯნება იმ
მკვლევართა თვალსაზრისს. რომლებსაც ი. ჭავჭავაძე ფეოდალური
კლასის იდეოლოგად და მისი ინტერესებისათვის თავგამოდებულ
მებრძოლად გამოჰყავდათ, ხოლო ილიას მთელ მოღვაწეობას თავად-
აზნაურობის, როგორც კლასის, გადარჩენისაკენ მიმართულ მეცადი-
ნეობად სახავდნენ. პ. რატიანი ემიჯნება მკვლევართა იმ ჯგუფსაც,
რომელსაც ი. ჭავჭავაძე ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგად. კაპი-
ტალიზმის განვითარების მოციქულად. კაპიტალიზმის მედროშედ მია-
ჩნდა“... და ა. შ. („ლიტ. და ხელოვნ.“ 1950 წ. 3 ოქტ.). ასე ესმო-
ღათ ობიექტურ კრიტიკოსებს ჩემი წიგნის სადავო ადგილი ჯერ კიდევ
ამ ცამეტი წლის წინათ. რაც შეეხება ხსენებული წიგნის საერთო შე-
ფასებას, მასზე იმდენი ქება დაიწერა, რომ ჩემთვის უხერხულიც კია
მათი განმეორება, მაგრამ რაკი პატივცემული ოპონენტი ხსენებულ
წიგნს ასე უცერემონიოდ აბიაბურებს. იძულებული ვარ გავიხსენო
თუნდაც ერთი რეცენზენტის, გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის
გიორგი ნატროშვილის შეფასება გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე:
„თამამად შეიძლება ითქვას. — ამბობს გ. ნატროშვილი, — რომ ეს
არის მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით დაწერილი პირველი სა-
ფუძვლიანი და ვრცელი წიგნი ილია ჭავჭავაძეზე“ („კომუნისტი“,
1950 წ., 14 მაისი). ეს შეფასება შესაძლოა გადაჭარბებულიც იყოს,
მაგრამ ვერც იმის დამტკიცებას შესძლებს ვინმე, თითქოს ხსენებული
ჩემი ნაშრომი არაფრად არ ვარგოდეს და მხოლოდ ეკლექტიკური
აზრების სუმბურულ ნარევს წარმოადგენდეს, როგორც ეს ჩვენს პატივ-
ცემულ ოპონენტს წარმოუღგენია.

ვიმეორებთ, შეგვეძლო ხსენებული ჩვენი ნაშრომის დებულებები
დაწვრილებით გაგვეხილა და თვალნათლივ გვეჩვენებინა პატივცემუ-
ლი ოპონენტის შენიშვნების სრული უსაფუძვლობა, მაგრამ ეს ზედ-
მეტად მიგვაჩნია; სადისერტაციოდ აქ წარმოდგენილია სულ სხვა ნაშ-

ოპი და ამჟამად მე არ მსურს ჩვენი პაექრობის საგანი შევცვალოთ 14 წლის წინათ გამოცემული ნაშრომით, როგორც ამისაკენ პატივცემული ოპონენტი გვიბიძგებს.

ასეთია ჩვენი პასუხი პერიოდიზაციის საკითხთან დაკავშირებით პატივცემული ოპონენტის მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე. რა თქმა უნდა, ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აქ არსებითად პერიოდიზაციის საკითხი კი არ იდგა, არამედ ეს იყო ცდა თავისთავად „უწყინარი" საკითხის, პერიოდიზაციის საფარქვეშ გაებიაბრუებინათ, სახელი გაეტეხათ და უარეყოთ ახალი თვალსაზრისი, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდა.

გადავდივართ მეორე სადაო საკითხზე, — თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების გაგების საკითხზე.

თავისი რეცენზიის მეორე ნაწილს პატივცემული ოპონენტი იწყებს შემდეგი მსჯელობით: „როგორც ცნობილია, სიყვარული ზოგიერთს აბრკოლებს და ამას ვერ ასცდა ილიასა და „თერგდალეულების" ზოგი მკვლევარი, და მათ შორის, ჩვენი დისერტანტი პ. რატიანიც. მის სანუგეშოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი „მარცხი" თვით „ქართველი ხალხის მასწავლებელს" დიდ იაკობსაც მოუვიდა, მამულის სიყვარულით... როდესაც ნიკო მარს ანტიპატრიოტიზმს უკიჟინებდა" (გვ. 28). ამ ბრალდებაზე ჩვენ არაფერს ვიტყოდით, რამდენადაც უადგილოდ მიგვაჩნია სერიოზული კამათის საგნად ვაქციოთ ასეთი ტრივიალური საკითხი, მაგრამ არ შეგვიძლია უპასუხოდ დავტოვოთ იაკობ გოგებაშვილისა და მისი თანამოაზრეების ასე უპატიურად მოხსენიება. როგორც ცნობილია, ნიკო მარს „ანტიპატრიოტიზმს უკიჟინებდა" არა მარტო იაკობი, არამედ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თითქმის ყველა გამოჩენილი ხელმძღვანელი (ილია, აკაკი, ვაჟა და სხვ.), რომლებიც, როგორც შემდგომში გამოირკვა, სავსებით მართალნი იყვნენ ნ. მართან კამათში. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ სავსებით დაადასტურა, რომ „სიყვარულმა" იაკობს, ილიას და აკაკის კი არ დაუბრმავა თვალები, არამედ ეულგარულად მოაზროვნე ნ. მარს, რომელიც თუმცა ცდილობდა მარქსისტი გამხდარიყო. მაგრამ ვერ გახდა, რადგან, ნიკო ბერძენიშვილის სამართლიანი თქმისა არ იყოს, მარქსისტობა მეცნიერებაში ადგილი საქმე არ არის. პატივცემული ოპონენტი ეფარება ივანე ჯავახიშვილის დიდ სახელს, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი ამ საქმეში მას მოკავშირედ არ გამოადგება. მართალია, ახალგაზრდობაში, როცა ივანე მარის მოწაფე იყო და ჯერ კიდევ კარგად ვერ იცნობდა ნიკო მარს და მის შეხედულებებს, ის გამოექომაგა ნ. მარს თავის ცნობილ ბროშურაში „მამულიშვილობა

და მეცნიერება“ (1904 წ.), მაგრამ რაკი პატივცემულმა ოპონენტმა ამ ბროშურაზე ჩამოგვიგდო საუბარი, მას ისიც უნდა ეთქვა, რომ შემდეგში ივ. ჯავახიშვილმა, როცა ის უკვე მოწიფული მეცნიერი იყო და მარის ნაშრომებსაც უკეთ გაეცნო, შეიცვალა პოზიცია და ნ. მარს სწორედ იმგვარადვე აკრიტიკებდა, როგორც აკრიტიკებდნენ მას თავის დროზე ი. გოგებაშვილი და ი. ჭავჭავაძე. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი: „1913 წელს, როდესაც ქართველი ერის ისტორიის წიგნის ახალი გამოცემისათვის შესავლები ნაწილების, მათ შორის ქართულისა და მისი მონათესავე ენების შესახებ თეორიების მიმოხილვის წერას შევუდექი და ნ. მარის ყველა ნაწერები ჯულდასმით თავიდან ბოლომდის გადავიკითხე. მაშინ ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ ნ. მარის მთელი თეორია, მრავალი წლების ლინგვისტური მუშაობა ძირიანად უნდა შერყეულიყო და მისი სრული უარყოფით უნდა დამთავრებულიყო“[12].

ასეთი იყო ივ. ჯავახიშვილის ნამდვილი აზრი ნიკო მარის მეცნიერულ მემკვიდრეობაზე. რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის აზრს ნიკო მარის მსოფლმხედველობაზე, ეს კარგად ჩანს მეცნიერის შემდეგი მსჯელობიდან: „აკად. ნ. მარი რუსეთის დროებითს მთავრობასა და შემდეგ სამეცნიერო აკადემიას უმტკიცებდა, ვითომც აზრი (თბილისის უნივერსიტეტის) დაარსებისა.... თურმე ნუ იტყვი, დაკავშირებული ყოფილა ქართული საზოგადოებრივი აზრის ახალ ეროვნულ ავადმყოფურ, მწვავე ნაციონალისტურ მიმართულებასთან“[13]. და შემდეგ: ნ. მარი „აღშფოთებული იყო იმ სრულებით ბუნებრივი გარემოებითაც, რომ ჩვენ, ქართველმა მეცნიერებმა მშობელი ერის კეთილდღეობისა და წარმატებისათვის ხელის შესაწყობად აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტს თავი მივანებეთ და სამშობლოში წამოვედით ქართული უმაღლესი სასწავლებლის შესაქმნელად... უცნაურია, რომ ასეთი რამ ვერ გაუგია აკად. ნ. მარს, რადგან ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც საზოგადოებრივი აღლო აქვს, ეროვნული შეგნება ბოლებოვება და მთლად გადაგვარებული არ არის, ჩვენი ნაბიჯი სრულებით ადვილი გასაგები უნდა იყოს“[14].

აი, სინამდვილეში, რა აზრისა იყო ივანე ჯავახიშვილი ნ. მარზე და მის მოძღვრებაზე. როგორც ცნობილია, შემდგომმა მოვლენებმა კიდევ უფრო თვალნათლივ გაჩოაჩინეს მ. მარის საზოგადოებრივ შეხედულებათა ვულგარული (ჩვენ აქ არ ვეხებით ნ. მარის სპეციალურ საენათმეცნიერო გამოკვლევებს) ხასიათი და ეხლა ბეშმარიტად გაკვირვების ღირსია ის ფაქტი, რომ მოიპოვებიან მეცნიერები, რომლე-

---

12 ეურნ. „მნათობი“, 1950 წ., № 11, დავით გვრიტიშვილის პუბლიკაცია, გვ. 95.
13 იქვე, გვ. 94.
14 იქვე, გვ. 96.

ბიც ნ. მარს ამართლებენ, ხოლო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებს ბრალად სდებენ, სიყვარულისაგან იყვნენ დაბრმავებულნიო. სამწუხაროა ეს ამბავი, მაგრამ რა გაეწყობა, დრო გამოაჩენს, ვინ არის სინამდვილეში დაბრმავებული და ვინ თვალხილული!

გადავიდეთ საკითხის არსებით განხილვაზე.

პატივცემული ოპონენტის მთელ მსჯელობას და არგუმენტაციას თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების ირგვლივ, ჩვენ, პასუხის გაადვილების მიზნით, ორ ჯგუფად გავყოფთ: ერთ ჯგუფში მოვათავსებთ იმ მსჯელობას, არგუმენტაციასა და შენიშვნებს, რომლებიც აღმავალი ბურჟუაზიის ისტორიული როლის გაგებას შეეხება, ხოლო მეორეში — გლეხობისა და საერთოდ წვრილი ბურჟუაზიის როლზე გამოთქმულ მოსაზრებებს.

დავიწყოთ ბურჟუაზიის ისტორიული როლის გარკვევით.

სადისერტაციო ნაშრომში დასაბუთებულია ის აზრი, რომ ბურჟუაზია, მართალია, თავისი აღმავლობის ხანაში ევროპაში ასრულებდა ბურჟუაზიული რევოლუციის ჰეგემონიის როლს და იყო რევოლუციური ძალა, მაგრამ რუსეთსა და საქართველოში უკვე ვეღარ ასრულებდა ასეთ როლს და თავისი აღმავლობის პერიოდში იყო ლიბერალური ძალა. ეს აზრი დასაბუთებული გვაქვს თეორიულადაც, — უმთავრესად ლენინის ნაშრომებზე დაყრდნობით, — და ისტორიულადაც, ე. ი. საქართველოს იმდროინდელი ისტორიის კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით. პატივცემული ოპონენტი არ იზიარებს და უარყოფს ამ თვალსაზრისს. მაგრამ რა საშუალებით ცდილობს იგი ამ დებულების დარღვევას? გავეცნოთ მისი არგუმენტაციისა და მსჯელობის რამდენიმე მაგალითს ჯერ თეორიულ, ხოლო შემდეგ ისტორიულ სფეროში.

მაგალითი პირველი. სადისერტაციო ნაშრომში ნათქვამი გვაქვს, რომ რუსეთსა და საქართველოში აღმავალი ბურჟუაზია იყო ლიბერალური ძალა, პატივცემული ოპონენტი კი მოგვაწერს, თითქოს ჩვენ ვამბობდეთ, რომ ის იყო კონტრრევოლუციური ძალა. ჩვენ სიტყვა „კონტრრევოლუციური“ ნახსენებიც კი არსად გვაქვს. მიუხედავად ამისა, პატივცემული ოპონენტი ასეთ ბრალდებას გვიყენებს: „დისერტანტის მტკიცება რუსეთში და, მაშასადამე საქართველოშიც ბურჟუაზია კონტრრევოლუციურ ძალას წარმოადგენდა XIX საუკუნეშიო, არა ბეცნიერულია და სამწუხაროდ იაფფასიანი პროპაგანდის ელფერი დაჰკრავს“ (გვ. 35). კეთილი, მაგრამ სად, ნაშრომის რომელ გვერდზე ვამტკიცებთ ჩვენ ასეთ რამეს? ოპონენტი ამას არ გვეუბნება და ვერც გვეტყვის, რადგან ამის მსგავსი არსად არაფერი გვითქვამს. მა-

„ასადამე, დებულება, რომ ჩვენი ბურჟუაზია აღმავლობის ხანაშიც „კონტრრევოლუციური ძალაა, თვით პატივცემული ოპონენტის გამო„ გონილი გახლავთ და მერე თვითონვე დიდი გულმოდგინებით ებრძვის „მას. ოპონენტს მოჰყავს ციტატები ლენინის შრომებიდან და ასაბუ„თებს იმ აზრს, რომ რუსეთის ბურჟუაზია მხოლოდ 1905 წლის შემ„დეგ გახდა კონტრრევოლუციური ძალაო, ეს სწორია, პატივცემულო, მაგრამ რატომ ამტკიცებთ ღია კარებს?

ასეთია ერთ-ერთი ნიმუში ჩვენი ოპონენტის არგუმენტაციისა და მსჯელობისა. ვნახოთ მეორე ნიმუშიც.

სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ მოგვყავს ლენინის არაერთი დებულება იმის შესახებ, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ლიბერალური ბურჟუაზია იყო არა რევოლუციური ძალა, არამედ მერყეევი და შემთანხმებლური სულისკვეთებით გაჟღენთილი ძალა, რომელიც პროლეტარიატის მოკავშირედ არ გამოდგებოდა. პატივცემული ოპონენტი ამ ლენინურ დებულებას გვერდს უვლის: ის ცდილობს ლენინის ტომებში მონახოს ამის საწინააღმდეგო დებულებები. მაგრამ, ცხადია, ვერ პოულობს მათ და ამიტომ იძულებულია მოიშველიოს კონტექსტიდან ამოგლეჯილი ციტატები, რომლებიც არსებითად ამახინჯებენ ლენინის აზრებს. მაგალითად, თავისი რეცენზიის 48-ე გვერდზე პატივცემულ ოპონენტს მოჰყავს ორი ციტატა ლენინის ნაშრომიდან „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა“ და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ლენინს ეთქვას, გლეხობა რეაქციული კლასია. ბურჟუაზია კი — რევოლუციურიო. სინამდვილეში არაფერს ამის მსგავსს ლენინი არ ამბობს არც ხსენებულ ნაშრომში და არც სხვაგან სადმე: პირიქით, ლენინის ხსენებული ნაშრომი მთლიანად მიძღვნილია იმ აზრის დასაბუთებისადმი, რომ პროლეტარიატმა და მისმა პარტიამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მხარი უნდა დაუჭიროს არა ბურჟუაზიას, არამედ გლეხობასო (მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს, როგორც წვრილ მწარმოებელს, რევოლუციური თვისებებიც ახასიათებს და რეაქციულიც). აი ლენინის სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ხსენებული ნაშრომის დედააზრს: „ასეთ ისტორიულ მომენტში ჩვენ პირდაპირ ვალდებული ვართ მხარი დავუჭიროთ გლეხობას და შევეცადოთ მივმართოთ მისი ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველი უკმაყოფილება მისი ნამდვილი მტრის წინააღმდეგ“[15]. ან კიდევ: „ჩვენ მხარს ვუჭერთ გლეხობის პროგრესულ ინტერესებსა და მოთხოვნებს. მაგრამ გადაჭრით უკუვაგდებთ მის რეაქციულ მოთხოვნებს“[16].

---

[15] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 156.

[16] ი ქ ვ ე, გვ. 162.

როგორც ვხედავთ, ლენინი ამ ნაშრომშიც ლაპარაკობს არა ლიბერალური ბურჟუაზიისადმი მხარდაჭერაზე, როგორც ოპონენტი გვარწმუნებს, არამედ გლეხობისადმი მხარდაჭერაზე.

დაბოლოს, ვნახოთ პატივცემული ოპონენტის არგუმენტაციის კიდევ ერთი, წინანდელებზე უფრო განსაცვიფრებელი ნიმუში. თავისი რეცენზიის 34-ე გვერდზე ოპონენტს მოჰყავს სადისერტაციო წიგნში დამოწმებული ორი ციტატა ლენინის ნაშრომიდან „საგლეხო რეფორმა და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია". ამ ციტატებში პირდაპირ არის ლაპარაკი რუსეთის ლიბერალებზე, როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგებზე. მაგრამ პატივცემული ოპონენტი მაინც ჯიუტად იმეორებს, აქ ლიბერალებზე არაა ლაპარაკი. აი ოპონენტის სიტყვები: „დისერტანტი ამ ორი ლენინური დებულებით ვერაფერს ვერ „აბათილებს" და ვერც ვერაფერს ამტკიცებს. ჩვენს მიერ ლენინიდან მოტანილ ციტატში სრულიად არაა ლაპარაკი ლიბერალურ ბურჟუაზიაზე" (გვ. 34); ან კიდევ: „ლენინის ზემოთ მოტანილ ციტატში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იგულისხმებოდეს ლიბერალური ბურჟუაზია, როგორც ეს დისერტანტს ჰგონია" (იქვე).

ახლა მოვუსმინოთ ლენინს და კარგად დავაკვირდეთ მის სიტყვებს: „მებატონეთა და ლიბერალთა ყბადაღებული ბრძოლა, რომელსაც ესოდენ აზვიადებენ და ალამაზებენ ჩვენი ლიბერალური და ლიბერალურ-ნაროდნიკული ისტორიკოსები, წარმოადგენდა ბრძოლას გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს შ ი გ ნ ი თ (ხაზი ჩვენია, პ. რ.), მეტწილად მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს შ ი გ ნ ი თ, ბ რ ძ ო ლ ა ს მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ დ ა თ მ ო ბ ა თ ა ოდენობისა და ფორმის გულისათვის. ლიბერალები, ისევე როგორც მებატონეები, იდგნენ მემამულეთა საკუთრებისა და ბატონობის აღიარების ნიადაგზე, ისინი აღშფოთებით ჰგმობდნენ ყოველგვარ რევოლუციურ აზრს ამ საკუთრების მ ო ს პ ო ბ ი ს შესახებ, ამ ბატონობის სრული დამხობის შესახებ...

1861 წლის 19 თებერვალი მოასწავებს ახალი, ბურჟუაზიული რუსეთის დასაწყისს, რომელიც იბადებოდა ბატონყმური ეპოქიდან. 1860-იანი წლების ლიბერალები და ჩერნიშევსკი წარმომადგენლები არიან ორი ისტორიული ტენდენციისა, ორი ისტორიული ძალისა, რომელნიც მას შემდეგ დღევანდლამდე (ე. ი. 1911 წ-მდე — პ. რ.) განსაზღვრავენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის შედეგს...

ლიბერალებს უნდოდათ რუსეთი „გაეთავისუფლებინათ" „ზევიდან", არ დაერღვიათ არც მეფის მონარქია, არც მემამულეთა მიწათმფლობელობა და ბატონობა, და მხოლოდ ურჩევდნენ მათ „დაეთმოთ" დროის მოთხოვნილებისათვის. ლიბერალები იყვნენ და დარჩნენ ბურჟუაზიის იდეოლოგებად, ბურჟუაზიისა, რომელსაც არ შეუძლია

შეურიგდეს ბატონყმობას, მაგრამ ეშინია რევოლუციისა, ეშინია მასების მოძრაობისა, რასაც შეუძლია მონარქიის დამხობა და მემამულეთა ბატონობის მოსპობა. ამიტომ ლიბერალები სჯერდებიან „რეფორმებისათვის ბრძოლას", „უფლებისათვის ბრძოლას". ე. ი. მებატონეებსა და ბურჟუაზიას შორის ძალაუფლების გაყოფას... 60-იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ „მ ო ლ ა ყ ბ ე ნ ი, მ კ ვ ე ხ ა რ ე ბ ი დ ა ს უ ლ ე ლ ე ბ ი" უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მათს შიშს რევოლუციის წინაშე, მათს უსასიათობას და ყურმოჭრილ მონობას ძლიერთა წინაშე"[17].

რაზეა აქ ლაპარაკი, თუ არა ლიბერალობაზე და ლიბერალებზე? თუ ასეთი თვალნათლივი ლენინური დებულების უარყოფა შეიძლება, მაშინ როგორღა უნდა ვეკამათოთ პატივცემულ ოპონენტს? პოლიკარპე კაკაბაძის თქმისა არ იყოს, თუ კაცს არ უნდა. ზღვასთანაც რომ იდგეს, ზღვას არ დაინახავს...

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვესმის პროფ. ი. კაჭარავას მდგომარეობა: ლიბერალების ისეთი დახასიათების შემდეგ, რომელიც ჩვენ ეს-ეს არის წავიკითხეთ, მართლაც ძნელია ამტკიცო ილია, აკაკი და მთელი სახელოვანი თაობა თერგდალეულებისა ლიბერალები და ბურჟუების წარმომადგენლები იყვნენო, მაგრამ იქონიეთ, ბატონო, იმდენი მეცნიერული გამბედაობა, რომ უარყოთ თქვენი საკუთარი შემცდარი შეხედულება, ხოლო ლენინის დებულებებს ნუ უარყოფთ. რადგან, სულ ერთია, ამას მაინც ვერ შესძლებთ!

ახლა გადავიდეთ იმავე საკითხის — ბურჟუაზიის როლის გაგების — ისტორიულ ასპექტზე, ე. ი. იმ საბუთიანობის განხილვაზე, რომელსაც ოპონენტი გვთავაზობს ქართველი ბურჟუაზიის როლის გასაგებად კონკრეტულ-ისტორიული ვითარების შუქზე. ძალიან საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველი ბურჟუაზიის როლის გასაგებად ოპონენტი თვით საქართველოს, ან თუნდაც რუსეთის იმ დროინდელ ვითარებას კი არ მიმართავს, არამედ... XVI — XVII საუკ. ნიდერლანდების ისტორიას! აი, სიტყვა-სიტყვით, რას ამბობს პატივცემული ოპონენტი: „ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი და თანამებრძოლები გვეელინებიან როგორც განმანათლებლები... განმანათლებლობა არის ახალგაზრდა. პროგრესული ბურჟუაზიის იდეური მოძრაობა... განმანათლებლობის აკვანი პირველად მე-17 საუკუნეში დაარწია ურიელ აკოსტამ ჰოლანდიაში. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ურიელ აკოსტას განმანათლებლური იდეები ჩამოყალიბდა არა მარტო ფეოდალური წყობის კრიზისისა და ბურჟუაზიული რევოლუციის მზა-

---

17 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 128—130.

ლების ატმოსფეროში, არამედ ესპანეთის წინააღმდეგ ნიდერლანდების განმათავისუფლებელი მოძრაობის ატმოსფეროშიც. მსგავს ვითარებაში ყალიბდებოდა ილიას განმანათლებლური იდეებიც... ურიელ აკოსტას მხარს უმშვენებდნენ და მის საქმეს განაგრძობდნენ ჰ ო ლ ა ნ - დ ი ა შ ი ისტორიკოსი გუგო გრიცია და ფილოსოფოსი ბარუხ სპინოზა, ი ნ გ ლ ი ს შ ი ბეკონი, ჰოფსი, ჯონ ლოკი და სხვები, ს ა ფ რ ა ნ - გ ე თ შ ი ვოლტერი, მონტესკიე, ჟან-ჟაკ რუსო, მორელი და მაბლი, გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი ლესინგი, შილერი და გოეთე, ხოლო რუსეთსა და საქართველოში ჩერნიშევსკისა და ილიას თანამოაზრენი" (გვ. 51 — 52).

მაპატიეთ, პატივცემულნო, მაგრამ, ჩემი აზრით, ამნაირი მსჯელობა ასეთ რთულ საკუნებზე მეცნიერული დავის დროს კი არა, პოპულარულ-საცნობარო ლიტერატურის წერის დროსაც უხერხულია. ჯერ ერთი, აქ თვით ჰოლანდიის იმდროინდელი ვითარების სურათიც არ არის სწორად გადმოცემული; ურიელ აკოსტას საგანმანათლებლო იდეები „ბურჟუაზიული რევოლუციის მზადების ატმოსფეროში" ჩამოყალიბდაო, — ბრძანებს პატივცემული ოპონენტი. მაგრამ ესეც ვიკითხოთ, როდის იყო ეს ატმოსფერო? ცნობილია, რომ ნიდერლანდების რევოლუცია XVI საუკუნეში მოხდა; იგი დაიწყო 1566 წელს და ფაქტიურად გაიმარჯვა 1579 წელს, ხოლო 1581 წელს ჰოლანდიის რესპუბლიკამ საბოლოოდ მოიშორა ესპანეთის ბატონობის უღელი — ფილიპე II ტახტიდან ჩამოაგდო და ჰოლანდიის სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ყველაფერი ეს მოხდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო ამ რევოლუციური მოვლენებისათვის „მზადების ატმოსფერო" იყო 1566 წლამდე ე. ი. XVI საუკუნის პირველ ნახევარში. ახლა ვიკითხოთ, როდის დაიბადა ურიელ აკოსტა? იგი დაიბადა 1590 წელს და გარდაიცვალა 1647 წელს. მაშასადამე, იმ დროსაც კი, როდესაც ჰოლანდიაში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საბოლოოდ გაიმარჯვა და რესპუბლიკად გამოცხადდა, ურიელ აკოსტა დაბადებულიც არ იყო. მაშ როგორღა შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო მისი იდეები ამ რევოლუციისათვის „მზადების ატმოსფეროში"? ამ კითხვის პასუხი პატივცემული ოპონენტის საიდუმლოებას შეადგენს.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ახლა ეს ვიკითხოთ, რა აქვს საერთო XVII საუკუნის ჰოლანდიას XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოსთან? ბოდიშს ვიხდი, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, მეცნიერი, რომელიც იტყვის, XVII საუკუნის ნიდერლანდებსა და XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოში ანალოგიური ვითარება იყოო, და ამ ნიადაგზე შეეცდება დაასაბუთოს ურიელ აკოსტასა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ერთნაირობა, ასეთი მეცნიერი, რბილად რომ ვთქვათ, შორს არის სინამდვილისაგან. XVII საუ-

კუნის ჰოლანდია, კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სანიმუშო კაპიტალისტური ქვეყანა იყო“ (იხ. „კაპიტალი“, ტ. I, 1953, გვ. 755, რუს.). იქ ამ დროს უკვე გამარჯვებული იყო ბურჟუაზიული რევოლუცია და არაჩვეულებრივ სწრაფად ვითარდებოდა კაპიტალიზმი. საკმარისია ითქვას, რომ ჰოლანდიის ფლოტი 15 ათასი გემისაგან შედგებოდა და სიდიდით ორჯერ აღემატებოდა ინგლისისა და საფრანგეთის ფლოტებს ერთად აღებულს. გარდა ამისა, ჰოლანდია იყო დამოუკიდებული ქვეყანა და არ განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას. იქ სწრაფად ვითარდებოდა მეცნიერება და კულტურა. ამით აიხსნება, რომ ჰოლანდიამ დასაბამი მისცა ე. წ. „განათლების ეპოქას“. მაგრამ რით ჰგავს ყოველივე ეს იმ ვითარებას, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო XIX ს. მეორე ნახევარში? ცხადია, არაფრით. მაგრამ თავიც რომ დავანებოთ ურიელ აკოსტას და მის ეპოქას და ილიას დროის საქართველო შევადაროთ XVI საუკუნის პირველი ნახევრის ჰოლანდიას, როცა ეს ქვეყანა ჯერ კიდევ განიცდიდა ჩაგვრას ესპანეთის მხრივ, და როცა ბურჟუაზიული რევოლუცია მზადების პერიოდში იყო, მაშინაც არ შეიძლება იქაური პირობებისა და იდეების შედარება საქართველოს პირობებთან და იდეებთან. მას შემდეგ ხომ სამასი წელიწადი გავიდა! ამ ხნის განმავლობაში კაცობრიობა დიდი ნაბიჯით წავიდა წინ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ ცნობილია, რომ XVIII საუკუნემდე ბურჟუაზიული რევოლუციები ევროპის სახელმწიფოებში და მათ შორის ჰოლანდიაშიც, რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული[18]? ნიდერლანდების რევოლუციის იდეოლოგიური დროშა ხომ კალვინიზმი იყო[19]? შემდეგში, თუნდაც უკვე საფრანგეთის რევოლუციის დროს, თვით ბურჟუაზიის იდეოლოგებმაც შეაქციეს ზურგი რელიგიას და სასტიკი ომი გამოუცხადეს ღმერთებს. ამ აზრის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ვოლტერის ათეისტური შეხედულებები.

მაგრამ თვით ფრანგი განმანათლებლებიც ხომ არ ყოფილან ერთი კლასის წარმომადგენლები და არც ერთნაირი შეხედულებები ჰქონიათ? ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ვოლტერი ბურჟუაზიის იდეოლოგია, ხოლო ჟან-ჟაკ რუსო წვრილი ბურჟუაზიისა, რომელიც უფრო რადიკალური, უფრო რევოლუციური იყო? ეს ახლა ყოველ სა-

---

18 ფ. ენგელსი „ლუდვიგ ფოიერბახი“ ამბობს: «Даже у христианских народов революции, действительно имевшие общее значение, принимают эту (религиозную) окраску лишь на первых ступенях борьбы буржуазии за свое освобождение, от XIII до XVII века включительно» (К. Маркс, т. I, 1935, стр. 344).

19 БСЭ, т. 29, стр. 572.

ხელმძღვანელოში სწერია[20], მაგრამ მარქსამდელმა მოღვაწეებმაც კარგად იცოდნენ, რომ საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაშიც კი გლეხობა, და საერთოდ წვრილი ბურჟუაზია, უფრო რევოლუციურად გამოდიოდა, ვიდრე ბურჟუაზია. მარქსამდელი მოაზროვნეები მშვენივრად ამჩნევდნენ განსხვავებას ჟირონდისტებსა და იაკობინელებს შორის, ან კიდევ ვოლტერისა და ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულებებს შორის. აი, მაგალითად, რას ამბობდა ა. გერცენი მათზე: „ვოლტერი და რუსო თითქმის თანამედროვენი არიან, მაგრამ რა დიდი მანძილია მათ შორის!.. ვოლტერი ჯერ კიდევ ძველი საუკუნის აზნაურია... რუსოში კი ძველი დროის აღარაფერია, ის ნამდვილი პლებეია"[21].

მაგრამ კაცობრიობის წინსვლა ხომ ვოლტერსა და რუსოზე არ შეჩერებულა. ცნობილია, რომ დიდმა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა ფოიერბახსაც გაუსწრეს და მთელ რიგ საკითხებში მარქსიზმს მიუახლოვდნენ. თუ ყველაფერს ამას ანგარიშს არ გავუწევთ და და ყველა ერის გამოჩენილ მოაზროვნეთა მრავალი საუკუნის ნაფიქრნააზრევს ურიელ აკოსტას იდეებამდე დავიყვანთ, ცხადია, არაფრის „დამტკიცება" არ გაგვიჭირდება, ოღონდ ძნელია ასეთ რამეს მეცნიერული კვლევა-ძიება დაერქვას.

ჩვენს პატივცემულ ოპონენტს რომ ნიდერლანდიის მაგიერ საქართველოს ისტორიისათვის მიექცია ჯეროვანი ყურადღება, ის ადვილად დარწმუნდებოდა, რომ ჩვენებური ბურჟუაზიის როლი კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში სულ სხვაგვარი იყო. სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რეფორმის წინ და თვით რეფორმების ხანაში (50 — 60-იან წლებში) საკუთრივ ქართველ, ეროვნულ ბურჟუაზიას არა თუ „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშეობა" არ შეეძლო, არამედ ის იმ დროს არცკი არსებობდა როგორც კლასი და მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პატივცემული ოპონენტი უარყოფს ამ დებულებას. მაგრამ არც კი ცდილობს დაასაბუთოს თავისი საწინააღმდეგო აზრი. სხვათა შორის, ოპონენტს ალბათ აღარ ახსოვს, რომ თვით იმ თეორიის შემქმნელი, რომელსაც ის ასე თავგამოდებით იცავს — პროფ. სიმონ ხუნდაძე — იმ აზრის იყო, რომ 50—60-იანი წლების საქართველოში ქართველი ეროვნული ბურჟუაზია არ არსებობდა. აი, რას ამბობდა ამის გამო სიმ. ხუნდაძე: „ისტორიული ფაქტია, რომ ჩვენში ბურჟუაზიული კლასი არ ჩამოყალიბებულა, და არც არსებულა მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე" („სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", ტ. I, გვ. 27; აგრეთვე ტ. II, გვ. 296). როგორც ვხედავთ, თეორიის შემქმნელი, რაც უნდა იყოს, მაინც ჯერ

---

20 «История политических учений», 1960, стр. 282, 286, 293.

21 А. Герцен. Собрание сочинений, т. III, 1954, стр. 313.

კიდევ ფაქტების ნიადაგზე იდგა, მისი საქმის გამაგრძელებელნი კი სავსებით დაშორდნენ ფაქტებს.

სხვათა შორის, პატივცემული ოპონენტი თავის რეცენზიაში არაერთხელ აქებს ჩემს ნაშრომს, — საქართველოს XIX ს. მეორე ნახევრის ისტორიას, რომელიც შევიდა სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოში. მაგრამ როგორ არის გადაწყვეტილი ამ ნაშრომში ბურჟუაზიის ჩამოყალიბების საკითხი? ზუსტად ისე, როგორც სადისერტაციო ნაშრომში. იქ ნათქვამია:

„საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის მბრძანებელი სიმაღლეები უმეტეს წილად უცხო კაპიტალისტების ხელში იყო. უცხოელი ვაჭრები და მრეწველები დაეპატრონენ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს. მათ ეკუთვნოდათ რკინიგზები, მნიშვნელოვანი ფაბრიკა-ქარხნები, ნავსადგურები, გემები, საუკეთესო სახლები, დიდი მაღაზიები, საწყობები და ა. შ. უცხოელი კაპიტალისტები, სარგებლობდნენ რა საქართველოს ეკონომიური ჩამორჩენილობით, ძარცვავდნენ ქართველ ერს, ეწეოდნენ მუშებისა და გლეხების სასტიკ ექსპლოატაციას, ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გაჰქონდათ.

მაგრამ რეფორმისშემდგომ ხანაში თვალსაჩინოდ მოღონიერდა ეროვნული ბურჟუაზიაც. 70-80-იან წლებში ხდება ქართველი ბურჟუაზიის როგორც კლასის ჩამოყალიბება და ამ დროიდან ის იწყებს თავისი კლასობრივი ინტერესების შეგნებას. 90-იანი წლების ბოლომდე ქართველი ბურჟუაზია ჯერ კიდევ აღმავალი კლასი იყო, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას. მაგრამ ეკონომიურად ის ძალიან სუსტი იყო და არ შეეძლო არც ძლიერი უცხო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა, არც მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა. ქართველმა ბურჟუაზიამ ვერ შესძლო სათავეში ჩადგომოდა მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმით უკმაყოფილო წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს და გაეჩაღებინა რევოლუციური ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილებისათვის, როგორც ეს თავის დროზე მოიმოქმედა, მაგალითად, საფრანგეთის და ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოების ბურჟუაზიამ. ქართველი ბურჟუაზია, ისევე როგორც რუსეთის ბურჟუაზია, სუსტი და მერყევი იყო, ის სულ მცირე დათმობებს სჯერდებოდა და ყოველთვის მზად იყო ეღალატა ხალხისათვის, წასულიყო კომპრომისზე თავადაზნაურობისა და მეფის წინაშე“ (საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. II, გვ. 146 — 147).

აი, ასე და ამგვარად არის ეს საკითხი გადაწყვეტილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოში,

რომლებიც რედაქტირებულია საქართველოს ისტორიის ისეთი შესანიშნავი მცოდნის მიერ, როგორიც იყო აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. აი, ეს არის აღმავალი ქართველი ბურჟუაზიის ისტორიული როლის მეცნიერული გაგება, თუ მას შევხედავთ საქართველოს და არა ნიდერლანდიის ისტორიის თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, ყველაფერი ნათელია.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ ჯგუფის საკითხებზე, რომლებიც გლეხობისა და საერთოდ წვრილი ბურჟუაზიის ისტორიული როლის გარკვევას შეეხება.

პატივცემული ოპონენტი, — იმ მიზნით, რომ დაამციროს გლეხობისა და საერთოდ წვრილი ბურჟუაზიის როლი, და მაშასადამე, ნამდვილი დემოკრატიისაც, — იმავე არამეცნიერულ მეთოდებს მიმართავს, რომლებზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამის გამო ზოგჯერ ის, სამწუხაროდ, ძალიან სავალალო მდგომარეობაში ვარდება. ავიღოთ, მაგალითად, მუშათა კლასის მიერ გლეხებისადმი მხარდაჭერის საკითხი, ანუ რევოლუციაში მუშათა და გლეხთა კავშირის საკითხი. პატივცემული ოპონენტი ბრალად გვდებს, რომ თითქოს ჩვენ ვერ გაგვიგია ის, რაც „ყოველმა სტუდენტმა“ კარგად იცის (გვ. 42), სახელდობრ, თურმე ვერ გაგვიგია, რომ რევოლუციაში მუშათა და გლეხთა კავშირის საკითხი საპროგრამო და სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი კი არა, ტაქტიკის საკითხი ყოფილა. აი, როგორ აყალიბებს ამ ბრალდებას პატივცემული ოპონენტი:

„დისერტანტს ედავებიან იდეოლოგიურ-პროგრამული საკითხების გაგებაში, მას კი დავა გადააქვს ტაქტიკურ-პოლიტიკურ სფეროში. გლეხობას სოციალ-დემოკრატია, პროლეტარიატი მხარს დაუჭერს თუ არა, გლეხობა პროლეტარიატის ხელმძღვანელობას მიიღებს თუ არა, ეს ტაქტიკის საკითხებია, რაც, როგორც ვთქვით, ყველა სტუდენტისათვის ნათელია“ (გვ. 44) და შემდეგ: „ტაქტიკური მოსაზრებით ჩვენ მხარს ვუჭერდით ეშმაკსაც კი, თუ იგი ჩვენი მიზნების განხორციელებას ხელს უწყობდა: ჩვენ მხარს ვუჭერდით ლიბერალური ბურჟუაზიის ლიდერს პეტრე სტრუვეს ნაროდნიკების წინააღმდეგ, ჩვენ მხარს ვუჭერდით მენშევიკ პლეხანოვს ლიკვიდატორების წინააღმდეგ, ჩვენ კავშირში ვიყავით იმპერიალისტურ ამერიკასთან ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ და ა. შ.“ (გვ. 46).

როგორც ვხედავთ, ჩვენი ოპონენტის შეცდომა სწორედ ის არის, რომ მას მუშათა და გლეხთა კავშირის საკითხი ტაქტიკის საკითხი ჰგონია. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს ტაქტიკის საკითხი კი არ არის, არამედ სტრატეგიის საკითხია, ე. ი. პროგრამული საკითხია; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუშათა და გლეხთა კავშირი დროებითი, რე-

ვოლუციის მარტო ამა თუ იმ ეტაპზე განსახორციელებელი საკითხი კი არ არის, არამედ ხანგრძლივი და მუდმივი მოვლენაა, რომელმაც უზრუნველჰყო რუსეთის რევოლუციის გამარჯვება და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება. ეს ჰეშმარიტება ლენინიზმის ანბანია.

გადავშალოთ პარტიის ისტორიის, რომელიც გნებავთ. სახელმძღვანელო და წავიკითხოთ, ტაქტიკის საკითხად მიაჩნდა პარტიას გლეხობასთან კავშირის საკითხი. თუ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანად. აი, მაგალითად, რა არის ნათქვამი პარტიის ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში (1959 წ. გამოც.): „მესამე ყრილობის მიერ დასახული სტრატეგიული გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ რევოლუციის პირველ ეტაპზე პროლეტარიატს მთელ გლეხობასთან შეკავშირებით ბურჟუაზიის იზოლიაციის პირობებში, ებრძოლნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს — თვითმპყრობელობის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის, ბატონყმობის ყველა ნაშთის ლიკვიდაციისათვის“ (გვ. 105).

როგორც ვხედავთ, მუშათა და გლეხთა კავშირის საკითხი აქ განხილულია არა როგორც ტაქტიკის საკითხი, არამედ როგორც სტრატეგიული საკითხი, როგორც პარტიის ძირითადი კურსის საკითხი რევოლუციის მთელი პირველი ეტაპის, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპის მანძილზე. ხოლო რაც შეეხება სოციალისტური რევოლუციის ეტაპს, აქ პარტია „მთელ გლეხობასთან“ კავშირის ლოზუნგს სცვლის „ღარიბ გლეხობასთან“ კავშირის ლოზუნგით. თუმცა თვით იდეა მუშათა და გლეხთა კავშირისა კვლავ უცვლელი რჩება. ამასთან დაკავშირებით პარტიის ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში ნათქვამია: მეექვსე „ყრილობის ყველა გადაწყვეტილება გამსჭვალულია ლენინის იმ იდეით, რომ პროლეტარიატის და გლეხობის კავშირი რევოლუციის გამარჯვების პირობაა“ (გვ. 292).

ყოველივე ამის შემდეგ, როგორ არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა მარქსისტი მეცნიერი სერიოზულად ფიქრობს, თითქოს მუშათა და გლეხთა კავშირი, ე. ი. მშრომელი ხალხის კავშირი, ისეთივე ხასიათის მოვლენაა, როგორიც იყო ჩვენი დროებითი კავშირი ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, იმპერიალისტურ ამერიკასთან და „თვით ეშმაკთანაც კი“! ცხადია, ეს უღრმესი შეცდომაა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, უნდა იცოდეს თუ არა „ყოველმა სტუდენტმა“ ის, რაც პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოში სწერია!

ავიღოთ მეორე მაგალითი: პატივცემული ოპონენტი თავის რეცენზიაში ეხება რუსეთის გლეხური დემოკრატიის იდეოლოგებისა და საქართველოს 60-იანი წლების მოღვაწეთა ურთიერთობას და ცდილობს ახსნას ძალიან ძნელი საკითხი, კერძოდ: რატომ უწოდებენ რუსი მეც-

ნიერები ჩერნიშევსკის გლეხობის იდეოლოგს? ეს მართლაც ძნელი კითხვაა ძველი თეორიის დამცველთათვის: თუ იმდროინდელი საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდა, და, მაშასადამე, სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და კლასობრივი სტრუქტურა ორივე ქვეყანაში დაახლოებით ერთნაირი იყო, თუ ამასთან ი. ჭავჭავაძე ჩერნიშევსკის მიმდევარი და თანამებრძოლიც იყო, როგორღა შეიძლება რუსი სამოციანელები გლეხობის იდეოლოგად გამოვაცხადოთ, ხოლო ქართველი სამოციანელები ბურჟუაზიის იდეოლოგად? ცხადია, რომ ამ კითხვის პასუხი ძველი თეორიის დამცველებს არ მოეპოვებათ, ამიტომ ჩვენი პატივცემული ოპონენტი გამოუვალ წინააღმდეგობაში ვარდება. იგი იძულებული ხდება ერთსა და იმავე დროს, თითქმის რეცენზიის ერთსა და იმავე გვერდზე (სახელდობრ 49-ე გვ-ზე) ამტკიცოს, რომ გლეხური იდეოლოგია 60-იან წლებში რეაქციონურიც არის და რევოლუციონურიც, ხოლო ჩერნიშევსკი და ილია ჭავჭავაძე გლეხობის იდეოლოგებიც არიან და ბურჟუაზიის იდეოლოგებიც. რადგანაც თითქოს „გლეხური იდეოლოგია იგივე ბურჟუაზიული იდეოლოგიაა“ (გვ. 49). დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია!

დავიჯეროთ ერთი წუთით, რომ ეს საოცარი, ერთმანეთის გამომრიცხველი ღებულებები სწორია, მაგრამ ეს ხომ მაინც არ არის პასუხი ზემოთ ხსენებულ კითხვაზე: რატომ ეძახიან ის დალოცვილი რუსი მეცნიერები ჩერნიშევსკის გლეხობის იდეოლოგს და ერთ კრინტსაც არ სძრავენ მის ბურჟუაზიულობაზე? მათაც ხომ არ დაუბრმავა თვალები სიყვარულმა? ამ კითხვის პასუხი ძალიან ძნელია, მაგრამ პატივცემული ოპონენტი არც ამ სიძნელეს უშინდება და ასეთ პასუხს გვაძლევს: „ჩერნიშევსკიმ თავისი მოღვაწეობა დაამთავრა, უკეთ დამთავრებინეს. ჯერ კიდევ მაშინ, 60-იან წლებში, როდესაც გლეხურ-წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია პროგრესულ, რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა... ილია ჭავჭავაძემ კი თავისი მოღვაწობა ფაქტიურად 60-იან წლებში დაიწყო და XX საუკუნეში გადმოაბიჯა“ (გვ. 49). აი, ოურმე. რაში ყოფილა საქმე! ილია ჭავჭავაძე რომ 60-იან წლებში მომკვდარიყო ან ციმბირში გადაესახლებინათ, მაშინ ისიც გლეხობის იდეოლოგი იქნებოდა, მაგრამ რაკი მეოცე საუკუნეში „გადმოაბიჯა“ — ამიტომ ბურჟუაზიის იდეოლოგია! კეთილი და პატიოსანი. მაგრამ გერცენი და ოგარიოვი ხომ არ გადაუსახლებიათ ციმბირში, ან კიდევ ანტონოვიჩმაც ხომ „გადმოაბიჯა“ XX საუკუნეში (იცოცხლა 1918 წლამდე). მაშ ისინი რატომ არიან რუსეთში ყველასაგან აღიარებულნი გლეხობის იდეოლოგებად?

ერთი სიტყვით, დღესავით ნათელია, რომ პატივცემული ოპონენტი ამ საკითხშიც არ არის მართალი, ე. ი. აშკარად მტყუანია! ალბათ,

სწორედ ეს არის ის სიმტყუვნის კარი, ხალხური ანდაზა რომ გულისხმობს.

რაკი ჩვენი პატივცემული ოპონენტი იმ აზრს დაადგა, რომ „გლეხური იდეოლოგია იგივე ბურჟუაზიული იდეოლოგიაა“ (49), მას ცხადია, შემდეგი ნაბიჯიც უნდა გადაედგა ამ მიმართულებით და გადადგა კიდევაც. ის ამბობს: „ილიას არასდროს არ უღალატნია ქართველი ხალხისათვის და იმ კლასისათვის, რომლის იდეოლოგად ის ობიექტურად გამოვიდა 60-იანი წლებიდან“ (გვ. 63), ე. ი. ბურჟუაზიისათვის.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აქ ქართველი ხალხის ინტერესები სავსებით გაიგივებულია ბურჟუაზიის ინტერესებთან. ამაზე შორს წასვლა კი მართლაც ძნელია, — ეს არის გვირგვინი ძველი თვალსაზრისის მომხრეთა მთელი მოღვაწეობისა!

ისმის კითხვა, რატომ მივიდა ჩვენი პატივცემული ოპონენტი ასეთ სავალალო დასკვნამდე, რატომ გაიხლართა იგი გამოუვალ წინააღმდეგობებში? კერძოდ, რატომ გააიგივა მან ბურჟუაზიისა და გლეხობის ინტერესები? თუ არ ვცდებით, ამ კითხვის ერთადერთი პასუხი ის არის, რომ პატივცემულ ოპონენტს არასწორად ესმის ბურჟუაზიული დემოკრატიის თვით ცნების ლენინური გაგება: როგორც ჩანს, მას მხედველობიდან გამორჩენია ლენინის პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ მეცნიერული ცნება გლეხებსაც მიუდგება და ლიბერალებსაც, მაგრამ პროლეტარიატის დამოკიდებულება „ბურჟუაზიული დემოკრატიის“ ამ ორი ნაირსახეობისადმი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უ ნ დ ა ი ყ ო ს ა რ ს ე ბ ი თ ა დ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი“[22] (ხაზი ჩემია — პ. რ.)

„აუცილებლად არსებითად სხვადასხვაგვარიო“, — ამბობს ლენინი. მაგრამ კიდევაც რომ არ ეთქვა ეს ლენინს ასე პირდაპირ, განა მთელი მოძღვრება მარქსიზმ-ლენინიზმისა და მთელი ჩვენი საბჭოთა იდეოლოგია არ გვასწავლის, რომ მშრომელი გლეხობა სხვაა და ბურჟუაზია — სხვა, და რომ, მაშასადამე, მათი ინტერესებიც, ე. ი. მათი იდეოლოგიებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

მაგრამ კმარა!

ასეთია ის არგუმენტები, რომელთა საშუალებითაც პატივცემული ოპონენტი ცდილობს ძველი თეორიის დაცვას და ახალი თვალსაზრისის დარღვევას. მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, ყველა მისი არგუმენტი უსაფუძვლო აღმოჩნდა. ამ არგუმენტებმა იოტის ოდენადაც ვერ

---

[22] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 457.

წასწიეს წინ ძველი თეორია, ვერც ერთი მეცნიერული ატომი ვერ მიუმატეს თერგდალეულთა კლასობრივი ბუნების გაგებას; პირიქით, ამ „არგუმენტებმა“ უფრო გააბუნდოვნეს და დახლართეს ძველი თეორია. რომელიც წინათ, რაც უნდა იყოს, გარკვეული კონცეფცია იყო, ახლა კი. მისი თანამედროვე დამცველების ხელში, ყალბი და ერთმანეთის გამომრიცხველი აზრების ნაფლეთებად იქცა.

ჩვენი დღევანდელი კამათი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ამოიწურა ძველი თეორიის დაცვის ყველა შესაძლებლობა და ისეთი ნიჭიერი ისტორიკოსიც კი, როგორიც უთუოდ ბრძანდება პატივცემული პროფესორი იური კაჟარავა, ვეღარ პოულობს სერიოზულ არგუმენტებს მის დასაცავად. ეს ფაქტი სასიამოვნოც არის და სამწუხაროც. სასიამოვნოა — იმიტომ, რომ აშკარად ეტყობა, ძველი თეორია საბოლოოდ დამარცხებულია, სამწუხარო კი იმიტომ, რომ ჩვენი დღევანდელი დავა ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობის უტყუარი ნიშანია. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მეცნიერებმა ამ მხრივ ჩვენ დიდად გაგვისწრეს. ვინ დავობს დღეს რუსეთში იმაზე, თუ ვინ იყვნენ 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატები, გლეხების იდეოლოგები, თუ ბურჟუაზიის იდეოლოგები! ან კიდევ: 60-იან წლებში ბურჟუაზია უფრო რევოლუციური იყო, თუ გლეხობა და საერთოდ წვრილი ბურჟუაზია? ეს საკითხები მათთვის დიდი ხანია გარკვეული და გადაწყვეტილია: ან კიდევ ავიღოთ, თუ გნებავთ, უკრაინა: ვინ დავობს იქ დღეს ტ. შევჩენკოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა კლასობრივი ბუნების საკითხზე? ეს საკითხი მათთვისაც დიდი ხანია ნათელია. ასევე აღარავინ დავობს ბელორუსიაში კალინოვსკის. ხოლო სომხეთში ნალბანდიანის შეხედულებათა კლასობრივ არსზე. მართალია, წინათ სომხეთშიც იყო დავა ნალბანდიანის მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხების ირგვლივ, მაგრამ ეს დავა დიდი ხანია დამთავრდა და დღეს ნალბანდიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნება აღარავისთვის არ არის საეჭვო. აი, როგორ არის, მავალითად, ეს საკითხი დაყენებული და გადაწყვეტილი ხ. მომჯიანის წერილში, რომელიც დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1954 წელს ჟურნალში „ვოპროსი ისტორიი“:

«Творчество М. Л. Налбандяна отразило борьбу трудящихся Армении против национально-колониального гнета царского самодержавия и социального гнета феодально-клерикальных элементов и национальной буржуазии. Боясь народных масс, армянская буржуазия, как и русская буржуазия, отвергала идею насильственного уничтожения феодально-крепостнического строя и шла на сделку с самодержавием. Единственной си-

ной, выступавшей за коренную ломку феодально-крепостнических отношений, являлись народные массы и прежде всего крестьянство» («Вопр. ист.», 1954, № 12, стр. 39).

როგორც ვხედავთ, აქ ყველაფერი თავის ადგილას არის. სწორედ ეს არის ამ საკითხის მეცნიერული, ლენინური დაყენება.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ამჟამად მარტო ჩვენ, ქართველი მეცნიერები, ჩამოვრჩებით 60-იანელთა შეფასებაში და დღემდე გვაქვს ამ საკითხზე გაუთავებელი კამათი.

სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად ვდავობთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მარქსიზმის ანბანია და რომელთა ამომწურავი განმარტება ყოველ მარქსისტულ სახელმძღვანელოში მოიპოვება. ციტატობიამ და დოგმატიზმმა ისე გაიდგა ფესვი, რომ ზოგიერთი ჩვენი მეცნიერის ნაშრომებიდან ცოცხალი ისტორიული სიტყვა გაქრა: კონკრეტული ისტორიული კვლევა შეცვალა ციტატამ, ანალიზი—ფრაზამ, განზოგადება—ახირებულმა ანალოგიებმა. ასეთ ვითარებას არ შეეძლო არ გამოეწვია ჩამორჩენა ჩვენი ისტორიოგრაფიისა, საერთოდ, და თერგდალეულთა ისტორიოგრაფიისა, კერძოდ. ამით აიხსნება ის სავალალო ფაქტი, რომ ზოგიერთი ჩვენი მარქსისტი მკვლევარი დაცილდა ხალხის აზრსა და შეხედულებას თერგდალეულებზე. ჩვენი ხალხი არასოდეს არ შერიგებია და არც შეურიგდება ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გაბიაბრუების თუ შეუფასებლობის ცდებს. ამ აზრივ ილია ჭავჭავაძე ერთგვარი სასინჯი ქვაა. — ვინც მას ღირსეულად ვერ დააფასებს, ის არ შეიძლება იყოს თანამედროვე მეცნიერების წარმომადგენელი.

ეს წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძემ მაღლა აღმართა ქართველი ხალხის დიდი საბრძოლო დროშა, რომელზედაც ეწერა: ძმობა, ერთობა და თავისუფლება! მას შემდეგ ბევრი მელანი დაიხარჯა, ბევრი შუბი გადატყდა იმ ბრძოლაში, რომელიც ილიას ირგვლივ სწარმოებდა. ახლა კი სწორედ დროა, რომ დავამთავროთ ეს ბრძოლა, ბატონებო!

ბოდიშს ვიხდი პატივცემული ოპონენტის წინაშე, — რომელსაც ნამდვილად დიდ პატივს ვცემ, — რომ შესაძლოა კამათის დროს ყოველთვის ვერ ვახერხებდი ვყოფილიყავი თავაზიანი, თუმცა ამას ძალიან ვცდილობდი.

ბ. რაბინი

1963 წ.

Ш. А. ХАНТАДЗЕ

К ИСТОРИОГРАФИЧЕСКОЙ ХАРАКТЕРИСТИКЕ «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

Грузинская историография прошла долгий и содержательный путь развития. Грузинский народ с незапамятных времен «помнит себя» и это хорошо отражено в легендах, мифах, преданиях и других фольклорных материалах Грузии. Вполне основательным выглядит соображение Н. А. Бердзенишвили, что «у иберийцев знание своей политической истории, в виде стройного повествования, должно быть имелось в дохристианскую эпоху», а «их собратья, эгрисцы, хвалались тысячелетним наследием прославленных в древнем мире колхов»[1].

Особенно богатая и содержательная историография создается в Грузии в эпоху феодализма. Дошедший до нас самый ранний памятник грузинской историографии (и вообще литературы) — «Мученичество св. Шушаник» Якова Цуртавели — относится к раннефеодальному периоду и датируется 70—80-ми годами V века. С того же времени берет свое начало история грузинской историографии. Традиции античной эпохи можно будет выявить лишь в результате скрупулезного анализа памятников ранней грузинской историографии[2].

Раннефеодальная эпоха наложила свой отпечаток на первые историографические памятники грузинского народа. Боровшиеся за феодальное присвоение общинных крестьянских земель дворяне-азнауры приняли на свое вооружение новую и прогрессивную к тому времени христианскую религию и использовали ее в борьбе за порабощение свободных землепашцев. Роль христианской церкви и религии в этом процессе была весьма внушительной. Но более важную роль христианство сыграло в многовековой борьбе грузинского народа

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Вопросы истории Грузии. III, Тб., 1966, стр. 293.

[2] М. Д. Лордкипанидзе, Грузинская историческая литература раннефеодальной эпохи, Тб., 1966, стр. 10—11.

за независимость, за сохранение своего существования и этнической самобытности. В условиях, когда грузинский народ оказался втянутым в водоворот борьбы христианской Византии с маздеянской Персией, когда наша страна стала одной из арен этой борьбы, вопрос о религии превратился в важное звено политической ориентации Грузии. Интересы внутреннего развития раннефеодальной Грузии неотразимо диктовали ориентацию на христианское государство, на Византию. Против маздеянской Персии развернулась бескомпромиссная борьба. В процессе этой борьбы появляются ранние грузинские историографические памятники («Мученичество св. Шушаники», «Мученичество Евстафия Мцхетели»...), зарождается грузинская историография. Историография носит церковно-религиозный характер, она отражает в основном историю деятелей грузинской церкви, подвиги людей, пожертвовавших себя ради христианской веры. Ранние памятники грузинской историографии — «мученичества» (Шушаники, Евстафия Мцхетского, Або Тбилели, Гоброна и т. д)[3] посвящены именно этим подвигам. Но вместе с тем они имели большое общественное звучание; они призывали соотечественников к борьбе за сохранение национальной религии, национальной независимости и самобытности в условиях натиска иноземных поработителей призывали к стойкости и выдержке. Такая целенаправленность этих памятников придавала им большое общественное значение, превращала их в значительную идейно-политическую силу. Этим и нужно объяснить, что в этих памятниках почти не остается места для пространных религиозно-догматических рассуждений, молитв, описания чудес и т. д. Конфессиональные интересы в них принесены в жертву национальным.

Феодальное общество в Грузии уже в VIII столетии достигло своей зрелости, оформилось всеми характерными для развитого феодализма признаками. Складывается феодальная иерархия, крепостное крестьянство превращается в главную производительную силу, возникают крупные феодальные хозяйства («Звари», «Ходабуни»), страна вступает в стадию политической раздробленности, появляется ряд отдельных крупных феодальных княжеств и царств, развернувших борьбу за политическую гегемонию («эпоха политической раздробленности»). К концу X века эта борьба привела к политическому объединению страны, к созданию единой грузинской монархии. В грузинском феодальном обществе значительно обострилась классовая борьба.

В эту эпоху в грузинской церковной литературе имеет место большой сдвиг, создается другая группа ранних грузинских

---

3 Н. А. Джавахишвили, Древне-грузинская агиографическая литература (V—XVIII вв.), Тбилиси, 1945, стр. 35—44.

историко-литературных памятников — «Жития» (Григола Хандзтели, Серапиона Зарзмели, Илларпона и др.), которые ставят своей целью прославить деятельность отдельных церковных лиц, указать на исключительное значение этой деятельности. Эти произведения своим богатым содержанием, красочным изложением событий и стройностью композиции, свидетельствуют о значительном прогрессе грузинской историографии. Несмотря на свою определенную целенаправленность, они отображают почти всю общественную жизнь эпохи, дают описание отдельных эпизодов развернувшейся в стране классовой борьбы, защищают интересы господствующих классов. Возрастает социально-общественное значение исторического творчества. Улучшаются методы и приемы историографии. «Каждое историческое сочинение, — пишет В. Габашвили об историографии этого периода, — слагалось из определенных частей. Побочные моменты были так естественно и искусно включены в произведение, что последовательность изложения и основная линия повествования не нарушались.

Сочинения грузинских историков в этом отношении выгодно отличались от современных им европейских «хроник», авторы которых часто теряли нить повествования вследствие весьма примитивной композиции»[4].

В то же время разрабатываются кардинальные вопросы истории грузинской церкви (Принятие христианства — «Обращение Картли», прибытие в Грузию сирийских отцов и их деятельность, церковный разрыв с Арменией, вопрос об автокефалии грузинской церкви и т. д.). Освещаются также некоторые другие культурно-исторические проблемы.

С конца X века в истории Грузии начинается второй период развитого феодализма («эпоха политического единства»), когда в политически объединенной стране происходит дальнейшее быстрое развитие производительных сил, окончательно закрепощается крестьянство, крайне обостряется классовая борьба, происходит рост городов и городской жизни... В XII—XIII веках феодальная Грузия достигла наивысшей ступени своего развития.

Грузинская церковная историография этого периода, имела большие успехи. Это особенно проявляется в улучшении техники историописания. В сочинениях Георгия Атонели, Георгия Иеромонаха, Ефрема Мцире и др. расширен круг исторических источников, часто встречаются случаи их критики, обоснование их достоверности, применен метод аналогии, филологическая интерпретация текстов, встречаются элементы исторической критики и т. д. Характеризуя грузинскую историографию XI—XII вв., В. Н. Габашвили пишет: «Грузинская исто-

[4] В. Н. Габашвили. Вахушти в свете европейской историографии XVII—XVIII вв., «Аналеби», I, 1917, стр. 59 .

рнография того времени имела ряд признаков, которые были характерны несколько веков позже для итальянской гуманистической историографии XV—XVI вв. Эти признаки: существование правила ссылки на источники, композиционная целостность исторических сочинений, случаи использования правил простой исторической критики, филологическая интерпретация текстов и, особенно, увлечение античной литературой»[5].

Основной новизной эпохи является возникновение светской грузинской историографии, отдельные элементы которой встречаются и в предшествующем периоде (имеются в виду некоторые части сборника «Мокцевай Картлисай» — «Обращение Картли»). Эта историография, наряду с церковной, образует одно из основных звеньев в историческом мышлении эпохи. Создаются произведения, ставившие целью описание политической жизни страны, деятельности царей, полководцев, героев военных походов. Сочинения Леонтия Мровели, Джуаншера, анонимного автора «Летопись Картли», Сумбата Давитисдзе, историка царя Давида и т. д., являются не только первостепенными источниками для истории древней Грузии, но вместе с тем они значительные памятники нашей историографии, грузинской исторической мысли XI—XIII веков.

В XII—XVI веках эти сочинения постепенно были объединены в единый, большой сборник грузинских летописей — «Картлис цховреба», являвшийся, как мы уже сказали, основным памятником средневековой грузинской феодальной историографии, которая воплощает в себе все ее основные характерные признаки[6].

---

[5] Там же.

[6] Н. А. Бердзенишвили, Основные линии развития грузинской историографии, Тезисы, Тб., 1964, стр. 16. О «Картлис цховреба» существует обширная литература, в которой она охарактеризована как исторический источник, изложена история ее создания, выяснены ее источники, составные части, дана датировка отдельных ее частей и освещен ряд других вопросов. Интересуясь лишь историографической сущностью этого памятника, мы опускаем изложение вышеупомянутых вопросов и опираемся на ныне общераспространенные взгляды на «Картлис цховреба», изложенные в исследованиях И. А. Джавахишвили и С. Г. Каухчишвили. По вопросу о «Картлис цховреба», как источнике истории Грузии; см. И. А. Джавахишвили, указ. соч., стр. 299—317; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 28 — 47; Введение к публикации этого памятника, принадлежащее С. Г. Каухчишвили, КЦ, I, стр. 07—054; II, стр. 07—078; К. С. Кекелидзе, История груз. литературы, I, стр. 136—143; II, стр. 252—262; Его же, Этюды..., II, Тб., 1945; К. Г. Григолия, Ахали Картлис цховреба, Тб., 1954, стр. 93 и след.; С. Н. Какабадзе, Санеторно дзиебани, Т., 1924; Toumanoff, Medieval georgian historical literature (XII—XV c.), Traditio I, 1943, стр. 161—176 и ряд других работ.

Создание этого интересного сборника нужно считать большим успехом средневековой грузинской историографии. Благодаря ему было выработано единое, цельное и стройное представление об истории Грузии, начиная с древнейших времен и до начала XIV века. Феодальное грузинское общество имело свой взгляд на ряд кардинальных вопросов истории Грузии, своеобразно освещало их. Многое в этом памятнике явилось отражением интересов эпохи, отвечало социальным и политическим запросам все усиливающихся класса феодалов и грузинского государства. Многие вопросы по истории Грузии, поднятые в этом памятнике, в XII—XIV веках, в момент складывания сборника, являлись актуальными и животрепещущими. «Картлис цховреба» служила основой исторических знаний и представлений грузинского феодального общества.

И так-как процесс развития новой грузинской историографии, историографии XVIII—XIX вв., нам представляется в основном как постепенное усиление и углубление критики этого памятника, его постепенное методологическое и идейное преодоление, мы должны более подробно охарактеризовать идейное содержание, мировоззрение, методологию и методику (технику) авторов и составителей «Картлис цховреба». Естественно, что исчерпывающего историографического анализа этого памятника здесь, в журнальной статье, мы дать не сможем. Отметим лишь основные характерные особенности, присущие вообще феодальной грузинской историографии, а затем проследим как в процессе развития этой историографии началось постепенное перерождение этих признаков в их противоположность.

Итак, каковы основные идеи, идеология и методологические особенности грузинских летописей, вошедших в сборник «Картлис цховреба»[7].

Прежде всего следует отметить, что сборник — «Картлис цховреба» является историографическим памятником фео-

---

[7] Безусловно, произведения, вошедшие в сб. «Картлис цховреба», не являются однородными, иногда существенно отличаются друг от друга своими достоинствами, обилием сведений, достоверностью сообщаемых фактов и т. д. При использовании этих летописей И. А. Джавахишвили справедливо требовал точно указать именно какое сочинение имеется в виду. В таких условиях, нам могут сказать, что такое общее рассмотрение этого сборника, неоправдано. В связи с этим должны заметить, что требование И. А. Джавахишвили относится к сборнику, как к источнику истории Грузии, мы же рассматриваем его как историографический памятник, как источник истории исторической мысли. В этом отношении авторы и составители сборника существенно не отличаются друг от друга, они представляют единую «школу», имеют одинаковую методологию, идеологию и мировоззрение. Незначительные различия в их воззрениях, будут отмечены особо.

дального грузинского общества, его «учебником» по истории Грузии, памятником его официальной историографии. Он всецело принадлежал феодальной верхушке этого общества, выражал и защищал социальные, экономические и политические интересы господствующих классов.

Защита социальных и политических интересов господствующих классов, вообще, является одним из самых характерных признаков средневековых исторических сочинений, средневековой феодальной историографии: эта историография защищала существующий социально-экономический и политический строй, являясь апологией феодальной эксплуатации народных масс[8]. Следовательно, летописный сборник «Картлис цховреба» выражает лишь одно, господствующее направление в грузинской историографии средних веков, он состоит из однородных по своей классовой принадлежности исторических сочинений и проникнут единым мировоззрением, идеологией и методологией[9]. Это — мировоззрение и идеология господствующих классов

В противоположность этой официальной историографии феодального грузинского общества в народных преданиях и сказаниях разных эпох, складывался другой взгляд, другой подход и другая оценка многих событий, как межплеменной, так и, особенно, межклассовой борьбы феодальной Грузии. Это была, по удачному выражению Н. А. Бердзенишвили, «народная, крестьянская «Картлис цховреба», сохранившаяся лишь в устной словесности (предания о Гудушаури, о Лобжанидзе-Джапаридзе, о борьбе пшавов и хевсурцев против арагвских эриставов, стихи об Арсене и т. д.)[10], и лишь мельком отразившаяся в письменных памятниках феодального периода.

«Историки XII—XIII вв., — пишет В. Н. Габашвили, — тенденциозно освещали общественно-политическую жизнь грузии того времени. Анонимный историк царицы Тамары выражал свое восхищение тем, что в этот период «не только азнауры сделались вельможами, вельможи же властителями, но и земледельцы уподобились азнаурам». Подобное славословие по адресу правителей грузин ярко характеризует классовые

---

[8] О. Л. Вайнштейн, Западно-европейская средневековая историография, М., 1964, стр. 58 и след.

[9] Однако нужно заметить, что острая классовая борьба, в условиях которой сложился этот памятник, наложила свой отпечаток на него и проложила в нем путь отдельным эпизодам, отражавшим интересы и стремления эксплуатируемых слоев общества (напр., описание восстания горцев в начале XIII в. и др.).

[10] Н. А. Бердзенишвили, Вопросы истории Грузии, III, 1966, стр. 328. Нужно признать, что историографическое содержание и значение богатого грузинского народного фольклора, пока что еще ждет своего исследователя.

и исторические позиции грузинских историков XII—XIII вв. Являясь защитниками крепостнических порядков, они называли ожесточенную классовую борьбу своего времени «беспорядками» и усматривали их причины в отдельных действиях вельмож и властителей (эриставов)»[11].

Такая целенаправленность средневековых исторических хроник давно известна[12], сборник «Картлис цховреба» не составлял в этом отношении исключения. Отсюда вытекал основной методологический принцип историографии средних веков: излагать лишь историю господствующих классов, вернее, представителей этих классов: царей, вельмож, правителей, князей и т. д. М. Стасюлевич подчеркивал, что для средневекового историка слово «народ» означало «сословие», и сам народ вовсе исключался из истории[13]. По этому принципу написаны все летописи, включенные в сборник «Картлис цховреба». Эту черту сборника еще в прошлом веке подметил Илья Чавчавадзе, который писал: «Наша «Картлис цховреба» не является историей народа, она — история царей, народ-же, как действующее лицо истории, оттеснен в тени. Как будто для познания истории народа достаточно знать лишь историю царей. Да и действия самих царей показаны по отношению внешних дел, а не внутренних»[14].

И действительно, все основное содержание сборника «Картлис цховреба» сводится к описанию деятельности царей, вельмож, полководцев, их походов, сражений и т. д. Эти события признаются ими главным объектом исторического повествования. Об этом говорится и в оглавлениях сочинений, объединенных в сборнике. Так, Леонти Мровели назвал свой труд: «История царей грузинских, первоначальных отцов и племен» (ნათესავთა). Сочинение Джуаншера ставит своей целью описать «Жизнь Вахтанга Горгасала», анонимный историк царя Давида Строителя пишет «о жизни Царя царей Давида»; сочинение историка царицы Тамары озаглавлено: «История и восхваление венценосцев....» и т. д. «Такое название точно выражает характер произведения, — пишет К. С. Кеке-

---

11 В. Н. Габашвили, Историография Грузии, в кн. Очерки истории исторической науки, I, 1955, стр. 143.

12 Об этом еще в прошлом веке писал М. Стасюлевич в статье: «Средневековый историк и его отношение к своему обществу», см. Вестник Европы, 1866, № 1, стр. 291 и след.

13 Там же, стр. 271, 275.

14 И. Г. Чавчавадзе, Сочинения, IV, Тб., 1955, стр. 175. Аналогичное мнение по отношению средневековых европейских хроник высказано в статье О. А. Добиаш-Рождественской, О хронике Адемара Шабанского, Уч. Зап., ЛГУ, 1934, вып. 4, стр. 148; См. О. Л. Вайнштейн, указ. соч., стр. 62.

лидзе, — оно действительно является историей царей... Эта история (речь идет об истории царицы Тамары — Ш. Х.) в то же время является восхвалением, прославлением, то есть воспеванием, настоящим панегириком в духе, например, vita parallela Плутарха...»[15]

Приводить тут примеры, подтверждающие эту основную методологическую черту сборника, считаем излишним; пришлось бы пересказать все содержание памятника. Лишь изредка встречаются случаи, когда историки затрагивают другие слои общества, повествуют о фактах из жизни народа...[16].

Мировоззренческую основу историографических взглядов авторов и редакторов «Картлис цховреба» составляет христианско-богословская «теория», изложенная в святом писании отцов церкви. Христианская концепция исторического процесса наложила свой отпечаток на взгляды грузинских историков средних веков.

Известно, что средневековая христианская концепция исторического процесса рассматривала историю людей, как отражение божественной истории, она характеризовалась провиденциализмом, дуализмом, идеалистическим объяснением событий[17]. Известный католический историк П. Руссэ, посвятивший интересный очерк средневековой исторической концепции, пишет: «Средневековый хроникер отвергает размножение небесных и мирских дел и часто не видит линию их раздела. И составленная им история содержит явления скорее духовные, чем светские»[18].

В той или иной мере эти черты присущи также грузинской средневековой историографии. Рассмотрим их проявление в летописях «Картлис цховреба».

Провиденциализм, как известно, является основной характерной чертой христианско-богословской концепции историчес-

---

15 История и восхваление венценосцев, перевод, предисловие и примечания акад. К. С. Кекелидзе, Тб., 1954, стр. 5.

16 К. Г. Григолия., О чем повествует «Картлис цховреба», Тб., 1961, стр. 80—82.

17 О. Л. Вайнштейн, Некоторые черты средневековой историографии. СВ., т. 25, 1964, стр. 253—263; Его же. Западноевропейская средневековая историография. М., 1964, стр. 58 и след. М. А. Заборов, Введение в историографию крестовых походов, 1961, М.; А. В. Красиов, Критика христианской концепции исторического процесса, М., 1966, автореферат. R. Milburn, Early christian interpretation of history, L. 1954.

18 P. Rousset, La conbdption histoire à l'époque féodale. см. Mélanges d'histoire... dediés la mém. de L. Halphen. P., 19 1, стр. 626 („Le chroniqueur médieval — пишет Руссэ—refuse de séparer la sacré et le profane, ou plutôt il ne voit pas la ligne de partage, et l'histoire qu'il rédige concerne autant les événements spirituels que les évenements temporals").

кого процесса[19]. В христианском мире были распространены два варианта провиденциалистских «теорий». Согласно одному из них «весь ход всемирной истории от начала и до самого конца заранее предопределен богом в мельчайших подробностях»[20]. Все происходит по божьему предопределению, как естественный процесс, без всякого ежедневного вмешательства бога.

При таком истолковании провиденциализма получалось, что бог, как первопричина всего сущего и происходящего, является и источником зла[21]. Для отклонения этого неудобства был введен догмат о свободе воли человека. Человек, обладавший свободной волей, часто уклоняется от божьего предопределения, он склонен ко злу. Требуется ежедневное вмешательство бога, чтобы направить людей по правильному пути. Сложился второй вариант провиденциалистской «теории», согласно которому божий план намечен лишь в общих чертах и в процессе его осуществления бог постоянно вмешивается в людские дела, чтобы дать событиям нужное направление. «Человек — не фактор истории, а слепое орудие бога, марионетка, которую дергает за ниточки единственный герой всемирно-исторической драмы — всевышний»[22]. Бог осуществляет свое вмешательство в повседневной жизни людей, народов и государств не только в виде помощи и поддержки их богоугодных дел, но и в виде кары за их грехи, за уклонение от правоверного образа жизни.

В грузинских летописях «Картлис цховреба» проявляется именно второе толкование провиденциализма. Тут встречаются примеры, когда христиане при помощи бога или креста господни одолевают многочисленных врагов веры христовой, одерживают победы над ними. Приведем несколько примеров.

В жизнеописании царя Вахтанга Горгасала (летописец Джуаншер), которое больше других частей сборника проникнуто религиозным духом, рассказывается о борьбе царя Арчила с персидским воеводой, правителем Рана и Мовакана. Враг подступил к границам Картли, где его встретили грузинские войска. На реке Бердужи разыгралось сражение, в котором грузины «силою креста святого» одержали победу над врагом. И по всей Грузии царь объявил, что «ни силою нашей, ни храбростью, ни мудростью, ни множеством сил своих мы победили врага, а лишь крестом господа нашего Иисуса Христа, сына бога, который дал нам в предводители и покровители

---

[19] О. Л. Вайнштейн, указ. соч., стр. 69—70; Е. А. Косминский. Историография средних веков, М., 1963, стр. 19—20.

[20] О. Л. Вайнштейн, указ. соч., стр. 69.

[21] А. В. Краснов, указ. соч., стр. 7.

[22] О. Л. Вайнштейн, там же.

креста своего святого. Да восхвалят все грузины троицу единую, бога вечного творца всего»[23]. Тот же автор утверждает, что благодаря помощи и покровительству Христа, войска царя Вахтанга Горгасала, призванные на помощь персидским царем во время походов против Индии, Синда и Абашети, ни разу не потерпели поражения[24].

В правлении Гурама Курапалата над Грузией нависла большая опасность. Персы разгромили всех своих врагов и собирались напасть на Грузию; «но вновь сошла благодать божья на христиан и начались междоусобицы в Персии»[25].

Божью помощь видит и анонимный автор хроники «Мокцевай Картлисай» в победе грузин-горцев над грозным арабским завоевателем Буга[26]. Он же божью волю усматривает в чудном спасении Баграта, царевича абхазского, брошенного в море врагами[27]. А все деяния Баграта IV-го, по словам нашего автора, были совершены при помощи божьей, возлюбившим великого государя[28]. Царь Георгий II одержал победу у Парцхиси над турко-сельджукскими войсками с помощью бога и «предводительством святого креста»[29].

Историк царя Давида Строителя не раз прибегает к провиденциалистскому объяснению успехов прославленного царя. Он утверждает, что «сам бог небесный нашел Давида, раба своего и святостью своею освятил его, и десница его помогала ему, и рука божья усилила его»[30]. Бог управлял делами Давида и направлял все его пути и даровал время от времени удивительные победы и предводительствовал силою своею[31]. По мнению историка, блестящая победа грузин над коалицией турко-сельджукских государств, одержанная близ Дидгори под руководством царя Давида, была достигнута при явной помощи бога. «Ибо рука всевышнего помогала ему и силы небесные покровительствовали ему, и святой мученик Георгий явно и на виду у всех предводительствовал им, десницей своей уничтожал напавших на него безбожных язычников. И сами те безбожные и не знающие (веру) признают и рассказывают об этом чуде великомученика Георгия, как он сразил силою своей славных тех воинов Арабистана...»[32].

---

23 КЦ, I, стр. 140.
24 Там же, стр. 188.
25 Там же, стр. 220.
26 Там же, стр. 256.
27 Там же, стр. 258.
28 Там же, стр. 290.
29 Там же, стр. 317.
30 Там же, стр. 324.
31 Там же, стр. 329.
32 Там же, стр. 341.

И во время дискуссии по вопросам истинной веры, развернувшейся между грузинскими и армянскими епископами, речь Давида, которая покорила всех, была «дарована богом в устах его»[33]. Описывая смерть Давида, историк рассуждает о промысле божьем: «И тогда тот предопределитель жизни нашей и к лучшему тем определением изменявший всего, который знает все и распределяет время и годы наши, так решил, как работник славный: увидев колосья, полные плодами и сгибаемые к земле, спешит собрать их; И как лодочник мудрый, увидев, что чели его полон грузом различным, спешит к пристани, чтобы не было вреда от волн моря... Так и призвал он к себе царя Давида»[34].

Духом провиденциализма проникнуто и повествование историка царицы Тамар, автора «Истории и восхваления венценосцев»[35], который утверждает, что «от времен до времен по изволению свыше, появляются, как свет, миродержатели...»[36]. И воцарение царицы Тамар было делом божьим; «... промыслом и призрением того, волею которого определяется высокая доля царей»[37]. Бог всегда поддерживал благие дела царицы Тамар: «Семисветлая Тамара была прославлена тем, который в течение шести дней призвал к бытию все сущее, в седьмой же день отдохнул»[38]. В момент заговора против царицы Тамар, по словам историка, «так как рука господня и десница высокая, помогавшая ей против врагов и поднявшая за нее оружие и щит, встретила ее противников, расстроилось намерение их, как некогда намерение Авиафара, священника и военачальника Иоава, которые соединились с Адонием, братом Соломона»[39].

Немало примеров можно привести и о другом проявлении провиденциализма, когда всевышний карает людей за грехи, когда бедствия и неудачи вызваны гневом божьим. Именно так расценивается в рассказе Джуаншера отторжение византийцами территории в западной (от Эгрис-цкали до Цихе-Годжи) и юго-западной (Кларджети) Грузии, при чем грешными выставляются не царствующие особы, а народ («Не из-за грехов царей наших свершилось это, а из-за грехов народа»)[40]. За безбожные дела был наказан всевышним по утверждению

---

33 КЦ, I, стр. 357.

34 Там же, стр. 361.

35 История и восхваление венценосцев, перевод К. С. Кекелидзе, Тб., 1954, предисловие, стр. 8—9.

36 Там же, стр. 18.

37 Там же, стр. 30.

38 Там же, стр. 34.

39 Там же, стр. 37.

40 КЦ, I, стр. 146.

того же автора, правитель Катли Степанос, который возлюбил неверных и преследовал верующих[41].

Автор «Матианэ Картлисай» подобным же образом объясняет усиление арабов и их опустошительные набеги на Грузию. «Промыслом божьим за умножение грехов наших усилились агаряны», — пишет он[42]. А в связи с нашествием турков-сельджуков (вторжение Алф-Арслана), обрисовав плачевное состояние Картли, гибель множества людей, разрушение церквей и другие бедствия, историк говорит, что «гнев Божий, мзда за грехи наши, свидетельствовалось и небом, покрывшимся на Востоке над Картли кровотечными тучами...»[43].

Пространно рассуждает о гневе божьем, пославшим на Грузию врагов ее (сульджуков) и даже естественные бедствия, историк царя Давида Строителя. В связи с землетрясением, имевшим место в 1090 г., он пишет: «И в это время не успокоилась страна, и не было счастья для людей из-за безбожности обитателей, ибо люди всех возрастов и чинов согрешили перед Богом и отошли от праведного пути ко всяким грехам и милосердный и добрый от природы бог наш разгневали так сильно, что сами испытали на себя определение гнева, положенное Исайем для язычников... И не погас гнев божий на нас, ибо не покаялись мы, не вразумили и не повернули на праведный путь божий. Поэтому, наряду со многими несчастьями, имевшимися на земле, сошлись и другие небесные испытания на нашу страну... И в день пасхи, в воскресение господа нашего Иисуса Христа, когда мы должны были радоваться и блаженствовать, ниспослал нам гнев свой бог и сотряслась земля до основания, так сильно, что горы высокие и скалы крепкие в пыль превратились и города и села разрушились, церкви обвалились, дома исчезли и превратились в груды камней, сделавшись могилой живших в них обывателей...»[44].

Аналогичные рассуждения мы находим и у историка царицы Тамар. Излагая историю известного заговора 1177 года, историк заявляет, что «бог разгневался на Орбелов (руководителей заговора — Ш. Х.) и на потомков их.. И пошли измена, столкновение, убийства, кровопролитие и разорение. Бог, творящий правое, не попустил Авесалому возобладать над Давидом...»[45]. Также покарал бог заговорщиков и впоследствии, в первые годы воцарения Тамары после смерти царя Георгия[46].

---

41 КЦ, I, стр. 226.

42 Там же, стр. 250.

43 Там же, стр. 309.

44 Там же, стр. 322—323.

45 История и восхваление венценосцев..., стр. 29.

46 Там же, стр. 50.

Наиболее сильное проявление такого рода провиденциализма («мзда за грехи») мы находим у анонимного историка XIV века — «Жамтаагмцерели», описавшего нашествие на Грузию татаро-монгольских завоевателей и их почти столетнее господство. Все бедствия, превратности судьбы, все несчастья и испытания, которые сопровождали нашествие и господство монголов, историк изображает, как кару за грехи, как ниспосланная богом мзда за уклонение от праведного образа жизни. Приводить тут примеры, нет надобности. Буквально на каждом шагу, за каждым событием, бедственным для грузин, историк повторяет, что «ниспослано то было всевышним из-за умножения грехов наших»[47].

В летописях «Картлис цховреба» заметны и другие черты средневекового христианско-богословского мировоззрения. Так, например, в них проявляется вера в чудеса, вещие сны и т. д. Леонтий Мровели рассказывает о чудесах, творимых крестом «Свети цховели» в Мцхета[48]. Он же описывает вещий сон Парнаваза перед находкой клада, с помощью которого он поднял восстание против Азо[49]. Леонтий упоминает также чудесное превращение армянского царя Трдата[50] и вещий сон св. Нины[51]. Пространное описание вещего сна царя Вахтанга Горгасала находим мы в повествовании Джуаншера, при этом на основании виденных во сне явлений и предсказаний, Вахтанг решает вопрос о своей внешнеполитической ориентации[52]. По рассказу Джуаншера царю Арчилу перед столкновением с арабами (Мураван-Кру) явился ангел, который передал ему божью волю о немедленном выступлении против арабов[53].

И у анонимного автора «Матианэ Картлисай», который меньше всего обнаруживает влияние провиденциалистской теории, встречаем мы упоминание о чудесах. Так, например, когда арабы разорили Кахети и похитили крест, разрезали его и унесли, то чудодейственной силой креста среди арабов распространяются болезни и они вынуждены, догадавшись об этом, вернуть все части креста, восстановить его и поместить на свое прежнее место[54].

Несколько чудес описаны и историком Давида (появление св. Георгия перед грузинскими войсками во время Дид-

---

47 См. КЦ, II, стр. 157, 165, 166, 168, 171, 177, 179 и многие другие.
48 КЦ, I, стр. 131.
49 Там же, стр. 21.
50 Там же, стр. 84.
51 Там же, стр. 86.
52 Там же, стр. 167—170.
53 Там же, стр. 237.
54 Там же, I, стр. 265.

горской битвы, голос радости из могилы царицы Катраник в связи с освобождением города Ани от мусульман и др.) и автором истории царицы Тамары (о превращении Трдата, чудесное спасение яиц птицы Алкауна от бури и воли морских, описанное Василием Кессарийским и др.)[55].

По представлению средневековых историков в людские дела вмешивается не только бог и небесные силы, но и дьявол тоже. Вообще мир разделен на две части: видимый мир и невидимый. К невидимому миру относится, с одной стороны, царство божье, с другой, преисподня, где властвует дьявол. Джуаншер именно так и представляет потусторонный мир, когда он говорит о том, как дарубандские владетели оказались под властью дьявола[56]. Историк царицы Тамары поясняет: «Они, праведники, порабощены были в аду убийце нашему и самоубийце Самаелу, который будучи низвергнут с высот неба в преисподнюю, светлое ангельское состояние переменил на мрачное и превратился в дьявола, держащего в руках любящих бога и любимых им»[57]. Далее он рассказывает о явлении Христа народу с целью его спасения от дьявола.

Вся деятельность царей и героев в грузинских летописях изображается как борьба за христианскую веру, все войны ставят целью истребить врагов Христа, «Восприняв царский венец, осенявший семь царств,—говорится о царе Георгие III-м, — он, украшенный свыше порфирой и короной, вооружил длани свои, чтобы истреблять и сокрушать врагов веры Христовой: агаряи, исмаильтяи и магометан»[58].

При характеристике исторических личностей их набожность выдвигается как положительная черта, а безверие — как отрицательная. К. С. Кекелидзе по этому поводу пишет: «Религиозно-нравственная сторона их жизни и деятельности выдвигается так ярко и настойчиво, что поневоле подумаешь: не является ли он (автор «Истории и восхваления» — Ш. Х.) духовным лицом»[59].

В летописях часто цитируется священное писание, догматы святых отцов используются как поясняющие и определяющие ценность людских поступков.

Таким образом, наличие основных черт христианско-богословской концепции в грузинских исторических сочинениях, вошедших в сборник «Картлис цховреба», неоспоримо.

Однако, если дать общую оценку идейному направлению этих летописей и поставить вопрос о степени влияния церков-

---

55 КЦ, I, стр. 20.

56 Там же, стр. 179.

57 История и восхваление..., стр. 30—31.

58 Там же, стр. 19.

59 Там же, стр. 7.

ной концепции на исторические взгляды наших авторов, то придется признать, что это влияние не так уж сильно, что во многих случаях авторы избегают провиденциалистского объяснения событий и стараются разыскать причинно-следственные связи между ними. Они свободно обращаются с некоторыми догматами христианизма, забывают их при освещении отдельных вопросов древней истории Грузии. К. С. Кекелидзе уже отметил эту особенность истории царицы Тамары. Автор этого сочинения, — пишет он, «прибегает к таким сравнениям, которые в устах духовного лица как-то неестественны»[60]. В сочинениях историков Давида и Тамары заметно сильное увеличение античными образами, знание сочинений древнегреческих и римских авторов, фактов истории античного мира. Многие сочинения имеют определенную политическую направленность, полемизируют и защищают монархическую форму правления. Словом, летописи «Картлис цховреба» являются идейно-насыщенными сочинениями, своеобразно освещающими кардинальные вопросы истории древней Грузии.

К числу таких, заслуживающих внимание вопросов принадлежат: происхождение грузин и родство кавказских народов, возникновение грузинского языка и письменности, возникновение царской власти и государства в Грузии, складывание грузинского этнического единства (с единым языком, территорией, религией, государством и социально-политическим строем) и борьба за его сохранение, возникновение дворянского сословия и формирование его основных и имущественных прав, характер дохристианских верований грузин, принятие христианства и история грузинской церкви, происхождение царствующей династии и других владельческих фамилий, их история и т. д. Выдвижение таких важных вопросов в грузинской историографии XI—XII веков говорит о больших сдвигах в исторической мысли той эпохи.

Познакомимся поближе с взглядами авторов «Картлис цховреба» на вышеупомянутые вопросы.

С первых же слов летописи (Леонтий Мровели) говорится о том, что у армян и грузин, у ранов и моваканов, эров и лезгин, мегрелов и кавказцев был один общий праотец — Таргамос, библейский Торгом, который был сыном Тарша, внуком Яфета, сына Ноя[61]. Здесь, во-первых, привлекает наше внимание то обстоятельство, что происхождение кавказских народов и, в частности грузинского народа, историк увязывает с библейскими персонажами, т. е. разделяет библейскую «теорию» этногенеза народов. На основании этой же «теории»

---

60 История и восхваления..., стр. 7.

61 КЦ, I, стр. 3.

автор передает историю обретения родины кавказскими народами (на основе известной легенды о «Вавилонском столпотворении»), утверждая, что после смешения языков и расселения людей на земле, «двинулся Таргамос со всем своим племенем («ნათესავი») и обосновался между двумя труднодоступными горами — Араратом и Масисом»[62]...

Во-вторых, в этом рассказе грузинского историка проводится мысль о родстве всех кавказских народов и это является новым и весьма интересным явлением в общественно-политическом мышлении Грузии XI века. Правда, в этой «теории» Леонтия Мровели имеются неточности (тут говорится о родстве некоторых, совершенно не родственных народов), но не это главное. И. А. Джавахишвили совершенно основательно и справедливо предполагает, что в этом памятнике «мысль об едином происхождении и братстве вышеперечисленных народов должна была быть внесена из-за желания и по соображению укрепления единства и политической дружбы»[63] этих народов. Находящемуся на пути подъема и укрепления грузинскому феодальному государству эта «теория» нужна была для осуществления своих далеко идущих политических целей.

Вслед за рассказом о Таргамосе следует история восьми братьев, сыновей Таргамоса, этнонимов (этнархов) кавказских народов: Аоса (Гаоса), Картлоса, Бардоса, Мовакана, Лекоса, Эроса, Кавказа и Эгроса. Между ними и была распределена вся территория, занятая Картлосом и его племенем. Тут же подробно излагаются историко-географические сведения об уделах, доставшихся братьям[64]. И в этой истории заметно влияние библейских преданий, ибо эта схема эпонимов сочинена на основании библейского учения о происхождении народов от одного праотца, от одной моногамной семьи путем размножения[65].

Первым царем на земле в памятнике назван Неброт (Нимрод), царь Асурастана, которому подчинялись и потомки Таргамоса. Однако вскоре эти последние под водительством Аоса восстают против Неброта, Аос убивает Неброта и сам становится «царем над своими братьями и другими сородичами»[66]. Здесь завершается история восьми братьев и повествование переходит к рассказу о Картли. Опять следует историко-географическое описание уделов сыновей Картлоса (Мцхетос, Гардабос, Кахос, Кухос, Гачиос), а затем сыновей Мцхетоса (Уплос, Одзерхос, Джавахос), перечисляются города и крепости, построенные ими... Ни Картлос, ни Мцхетос, ни Уплос не именуются

---

62 КЦ, 1, стр. 3.

63 И. А. Джавахишвили, указ. соч., стр. 175.

64 КЦ, 1, стр. 4—6.

65 И. А. Джавахишвили, Указ. соч., стр. 175.

66 КЦ, 1, стр. 7.

царями, они были правителями и господами своих племен („ეყო გ-მკე დ- ეფალ"). Видимо, титул царя, по Леонтию, остался за потомками Аоса. А среди потомков Картлоса не было царя, царской власти. После смерти Мцхетоса, по словам историка, среди потомков Картлоса вообще исчезло единоначалие, они не признавали главенства Уплоса, начались междоусобицы, в каждом краю объявились свои вельможи („თავადნი") и лишь Мцхетский вельможа, который «не именовался ни царем, ни эриставом, а назывался мамасахлиси («глава дома»), был выше всех «судьей и посредником» среди картлоснанов[67].

В это же время потомки Картлоса «позабыли бога, сотворившего их, и стали слугами солнца, луны и пяти звезд, а твердым и главным их клятвенным объектом была могила Картлоса»[68]. Так продолжалось до Парнаваза, который в эпоху господства в Грузии греко-македонских завоевателей поднял восстание против ставленника Александра Македонского, некоего Азо и сделался первым царем в Грузии. При этом подчеркнуто, что «Парнаваз был по происхождению грузин, потомок Уплоса, сына Мцхетоса»[69]. Историк, видимо, хочет обосновать права Парнаваза на воцарение. Далее он передает, что Парнаваз получил царскую корону от царя Асурастана Антиохоса, который оказал ему поддержку в борьбе против греков[70].

Победа Парнаваза вызвала огромную радость среди грузин. «Было блаженство и радость во всей Картли из-за воцарения Парнаваза, — говорит летописец, — и все говорили: «Спасибо судьбе („ხვეხ") за то, что дала нам царя из рода отцов наших и избавила нас от дани и притеснения чужеземцев»[71].

Такова история возникновения царства и царской власти в Грузии. Во всем этом рассказе наше внимание привлекает сходство общей схемы истории возникновения царской власти среди таргамоснанов с библейскими представителями об этом вопросе. Как известно, в восточно-христианской церкви было распространено мнение, что царское достоинство было присуждено богом уже первому человеку на земле Адаму, а затем оно переходило потомственно на старшего из сыновей царствующей особы. Так продолжалось до Каина, после которого царствование прекратилось и воцарилась анархия[72]. Восстановлено было царство лишь в потомках Ноя.

---

67 Там же, стр. 11.
68 Там же.
69 Там же, стр. 20.
70 КЦ, I, стр. 25.
71 Там же, стр. 26.
72 И. А Джавахишвили, указ. соч., стр. 179—181.

Указав на получение Парнавазом царской короны от царя Асурастана, историк, видимо, хотел обосновать наследственную связь грузинской царской власти с древнейшими царскими династиями. Этот прием был общераспространенным в средневековом мире. Кроме того, в этом эпизоде мы склонны видеть влияние известной христианско-богословской «теории» о четырех монархиях в древнем мире (Ассиро-Вавилонской, Персо-Мидийской, Греко-Македонской, Римской)[73] и о перенесении власти от одних народов к другим. Влияние указанной «теории» на первую часть грузинской летописи усматривают и другие исследователи этого памятника, главным образом, по рассказу Леонтия о последовательной борьбе таргамоснанов против асурастанского царя Нимрода, против персидских царей, против греков-македонян и т. д.[74] Видимо, связав происхождение грузинской царской власти с династией Селевкидов, автор летописи увязал тем самым грузинскую историю со «всемирной историей», как бы определяя место Грузии во всемирно-историческом процессе.

В связи с этим следует указать также на одно, очень интересное наблюдение С. Г. Каухчишвили. В некоторых рукописях сборника «Картлис цховреба» основному тексту памятника предшествует изложение «всемирной истории» по известному сочинению св. Ефрема: «О сотворении неба и Адама...» С. Г. Каухчишвили считает, что эта «всемирная история» первоначально была органической составной частью сборника, и лишь впоследствии была изъята из него. Включение таких «всемирных историй» в местные хроники — было распространенной традицией в средневековой (в частности, византийской) историографии[75].

В «Картлис цховреба» важной вехой истории Грузии рисуется эпоха и деятельность первого грузинского царя Парнаваза. Именно тогда складывается грузинское общество, грузинская народность („ქართველთა ნათესავ“), оформляются национальные черты грузинского народа. Летописец говорит, что

---

[73] О. Л. Вайнштейн, указ. соч., стр. 11, 78—82.

[74] Г. Мамулия, Об источниках Леонтия и Джуаншера, «Мацне» («Вестник») ОНН АН Гр. ССР, 1964, № 4, стр. 263. Правда, эта «теория» была более распространенной в западной церкви (католической), но т. к. разделение западной и восточной церквей (православной) произошло лишь в XI в. (1054 г.), когда была сочинена и начальная часть грузинской летописи, то возможности влияния этой «теории» на нашего историка нельзя исключить.

[75] С. Г. Каухчишвили, «Картлис цховреба» и «Всемирная история», Труды Кутаисского пединститута, т. VII, 1947, стр. 30; также, КЦ, I, стр. 010—014.

Парнаваз создал государство грузинское, обрел независимость, объединил страну, устроил административное управление, ввел государственные налоги, утвердил новую религию (идолопоклонство), создал грузинскую письменность, при нем грузинский язык стал единственным, всеобщим и господствующим в Грузии.

Словом, «тут дана национально-политическая организация средневековой грузинской народности („ნათესავი“)[76]. По Леонтию эта организация характеризуется своим государством, территорией, языком, строем, религией, письменностью, царской властью[77]

Все последующее повествование ставит своей целью передать историю борьбы за сохранение этих национальных особенностей и этнико-политической общности грузинского народа. Борьба ведется не только против внешних врагов, ставивших целью покорить Грузию, но и врагов внутренних, стремившихся ослабить царскую власть, изменить веру предков, существующий строй, порядки и привлекавших иногда для достижения этой цели внешние силы[78]. Преимущественное внимание уделяется сохранению веры предков. Характерны в этом отношении слова царя Мирвана, произнесенные по поводу убийства его отца картлоспанами: «Справедливо был убит мой отец, ибо не хорошо воспринял веру отцов ваших..., ибо за измену веры убивают дети отцов и братья братьев своих и не ищется кровь убиенных за измену веры»[79]. Особенно сильно этот момент выступает после принятия христианства. Мы уже сказали, что борьба за христианскую веру рисуется, как основная цель, вся суть деятельности царей и других героев истории. В таком духе изложена история царя Вахтанга Горгасала, деятельность царя Давида Строителя, Георгия III, царицы Тамары и т. д.

Весьма интересны взгляды авторов «Картлис цховреба» на сословный вопрос в Грузии, на историю возникновения и развития дворянского сословия (класса азнауров-эриставов) и формирования его сословных и владельческих прав.

В соответствии с бытующей и широко распространенной в средневековой Грузии «теорией» об иноземном происхожде-

---

76 Н. А. Бердзенишвили. Вопросы истории Грузии, II, 1965, стр. 8. Подчеркнуто автором.

77 Там же, стр. 8.

78 Н. А. Бердзенишвили, Проявление классовой и внутриклассовой борьбы во внешнеполитических отношениях Грузии. См. Вопросы истории Грузии, II, стр. 5—48. Здесь же приведены и рассмотрены соответствующие примеры.

79 КЦ, 1, стр. 31.

нии дворянских фамилий, в «Картлис цховреба» возникновение сословий азнауров связано с пребыванием в Картли 1000 греческих воинов, перешедших на сторону Парнаваза и оказавших ему поддержку в борьбе за освобождение Картли от греко-македонских завоевателей. По словам Леонтия Мровели, Парнаваз «назвал азнаурами» этих греческих воинов и расселил их по разным ущельям и краям Картли[70]. Сын же Парнаваза, Саурмаг, которому эти греческие воины также оказали услугу, «принизил картлоснанов и возвеличил азнауров»[71]. Впоследствии эти азнауры постепенно становятся эриставами, т. к. сливаются с местной привиллегированной правительствующей прослойкой общества. В эпоху двоецарствия упоминаются Одзрхийский эристав «из азнауров»[02], Кларджийский эристав «из азнауров-же». Это феодальное сословие фигурирует в «Картлис цховреба» то под названием «эриставов», то под названием «знатных» („წარჩინებული"), «азнауров» и т. д.

Укрепление их социальных привиллегий также связано внешней силой. Джуаншер рассказывает, что персидский правитель Рана и Мовакана, царевич Касре Амбарвез, «начал говорить с картлийскими эриставами: обещал большое добро и записал им эриставства в вотчины потомственно, и так переманил их льстивостью своею»[73]. Затем, когда персам было не до картлийских дел, эриставы обратились к греческому (византийскому), царю и попросили признать, что «будут те эриставы в своих эриставствах постоянно (неизменно)»[74]. Они добиваются своего и уже при Гураме Курапалате Джуаншер свидетельствует: «А эриставов картлийских не мог он (Гурам — Ш. Х.) сменить с эриставств своих, ибо были у них грамоты крепостные („მკვიდრობისათვის") на эриставства от царя персидского и царя греческого»[75], «и сидели эриставы незаменимо в своих эриставствах»[76].

От византийского императора получил также Леон абхазский эристав свою страну в «вотчинное владение»[77].

Таким образом, авторы «Картлис цховреба» возникновение дворянского сословия и укрепление его социального положения связывают с внешними силами. В этом безусловно проявляется слабость их методологических принципов.

---

70 КЦ, 1, стр. 25.
71 Там же,
72 Там же, стр. 47.
73 Там же, стр. 217.
74 Там же, стр. 217.
75 Там же, стр. 221.
76 Там же, стр. 226.
77 Там же, стр. 242.

Для начальной части «Картлис цховреба» (до царя Мирвана) «характерна резко выраженная арменофильская тенденция»[78] убедительного объяснения которой пока, что мы не имеем.

Н. А. Джавахишвили заметил, что «все историки, сочинения которых включены в сборник «Картлис цховреба», являются сторонниками политики царей и ненавистниками крупных азнауров»[79]. Это в основном верное наблюдение. Мы бы лишь исключили в этом отношении сочинение «Жамтаагмцерели», в котором, на наш взгляд, этой тенденции нет. Все остальные сочинения, вошедшие в «Картлис цховреба», являются выразителями идеологии централизованного государства, сильной царской власти, в них порицаются феодальные междоусобицы, анархия, стремление к расчленению единого государства и т. д. Леонтий утверждает, что «грузины имели большую привязанность к парнавазидам и не желали царствования представителей другого рода, неродственного с парнавазидами[80]. Когда Адерк победил в единоборстве царя Аршака, грузины сказали ему: «Ты наилучший из рода парнавазидов... Благодарим судьбу нашу, что взамен царя нашего дал нам сына, же царей наших, богатырья и славного»[81]. Все сочинение Джуаншера проникнуто духом восхваления царствования Вахтанга Горгасала. «Если ты из-за грехов наших будешь побежден, — говорит царю Вахтангу спасает Джуаншер, — то совсем погибнет наша страна, ибо нет никого на свете, могшего заменить тебя»[82]. Автор «Матианэ Картлисай» с горечью говорит о причинах упадка страны, о нашествиях арабов и о междоусобицах мтаваров («И умножились мтавары в стране Картли, начались междоусобицы, стали они врагами друг-друга»[83]). Он же в связи с воцарением Баграта III в Картли пишет: «Как прошло некоторое время начали вновь лукавить коварством, как это в обычаях у картлийских азнауров (дворян)»[84], восстали они и захватили царя-царей Гургена, сына его царя Баграта и царицу Гурандухт. Давид куропалат освобождает их. Вероломство азнауров проявилось и в отпадении Кахет-Эретского царства в первые годы царствования Георгия I-го[85]. Далее автор пространно рассказывает о выступле-

---

78 Г. А. Меликишвили. — К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, стр. 31.

79 Н. А. Джавахишвили, указ. соч., стр. 28.

80 КЦ, 1, стр. 32.

81 Там же, стр. 35.

82 Там же, стр. 149.

83 Там же, стр. 250.

84 КЦ, 1, стр. 274.

85 Там же, стр. 274.

ниях крупных азнауров (Липарита Кдекарского эристава. Нинии Квабулисдзе, Ивана, сына Липарита, Вардана Сванского эристава и других) против царей Баграта IV-го и Георгия II-го, отмечая при этом, что они «взбаломутили страну»[86].

Наиболее яркое проявление монархической идеологии мы видим в сочинениях историков царя Давида Строителя и царицы Тамары. Историк царя Давида яростно защищает царя от его политических противников и обвинителей. Царя обвиняли, что он не дает покоя ни войскам своим, ни своим подданными, что он непрерывно организует походы, военные экспедиции и т. д.

Что же отвечает на это обвинение историк? «Если б он не этими усердными походами и мелкими схватками и учением хорошим и сильным предводительством, и одержанным множеством побед воспитывал бы войска свои, воодушевляя бесстрашных в бою похвалой и дарами, а трусливых бабьей одеждой и порицанием, так что среди его воинства не находятся нареченные трусами, как он мог одержать столько побед, или завоевать столько царств? Неужели сном или пьянством и развлечением на зеленых полях, или делами избаловавшими? Нет это не так»[87]. Тут же в пример приводится история Александра Македонского, его непрерывные походы в западную Европу, Италию, Африку, Египет, Палестину, Финикию, Киликию, Персию, Индию и т. д. «Скажем и другую причину этого, — продолжает историк, — так как род грузинский („ნათესავი ქართველთა") изначала склонен к вероломству по отношению властителей своих[88], ибо как только станут великими, разбогатеют, обретут славу и покой, начинают замышлять злые дела, как об этом повествуют старая летопись Картли и дела ныне видимые. И это он, мудрейший из людей, хорошо знал. Поэтому не дал им удосужиться, замыслить это, или отдохнуть и собраться и сотворить что-либо подобное»[89].

Второе обвинение состояло в том, что царь Давид возлюбил и возвеличил одних, возненавидел и принизил других. «Так почему же в этом не обвиняете Бога, — восклицает историк, — который точно также поступает?... Если царь преданных, осторожных и смелых возвеличил взамен вероломных, трусливых и недостойных, что же в этом несправедливого?»[90]. Историк с большим пафосом описывает государственные дела Давида, ставит его выше всех известных мужей и государственных деятелей.

86 Там же, стр. 316.

87 КЦ, I, стр. 358.

88 Безусловно, имеется в виду феодальная верхушка тогдашнего грузинского общества.

89 КЦ, I, стр. 359.

90 Там же, стр. 359.

Монархические взгляды автора истории царицы Тамары хорошо известны. У И. А. Джавахишвили приведены соответствующие места из этого сочинения[91]. К. С. Кекелидзе пишет: «В области политической он является сторонником неограниченной монархии... он категорически отмежевывается как от злоухищрений крупных феодалов и чиновников, так и от парламентных тенденций Кутлу Арслана»[92].

Единоначалие, по мнению историка, имеет божественное происхождение. Бог «видимым образом проявляет в душе и сердце одного человека единоначалие и единовластие свое...,» пишет он.

Таковы основные характерные особенности мировоззрения (провиденциализм, влияние христианско-богословской концепции), методологии (история царей, преимущественно, политических и военных событий, объяснение явлений внешними факторами), идеологии (защита феодального строя, грузинского «национального» единства, монархии) выраженных в сборнике грузинских летописей «Картлис цховреба». Эти черты характерны вообще для всей средневековой грузинской историографии.

Теперь несколько слов о методике авторов «Картлис цховреба», об их приемах исторического повествования. Все сочинения, вошедшие в сборник, выделяются композиционной стройностью, последовательностью рассказа с выделением более важных событий и сосредоточением внимания вокруг них. Если авторы отклонялись от основного направления повествования, они особо отмечали это и возвращаясь к основным событиям, говорили: «теперь же вернемся к первоначальному рассказу». Правдивость рассказа являлась предметом особой заботы историков. Если они использовали устые рассказы о событиях, то особо отмечали, что рассказчики были современниками и очевидцами описанных событий, что они были людьми правдивыми, умными, доверительными и т. д. По утверждению этих историков не всякие события могли стать объектом повествования, а лишь заслуживающие внимания, достойные этого. При этом следовало подбирать факты для примеров, рассказывать лаконично и интересно, не протягивать рассказ и не перегружать его никчемными деталями.

Перечисляя все эти особенности повествовательной техники грузинских средневековых историков, И. А. Джавахишвили приходит к заключению, что «в грузинской исторической литературе имелось ясное, прочное теоретическое учение о том,

---

91 И. А. Джавахишвили, указ. соч., стр. 227—228.

92 История и восхваление..., стр. 8.

93 Там же, стр. 17.

как и каким путем должно быть написано хорошее и образцовое историческое сочинение»[94].

Источниковую базу сборника «Картлис цховреба» составляют устные народные предания и рассказы очевидцев, грузинские исторические сочинения предшествующей эпохи, некоторые документы и собственные наблюдения, «истории» Армении, Персии, Греции, Александра Македонского и др. Однако, их отношение к этим источникам, в основном, не критическое. Очень редко встречается (например, у Жамтаагмцерели) элементарная критика некоторых сведений источников. Ссылки на источники не конкретные, общие, просто называется сочинение без указания места, куда ссылается летописец.

Характеристику «Картлис цховреба», как историографического памятника средневековой Грузии, на этом можно завершить.

Дальнейшее развитие историографии должно было привести к отказу от провиденциалистских объяснений исторических событий, к изменению методологических принципов и усилению внимания к внутренним событиям истории общества, к освобождению от влияния библейских представлений об этногенезисе народов, о происхождении политической власти, к расширению круга источников и развитию критического отношения к ним, к созданию сложной системы методов критики и интерпретации источников.

Сдвиги в этом направлении намечаются в грузинской историографии с конца XVII — начала XVIII вв.

---

[94] И. А. Джавахишвили, указ. соч., введение, стр. 17—18.

სარჩევი

1. გ. მარგიანი. კ. ხოშტარია — საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების საკითხები ლენინური მოძღვრების შუქზე
ა. ბოგვერაძე — დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ 70
არჩ. ბარამიძე — პირველყოფილ-თემური წყობილებისა და ანტიკური (ადრეკლასობრივი საზოგადოების) საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხები XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში 84
4. ნ. როდონაია — გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფიიდან (ნიკო ნიკოლაძე და ივანე ჯავახიშვილი XIX ს. საქართველოს გლეხთა მოძრაობის შესახებ) 113

* * *

აკად. სიმონ ჯანაშია — მღვნე ჯანაშვილი 126
დავით კარიჭაშვილი 136
6. არნ. ჩიქობავა — მცირეოდენი — მოგონებებიდან 141
7. ალ. გაწერელია — სიმონ ჯანაშია (მოგონებათა რამდენიმე ფურცელი

* *

8. კ. ანთაძე — ალექსანდრე ნამორაძე 149
9. ბ. რატიანი — თერგდალეულთა მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლისათვის (პასუხი პროფ. ი. კაკაბაძეს) 167
10. Ш. А. Хантадзе — К историографической характеристике «Картлис цховреба» 207

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
ტექრედაქტორი ნ. პოკერია
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი რ. ფეიქრიშვილი

გადაეცა წარმოებას 23.12.1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.VI.71;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 14.5; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 13.25; უე 00302; ტირაჟი 1000; შეკვეთა 3034;
ფასი 1 მან. 26 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН ГССР, Тбилиси 380060, Кутузова 19